ოთარ დვალიშვილი

ქართული ეროვნული სულის უკვდავება

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2005 წელი

წინათქმა

მიდის დრო... ხელახლა ფასდება მოვლენები, იცვლება შეხედულებები... დგება დრო, როცა მთამომავლობას გინდა გულნრფელად გაესაუბრო, ნალდი გულით, სულის ტკივილითა და განცდებით დანერილი სტრიქონები გაანდო...

მე არც ისტორიკოსი გახლავართ და არც პოლიტიკოსი, ასეთი ნიგნის გამოცემა, ასეთ დიდ საქმესთან შეჯიდება ნამდვილად დიდი რისკი იყო, მაგრამ მჯეროდა და მჯერა, რომ უშუალოდ ნახული და განცდილი მოვლენების უბრალო ენაზე, ჩვეულებრივი ადამიანის მიერ გადმოცემა, იოტისოდენა ნვეთი მაინც იქნება ქართული მნერლობის დიდ ოკეანეში.

კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დროს სიმართლის თქმა, ასეთი ნანარმოების გამოცემა, შეუძლებელი გახლდათ, მისი ავტორი ნინასწარ იყო განნირული, დღეს ამ მხრივ გზა ხსნილია, თუმცა ახლაც ძნელია ისტორიული ფაქტების სრულყოფილად გადმოცემა, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი ის არის, რომ ძნელია საარქივო მასალების მოპოვება, ზოგიერთი ცნობები უკვე განადგურებული გახლავთ, ზოგიერთი კი ძნელად ხელმისანვდომი.

ნიგნის შექმნაზე საკმაოდ დიდ ხანს ვმუშაობდი: საარქივო მასალებზე, ჟურნალ—გაზეთების პუბლიკაციებზე, ბრძანებებზე, დეკრეტებზე, უმიშროების არქივიდან გაცემული ცნობებსა და, აგრეთვე ჩემს პერიოდში მომხდარ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შეკრებილი ნინამდებარე ნიგნი.

ათეულობით ნლების მანძილზე ხომ გაუგონარი ტანჯვა-ნამება გამოიარა ქართველმა ერმა, უამრავი ხალხის დახვრეტა, გადასახლება... ვინც ცოცხლები დავრჩით, შეურაცხყოფილი, ღირსებადაკარგული ვიმყოფებოდით. ასეთ ტანჯვაში გამოვალნიეთ „საბჭოთა ხსოვნის უდაბნოს.

კომუნისტებმა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის თავზე რკინის კვერიც კი დააცრიალეს. იმ ხალხს, ვინც მათ მიემხრო, დღესაც ულმერთო კომუნისტები ღმერთად მიაჩნიათ, ბევრი ჩვენი თანამემამულე ვერც დღეს აცნობიერებს

იმას, თუ რა უბედურების ქარბორბალა დაგვატეხეს თავს კომუნისტებმა, მათ ხომ ფიზიკურად გაანადგურეს ათასობით ინტელიგენტი ადამიანი, უარყვეს ღმერთი, დაანგრიეს ეკლესია—მონასტრები, იავარჰყვეს სარწმუნოება, ჩვენი ადათ-წესები, თუმცა ვერ მოსპეს ქართველი კაცის სული, ყველაფერი აუნენ-დაუნენეს, მაგრამ საქართველოს საამაყო გმირებს ხალხი მაინც ვერ ივიწყებს.

დღეს, როცა დამოუკიდებლობის დროშა კვლავ აღიმართა, მკვდრეთით აღსდგა ჩვენი საამშობლოს ბედნიერებისათვის დაღუპული იმ გმირთა სახელები, რომლებმაც გამოიარეს უსამართლო ბრძოლა, კომუნისტებთან დაპირისპირება, დევნა, შევინროვება, ღირსების შელახვა, მათ მაშინაც და ახლაც რაინდული სამოსელში ხვევდა ქართული ღირსება და ქართული ეროვნული სული. მთამომავლობამ უნდა იამაყოს მათი სახელებით.

ამ წიგნში სახელოვან ადამიანთა ძალიან, ძალიან მცირე ნანილი მყავს შეყვანილი, უფრო მეტის ვერ მოხერხდა, მაგრამ ვეცადე მთავარი როგორმე მეთქვა, თუ როგორ ვთქვი, როგორ გამომივიდა, ამისი განსჯა თქვენთვის მომინდვია ჩემო ძვირფასო მკითხველო.

ნინამდებარე ნაშრომი ჩემი მეორე წიგნია. 2004 წელს გამოვიდა პირველი—„ვინ ვართ ჩვენ, სადან მოვდივართ, ნინაპრთა ნაკვალევი," რომელმაც, ვფიქრობ, საკმაო მონოდება დაიმსახურა.

ამ წიგნის შექმნაზე საკმაოდ მძიმე შრომა გავნიე, მაგრამ ერთადერთი სურვილი და პრეტენზია რაც მე და ჩემს წიგნს გაგვაჩნია, ეს არის ჩემი საამშობლოს, ღვთისმშობლის ნილხვედრი საქართველოს უსაზღვრო სიყვარული და იმ ადამიანთა ხსოვნისადმი ქედის მოხრა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე, ყველაზე უძვირფასესს—საამშობლოს ძლიერებას შესნირეს.

ძალიან ვღელავ და ველოდები მკითხველთა მხრიდან განსჯას, თუ ვინმე წიგნის ავ-კარგზე მიმითითებს, მზად ვარ ადამიანური სიყვარულით შევეხმიანო და დიდი თავაზით მივიღო რჩევა-დარიგება.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ვრჩები თქვენი გამოხმაურების მოლოდინში.

ავტორი

ფესვებიდან ყლორტებამდე

ჩვენი ერის ისტორია უხსოვარი დროიდან იქმნებოდა. რადგან იმ დროისათვის დამწერლობა არ იყო, პირველყოფილი ადამიანები ზეპირი მეტყველების საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მომხდარ ამბებს, მაგრამ ამგვარი ზეპირმეტყველებით შემონახული, ისტორიული ფაქტების მხოლოდ ერთმა-ორმა პროცენტმა თუ მოაღწია ჩვენამდე.

კაცობრიობის უტყუარი ისტორია იმ პერიოდიდან იწყება, როდესაც წერილობითი წყაროები გაჩნდა. როგორც ცნობილია, ქართული დამწერლობა სათავეს V საუკუნიდან იღებს. V-VI საუკუნეებში რომ იგი სათანადო დონეზე იყო განვითარებული და ქართველთა მწიგნობრობას იცნობდნენ მახლობელი თუ შორეული ერებიც, ამაზე მეტყველებს ცნობა, რომელიც დაცულია ასურულ თხზულებაში **„წიგნი ერთა და ქუეყანათათჳს“**. ამ ნაშრომში ვკითხულობთ:

„სემის, ქამის და იაფეტისაგან წარმოიშვა 73 ერი, ტომი და ენა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც იციან წერა-კითხვა. 16 ერია ასეთი... წიგნის მცოდნენი არიან: ასურელნი, ებრაელნი, ბაბილონელნი, სპარსნი, ელამიტელნი, მეგვიპტელნი, კუშიტები, ჰინდონი, ფინიკიელნი, იონელნი, ამორელნი, ალანნი, რომაელნი, სომეხნი, ტაონი და **ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი**“

გიული ჩიტოშვილი-ბახტაძე
„ასომთავრულის საიდუმლოებანი“

აქედან ნათლად ჩანს, რომ ათასწლეულების წინათ ქართველი ხალხის წინაპრებს ჰქონდათ საკუთარი ყოფადობა, საკუთარი ენითა და კულტურით მკვეთრად განირჩეოდნენ კავკასიასა და აღმოსავლეთში მცხოვრები სხვა ტომებისაგან. თვით ქართველთა წინაპარ მოსახლეობაშიც სხვადასხვა მხარისა და კუთხის ადამიანებს შორის ენის, ზნე-ჩვეულებისა და მატერიალური და სულიერი კულტურის განსხვავება მკვეთრად აღინიშნებოდა. ეს ხდებოდა არა მარტო ქართული ტომების ჯგუფებს შორის, როგორებიც იყვნენ ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები, არამედ თვით ქართების, მეგრელ-ჭანებისა და სვანების ცალკეულ ტომებს შორისაც.

მზიურმა საქართველომ, ამ პატარა ქვეყანამ, საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებთან გამუდმებული ომების ურთულესი პირობების განვლის მიუხედავად, მოახერხა დღემდე მოეტანა ქართული სახელმწიფოებრიობა, ენა, კულტურა და უზრუნველეყო მათი სრულყოფა.

ჩვენთვის ცნობილია საუკუნეებით ადრე აღმოცენებული უამრავი სახელმწიფო, რომელთა უმეტესობამ ადრიდანვე დაკარგა სახელმწიფოებრიობა, ბუნებრივია, კულტურაც, შეწყვიტა არსებობა, ფაქტიურად, გაქრა მსოფლიო რუკიდან. ქართველმა ერმა კი, წლების მანძილზე, ურთულეს პირობებში განვლო განვითარების ყველა ეტაპი და მოაღწია აქამდე.

საქართველო შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს. ის განთავსებულია ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. ქართველი ერი ბაბილონსა და მცირე აზიაში მცხოვრები რამოდენიმე უძველესი ტომების შერწყმით ჩამოყალიბდა. მათ—ზოგიერთ კავკასიელ ხალხსა და ბასკებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. საქართველოსა და საერთოდ კავკასიაზე ბატონობდნენ რომი და სპარსეთი, შემდგომში ბიზანტია, არაბები და სხვები. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ მათ მიერ მრავალი სახელმწიფო მოისპო, ხოლო საქართველომ, ამ პატარა ქვეყანამ, შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური თვითმყოფადობა. შეიძლება ითქვას, რომ ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, რომელიც ქართველებმა IV საუკუნეში მიიღეს (იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა მირიან მეფემ ამავე საუკუნეში).

საქართველო—როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა

ათასწლეულების ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, ისტორიის სიღრმიდან მომდინარე, თავისუფლების მიღწევის მრავალსაუკუნოვანი სურვილი განაპირობებდა, რომელიც მითამჟამიდან ასაზრდოებდა ქართველი კაცის თავმოყვარეობას, პატივსა და ღირსებას.

რუსეთის იმპერიულ მარწუხებში მოქცეული ქართველი ერი ვერ ეგუებოდა ეროვნული გენისა და ჯიშის აღმოფხვრას. ველიკოდერჟავული შოვინიზმით გაჟღენთილი საბჭოთა რუსეთი გეგმაზომიერად ცდილობდა სხვადასხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფებისაგან უნიტარული „საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბებას. ასეთი მცდელობები, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბუნების კანონებს, შთანთქმით და გაქრობით ემუქრებოდა მცირერიცხოვან ერებს. ქართველმა ერმა ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ამ მზაკვრული ჩანაფიქრის წინააღმდეგ და ამ მხრივ ავანგარდში აღმოჩნდა.

თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ფასი ალბათ ქართველებზე უკეთესად არავინ იცის. ისტორიამ ისე განსაჯა, რომ საუკუნეთა მანძილზე სიმწრით, მამაცური ბრძოლითა და თავგანწირვით მოპოვებული ნანატრი დამოუკიდებლობის დიდ სიხარულს, ხშირად მისი დაკარგვის სიმწარეც სდევდა თან.

მრავალჯერ დაღვრილა ქართველ ვაჟკაცთა სისხლი მამულის, დამოუკიდებლობისა და სარწმუნოების დასაცავად.

მეტად ეკლიანი იყო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა, უმეტეს შემთხვევაში მოურჩენელი ჭრილობები სერავდა ეროვნული მოძრაობის მთავარ ძარღვს, მტერიც და მოყვრის ნიღაბსამოფარებული მედროვეებიც თავის ბინძურ ხელებს აფათურებდნენ ეროვნულ სულში. სუსტდებოდა, მაგრამ კვლავ, ათასჯერ უფრო მეტი სიმწვავით, ღვივდებოდა ეროვნული მოძრაობის ჩაუქრობელი ცეცხლი, ბევრმა უცხოეთს მიაშურა, ბევრი გმირულად დაიღუპა, მაგრამ მაინც ვერაფერმა ამოშალა ქართველი კაცის შეგნებაში ერთიანობის, ეროვნულობის გადარჩენისა და დამოუკიდებლობის დაუოკებელი ჟინი.

ბევრი სისხლიანი გვერდია ერის ისტორიის სქელტანიან წიგნში...

1918 წლის 26 მაისის ხანმოკლე სიხარული...

ბევრის, ძალიან ბევრისათვის დაუვიწყარი თარიღი...

ამ დღეს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც გახსნილად გამოაცხადა ბატონმა **ნოე ჟორდანიამ.** მან თავის მოხსენებაში აღნიშნა:

„საქართველოს სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთი ერის სახელმწიფოს წინააღმდეგ, დაიცოს მტრებისაგან თავისთავი, მისი შესაძლებლობისგვარად დაეხმაროს სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა მძიმე გასაჭირში. ვაცხადებ, რომ ეროვნული უმცირესობანი ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა—ქართველები.

სახელმწიფოს ყველა ერი იცხოვრებს ძმურად და მეგობრულად, ერთი დროშის ქვეშ და ისარგებლებენ ერთი უფლებებით“.

ამ სიტყვების შემდეგ მან დარბაზში მყოფთ გააცნო საქართველოს **დამოუკიდებლობის დეკლარაცია,** რომელიც დამსწრეებმა ერთსულოვნად მიიღეს.

დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. მე-18 საუკუნის ბოლოს გარეშე მტრების შემოსევას ველარ გაუძლო ქართველმა ხალხმა და ყოველმხრივ შევიწროებული, ნებით შეუერთდა რუსეთს, იმ პირობით, რომ მოკავშირე ქვეყანა დაიცავდა მას გარეშე მტრებისაგან, მაგრამ რუსეთში მოხდა რევოლუცია, შეიქმნა ახალი მთავრობა, რუსის ჯარი მთლიანად დაიშალა და ჯარმაც დატოვა საქართველო, მთლიანად ამიერკავკასია. შემდეგ მოხდა ამიერკავკასიის გაერთიანება, მაგრამ ეს კავშირი მალე დაირღვა და პოლიტიკური ერთიანობა მთლიანად დაიშალა.

ამიერკავკასიის დაშლის დღესვე შედგა საქართველოს ეროვნულ-გაერთიანებული საბჭოს კრება, სადაც მიღებული იქნა და ქართულ-რუსულ ენებზე გამოიცა საქართველოს ეროვნული საბჭოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც მოიცავდა შემდეგ **მუხლებს:**

ამიერიდან...

- საქართველოს ხალხი სრულუფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა

- დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა

● საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა

● საქართველო კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებს ყველასთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან

● საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა

● საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს

● დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელ საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით... დროებითი მთავრობა პასუხისმგებლია საბჭოს წინაშე.

ამ აქტის ყველა მუხლი კრების მიერ მიღებული იქნა დიდი სიხარულით. საქართველოში დამკვიდრდა **დემოკრატიული რესპუბლიკური წყობა,** ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად არჩეული იქნა **ნ. რამიშვილი,** საგარეო საქმეთა მინისტრად **გ. გიორგაძე,** ფინანსების, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად **გ. ჟურული,** სახალხო განათლების მინისტრად **გ. ლასხიშვილი,** გზათა მინისტრად **ი. ლორთქიფანიძე.**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე თბილისში, მთავრობის სასახლის თავზე აფრიალდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, ქართველმა ხალხმა თავი დააღწია რუსეთის მონობას, აღიდგინა თავისი დაკარგული უფლებები და ავტორიტეტი.

მაშინდელ საქართველოს ევროპის მრავალ ქვეყანასთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. ქვეყნის წინსვლამ და მის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. იგი ცნეს, როგორც **დამოუკიდებელი სახელმწიფო:** მოკავშირე ქვეყნების უზენაესმა საბჭომ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, ავსტრიამ, ლუქსემბურგმა, ჰაიტმა, ლიბერიამ, მექსიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, აგრეთვე, თურქეთის მთავრობამ, არგენტინამ, გერმანიამ.

საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებამ და რუსეთში შექმნილმა მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობამ აიძულა საბჭოთა რუსეთი საქართველოს რესპუბლიკა ეცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. **ეს მოხდა 1920 წლის 7 მაისს,** სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს.

საქართველოს მთავრობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის აღორძინება და ერის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესება, ძალღონეს არ იშურებდა, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა ქვეყნის წინსვლისათვის.

თავისი სამი წლის არსებობის მანძილზე, საბჭოთა არმიის მიერ მის დაპყრობამდე, ქართველმა ხალხმა და მისმა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა და მშობლიური ქვეყნის სიყვარული ჭეშმარიტად დაადასტურა.

ახალმა მთავრობამ შექმნა ეროვნული გვარდია (პოლიცია), რითაც შეძლო ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის დამყარება.

1921 წელს საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ქვეყნის კონსტიტუცია. კონსტიტუცია შეესაბამებოდა მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების მიერ დადგენილ ნორმებს, რომელიც საქართველოს ამკვიდრებდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ ქვეყანად.

დემოკრატიის მტრებს არ ეძინათ... საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ განსაკუთრებულ შურისძიებასა და მტრობას იჩენდნენ ქართველი კომუნისტები. ისტორიული თარიღის, 26 მაისის მოვლენის შემდეგ, ისინი საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ანტიხალხურს, კონტრევოლუციურს უწოდებდნენ. როცა თურქებმა ომი დაუწყეს საქართველოს და სომხეთს, ქართველი ბოლშევიკები ნაცვლად იმისა, რომ მთავარი მონაპოვარი და სამ-

შობლოს ინტერესები დაეცვათ, აწყობდნენ გლეხთა აჯანყებებს და მუშათა გაფიცვებს, რითაც ხელს უწყობდნენ თურქ დამპყრობლებს, რაც თავისთავად ნიშნავდა მტრის მხარდაჭერას. 1918-1920 წლებში მათ ვერ გაითვალისწინეს ქართველი ერის დიდი ინტერესი და მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ მუშათა და გლეხთა საკმაო ნაწილი, რომლებიც თავიდან მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებს, შემდეგ ჩამოშორდნენ მათ და მიემხრნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

საბჭოთა რუსეთის აღშფოთებას იწვევდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ 1918-1920 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო ჩარევაზე რუსეთი თავს იკავებდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ იმ პერიოდში თვითონ საბჭოთა რუსეთს უხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ, ანუ ის იბრძოდა საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად, გარდა ამისა, იგი ანგარიშს უწევდა ევროპის სახელმწიფოებში საქართველოს დიდ გავლენას.

მართალია, რუსეთი თავს იკავებდა, მისი მხარდაჭერა ქართველ ბოლშევიკებს ჯერჯერობით არ ჰქონდათ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ დემოკრატიული საქართველოს (მთავრობის) მტრებს საბჭოთა რუსეთსა და ბოლშევიკებს, რომლებსაც ჰქონდათ ი.ბ. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის მხარდაჭერა, ხელი აეღოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასამარების მიზნით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთი ჯერჯერობით თავს იკავებდა, მაგრამ როგორც კი მოაწესრიგა საშინაო და საგარეო საქმეები, ჯერ აზერბაიჯანსა და სომხეთს დაესხა თავს, შემდეგ კი დაარღვია საქართველოსთან დადებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და თავს დაესხა ჯერ კიდევ ხერხემალგაუმაგრებელ, ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ (დემოკრატიულ) ქვეყანას.

მიწის რეფორმა

დემოკრატიულმა მთავრობამ თავისი არსებობის მეტად ხანმოკლე პერიოდში გლეხობისა და მშრომელი ადამიანების საკეთილდღეოდ გარკვეული ღონისძიებები და რეფორმები გაატარა. მათ შორის მთავარი გახლდათ მიწის რეფორმა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მთებს, ტყეებსა და საძოვრებს, რომლებიც უვარგისია სახნავ-სათესად. იმის გამო, რომ მიწის დიდი ნაწილი მსხვილ მიწათმფლობელთა საკუთრება იყო, ქართველი გლეხობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 75%-ს შეადგენდა, მიწის ნაკლებობას განიცდიდა.

მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, მიზნად დაისახა მიწის რეფორმის გატარება და უზრუნველყო კიდევაც აღნიშნული პროცესი.

მიწის რეფორმის თანახმად, მიწა შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ მასზე მომუშავეს. მსხვილ მიწათმფლობელებს ჩამოართვეს მიწის ნაწილი. დადგინდა კონფისკაციის წესები, რომლის თანახმად მიწის მაქსიმალური ფართობის მემკვიდრე გახდა მშრომელი ადამიანი.

ნაკვეთები დაურიგდათ გლეხებს. თითოეულ ოჯახზე მოდიოდა დაახლოებით 10 ჰექტარი (ეს მაჩვენებელი მერყეობდა რეგიონების მიხედვით), დანარჩენი .ფართობები სახელმწიფო საკუთრებად რჩებოდა. აკრძალული იყო მიწის შესყიდვა, გასხვისება ან რაიმე სხვა გზით დაპატრონება. სახელმწიფოს გარდა, არავის შეეძლო მიწის გაყიდვა. ტყეები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, სახელმწიფოს დაევალა მათი მოვლა-პატრონობა.

განხორციელებული რეფორმა, მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა (ყოფილ მეპატრონეებს არ მიულიათ კომპენსაცია), საქართველოს გლეხობისათვის დიდი მონაპოვარი იყო სამიწათმოქმედო ფონდის გაფართოების მიზნით.

მთავრობამ დაისახა აგრეთვე განსახორციელებელ ამოცანად (მიზნად) შავიზღვისპირეთის ჭაობიანი ადგილების ამოშრობა, ასევე გაიჩეხა ტყეთა გარკვეული ნაწილი მიწათმოქმედებისათვის.

ხალხი აღფრთოვანებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობით, მიწის რეფორმით, რომლითაც მშრომელ ადამიანებს აუსრულდათ დიდი ხნის ნანატრი ოცნება.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება

საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. 1920 წელს კი ვ. ი. ლენინისა და ი.ბ. სტალინის თანხმობით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის თაობაზე დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობის უფლებამოსილებით **ლევ კარიხინმა,** ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მთავრობის უფლებამოსილებით **გრიგოლ ურატაძემ.**

საბჭოთა რუსეთმა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად იურიდიულად აღიარა 1920 წლის 7 მაისს, საზავო ხელშეკრულების დადების დროს.

ხელშეკრულება დაადასტურა რუსეთის სახალხო კომისართა თავმჯდომარემ **ვლადიმერ ულიანოვმა (ლენინი)** და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა **გეორგი ჩიჩერინმა.** მიუხედავად ამისა, 1921 წელს XI არმია, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ ქვეყანას. ამ თავდასხმაში მათ მხარს უჭერდნენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ი. ბ. სტალინი. ეს ფაქტი გახლდათ 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის თაობაზე დადებული საზავო ხელშეკრულების უხეში დარღვევა რუსეთის მხრიდან.

თუმცა, ისტორიამ იცის სხვა ფაქტებიც...

ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი დაიდო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეების: **ერეკლე მეორისა** და **სოლომონ პირველის** თხოვნით, რომელიც სათანადო ყურადღებით მიიღო რუსეთის მთავრობამ და შეამზადა რუსეთ-საქართველოს მეგობრული ხელშეკრულების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

1783 წლის 24 ივლისს **გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში** დაიდო რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს: რუსეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილ-

მა პირმა **პავლე პოტიომკინმა** და საქართველოს მხრიდან, ერეკლე მეფის ნდობით აღჭურვილმა პირებმა: **იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.**

ხელის მოწერის დღიდანვე, ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდეგ გარემოებას: ქართლ-კახეთი და მისი მეფე შედიოდნენ რუსეთის მფარველობაში, მაგრამ ისე რომ, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში.

სამწუხაროდ, არათუ შესრულდა ეს ხელშეკრულება, არამედ მოხდა უფრო მეტიც...

1801 წელს გამოიცა **მანიფესტი,** რომლის თანახმადაც მოხდა საქართველოს თვითნებური შეერთება რუსეთთან. ამით უხეშად დაირღვა 1783 წლის ხელშეკრულება, გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებები, ფაქტიურად მოხდა საქართველოს ანექსია.

ამ ხელშეკრულების დადება გახლდათ შეცდომა, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

საქართველოში რუსეთის მთავრობამ ჩააყენა საეგზეკუციო რუსი სალდათები, სინამდვილეში ველური მოძალადეები, რომლებიც იჩენდნენ ყოველგვარ უზნეობას ხალხის, განსაკუთრებით ქალების მიმართ.

ყოველივე ამან გამოიწვია საქართველოს მთიანეთის აჯანყება. **აჯანყების მიზეზი გახლდათ შემდეგი:**

- შექმნილი კოლონიური რეჟიმი—მთავრობის მიერ დაწესებული აუტანელი ბეგარა და გადასახადები.

- ის სასტიკი მეთოდები, რომელსაც მთავრობის ოფიცერ—სალდათები მიმართავდნენ გლეხობისაგან ბეგარის ამოღების დროს.

აჯანყებულთა განცხადებაში აღნიშნული იყო ის პირობები, რომელმაც ისინი მიიყვანა ამ ზომამდე:

- ადამიანისათვის მოუთმენელ სიცივეში, სტეფანწმინდიდან ანანურამდე, საშინელ ამინდში, თოვლი გვახვეტინეს და გზა გავწმინდეთ.

● ჩვენს მიერ გაწმენდილ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს. დაფენილ ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა. მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს.

● მოვიდა თოვლი და ისევ ამოიეს გზა. ისეთ დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა, სიკვდილს არ მოგვარიდეს.
წამოვიდა ზვავი და გადავრჩით, არ ჩაგვიტანა, მაგრამ ტიმოთემ ისევ ხმლის ცემით მიგვიყვანა, ისევ წამოვიდა ზვავი, ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და ჩვენი სამი კაცი იქვე გაიჭყლიტა.

● ამოვიდა 80 ქვეითი და 12 ცხენოსანი სალდათი, ამათ ყოველდღიურად საკვებად სჭირდებოდათ 10 საკლავი, ქათამს, ყველს, ერბოს კი ვინ მოსთვლის.

● ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და ქირაც არ მოუციათ, ესეც მოვითმინეთ.

● ორი დედაკაცი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ.

აი, ასეთი ამაზრზენი ფაქტები იყო მოყვანილი განცხადებაში და რა გასაკვირია, ქართველ კაცს იარაღი აეღო ხელში და აღმდგარიყო იმ დამსჯელის წინააღმდეგ, რომელსაც ადამიანური გრძნობის არაფერი გააჩნდა. არც ხვეწნა-მუდარა გადიოდა მათთან და არც არაფერი. ისინი სხვისი უბედურებით ტკბებოდნენ. ბევრი უბედურებაგამოვლილი გახლავთ ჩვენი წინაპარი, ვინ არ გვესხმოდა თავს, მშრომელ კაცს ცალ ხელში გუთანი ეკავა, ხოლო მეორე ხელში იარაღი, მაგრამ ქართველი ქალის უღელში შებმის ფაქტი არავის უკადრებია.
რუსის ტირანიის ერთგული მარკიზი პულიჩი იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში კახეთის ამბოხების ხელმძღვანელად ალექსან-

დრე ბატონიშვილს ასახელებდა. მისი აზრით ალექსანდრე რომ არ ყოფილიყო, ტანჯული ხალხი ხმას არ ამოიღებდაო.

როგორც ცნობილია, აჯანყება მაშინ ღვივდება და მისი ხელმძღვანელიც მაშინ პოულობს მომხრეებს, როცა ხალხის წამება უმაღლეს ზღვარს მიაღწევს, აჯანყებაში გადამწყვეტი მაინც ხალხია, ამიტომაც თუ ალექსანდრე არ იქნებოდა, მაშინ სხვა გამოჩნდებოდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ასეთმა უსამართლობამ და შეურაცხყოფამ ქართველ ერს მოთმინება დააკარგვინა.

სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი მზად იყო ასაფეთქებლად და აფეთქდა კიდეც...

აჯანყების ცეცხლი პირველად მთიანეთში და ახმეტაში ავარდა.

დავით ბატონიშვილის გადმოცემით: „თიანეთის მთვრალთა ოფიცერთა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შინა შეასხეს ძაბრითა ღვინო. აგრეთვე დაკოდეს რამოდენიმე თიანელი". ამ დროს თიანელი გლეხკაცები ეკლესიის გალავანში იყვნენ შეკრებილნი, და თათბირობდნენ, როგორ მოეშორებინათ საეგზეკუციოდ მოსული სალდათები. „ბჭობა-თათბირში რომ იყვნენ გართული თიანელები უცბად მოთათბირეთა წრე გაარღვია სახე და გონებაამღვრეულმა დედაკაცმა და შიგ შუა წრეში „დაერჭო". გახელებული მანდილოსანი მივარდა ქმარს, მოგლიჯა ქუდი, დაახურა თავისი მანდილი და დაიკივლა: „დღეიდან შენ ცოლი და მე ქმარი". ნამუსი ამხადეს, მივდივარ, მსურს შური ვიძიო შენს მაგიერო." ეს სიტყვები რომ დაამთავრა, წაჰგლიჯა ქმარს ხანჯალი და გაშმაგებული ქალი ხანჯალამოწვდილი გაემართა იმ სახლისაკენ, სადაც ბინადრობდა საეგზეკუციო კამანდა, გაალმასებულმა მანდილოსანმა თავისი გაიტანა.

თიანელები გადაირივნენ, აენთნენ და უკან გამოეკიდნენ გახელებულ დედაკაცს. სულ მალე ისინი „კამანდის" ბინას გარს შემოერტყნენ, ოფიცერი აკუწეს და სალდათები დაჩეხეს. ორიოდე სალდათმა, გაქცევით უშველა თავს.

იგივე დღე დააყენეს ახმეტელებმა, 1812 წლის 31 იანვარს, მათთან მოსულ საეგზეკუციო კამანდას. ამჯერად მდგომარეობა თანდათან უფრო გამწვავდა. აჯანყების ალი სწრაფად მოედო: თიანელებს, ახმეტელებს, მატაანელებსა და მარელისელებს.

აჯანყებულებს გზადაგზა უერთდებოდა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა. მალე ისინი თელავს მიადგნენ, აიკლეს ოფიცრების, სალდათებისა და სხვა მოხელეთა სადგომები.

საგარეჯოდან და სხვა მხრიდან მათ დასახმარებლად მოსული ჯარის ნაწილები აჯანყებულებმა გაანადგურეს. მართალია, აჯანყება თავიდან თიანეთელებმა დაიწყეს, მაგრამ აქტიურობით ქიზიყელებმა გადააჭარბეს. მთელი ალაზნისპირეთი და ივრისპირეთი ცეცხლის ალში გაეხვია. ქიზიყელებმა აიღეს ქალაქი სიღნაღი და საშინელი სისასტიკითა და შურისძიებით გაუსწორდნენ მეციხოვნეთა რაზმებს. მათ გაანადგურეს სოფელ ბოდბისხევში მდგომი მთელი ბატალიონი.

აჯანყებულებმა 1812 წლის თებერვლისათვის თითქმის მთელი შიდა და გარე კახეთი გაწმინდეს რუსებისაგან.

კახელებმა რუსეთში გადასახლებას გადარჩენილი მეფე გიორგის ძის—იოანეს შვილი **გრიგოლი** გადაიყვანეს ქართლიდან და მეფედ გამოაცხადეს. ამ აქტით მათ სრული პროტესტი გამოუცხადეს რუსეთის მთავრობას.

ცნობილია, რომ საქართველო პარტიზანულ მოძრაობათა და აჯანყებათა კლასიკური ქვეყანაა.

ჩვენ ნანილობრივ გადავუხვიეთ ძირითად თემას—1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების შესახებ საუბარს. გვინდოდა, თუნდაც ერთი ფაქტით ქართველი ხალხის რუს კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლა გაგვეხადა ნათელი. ამიტომ ახლა გთავაზობთ ვრცლად ჩემს მიერ თბილისის სახელმწიფო არქივსა და სხვა წყაროებიდან ამოკრებილ მასალებს. ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა მათ.

* * *

ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში **„ჩემი წარსული“**, რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში და საქართველოში გამოქვეყნდა. 1990 წელს, სხვათა შორის წერს: „საქართველო იყო დამოუკიდებელი, მისი შინაგანი მტერის არ გვეშინოდა, ხალხი ჩვენთან იყო და ნაძირალებს ადვილად ვუმკლავდებოდით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სანამდე უნდა გაგრძელებულიყო... ევროპიდან არაფერი

სანუგეშო მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი. ცხადი იყო, რუსეთს, წაქცეულ რუსეთსაც, კი დიდ ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხისადმი მიდგომა სხვანაირად, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოვიდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთთან დაწყების აუცილებლობა.

ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის აეროპაგის წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის. გადავწყვიტე, ჯერ ჩემს გულში, მოსკოვში კაცის გაგზავნა. დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი. ვიფიქრე და გავჩერდი გ. ურატაძეზე. ის იყო სტოკჰოლმის და ლონდონის კონგრესებზე და იცნობდა ყველას. დავუძახე გრიშას და მოველაპარაკე. მან მაშინვე თანხმობა განაცხადა, თუმცა „გზა იყო ეკლიანი", უნდა გაევლო მრავალნაირი საომარი ფრონტები. მისი თანხმობის შემდეგ, წავედი საგარეო სამინისტროში, ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გავუზიარე ჩემი აზრი. მან მითხრა—აგერ ერთი თვეა ერთი ქართველი კომუნისტი მეხვეწება გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ დავითანხმო ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. დამისახელა გვარიც (აღარ მახსოვს), იგი იყო იმავე დროს კომპარტიის ცეკას კომიტეტის წევრი რუსეთში. გრიშაზე დამთანხმდა და ორ კვირაში გავისტუმრეთ რუსეთისაკენ შავი ზღვით. ამ მისიის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლოება. ე. ი. საქართველოს კომუნისტებს არ გაეგოთ არავითარ შემთხვევაში, თვარა უეჭველად ჩაშლიდნენ.

მთელი ეს ამბავი—გრიშას გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არავის გაუგია. მე ახლაც მიკვირს, რატომ მოსკოვი არ შეეკითხა თავის ხალხს ტფილისში. ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკოვს **ორი** დებულება—დამოუკიდებლობა და საზღვრები. ყველა დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორე ხარისხოვანი, რაიცა იქნებოდა საგანი მოლაპარაკების. ასეთი ინსტრუქცია მივეცი გრ. ურატაძეს, ის წავიდა მარტო".

ე.ი. როგორც ნოე ჟორდანია წერს, ის შეჩერდა გრიგოლ ურატაძის კანდიდატურაზე, რომელიც პირადად იცნობდა ლენინს და ამიტომ საიდუმლოდ გაგზავნა იგი მოსკოვში. დავით საღირაშვილი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სამი კაცი: **გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი** და **მირსკი-კობახიძე**, თუმცა გრ. ურატაძე თავის მოგონებაში ამაზე არაფერს არ ამბობს.

გრიგოლ ურატაძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი პირი, რომელსაც არაერთი საპასუხისმგებლო დავალება შეუსრულებია საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-1921 წლებში; შემდეგ კი მოღვაწეობდა პარიზში, სადაც ის გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზის ახლომდებარე, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

აი, რას მოგვითხრობს გრ. ურატაძე 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ: „ორი წელიწადი უსრულდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს და იგი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დე იურეთი.

იმ დროს ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა დამოკიდებელი იყო პარიზში არსებულ უმაღლეს საბჭოზე, რომელშიაც შედიოდნენ აღიარებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები—ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით. ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს რესპუბლიკას საერთაშორისო ცნობა მიეღო, რაც შეიძლება დაჩქარებით.

უმაღლესმა საბჭომ ყველა იმ ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა, რომლებიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა—დაუკავშირა ე.წ. „რუსეთის საკითხს". რუსეთის საკითხის გადაჭრა კი გადაიდო სულ ბოლოსათვის. საერთაშორისო ცნობის დაგვიანება დიდ საფრთხეს უმზადებდა ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას. საკითხის დასაჩქარებლად ჩვენს მთავრობას აზრად მოუვიდა ეცადა ცნობის მიღება თვით საბჭოთა რუსეთიდან და თუ ამას შესძლებდა—დარწმუნებული იყო, ამ ცნობას გავლენა ექნებოდა პარიზის უმაღლეს საბჭოებზედაც—საქართველოს ცნობის საკითხში.

ცდა ბედის ნახევარიაო იტყვიან, ამიტომ მთავრობის თავმჯდომარემ—ნოე ჟორდანიამ დამავალა მე, მომეხერხებინა როგორმე მოსკოვში მისვლა და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება.

ჩემი წასვლა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ. რომ არ გაეგოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რადგან ესენი მტრულად იყვნენ განწყობილნი თავისი საკუთარი ქვეყნისადმი, და შეეძლოთ ხელი შეეშალათ ჩვენი ცნობისათვის. არც იმ ძალებს უნდა გაეგოთ, რომლებიც სამოქალაქო ომში იყვნენ ბოლშევიკებთან, რადგან მე მათ ტერიტორიაზე მიხდებოდა გავლა.

მოგზაურობა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ხიდები ბევრ ადგილას ჩალეწილი იყო, ხშირად რკინიგზის რელსები აყრილი, სადგურები გადამწვარ-მინგრეული. ნოვოროსიიდან როსტოვამდე ვიმგზავრე ორთქმავლით. ორთქმავალს მივყავდით დანგრეულ ხიდამდე. იქ ხიდის ნანგრევებზე ფეხით გადავდიოდით და იქიდან მივყვებოდით მეორე ორთქმავალს შემდეგ მდინარემდე. იქ კიდევ იგივე პროცედურა მეორდებოდა. ერთ ადგილას ორთქმავალს ნახშირი არ ეყო და ტყის ახლოს გაჩერდა. ჩვენ დავაგროვეთ შეშა, შევუკეთეთ ცეცხლი და გავწიეთ. სადგურები გზაში სავსე იყო ხალხით.

დიდი დავიდარაბით ჩავედი როსტოვში. იქ მოთავსებული იყო ჩრდილო კავკასიის „სამხედრო სარევოლუციო საბჭო“, რომელსაც თავმჯდომარეობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო. ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გაძევებული იყვნენ საქართველოდან ექსპროპრიაციის ან მოღალატეობის ჩადენისათვის, საქართველოს „მენშევიკურ რესპუბლიკას“ უწოდებდნენ.

როსტოვ-ჩრდილო კავკასიის რაიონში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. იქ მოქმედი ჯარი ემორჩილებოდა იმ სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, რომლის თავმჯდომარეც ორჯონიკიძე გახლდათ. მის ხელში იყო, აგრეთვე, ყოველგვარ ცნობათა გადამცემი აპარატი, ფოსტა, პირდაპირი მავთული და სხვა.

ორჯონიკიძე მეტად მტრულად შეხვდა ჩემს მისიას. მარწმუნებდა, რომ მოსკოვი არა გზით არ დათანხმდებოდა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე, რადგან ამის წინააღმდეგი იქნებოდა სტალინი, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა კომისარი იყო. მეც მასთან ვარ ამ საკითხში, ამიტომ შენი მოსკოვში წასვლა

უმიზნოა, სჯობია დაბრუნდე საქართველოში და ამაში კი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევო—მეუბნებოდა იგი.

ორჯონიკიძე ჩემი ძველი ნაცნობი იყო, ამიტომ გარეგნულად მეტად თავაზიანად მექცეოდა, მარა როგორც კი მოსკოვში წასვლაზე ჩამოვაგდებდი ლაპარაკს—უარს მეუბნებოდა. ერთადერთი სამსახური, რომელიც მან გამიწია იყო ის, რომ მომცა ოფიციალური ნებართვა წავსულიყავი სადგურში, როცა მინდოდა. ორი კვირა დავდიოდი სადგურზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ერთი სამგზავრო მატარებელიც არ დაძრულა მოსკოვისაკენ. იყო რამდენიმე ე.წ. „დელეგატის ვაგონი", მარა ვაგონის ყველა კომენდატი ითხოვდა საგანგებო ნებართვას, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე არ იძლეოდა. მე მაინც განვაგრძობდი სადგურზე გასვლას იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც წავაწყდებოდი მატარებელს.

ერთ საღამოს სადგურზე მოვიდა არანორმალური გრძელი მატარებელი საქონლის ვაგონებისაგან შემდგარი. ვაგონზე წითელი ასოებით იყო წარწერილი **„ამხანაგ ლენინს—პერეკოპის მუშებისაგან"**. პერეკოპზე იმ ხანებში ბრძოლა იყო ვრანგელის ჯართან, რომელიც დაამარცხეს წითელმა ჯარებმა. წითელი ჯარის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ცნობილი ბოლშევიკი **სოკოლნიკოვი**. როგორც გამოირკვა, იგი ახლა მიდიოდა მოსკოვში და თან მიჰქონდა პურის ფქვილი და სხვა სანოვაგით დატვირთული ნადავლი „საჩუქრად ლენინს", ვითომდა იქაური მუშებისაგან. ნამდვილად კი იყო ომის ნადავლი ვრანგელის დამარცხების შემდეგ.

სადგურში ვიყავი, როცა ეს მატარებელი მოვიდა. გავიგე, რომ მატარებელი პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და იყო „ამხანაგ სოკოლნიკოვის" განკარგულებაში. მოვახერხე მისი ნახვა. მან ჯერ მიმილო, როგორც ამხანაგი, მაგრამ როცა გაიგო ჩემი მისია და გაეცნო ჩემს მანდატს, რომელიც როგორც მეფის რეჟიმის დროს, ისე ახლაც შარვლის სათავეში მქონდა ჩამალული, მეგობრული კილოთი მითხრა: „რადგან თქვენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ხართ, მე არ შემიძლია შეგთავაზოთ ადგილი ჩემს ვაგონში" და გასცა განკარგულება ჩამოებათ მისი მატარებლისათვის სპეციალური ვაგონი ჩვენი მისიისათვის. მე მეტად გახარებული ვიყავი იმით, რომ საშუალება ვიპოვე მოსკოვში წასასვლელად. ჩემდა იღბლად ორჯონიკიძე ამ დროს ჩრდილო კავკასიაში იყო წასული და

ხელის შეშლა არ შეეძლო; ალბათ, ძალიან ინანა, რომ აღარ დავხვდი, მაგრამ რაღას გააწყობდა!

ამ მატარებლით ჩავედი მოსკოვში. პირველ ყოვლისა ვინახულე ლენინი. ჩემი მისია გავაცანი. „ქართველი მენშევიკები—მიპასუხა მან—სულ სხვა ხალხი ხართ, თქვენთან მუშაობა შეიძლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ჯარების მიერ საომარ ბაზად ჩვენს წინააღმდეგ". მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ პირადი მდივნის პირით აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს—ჩიჩერინს—დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეიძლება დაჩქარებით დაესრულებია. მისგან ასე ადვილად დათანხმება მოლაპარაკებაზე შეიძლება აიხსნას ერთი მხრით იმით, რომ ბაქო თავისი ნავთით უკვე მის ხელში იყო და აღარ სურდა გაერთულებია მდგომარეობა კავკასიაში, მით უმეტეს, რომ კარზე ადგა ომი პოლონეთთან.

მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი. ვამბობ ღამით, რადგან კრემლის კომისარიატში თითქმის ყველანი მუშაობდნენ ღამით. ჩიჩერინმა თავის მოადგილე—კარახანი დანიშნა თავის წარმომადგენელად და დავიწყეთ მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ—როგორც შემდეგ ერთმა გლეხმა მითხრა ციხეში, „რატომ დაგიწყებდნენ დავას, თურმე მთელი საქართველოს ერთად წაღებას ფიქრობდნენო".

ზავის შეკვრის დროს ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარებით და ყველაფერს შვრებოდა, რომ მოსკოვი საქართველოს დაპყრობის ფაქტის წინაშე დაეყენებინა. მე მალე დავრწმუნდი, რომ ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა. იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი. ეს ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა, როცა გავიგე, რომ წითელი ჯარები იბრძოდნენ საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანის მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განვუცხადე, რომ თუ არ მიიღებდა საჭირო ზომებს, იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპარაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყოვნებლივ გადაეცა ორჯონიკიძისათვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეტაკება მოუხდებოდა, პასუხისმგებელი პირადად ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი მავთუ-

ლით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა „არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილებიო“.

შვიდ მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებაზე. ბოლშევიკების გულწრფელობა არ გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც მოკლე ხანში—ამის დაჯერება კი ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოვალეობად გაიხადა, რომ ის არასგზით არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და აღვივებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას. ქართველი ხალხის მიერ გაძევებული ქართველი კომუნისტებიც, ყოველი მხრიდან, უსისინებდნენ და აქეზებდნენ მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ და კიდევაც მოიყვანეს წითელი ჯარები, დაიპყრეს მათი საშუალებით ქვეყანა და გაბატონდნენ. ამრიგად, ისინი აღმოჩნდნენ საუკეთესო გამტარებელნი მოსკოვის „წითელი იმპერიალიზმისა“.

(გრიგოლ ურატაძის საუბარი ჩაწერილია რადიო „თავისუფლების“ სტუდიაში 1955 წლის 7 მაისს).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟორდანია წერდა, რომ მოსკოვში მოსალაპარაკებლად გრ. ურატაძე გავგზავნეო და ამასვე ადასტურებს თვით ურატაძეც, რომ იგი მარტო იყო მოსკოვში მივლინებული ზავის დასადებად.

დავით საღირაშვილი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომელიც სახალხო გვარდიის შტაბის წევრი იყო, თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სულ სამი კაცი—გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი და მირსაიკობახიძე (დავით საღირაშვილი დაიბადა 1887 წელს თბილისში. გარდაიცვალა 1962 წელს ვაშინგტონში. დასაფლავებულია ლევილში, ქართულ სასაფლაოზე).

დ. საღირაშვილი მოგვითხრობს: „...ერთ დილას გაგრაში გამაცვნეს ორი პირი, რომლებიც მოვიდნენ თბილისიდან. ერთს მე კარგად ვიცნობდი. ეს იყო **გრ. ურატაძე,** სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო მეორე მე ვნახე პირველად... უცნობი აღმოჩნდა ბოლშევიკი **მირსკი,** წარმოშობით ქართველი **კობახიძე,** პროფესიით ექიმი... ი. სტალინის დავალებით გამოგზავნილი იყო საქართველოში დამანგრეველი მუშაობისათვის.

მოიტანა 8 ათასი ოქროს მანეთი და შექმნა მთელი ქსელი „ტროიკებისა“, მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული. მოხვდა რა ციხეში, მირსკი-კობახიძე დარწმუნდა, რომ ამგვარი სახის „მუშაობა“ განწირული იყო და რომ ქართველ ხალხს აბსოლუტურად არ სურდა ბოლშევიკური იდეების მიღება. როცა ის მივიდა ამგვარ რწმენამდე, მან გადაწყვიტა მიეწერა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის—ევგენი გეგეჭკორისათვის—გაენთავისუფლებია ის პატიმრობიდან, იმ შეპირებით, რომ ხელს შეუწყობდა მოსკოვში კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას საბჭოთა მთავრობასთან.

ევგენი გეგეჭკორი ნოე ჟორდანიას არწმუნებდა, რომ მირსკი-კობახიძე დარჩებოდა მისი „პატიოსანი სიტყვის“ ერთგული და მიიღებდა ყოველ ზომას, რომ ბოლშევიკებს თავი დაენებებიათ საქართველოსათვის, გადაწყვეტილი იქნა მირსკი-კობახიძესა და გრიშა ურატაძესთან ერთად წავსულიყავით მოსკოვში—დავალებით, გაგვეგო განწყობილება მოსკოვის მმართველ სფეროებში საქართველოს მიმართ“.

„დონის როსტოვში მისვლისას,—წერს დ. საღირაშვილი—ჩვენ შევხვდით სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის სასტიკ მტერს. მართალია ჩვენ შეგვხვდა ფორმალურად მეგობრულად, მაგრამ გადაწყვეტილად განაცხადა, რომ ჩვენ არ უნდა წავსულიყავით მოსკოვში, რომ მას ყველაფრის გაფორმება შეუძლია დონის როსტოვში. მისი დემაგოგიურობის საზარლობა მეტად ძნელი წარმოსადგენია. ჩვენს კამათში ჩაერია მირსკი-კობახიძეც, რომელიც უმტკიცებდა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ჩვენ ვართ უფლებამოსილი საქართველოს მთავრობის მიერ—პირადად ლენინს მოვახსენოთ საქართველოს მთავრობის სურვილი, ლენინს, რომელიც კარგად იცნობდა ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დროს უცხოეთში, მაგრამ სერგო ორჯონიკიძეზე არავითარი დასაბუთება არ მოქმედებდა“.

„მირსკი-კობახიძემ მოითხოვა, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, პირდაპირ ტელეფონის ხაზი ლენინთან და სტალინთან, ვინაიდან ის მივლინებაში იქნა გაგზავნილი საქართველოში მათ მიერ, მაგრამ ს. ორჯონიკიძე ამაზეც არ დათანხმდა და ამით დაამთავრა ეს მეტად მწვავე კამათი. მე ვისარგებლე ორჯონიკიძის წასვლით და ვთხოვე სმილგს, რომელიც მოწმე იყო ოთხი ქართველის დავისა, ელაპარაკა ჩემთან მარტო... ჩვენ გავედით მეორე ოთახში და ვკითხე, არ უკვირს მას ს. ორჯონიკიძის მოქმედება? მან თქვა, რომ ორჯონიკიძეს არ აქვს უფლება დაგაკავოთ თქვენ გზაზე, რომ ის შეეცდება დაითანხმოს ორჯონიკიძე, უკიდურეს

შემთხვევაში მისცეს შესაძლებლობა მირსკის, დაელაპარაკოს ლენინს. მართლაც სამი საათის შემდეგ მირსკიმ მიიღო შესაძლებლობა დალაპარაკებოდა ლენინს პირდაპირი ხაზით. ლენინისაგან მიიღო ბრძანება ორჯონიკიძემ, რომ მას დაუყოვნებლივ გაეშვა საქართველოს დელეგაცია. ამის შემდეგ ორჯონიკიძე გახდა სრულიად სხვაგვარი, ტკბილი და თავის დიდებულ სალონ-ვაგონშიც მიგვიწვია...

აი, ვზივართ სალონ-ვაგონში ოთხი ქართველი—ორი ბოლშევიკი: ორჯონიკიძე-კობახიძე და ორი სოციალ-დემოკრატი—ურატაძე და მე, და ვიხილავთ რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან, რომლის დროს ნათელი გახდა ორი სხვადასხვა ორიენტაცია... და ბოლოს ჩავედით მოსკოვში... მირსკი-კობახიძემ მოგვათავსა თავის ბინაში".

დ. საღირაშვილი 1920 წლის მაისში წერდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ სანამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან წარვსდგებოდეთ, აუცილებელია ეროვნებათა კომისარ—სტალინთან შეხვედრა... შევხვდით სამი ქართველი **სტალინს** თავის კაბინეტში; იქვე იჯდა **კამენევიც**, რომელიც მოსული იყო, როგორც ჩანს, პარტიული საქმეებისათვის. სტალინმა, როგორც კი მოახსენეს მას, მიგვიღო დაუყოვნებლივ. ის მომზადებული იყო ჩვენი მიღებისათვის იმავე მირსკი-კობახიძის მიერ, რომელმაც მისცა მას ვრცელი მოხსენება ნამდვილი მდგომარეობის აღწერით საქართველოში, დასკვნით, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ. ეს მოხსენება-წერილი წარედგინა ლენინს, ხოლო ასლი სტალინს... ჩვენ მოკლედ შევნიშნეთ—ქართველ ხალხს არ შეუძლია წავიდეს საბჭოთა-მთავრობის მიერ არჩეული გზით, ის მიდის თავისი გზით, მაგრამ ჩვენ არ ვართ მტრები და არ გვსურს ხელი შევუშალოთ იმას, რაც ხდება რუსეთში. ჩვენ გვსურს ასეთივე პოზიცია რუსეთისაგანაც; ამის დამამტკიცებელი საბუთი კი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა".

„სტალინი ჩვენ გვისმენდა ყურადღებით—სწერს დავით საღირაშვილი—დასასრულ თქვა: „მე შემეძლება მოგცეთ პოზიციური პასუხი თუ ხელშეკრულებაში იქნება ჩართული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს თავის თავზე არ დაუშვას, რომელიც არ უნდა იყოს მტრული ძალები თავის ტერიტორიაზე". ჩვენ ამაზე მივეცით დადებითი პასუხი. მაშინ სტალინმა მიმართა იქვე მჯდომ **კამენევს** და ღიმილით შეეკითხა: „აბა, ამხანაგო კამენევო, რა უნდა გვქონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის წინააღმდეგ?—კამენევი, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა, სჩანს, გაკვირვებული იყო ჩვენი საუბრით და მხოლოდ ახლა ამოიღო ენა: „რა

თქმა უნდა, ამხანაგო სტალინ, რა უნდა გვქონდეს ჩვენ ცნობის წინააღმდეგ, დაე, იცხოვრონ და იმუშაონ, როგორც მათ ეჩვენებათ უკეთესად; მხოლოდ, აი ეს ნოე რამიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე მკაცრად ნუ მოქმედებს ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგო."

„მიღება სტალინთან დამთავრდა—წერს დ. საღირაშვილი—ჩვენ კმაყოფილი ვიყავით სტალინის დასკვნით, რომელიც სამი დღის შემდეგ თვითონ მან გადასცა პირადად ლენინს. ლენინი გაეცნო რა საქმეს, სტალინის დასკვნაზე მიაწერა; „თანახმა ვარ" და იმავე საათში გადასცა ჩიჩერინს, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა გამოემუშავებია შესაბამისი ხელშეკრულება. ლენინი შეგვპირდა, რომ ის მიგვიღებს ჩვენ, როცა დამთავრდება ამ ხელშეკრულების ფორმალური მხარე.

მეტი რა გვინდოდა? წარმატება იყო თვალსაჩინო. მირსაიკობახიძე იყო აღფრთოვანებული... ჩიჩერინმა, ლენინისა და სტალინის თანხმობით, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება მოიწონა. 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობის უფლებამოსილებით—**კარახანმა**, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებით **გრიგოლ ურატაძემ**".

ორი დღის შემდეგ ლენინმა მიიღო საქართველოს დელეგატები, შეხვედრა გაგრძელდა 15 წუთს. მან ისურვა, რომ ეს ხელშეკრულება არ დარჩენილიყო მხოლოდ ქაღალდზე და ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ ყოფილიყო ხორცშესხმული. „აბა—თქვა ლენინმა—ააშენეთ თქვენთან თქვენებურად დემოკრატიული წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, ხოლო ჩვენ შევქმნით მას რევოლუციურად"—დასძინა მან ხუმრობით.

აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

- „უფლებამოსილებისა და ხელშეკრულების დადების ოქმს"
- თვით ხელშეკრულებას, რომელიც შედგება 16 მუხლისაგან
- ორმუხლიან „სპეციალურ საიდუმლო დანართს" და
- სამმუხლიან „თანდართულ დამატებით შეთანხმებას".

რუსეთის ფედერაციული სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სახალხო კომისართა საბჭო, მოსკოვი, კრემლი, 7 მაისი, 1920 წ. №6/710

უფლებამოსილება

იმის გამო, რომ რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, რუსეთის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადებისათვის მოლაპარაკების სანარმოებლად უფლებამოსილებით აღჭურვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **ლევ მიხეილის ძე კარახანი,** მიანიჭა რა მას უფლება,—ხელი მოაწეროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ პირებთან ერთად მოლაპარაკების გზით მიღწეულ ხელშეკრულებას, რომელიც აღნიშნული ხელმოწერის ძალით სავალდებულო იქნება რუსეთისათვის რაიმე განსაკუთრებული რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ უფლებამოსილებას და ბრძანა მისი დამტკიცება შესაბამისი ბეჭდის დასმით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ულიანოვი (ლენინი)
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გეორგ ჩიჩერინი.

ოქმი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა **გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ** და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ **ლევ მიხეილის ძე კარახანმა,** ჩვენ ჩვენი მთავრობების მიერ გაცემულ უფლებამოსილებათა ურთიერთისათვის წარდგენის საფუძველზე, დღეის რიცხვით, მოვაწერეთ რა ხელი საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულებას, რომელიც შემუშავებული იქნა შესაბამისი მთავრობების უფლებამოსილებათა საფუძველზე, ჩვენს შორის მიმ-

დინარე წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე წარმოებული მოლაპარაკების შედეგად,—თვითეულმა მივიღეთ აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ჩვენი მთავრობისათვის გადასაცემად. ამასთან, ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე მხარე შევთანხმდით, რომ დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულება ორივე ხელმომწერი მხარის მიერ დაუყოვნებლივ იქნება საჯაროდ გამოტანილი სრული შინაარსით გარდა მე-5 მუხლის მე-10 ქვემუხლისა, რომელიც გამოქვეყნებული იქნება დღეიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერებმა შევადგინეთ ეს ოქმი და განვამტკიცეთ იგი ჩვენ-ჩვენი ბეჭდების დასმით.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე, ლ. კარახინი

ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრივ და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორეს მხრივ, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით,—დაემყარებიათ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი თანაცხოვრება, ორივე ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ,—გადაწყვიტეს ამისათვის დასდონ სპეციალური ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ უფლებამოსილ პირებად:

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ—საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი **გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე** და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკამ—საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **ლევ მიხეილის ძე კარახანი.** აღნიშნული უფლებამოსილი პირები, გაეცნენ რა ერთმანეთის უფლებამოსილებებს, რომლებიც აძლევს აღნიშნულ პირებს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებას,—**შეთანხმდნენ ჩამოთვლილ მუხლებზე:**

მუხლი I

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან,—რესეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე,—როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

მუხლი II

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას, უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

მუხლი III

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე, ახახჩასა და არაპეტის მთებს შუა გავლით შავი ზღვის, ქუთაისის და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე, ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა გადასასვლელი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე მიჩნეულია ნეიტრალურად. ისინი არ შეიძლება დაკავებულ ან გამაგრებული იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი რომელიმე მხარის ჯარების მიერ.

3. ამ მუხლის მეორე ქვემუხლში აღნიშნული ნეიტრალიტეტი დარიალის გადასასვლელზე გავრცელდება გადასასვლელის გასწვრივ ბალტიიდან კოპის გადასასვლელამდე. მამისონის გადასასვლელ-

ზე—ზარამაღიდან ონამდე, ხოლო ყველა სხვა გადასასვლელ-ზე—საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით ორივე მხარეს.

4. ამ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის ზუსტ გატარებას მოახდენს სპეციალური შერეული კომისია, რომელშიც შევა წევრთა თანაბარი ოდენობა ორივე მხრიდან.

ამ კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცებულ იქნება სპეციალური ხელშეკრულებით ორივე ხელმომწერი მხარის მიერ.

მუხლი IV

1. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის I ქვემუხლით გათვალისწინებული შავი ზღვისპირა გუბერნიის ნაწილებისა, საქართველოს სახელმწიფოში შემავალად სცნოს უსიტყვოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები და ოლქები: ტფილისის, ქუთაისისა და ბათუმის,—ყველა მაზრებითა და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს.

2. შემდგომში, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებრივ ფორმირებებს შორის, გარდა რუსეთისა, ურთიერთობათა გარკვევის კვალობაზე, რომელთაც აქვთ ან შესაძლოა ექნეთ საქართველოსთან საზღვარი, განსხვავებული იმისაგან, რაც აღწერილია ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში, რუსეთი გამოთქვამს მზადყოფნას, სცნოს, როგორც საქართველოში შემავალი, კავკასიის ყოფილი სამეფისნაცვალოს ესა თუ ის ნაწილი, რომლებიც გადავა მის შემადგენლობაში ამ ფორმირებებთან ერთად დადებული ხელშეკრულებებით.

მუხლი V

1. სცნობს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნებს—ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნას დაშვებული არავითარი სამხედრო ოპერაციები, სამხედრო ძალების ყოფნა ან სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შექმნიდა საშიშ-

როებას მისი დამოუკიდებლობისათვის ან საქართველოს ტერიტორიის ისეთი ოპერაციების ბაზად გადაქცევისათვის, რომლებიც მიმართული იქნებოდა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა ან მასთან კავშირში მყოფი სახელმწიფოების ან მასში დაფუძნებული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ,—საქართველო თავის თავზე იღებს ვალდებულებას:

1. დაუყოვნებლივ განაიარაღოს და საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება უყოს ამ შეთანხმების ხელმონერის მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ან მის საზღვრებში მომავალში შეჭრილ, თუ ასეთს ექნება ადგილი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილების, გუნდებისა და ჯგუფებისა, რომელთაც ექნებათ პრეტენზია რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე ან რუსეთის მოკავშირე ქვეყნის მთავრობის როლზე და აგრეთვე წარმომადგენლობების და თანამდებობის პირების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების, რომლებიც, თავიანთ მიზნად აცხადებენ რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის დამხობას.

2. დაუყოვნებლივ განაიარაღოს და ინტერნირება უყოს საქართველოს ნავსადგურებში მყოფ ყველა გემს, რომლებიც შედიან ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული სამხედრო-საზღვაო ძალების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების შემადგენლობაში, ან ამა თუ იმ მიზეზით იმყოფებიან ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების განკარგულებაში და იმყოფებიან საქართველოს ნავსადგურებში. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ მთლიანად გამოიყენება ამ მუხლის პირველი ქვემუხლით გათვალისწინებული პირობები.

3. გადასცეს რუსეთს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ორგანიზაციების და ჯგუფების მფლობელობაში, გამოყენებასა ან განკარგულებაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ქონება, ფასეულობა და ფულადი სახსრები.

ხსენებული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონების ქვეშ იგულისხმება: გემები და სხვა მცურავი საშუალებები და ყველა საარტილერიო, საინტენდანტო (სასურსათო და ნივთიერის ჩათვლით) საგნები, საინჟინრო და საავიაციო მომარაგება.

4. გადასცეს რუსეთს განიარაღების შემდეგ, ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გე-

მების ეკიპაჟები. რუსეთი იღებს ვალდებულებას,—შეუნარჩუნოს სიცოცხლე ამ მუხლის ძალით მისთვის გადაცემულ ყველა პირს.

5. გაატაროს ღონისძიებები საქართველოს იმ ტერიტორიიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლითაა განსაზღვრული, ყველა სახის ჯარებისა და სამხედრო რაზმების გასაყვანად, რომლებიც არ შედიან საქართველოს სამთავრობო ჯარის შემადგენლობაში.

6. გაატარონ ღონისძიებები, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც ამ მუხლის წინა ქვემუხლშია ჩამოთვლილი.

7. აუკრძალოს საქართველოს ჯარის შემადგენლობაში ამა თუ იმ საბაბით, მათ შორის ნებაყოფლობით შესვლა პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ მუხლის პირველ და მე-5 ქვემუხლებში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებს და სამხედრო ნაწილებს, რამდენადაც ეს პირები თავიანთი ეროვნებით არ წარმოადგენენ ქართველებს.

8. არ დაუშვას მომავალში ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილ საზღვრებში ფორმირება და ყოფნა ნებისმიერი ორგანიზაციისა და ჯგუფისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთავრობის როლზე რუსეთის ან მისი ნაწილის მიმართ ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ ისევე, როგორც არ დაუშვას წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობათა დამხობა. საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას,—არ დაუშვას ხსენებული ორგანიზაციების, ჯგუფების წარმომადგენლობების და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გატარება ყოველივე ამისა, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას რუსეთზე ან მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასხმისათვის, ასევე წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთი ორგანიზაციების გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების ყოფნას მის ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში, გარდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული გემების უბედური შემთხვევებისა და სხვა მსგავსი შემთხვევებისა.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის წინა, მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილი ორგანიზაციების, ჯგუფების წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირების მიერ ადგილი ექნა ამ მუხლის აღნიშნულ

მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილ აკრძალვათა დარღვევის მცდელობებს, საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის მე-8 ქვემუხლით თავის თავზე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, დაკავებული პირების და ქონების მფლობელების მიმართ გატარებული იქნება ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებით.

10. ამ მუხლის მე-5 ქვემუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება დაწყებული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას იღებს დაასრულოს იგი უმოკლეს ვადაში, თუნდაც ამისათვის დასჭირდეს სამხედრო ძალის გამოყენება.

მუხლი VI

რუსეთი იღებს ვალდებულებას,—არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე, აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები.

მუხლი VII

შესაძლო გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ორივე ხელმომწერი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 ქვემუხლების შესრულებისას საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებზე, რომლებსაც გააჩნიათ მის შემადგენლობაში შესვლის უფლება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 ქვემუხლის საფუძველზე, მას შემდეგ რაც საქართველო დაადგენს საზღვრებს მომიჯნავე ქვეყნებთან, გარდა რუსეთისა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გამაფრთხილებელი ღონისძიებები საქართველოს მხრიდან დასრულებულ უნდა იქნას უმოკლეს ვადაში მას შემდეგ, რაც სა-

ქართველო თავის თავზე აიღებს ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ უმაღლესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ფორმალურ განხორციელებას.

მუხლი VIII

ამ ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლების ზუსტ შესრულებაზე თვალის დევნებისა და აღნიშნული მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარებისათვის წესდება შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენელთა თანაბარი ოდენობით.

კომისიის მუშაობის განაწესს საზღვრავს თვით კომისია.

ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებში ხსენებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარება დასრულებულ უნდა იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX

1. ქართული წარმოშობის პირებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და მიაღწიეს 18 წლის ასაკს, ენიჭებათ უფლება,—მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. ასევე პირებს, რომლებიც არიან არა ქართული წარმოშობის, ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და მიაღწიეს აღნიშნულ ასაკს, ენიჭებათ უფლება,—მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

2. ამ მუხლის შესრულების დაწვრილებით განაწესი განმტკიცებულია ორ ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებით.

3. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე სახელმწიფოს ის მოქალაქეები, რომლებიც მოისურვებენ ამ მუხლით მინიჭებული უფლებით სარგებლობას, ვალდებული იქნებიან შეასრულონ მათ მიმართ წაყენებული ფორმალობები ამ მუხლის მე-2 ქვემუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი X

საქართველო ვალდებულებას იღებს გაათავისუფლოს სასამართლო ან ადმინისტრაციული სასჯელისა და დევნისაგან ყველა ის პირი, რომლებიც დასჯილ იქნენ საქართველოს ტერიტორიაზე ქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პირები, რომლებიც საპატიმროში იმყოფებიან აღნიშნული სახის ქმედებისათვის.

მუხლი XI

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს სცნოს და პატივი სცეს მეორე მხარის ალამსა და ღერბს, როგორც მეგობრული სახელმწიფოს ემბლემებს. ალამისა და ღერბის სურათები, ისევე როგორც მათში შეტანილი ცვლილებები, თუ ასეთს ექნა ადგილი, ერთმანეთს ეცნობება დიპლომატიური გზებით.

მუხლი XII

ეკონომიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის განისაზღვრება დროებით, მათ შორის სავაჭრო შეთანხმებების დადებამდე, რისთვისაც შესაძლო უმოკლეს ვადაში გატარებული უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ორივე მხარე ურთიერთშორის სავაჭრო ურთიერთობას საფუძვლად უდებს რაც შეიძლება მეტი ხელსაყრელობის პრინციპს.

2. საქონელი, რომლის გაგზავნას ან მიღებას წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე, მეორე მხარის მიერ არ იბეგრება რაიმე სატრანსპორტო ბაჟით ან გადასახადით.

მუხლი XIII

ამ ხელშეკრულების წინა მე-12 მუხლის პირველი და მეორე ქვემუხლებით გათვალისწინებული პირობები უნდა დაედოს საფუძვლად სავაჭრო შეთანხმებას იმავე მე-12 მუხლის საფუძველზე, რომელიც დადებული უნდა იქნას ორივე ხელმომწერ მხარეს შორის.

მუხლი XIV

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა საქართველოს და რუსეთს შორის დამყარებულ იქნება შესაძლო უმოკლეს ვადაში.

მომავალში, ორივე ხელმომწერ მხარეს შორის კონსულების შესახებ სპეციალური შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც გატარებულ უნდა იქნას ღონისძიებები, მათი უფლება და მოვალეობა განისაზღვრება ამის თაობაზე თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობით.

მუხლი XV

გადაწყვეტა საზოგადოებრივ-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხასიათის საკითხებისა, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ორ ხელმომწერ სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის, ისევე, როგორც ზოგიერთი ცალკეული საკითხების მოგვარება ორივე სახელმწიფოს შორის, მოხდება სპეციალური შერეული რუსეთ-საქართველოს კომისიების მიერ, რომლებიც დაფუძნებული იქნება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან შესაძლო უმოკლეს ვადაში. ამ კომისიების შემადგენლობა, უფლება და მოვალეობა დადგენილ იქნება სპეციალური განაწესით, რომელიც თითოეული კომისიისათვის დამტკიცებულ იქნება შეთანხმებით ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორი მხარის მიერ.

ამ კომისიების გამგეობას, სხვათა შორის, დაექვემდებარება:

1. სავაჭრო შეთანხმებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებათა შედგენა.

2. არქივის ყოფილი ცენტრალური დაწესებულებიდან გამოყოფის, სასამართლო საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციული დე-

პოზიტებისა და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების საკითხების გადაწყვეტა.

3. ბათუმ-ბაქოს ნავთობსადენის იმ ნაწილის მფლობელობისა და მათი სარგებლობის განსაზღვრა, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით იმყოფებოდეს იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხები შემდეგ განმტკიცებულ იქნება ორივე ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებით.

მუხლი XVI

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის თვით ამ ხელშეკრულების დადების ფაქტით მისი ხელმოწერის მომენტიდან და იგი არ ექვემდებარება სპეციალურ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად. 1920 წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე ლ. კარახანი

სპეციალური საიდუმლო დანართი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისადმი

მუხლი I

საქართველო ვალდებულებას იღებს,—სცნოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და საქმიანობის უფლება,—კერძოდ, კრებების თავისუფალი მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობის (მათ შორის, ბეჭდვითი ორგანოების) უფლება.

ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება გატარებულ იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებები, როგორც სასამართლო, ასევე ადმინის-

ტრაციული ხასიათის, კერძო პირების მიმართაც, რომელთა საქმიანობა გამომდინარეობს კომუნისტური პროგრამის პროპაგანდა-აგიტაციისაგან, ან კომუნისტურ პროგრამაზე დამყარებული პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ.

მუხლი II

ეს საიდუმლო დანართი შედის რუსეთსა და საქართველოს შორის დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილში. ეს დანართი ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის მისი ხელმოწერის ფაქტით შემდგომი რატიფიკაციის გარეშე.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად 1920 წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე ლ. კარახანი

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე თანდართული დამატებითი შეთანხმება

ქვემოთ ხელმომწერებმა—რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა—საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ **მიხეილის ძე კარახანმა** და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა **გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ,** მივიღეთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის თანხმობა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შინაარსზე,—**შევთანხმდით შემდეგზე:**

მუხლი I

სადავო ადგილების საკითხი საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის საზღვარზე და ზაქათალის ოლქში გადასაწყვეტად გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელშიც თანაბარი ოდენობით შევლენ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები და რომლის თავმჯდომარე იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიჩნეული იქნება თავიანთთვის სავალდებულოდ.

მუხლი II

საქართველო და აზერბაიჯანი ამ შეთანხმების პირველ მუხლში აღძრულ საკითხზე შეთანხმების მიღებამდე აღარ შეიყვანენ ზაქათალის ოლქში ჯარის ნაწილებს იმათ გარდა, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ იქ, ამ დამატებითი შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის.

მუხლი III

ეს დამატებითი შეთანხმება განიხილება, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის მოსკოვში, 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის მისი ხელმოწერის ფაქტით და არ საჭიროებს შემდგომ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭედი.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 12 მაისს.

გ. ურატაძე ლ. კარახანი

1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი

საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დებულებათა თანახმად, უკვე პირველი-ორი მუხლი რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა, ნათლად გამოხატავს რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: **პირველ მუხლში სიტვა-სიტყვით ნათქვამია:**

„რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან,—რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ".

რუსეთ-საქართვლოს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია: „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული

პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას,—უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

ეს ორი მუხლი, ისე როგორც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მთელი რაობა, ნათელს ხდის, რომ ეს ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის დამყარდა როგორც დე ფაქტო და დე იურე, ე. ი. ფაქტიურად და იურიდიულად ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და რუსეთისათვის საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. რუსეთ-საქართველოს ამ საზავო ხელშეკრულებით კი ფაქტიურად და იურიდიულად—ყველა ამ თარიღამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც წარსულში დაიდო რუსეთსა და საქართველოს, ან საქართველოს რომელიმე ნაწილს შორის გახდა—იურიდული გამოთქმა რომ ვიხმაროთ—„ნოლი და უმნიშვნელო".

ამგვარად, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა, როგორც იქნა საქვეყნოდ აღიარა და იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რასაც 117 წლის განმავლობაში უარყოფდა მეფის რუსეთი.

მაგრამ, საუბედუროდ,—როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801 წელს მოახდინა საქართველოს ანექსია, საბჭოთა რუსეთმაც, ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და, ამჯერად, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920 წლის ხელშეკრულების მთელი დედააზრი, როცა მის ჯარებს უბრძანა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გადალახვა; ეს მოხდა 1921 წლის 11 თებერვალს, როცა რუსეთის წითელმა არმიამ ხუთი მხრიდან ერთდროულად გადალახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ რუსეთმა 1920 წლის ხელშეკრულების ცალკეუ-

ლი დებულებების დარღვევას მიჰყო ხელი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების მე-6 მუხლში, მაგალითად, ნათქვამია:

„რუსეთი იღებს ვალდებულებას,—არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე, აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოზე, რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები“.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების ამ მე-6 მუხლის ყველა დებულება დაარღვია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოზე თავდასხმის დაწყებამდე ე.ი. 1921 წლის 11 თებერვლამდე.

რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, კარგად იცოდა, რომ მე-11 არმია ემზადებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო ამ ხელშეკრულების დადების პერიოდში ორჯონიკიძემ, მართალია, შეაჩერა საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ლენინს გაუგზავნა დეპეშა: „ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ არ ვიზიარებო“ და თვით ლენინიც ხომ ორჯონიკიძისა და სხვა ქართველი და არაქართველ ბოლშევიკების აზრის იყო საქართველოს დაპყრობის საკითხში.

ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა რუსეთმა ისევე ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის საქართველო-რუსეთის საზავო ხელშეკრულება, როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ე.წ. „ტრაქტატი“. განსხვავება იურიდიულად იმაში გამოიხატება, რომ 1801 წელს, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია, ხოლო 1921 წლის თებერვალ-მარ-

ტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. ორივე აქტის შედეგი კი ერთნაირი იყო. საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, როგორც 1801 წელს, ისევე 1921 წელს, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გაქრა საერთაშორისო არენიდან.

მაგრამ მნიშვნელოვანია იურიდიულად ის ფაქტიც, რომ დაპყრობილი საქართველო მაშინაც, იურიდიულად მაინც, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ვინაიდან საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას, ქართველ ხალხს, რეფერენდუმის გზით არასოდეს არ უცვნია. ამდენად, იურიდიულად საქართველო მაშინვე გახდა, ფაქტიურადაც, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, როგორც კი ის ძალადობის აქტი გაუქმდა, რომელმაც 1921 წლის თებერვალში დროებით შეწყვიტა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი კანონის მოქმედება.

ამდენად, მოსკოვის ბატონობას საქართველოში, დაწყებული 1921 წლიდან, არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ფაქტიურად საქართველო, როგორც სახელმწიფო, რუსეთის ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ იურიდიულად დამოუკიდებელი და როდესაც უცხო ძალა მოეხსნა, საქართველომ ფაქტიურად აღიდგინა მისი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, როგორც ეს აღიარებულ იქნა თვით რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

დამოუკიდებელი საქართველოს დე ფაქტოდ და დე იურედ ცნობა:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთმა საქართველო ცნო დე ფაქტოდ და დე იურედ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, საქართველო მეფის რესეთის 117 წლიანი ბატონობის შემდეგ ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მოკლე დროში, სა-

ქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სეევერენობა იცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა:

	დე ფაქტო	დე იურე
1. თურქეთი		
2. არგენტინა		3 ივნისი, 1918 წ.
3. საფრანგეთი		13 სექტემბერი, 1919 წ.
4. დიდი ბრიტანეთი		27 იანვარი, 1921 წ.
5. იტალია	1918 წელი	27 იანვარი, 1921 წ.
6. იაპონია		27 იანვარი, 1921 წ.
7. საბჭოთა რუსეთი	11 იანვარი, 1920 წელი	27 იანვარი, 1921 წ.
8. ბელგია	11 იანვარი, 1920 წელი	10 მაისი, 1920 წ.
9. გერმანია	11 იანვარი, 1920 წკლი	27 იანვარი, 1921 წ.
10. პოლონეთი		24 სექტემბერი, 1920 წ.
11. რუმინეთი		28 იანვარი, 1921 წ.
12. ჩეხოსლოვაკია	27 აგვისტო, 1920 წელი	18 თებერვალი, 1921 წ.
13. ავსტრია	10 ივნისი, 1918 წელი	17 თებერვალი, 1921 წ
14. ლუქსემბურგი		23 თებერვალი, 1922 წ.
15. ჰაიტი		9 მარტი, 1921 წ.
16. ლიბერია	18 აპრილი, 1920 წელი	14 აპრილი, 1921 წ.
17. მექსიკა	18 ივნისი	26 აგვისტო, 1921 წ.
18. პანამა		20 ნოემბერი, 1921 წ.
19 ხიამი		1920 წ.
20. შვეიცარია		

სხვა დანარჩენი სახელმწიფოები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოსთან, მაგრამ ამ დროს რუსეთმა დაიპყრო საქართველო და ამით შეწყდა კავშირი სხვა სახელმწიფოებთან.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა 1921 წელს

ყოველი წლის 25 თებერვალს კომუნისტები აღნიშნავდნენ საქართველოს გასაბჭოების წლისთავს. ჩემის აზრით კი, 25 თებერვალი არის ეროვნული ტრაგედიის, ეროვნული გლოვის დღე, ვინაიდან ქართველმა ხალხმა ისევ დაკარგა ეროვნული თავისუფლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის წითელმა არმიამ გადმოლახა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები და ხუთი მხრიდან შემოუტია ჩვენს სამშობლოს. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი.

ორი მთავარი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მოხდა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, მესამე—შავი ზღვიდან, მეოთხე—დარიალისა და მეხუთე—მამისონის უღელტეხილიდან.

საქართველოს დაპყრობა წითელი არმიის მიერ

1801, ხოლო შემდეგ 1921 წელს ძალმომრეობით, ხელშეკრულების დარღვევით რუსეთმა ორჯერ მოუღო ბოლო საქართველოს დამოუკიდებლობას. მიუხედავად ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, 9 თვის შემდეგ, 1921 წლის 11 თებერვალს წითელი არმია სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით თავს დაესხა საქართველოს.

დაიწყო უსამართლო, მტაცებლური ომი სერგო ორჯონიკიძის დაჟინებული მოთხოვნით და ი.ბ. სტალინის თანადგომით; მიუხედავად თავდადებული ბრძოლისა და დიდი შემართებისა, ამ ომში საქართველო (მისი კანონიერი მთავრობა) დამარცხდა.

1921 წლის 25 თებერვალს ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ (რსფსრ კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მდივანი), ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია, მასზე დაწერა და მოსკოვში გააგზავნა დეპეშა:

„ლენინს—სტალინს! თბილისში, სასახლის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, რაც იმის მაუწყებელია, რომ საქართველო საბჭოთა შემადგენლობის ნაწილი გახდა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“!

აღფრთოვანებული სერგო ზეიმობდა და ულოცავდა XI არმიას გამარჯვებას. ამ დროისათვის XI არმიის რიგებში იმყოფებოდა პოლიტმუშაკი **ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვი,** შემდგომში საბჭოთა კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი.

სწორედ ამ საზეიმო ვითარებისადმი მიძღვნილ აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის სხდომაზე, რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, საზეიმო ვითარებაში, საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებული მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის წევრებმა სერგო ორჯონიკიძე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ამ ორდენზე ხაზგასმით იყო წარწერა **„ორდენი თბილისის აღებისათვის“.**

ეს ორდენი სპეციალურად იქნა გაკეთებული 958 სინჯიანი ოქროსაგან. იგი აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით 1920 წელს გაკეთდა. ამ ორდენით ჯილდოვდებოდნენ გამოჩენილი მოქალაქეები, სამხედრო ნაწილები, რომლებიც საბჭოთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თავს გამოიჩენდნენ.

ორდენით დაჯილდოება ხდებოდა აზერბაიჯანის სსრ რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, შემდგომში კი აზერბაიჯანის რსს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

ორდენი, წარწერით: „თბილისის აღებისათვის“, ყველაფერზე ძვირფასი იყო ორჯონიკიძისათვის, ამიტომ მას ყოველთვის თან ატარებდა, რითაც დიდ სიამაყეს გრძნობდა. წარწერას ორდენზე **„თბილისის აღებისათვის“** ხშირად კითხულობდა, მაგრამ სინანულის გრძნობა არასდროს დაუფლებია და არც გამოუთქვამს.

ორჯონიკიძის გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ, 1953 წელს, ორჯონიკიძის ოჯახმა ეს ორდენი სსრკ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმს ჩააბარა.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს—1954 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს ჯარის ყოფილმა ოფიცერმა **სიმონ კობიაშვილმა** განაცხადა, რომ 1921 წელს საბჭოთა ჯარს ფრონტზე არ ჰყოლია არც ერთი არარუსი შენაერთი, არცერთ არარუს ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა ომში საქართველოს წინააღმდეგ. ყოველი სამხედრო ნაწილი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ

მოქმედებდა, საგანგებოდ იყო ჩამოყვანილი რუსეთიდან. ჩემის აზრით, მათ ჯარში არარუსები რომ ყოფილიყვნენ, ისინი არ იბრძოლებდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მაშინვე ჩვენს მხარეს გადმოვიდოდნენ.

ორჯონიკიძის გეგმით წითელმა არმიამ, რომელიც ოთხი საჯარისო ნაწილისაგან შედგებოდა, ერთდროულად, როგორც აღვნიშნეთ, ოთხი მხრიდან, შეუტია საქართველოს. ყველა ამ ფრონტის წინააღმდეგ იბრძოდა საქართველოს რეგულარული არმია და ეროვნული გვარდიის 40000-მდე ჯარისკაცი. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს არ მიუღია დასავლეთისაგან არც ერთი საბრძოლო იარაღი და ამუნაცია, მათ არ გააჩნდათ ავიაცია და ტანკები, ამით უპირატესობას ფლობდა მტერი. ქართული ჯარი გააფთრებით იბრძოდა, შესაშურ გმირობას იჩენდა, მაგრამ ვერ შეძლო საბჭოთა თავდასხმის მოგერიება. მდგომარეობა იმანაც გაამწვავა, რომ რუსეთთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ ომში ჩაერთო თურქეთიც, იმიტომ რომ თურქეთმა საბერძნეთთან და მის მოკავშირეებთან ომის დროს დახმარების სახით მიიღო რუსეთისაგან იარაღისა და ამუნაციის დიდი რაოდენობა. თავდაპირველად კომუნისტები აცხადებდნენ, თითქოს მათ არაფერი ჰქონდათ საერთო საქართველოს თავდასხმასთან, მაგრამ ქართული ჯარის მიერ დატყვევებული ჯარისკაცი ყველა რუსი იყო.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის **ნოე ჟორდანიას** მიმართვას საბჭოთა მთავრობისადმი მოლაპარაკების შესახებ პასუხი არ მოყოლია. მოსკოვს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეპყრო საქართველო, საქართველოზე თავდასხმის ინიციატორი იყო **სტალინი.** ლენინი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო, მას ეშინოდა, რომ საქართველოს დაპყრობა აგრესიას მოახდენდა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე. მაგრამ სტალინს რევანშის აღება უნდოდა, მას მხარს უჭერდა ორჯონიკიძეც.

ტროცკი საზღვარგარეთ დაწერილ თავის წიგნში **მოგვითხრობს:** „სტალინს თითქოს დაავიწყდა, რომ 1920 წლის 7 მაისს ჩვენ საქართველოსთან ხელი მოვაწერეთ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. მისი ბრძანებით 1921 წლის 11 თებერვალს წითელმა არმიამ გადალახა საქართველოს საზღვარი, ჩვენ სრულიად არ გვინდა დავამციროთ წითელი არმიის როლი კავკასიის გა-

საბჭოებაში. ამ არმიამ 1921 წლის თებერვალში რევოლუციას დიდი დახმარება გაუწია, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს, რაც საქართველოს წინააღმდეგ წითელი არმიის გაგზავნაში ხელს შეგვიშლიდა". (როცა საქართველოს ოკუპაციას ამზადებდნენ და საქართველოს საზღვრებთან საომარი მზადება წარმოებდა, ეს მზადება შეუმჩნეველი არ დარჩენილა მსოფლიოსათვის და იმჟამად დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა კერზონმა საპროტესტო ტელეგრამა გააგზავნა მოსკოვში, რასაც პასუხი გასცა საგარეო საბჭოთა კომისარმა ჩიჩერინმა: „რუსეთმა უკვე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთი მხარს უჭერს მცირე ერების თვითგამორკვევის პოლიტიკას, ჩვენ საქართველოს მიმართ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს. საბჭოთა რუსეთს არ ჰქონია და არც მომავალში ექნება რაიმე მტრული განზრახვა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

მაგრამ იმ წუთებში, როცა ჩიჩერინი ტელეგრამას წერდა, მე-11 არმია ორჯონიკიძის გეგმით თავდასხმისათვის ემზადებოდა და ომი დაიწყო. მართალია, ქართველი ჯარი თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ვერ შეძლო ორი დიდი დამპყრობლის, რუსეთისა და თურქეთის შეჩერება და მარცხი განიცადა 1921 წლის თებერვალში.

1921 წლის მარტში საქართველოს დამფუძნებელი კრება უკანასკნელად შეიკრიბა ბათუმში და მიმართა დემოკრატიულ მთავრობას დაეტოვებინა ქვეყანა. მეორე დღესვე მთავრობამ დატოვა ქვეყანა, 20 მარტს კი ბათუმი რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. ამრიგად, კომუნისტურმა რუსეთმა ბოლო მოუღო დამოუკიდებელ საქართველოს, როდესაც საქართველო აგრესორებს ებრძოდა, მსოფლიოს არცერთ ქვეყანას დახმარების ხელი არ გაუწვდია, მხოლოდ საფრანგეთის ფლოტის შენაერთებმა შავი ზღვის სანაპიროზე სცადეს ქართული ჯარის დახმარება, რამდენიმეჯერ განახორციელეს გასროლა, მაგრამ მაშინვე წავიდნენ, როდესაც პირველი რუსული თვითმფრინავი გამოჩნდა. საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ანექსია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ევროპის ქვეყნებს, სადაც გაიმართა საპროტესტო აქციები, მიტინგები. საქართველოს ანექსიის შესახებ საკითხიც კი განიხილეს ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვებმა, მაგრამ ამ მიტინგებს, დებატებსა და პროტესტს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მათ არ უნდოდათ დიდი რუსეთის განაწყენება ერთი პატარა საქართველოს გამო.

ფილიპე მახარაძის, საქართველოს კომუნისტური პარტიის იმდროინდელი თავმჯდომარის მოხსენებით ბარათში, რომელიც გაგზავნილია მოსკოვში, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ვკითხულობთ: „საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან, ამ დროს, შიგნით არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, მეტი რომ არ ვთქვათ, არც პარტიის ცალკე წევრი, რომელიც შეძლებდა ორგანიზებულად მოქმედებას და ხელმძღვანელობის გაწევას. ამ საქმეს ხელი მოკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო ან პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა, უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ საქართველოს მასები შეეჩვივნენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში ჩვენ სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც, ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არასგზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მასების გასათავისუფლებლად ანტანტის ბრჭყალებისაგან და სხვა. ბუნებრივად იბადება კითხვა: შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ პოზიციის შეჩერებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც და ამაზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხისა, რომელიც ესოდენ გამომწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ჩვენ ვეუბნებოდით—ვაშენებთ არა სავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, მაგრამ იმგვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარვყოფდით ყოველ ჩვენს დანაპირებს.“

აუცილებლად, ყველამ უნდა გაიგოს ეს სინამდვილე, რომ საბჭოთა რუსეთმა ბოლო მოუღო საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ვინაიდან: 1. საქართველო დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული ქვეყანაა ახლო და შუა აღმოსავლეთში, 2. საბჭოთა რუსეთმა არ შეიძლება დათმოს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, მარგანეცი, სპილენძი, ქვანახშირი, ხე-ტყე, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, ბამბა და ა. შ. 3. კომუნისტურ რუსეთს არ შეუძლია დათმოს და მის გავლენის ქვეშ არ მოაქციოს თავიანთ საზღვართან და-

მოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს კავკასიის სხვა ხალხებზე. 4. სტალინს არ უყვარდა საქართველო. 5. კომუნისტები აგრძელებდნენ მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

რუსეთის ჯარი თბილისში 1921 წლის თებერვალს შემოვიდა და საქართველო გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. დაიწყო ქალაქში ძარცვა-გლეჯა, გაუპატიურება როგორც თბილისში, ასევე მთელს საქართველოს ქალაქებში და სოფლებში.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ოკუპანტებმა შეარბილეს თავისი ძალადობა, მართალია, ბევრი გადაასახლეს, მაგრამ სიკვდილით არ სჯიდნენ. მთავრობამ, კარგად იცოდა, რომ ქართველების უმრავლესობა ზიზღით იყო მათ მიმართ განწყობილი, ამიტომ ისინი მათ შემორიგებას ცდილობდნენ და დათმობაზეც კი მიდიოდნენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნულ ენებს, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხში სოციალიზმის განვითარებას, მაგრამ მალე მიხვდა საბჭოთა მთავრობა, რომ ქართველებს ასე ადვილად ვერ დაიმორჩილებდნენ, დამარცხებას და დამოუკიდებლობის დაკარგვას ქართველები ვერ ურიგდებოდნენ. დაიწყო საპროტესტო აქციები, **სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც მოითხოვდნენ:**

1. რუსული ჯარის გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან
2. საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენას
3. ადამიანის უფლებათა დაცვას
4. სიტყვის თავისუფლებას

5. თავისუფალ პრესას, თავისუფალ პროფკავშირებს. ანუ ყველა იმას, რაც მათ ჰქონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. საბჭოთა მილიციამ დაშალა მიტინგები, მათი ხელმძღვანელები დააპატიმრა. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად აღსდგა ახალგაზრდობა. უნივერსიტეტის სტუდენტები გამოვიდნენ კომუნისტების წინააღმდეგ, რისთვისაც სტუდენტების უმრავლესობა დახვრიტეს, ბევრი დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს. 1921 წელს, საქართველოს ანექსიიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა **ი.ბ. სტალინი;** ამ დროს იგი დიდი

ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთში, მაგრამ როცა ქართველი ხალხის წინაშე აღმოჩნდა, მიხვდა, რომ ის ქართველების გარკვეულ ნაწილს არ უყვარდა, რადგან თვლიდნენ, რომ უბედურება მოუტანა მათ. მისი სიტყვით გამოსვლისას, განრისხებული ქართველები გაიძახოდნენ: მოღალატე, მკვლელო, სიტყვის დამთავრებას არ აცლიდნენ, სტალინი იძულებული შეიქნა თავისი მცველებითურთ დაეტოვებინა დარბაზი. იმავე დღეს სტალინმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განუცხადა: „საქართველო საჭიროებს დაუთოებას ცხელი უთოთი". სტალინის სიტყვა გასაგები იყო და მისმა ცხელმა უთომ მრავალი ათასი ქართველი გაანადგურა. სტალინი ქართველებმა არ აღიარეს და ეს მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. კომუნისტები მიხვდნენ, რომ მენშევიკები მათ არასდროს დაემორჩილებოდნენ. ამიტომ სასწრაფოდ შეცვალეს ტაქტიკა, ამუშავდა საბჭოთა მრისხანე ჩეკა, ულმობელი პოლიცია, დაიწყო დაპატიმრებები, გადასახლება, დახვრეტა ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

მეტად საინტერესოა ამ საკითხების ირგვლივ მოძიებული დოკუმენტური მასალები.

* * *

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, პირადად ლენინმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის ტიპის ხელისუფლების დამყარების საკითხი დააყენეს ჯერ კიდევ 1917 წლის 17 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე. ამ საქმის პრაქტიკულად გადაწყვეტა კი დაევალა **სტეფანე შაუმიანს**, რომელიც მალე იქნა მონათლული „რუსეთის მთავრობის კავკასიის ნამესტნიკად." მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობის, პირადად ლენინისა და სტალინის მიერ შაუმიანი აღჭურვილი იყო საგანგებო უფლებამოსილებით, მან მაინც ვერ შეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ამ საქმეში დიდ აქტიურობას მაშინ არც რუსეთის საბჭოთა მთავრობა იჩენდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამერკავკასია, რომელსაც იგი მიიჩნევდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილად, განსაკუთრებული ჩარევის გარეშე, თვითონ დაადგებოდა საბჭოთა ხელისუფლების გზას. გარდა ამისა, ამ საქმეში მის აქტიურობას ძლიერ ბოჭავდა, უფრო ზუსტად, შეუძლებელს ხდიდა

თვით რუსეთის უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა. მაგრამ 1920 წლის დასაწყისიდან, როგორც კი რამდენადმე გაუმჯობესდა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ლენინმა კვლავ დააყენა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოების საკითხი, უფრო ზუსტად, ოკუპაციის საკითხი. ამაზე მეტყველებს არსებული მიმოწერები:

ვ. ი. ლენინი—ორჯონიკიძეს

1920 წ. 17 აპრილი

„ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ. ამასთან აუცილებელია განცხადებაში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დაარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში...იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ.“[1]

ვ. ი. ლენინის რჩევას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ორჯონიკიძე. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეხუთე დღეს იგი დეპეშას აგზავნის მოსკოვში:

ს. ორჯონიკიძე—ლენინს, სტალინს!

„ბაქო, 4 საათი, 3. V-20 წ. დაწვრილებით გადმოგცემთ რადიოთი. ყველაფერი გათვალისწინებულია და სრულდება... მოვლენები ისე ვითარდება, რომ იმედი გვაქვს, არა უგვიანეს 15-სა, ვიქნებით თბილისში.“[2]

ს. ორჯონიკიძე—ლენინს, სტალინს!

„ბაქო, 4. 3.V-20 წ. მეორედ გიპასუხებთ: მოვლენები ისე ვითარდება, რომ იმედი გვაქვს არა უგვიანეს თორმეტისა ვიქნებით

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 470.
[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 461, აღწ., 9, საქმე 3309.

თბილისში. ამისათვის ყველაფერი გაკეთებულია, საკითხის სხვანაირი გადაწყვეტა გამოიწვევს აჯანყებულთა ამოხოცვას."[1]

4 მაისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ორჯონიკიძის დეპეშები. პოლიტბიუროს დღის წესრიგი ასე იყო ფორმულირებული: „საქართველოს შესახებ." პოლიტბიურომ დაადგინა: „დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ორჯონიკიძეს ლენინისა და სტალინის ხელმოწერით დეპეშა, რომ საქართველოს საკითხის „თვითნებურად გამორკვევა" ეკრძალება, და გააგრძელოს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან."[2]

პოლიტბიუროს აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, 4 მაისს ლენინი და სტალინი დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს:

ლენინი, სტალინი_ორჯონიკიძეს!

„ჩაბარდეს პასუხისმგებელი პირის მეშვეობით. ჩაბარების შესახებ ეცნობოს სამხედრო რევოლუციურ საბჭოს_სკლიანსკის.

ცენტრალური კომიტეტი გავალებთ თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ, ცხადია, რომ ზავი საქართველოსთან გამორიცხული არაა.

დაუყოვნებლივ გვაცნობეთ ზუსტი ცნობები საქართველოში აჯანყების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით _ ლენინი, სტალინი."

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ ორჯონიკიძის დეპეშების პასუხად, მიღებული დადგენილების დღესვე, სტალინი დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს:[3]

სტალინი_ორჯონიკიძეს

„შენ ალბათ უკვე მიიღე დეპეშა ლენინისა და ჩემი ხელმოწერით,[4] რომ ცეკა გავალებს შენ მიიღო ყველა ზომა გაიყვანოთ სამხედრო

---

[1] მლი ცპა, ფ. 461, აღწ. 9, საქმე 33309.
[2] მლი ცპა, ფ. 2 აღწ. 2, საქმე 13844.
[3] მლი ცპა, ფ. 2 აღწ. 2, საქმე 13844.
[4] ლაპარაკია 4 მაისის დეპეშაზე.

ნაწილები რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებისაკენ და ხელი აიღოთ საქართველოს წინააღმდეგ რაიმე შეტევით მოქმედებაზე.

მე მოვედი აპარატთან იმისათვის, რომ გავიმეორო ცეკას ეს მოთხოვნა. მხედველობაში მქონდა, რომ ცეკას მოთხოვნა ნაკარნახევია საერთაშორისო მდგომარეობის თანამედროვე ვითარებით. გარდა ამისა, პოლიტბიუროს სურს იცოდეს აჯანყებულთა მდგომარეობა, რომლის შესახებ შენ გვაცნობებდი და მივიღოთ მათს შესახებ, რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები.

ურატაძეს საუბარი ჰქონდა გეგეჭკორთან[1], რომელმაც დაამტკიცა მისი მანდატი და მისცა მას ხელშეკრულების დადების უფლება, რომელიც შეიცავს საბჭოთა რუსეთის ყველა მოთხოვნას საქართველოს კომუნისტების ლეგალიზაციამდეც კი. ხელი რომ არ შეეშალა ჩვენი პოლიტიკის გატარებისათვის, ჩვენი ნაწილების, ასევე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთ გამოსვლებს, ხელშეკრულება უკვე იქნებოდა დადებული. ველი პასუხს აპარატთან.

ცეკას პოლიტბიუროს დავალებით სტალინი.
1920 წლის 6 მაისი, ღამის 0 საათი და 30 წუთი[2]".

ორჯონიკიძე, კიროვი—ლენინს, სტალინს, ჩიჩერინს

სრულიად საიდუმლოდ. (შიფრით).

„თქვენს ბრძანებას ზუსტად შევასრულებთ. წინა მოსაზრებების გარდა მოგვყავს შემდეგიც:

1. თუ საქართველოს არ დავეუფლეთ, თითქმის შეუძლებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთის იყოს. საქართველო უკვე ახლა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აზერბაიჯანში კონტრრევოლუცია ასაზრდოოს, აგრეთვე ინტრიგებს ეწევა მთიელთა შორის, მილიონებს ყრის იქ, აქეზებს მთიელთ დამოუკიდებლობისათვის. იმავდროულად საქართველო ზოგიერთ აგრესიულ ზომას იღებს საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

---

[1] ე. გეგეჭკორი—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

[2] ცენტრალური არქივი. ფ. 558, აღწ. 1. საქმე 1369.

2. საქართველო სამხრეთში კონტრრევოლუციის კერად იქცა, უთუოდ განუწყვეტლივ ასაზრდოებს კონტრრევოლუციას ჩრდილო კავკასიაში, დონზე, სადაც მალე ვერ შევძლებთ მის ჩაკვლას. ამ მხრივ საქართველოს არავითარი ხელშეკრულების, არავითარი განცხადების ნდობა არ შეიძლება. საქართველოში თავი მოიყარეს თეთრების მასებმა, იარაღმა, რასაც გადაისვრიან ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში.

3. საქართველოში არის ფართლეულობა, რომლითაც შეგვიძლია მოვამარაგოთ ყუბანი, სტავროპოლი, და გამოვიტანოთ პური, რომელიც თერგს, დაღესტანს, აზერბაიჯანს, საქართველოს სჭირდება.

4. თუ საქართველოს დავეუფლებით, ინგლისელებს გავაპანღურებთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, გზას გავხსნით თურქეთისაკენ.

5. საქართველოს მებრძოლ ძალთა მდგომარეობა ერთობ ხელსაყრელია ჩვენი ჩარევისათვის. აქ შესაძლოა მცირედი ცვლილებებით იგივე გამეორდეს, რაც აზერბაიჯანში მოხდა. და, ბოლოს, აზერბაიჯანის დაპყრობა და საქართველოს დატოვება უაღრესად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მუსლიმანებზე, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის ძველი მთავრობა მზად იყო ყოველგვარი დათმობისათვის, ოღონდ კი ზავი დაედო ჩვენთან. მარტო იმის ვარაუდი, რომ ჩვენ ძალგვიძს არ გავილაშქროთ საქართველოს წინააღმდეგ, მომაკვდინებელ შთაბეჭდილებას დატოვებს.

მეამბოხეთა რაიონია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხისა, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. თუ ჩვენ საზღვრებისაკენ დავიძარით, აღნიშნულ რაიონებში აჯანყება გარდაუვალია. რას გვიბრძანებთ—მხარი დავუჭიროთ მას თუ არა?!

ჩვენი აზრით საქართველოსთან დასადები ზავის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნა: **საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოში.** ჩვენი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მენშევიკები მზად არიან ამისათვის, ოღონდ ძალიან ივაჭრებენ.

7. V. 20 წ.[1]

---

[1] მლი ცპა, ფ. 461, აღწ. 17, საქმე 33507.

სტალინი და ენუქიძე[1]—ორჯონიკიძეს

„ის, რასაც შენ ლაპარაკობ საქართველოს მთავრობის შესახებ, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ ახლა სიჩქარე საქართველოსთან მისი საბჭოთად გადაქცევის თვალსაზრისით, ჩვენ არ მიგვაჩნია აუცილებლად—სულერთია რამდენიმე თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი ისედაც გახდება საბჭოთა, სხვა გზა მისთვის არ არსებობს. გირჩევ დაარწმუნო საქართველოს, როგორც სასაზღვრო ნაწილები, ისე სხვა აჯანყებულები საქართველოს შიგნით, რომ არ იჩქარონ გამოსვლებში და შეინარჩუნონ თავიანთი ძალები უახლოესი მომავლისათვის. აქედან გამომდინარე მე ვთვლი, რომ ჩვენი ჯარების, ასევე აზერბაიჯანის ჯარების მხრივ შეტევითი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ არ იქნება და ჩვენ ხვალვე, შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში ზეგ, დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან, რის შესახებაც შენ დაწვრილებით გაცნობებთ. ჩვენ გვაწუხებს გეგეჭკორის ყალბი ცნობები, ხოლო თქვენი და სმილგას უკანასკნელ დეპეშას მზადყოფნის შესახებ, დაიკავოთ თბილისი 12 მაისს, ვთვლით ჩვენს პოლიტიკასთან აბსოლუტურად შეუთავსებლად.

სომხეთთან, ისევე როგორც საქართველოსთან დამოკიდებულებაში აზერბაიჯანმა უნდა დაიკავოს თავისი ტერიტორიის ყოველმხრივ დაცვის პოზიცია, დაიცვას თავისი საზღვრები მთელი ძალებით, მაგრამ არ გადავიდეს მოსაზღვრე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. უფრო კონკრეტულად გაცნობებთ შემდეგში. ჩვენი საერთო თხოვნაა: გვამყოფეთ ყველა ამბის კურსში...

7. V. 1920 წ.[2]

* * *

თუ რატომ იკავებდნენ თავს ლენინი და სტალინი XI არმიის ძალებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაგან, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა, აგრეთვე, პირდაპირი მავთულით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრ **დუმბაძესთან ორჯონიკიძის** საუბარი 1920 წლის 7 მაისს:

---

[1] რსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.
[2] მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქმე 1621.

„ორჯონიკიძე: არა მგონია, მომავალში ჩვენმა არ გაიმარჯვოს და მზად ვარ დაზავების ფაქტი მივიჩნიო ლენინურ შესვენებად, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაცია და აღიკვეთოს მენშევიკთა პროვოკაცია“[1].

1920 წლის 22 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი „პოლიტიკის შესახებ კავკასიაში“ და დაადგინა:

„წინადადება მიეცეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ პოლიტბიუროს დღემდე არსებული დადგენილებების და მათგან გამომდინარე დასკვნების საფუძველზე სავსებით ზუსტად ჩამოაყალიბოს ინსტრუქცია აღმოსავლეთში მყოფი ჩვენი ყველაზე პასუხისმგებელი მუშაკებისათვის.

დაევალოს სამხედრო უწყებას, რომ ეს ინსტრუქცია, მას შემდეგ, რაც მას პოლიტბიურო მოიწონებს, სახელმძღვანელოდ მიაწოდოს ყველა პასუხისმგებელ სამხედრო მუშაკს, თანაც გააფრთხილოს, რომ ისინი ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავიანთი მოქმედება უაღრესად ზუსტად შეუსაბამონ ამ მითითებებს. ასეთივე მითითებები მიეცათ ცნტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ყველა წევრს. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გაუგზავნოს ინსტრუქცია ამხ. კიროვს და ამხ. ლეგრანს“[2].

1920 წლის 7 ივლისს პოლიტბიურომ განიხილა ჩიჩერინის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციის პროექტი და დაამტკიცა იგი:

ინსტრუქცია

კავკასიაში განსახორციელებელი პოლიტიკის შესახებ

1. ხელშეკრულება, რომელიც რსფს რესპუბლიკამ საქართველოს მთავრობას დაუდო, ყველა მისი დეტალი უნდა განუხრელად შესრულდეს და განხორციელდეს.

---

[1] მლი ცპა, ფ. 83, აღწ. 1, საქმე 311.
[2] მლი ცპა, ფ. 17, აღნ. 3, საქმე 90, გვ. 47.

2. რსფს რესპუბლიკა საქართველოსა და სომხეთის ბურუჟაზიულ სახელმწიფოებთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაიცავს.

3. საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა პოლიტიკა ეცდება მიაღწიოს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიიდან გავიდნენ ინგლისისა და სხვა უცხო ჯარები, რომ არ დაუშვან იქ თეთრგვარდიელთა რაზმების შექმნა და რომ რუსეთს დაუბრუნონ დენიკინის ბანდების ნარჩენები და იარაღი.

4. სწორედ ასევე ხელშეკრულების საფუძველზე, ლეგალური საშუალებებით, უნდა ვეცადოთ მოვიპოვოთ აგიტაციის თავისუფლება და საერთოდ კომუნისტთა ფაქტობრივი ლეგალიზაცია საქართველოში. ხელშეკრულების პუნქტი, რომელიც კომუნისტთა ამნისტიას ეხება, საქართველოს კომუნისტთა პარტიის ლეგალობის აღიარების აზრით უნდა განვმარტოთ.

5. უთუოდ თავი უნდა შევიკავოთ და არ ვეცადოთ აჯანყების გამონვევას საქართველოს, სომხეთის და თურქეთის მთავრობათა წინააღმდეგ. ამ რესპუბლიკათა იმ ელემენტებს, რომლებიც გადატრიალებას ესწრაფვიან, უნდა განვუმარტოთ, რომ როგორც მსოფლიო კონიუნქტურის, ისე ჩვენი მდგომარეობის გამო საერთო პოლიტიკური მოსაზრებით ამჟამად ისინი არ უნდა შეუდგნენ თავიანთი მიზნის განხორციელებას, ისინი არ უნდა გასცდნენ ხელშეკრულების ფარგლებს.

6. უკვე დაწყებული აჯანყებები, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში, უნდა ჩავაქროთ ხელშეკრულების, ე. ი. ამნისტიის შესახებ პუნქტის საფუძველზე[1].

1920 წლის 5 ნოემბერს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა „აჭარის საკითხზე ჩიჩერინის წერილი“[2].

პოლიტბიურომ დაადგინა:

---

[1] მლი ცპა, ფ. 17, აღნ. 3, საქმე 94, გვ. 7.

[2] ჩიჩერინის წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ვითომც მოსალოდნელი იყო აჭარის ოკუპაცია ინგლისის შეიარაღებულ ძალთა მიერ.

„ა) დაევალოს ამხ. ჩიჩერინს დაუკავშირდეს ამხ. სტალინს, რის შემდეგაც საბოლოო სახით გადაწყვიტოს საკითხი;

ბ) ეთხოვოს ამხ. ჩიჩერინს, რომ თუ საჭირო შეიქნა სასწრაფო საკითხის გადაწყვეტა, სასწრაფოდ შეეკითხოს ამხ. სტალინს და არ დაელოდოს პოლიტბიუროს სხდომას[1]".

ბათუმის გარშემო 1920 წლის ნოემბერში ატეხილ ხმაურთან დაკავშირებით ლენინი 14 ნოემბერს ბაქოში დეპეშას უგზავნის სტალინს:

ლენინი_სტალინს

„...სთვლით თუ არა თქვენ შესაძლებლად საქართველოსთან და სომხეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას, და რა საფუძველზე? შემდეგ, სწარმოებს თუ არა სავსებით სერიოზული მუშაობა ბაქოს მისადგომების გამაგრებისათვის?[2]"

სტალინი_ლენინს

„**გაცნობებთ ორიენტირებისათვის:** 1. საქართველო შევიდა ეროვნებათა ლიგის შემადგენლობაში[3], სადაც იგი წარმოდგენილი იქნება **გეგეჭკორით**_ბათუმის დათმობა, თუ ეს დასჭირდება ანტანტას, სავსებით შესაძლებელია მიუხედავად საქართველოს მთავრობის შიგნით მერყეობისა... საჭიროა საქართველოს მიეცეს ნავთი მცირე დოზით იმისათვის, რომ გაძლიერდეს საქართველოს მთავრობის შიგნით უთანხმოება და გაგრძელდეს მერყეობის პერიოდი დროის მოგების მიზნით... მეთერთმეტე არმია სუსტია, ვერ გაუძლებს ბრძოლებს, თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმსა და დაიძვრება დასავლეთისაკენ, ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის უღელტეხილთან, ე, ი, საჭიროა

---

[1] მლი ცპა, ფ. 17, აღწ. 5484, საქ. 5.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., სრული კრებული, ტ. 52, გვ. 9.
[3] საქართველო არ მიუღიათ ეროვნებათა ლიგის შემადგნელობაში.

მივმართოთ აქტიურ თავდაცვას... წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დავკარგოთ ბაქოც.

1920 წლის 17 ნოემბერი[1]".

* * *

1920 წლის 27 ნოემბერს პოლიტბიურომ მოისმინა „ამხ. სტალინის მოხსენება კავკასიის საქმეების შესახებ".მოხსენების გარშემო პოლიტბიუროს მიერ მიღებულ ლენინის დაწერილ დადგენილებაში საქართველოს შესახებ ნათქვამი იყო: „საქართველოს მიმართ დავადგეთ... მაქსიმალურად შემრიგებლურ პოლიტიკას, ე. ი. ისეთ პოლიტიკას, რომელიც ყველაზე მეტად მიმართული იქნება იქით, რომ თავიდან ავიცილოთ ომი.

მიზნად ნუ დავისახავთ ნურც საქართველოს, ნურც სომხეთის[2] და ნურც სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობას[3]".

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1920 წლის 7 დეკემბერს მოისმინა საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიჩერინის წინადადება ბათუმის შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო:

ეცნობოს ამხ. ჩიჩერინს, რომ საქართველოსთან მოლაპარაკება მთლიანად მის გამგებლობაშია. ამასთან ცენტრალური კომიტეტი თხოვს, აცნობოს მას მოლაპარაკების შედეგები, როცა საჭირო შეიქმნება დადგენილების მიღება[4].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი დამოკიდებულებაში კვლავ გრძელდება სიფრთხილე.

ამაზე ერთხელ კიდევ მიუთითებს რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის კამენევის 1920 წლის 30 ნოემბერის წერილი ლენინისადმი.

მასში ნათქვამია:

---

[1] მლი ცპა, ფ. 3, აღწ. 1, საქმე 1987, გვ. 9.

[2] პოლიტბიუროს მიერ დადგენილების მიღების დღეს XI არმიის ნაწილების მიერ სომხეთი ფაქტობრივად ოკუპირებული იყო.

[3] ვ. ლ. ლენინი. თხზ., ტ. 42, გვ. 239.

[4] მლი ცპა, ფ. 17, აღწ. 7, საქმე 5496, გვ. 1.

„კავკასიაში დაწყებულ ომს, კერძოდ ჩვენ მიერ საქართველოს დაკავებას უახლოეს შედეგად უეჭველად მოჰყვება ანტანტასთან ჩვენი ურთიერთობის გამწვავება. უწინარეს ყოვლისა, ანტანტა გააძლიერებს მუშაობას ჩვენს წინააღმდეგ ყველა ჩვენი დასავლეთელი მეზობლის ასამხედრებლად, დაწყებული ფინეთით და გათავებული რუმინეთით, ამასთან ხელსაყრელ ნიადაგს პოვებს იმიტომ, რომ ქართველთა ხვედრი გარდაუვალად გამოიწვევს დასავლეთით ჩვენს მოსაზღვრე პატარ-პატარა ქვეყნებში, ავადმყოფურ უნდობლობას ჩვენი პოლიტიკის მიმართ, შიშს თავისი ბედ-იღბლისათვის და ამით ჩვენს წინააღმდეგ გასაერთიანებლად უბიძგებს მათ"

წერილს აქვს ლენინის ხელით მინაწერი: სტალინს[1].

ორჯონიკიძე მაინც ჩქარობს. 1920 წლის 15 დეკემბერს იგი გადაჭრით აყენებს ლენინისა და ტროცკის წინაშე საქართველოს გასაბჭოების საკითხს.

ორჯონიკიძე_ლენინს, ტროცკის

„ბაქო. 15-XII-20. თათბირმა კავკასიის ბიუროსთან, რომლის შემადგენლობაში არიან სტასოვა, ნარიმანოვი, მდივანი და ორჯონიკიძე, ელიავას, ლეგრანის, სტარკის, დუმბაძის, ოკუჯავას, არმიის სარდლის გეკერის, XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის მიხაილოვის თანდასწრებით ერთხმად და საიდუმლოდ გადაწყვიტა გარიჟრაჟზე საქართველოს საზღვრის გადალახვა. ყველაფერი მომზადებულია[2].

იმავე დღეს, 15 დეკემბერს ორჯონიკიძე ბაქოში ღებულობს საპასუხო დეპეშას;

ლენინი, ტროცკი_ორჯონიკიძეს

„ეს-ეს არის წავიკითხეთ ნომერი პირველი დაშიფრული წერილი. აი, პასუხი: ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტე-

---

[1] მლი ცპა, ფ. 17, აღწ. 4, საქ. 11, გვ, 48.
[2] მლი ცპა, ფ, 17, აღწ. 3, საქმე 13.

ტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს, ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გრთავთ ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ შეაჩეროთ შესრულება და გააუქმოთ გადაწყვეტილება[1]".

იმავე დღესვე ორჯონიკიძე მოსკოვში აგზავნის საპასუხო დეპეშას:

ორჯონიკიძე_ლენინს, ტროცკის

„მივიღეთ. აი, პასუხი:

მივიღეთ გადასცეთ ლენინისა და ტროცკის პასუხი, ნათელი და გასაგებია, გთხოვთ ლენინსა და ტროცკის, რომ ყველაფერს შევასრულებთ, მე კი ხვალ ყრილობაზე მივემგზავრები[2]".

* * *

17 დეკემბერს გაიმართა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა.

მოისმინეს: ტროცკის განცხადება ამხ. ორჯონიკიძეზე.

დაადგინეს: დადასტურდეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ კავკასიაში რსფს რესპუბლიკის პოლიტიკას მშვიდობიანი მიმართულება აქვს და მოეთხოვოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებას მიიღონ ყველა ზომა, რომელსაც ამ პოლიტიკის წარმატების უზრუნველყოფა შეუძლია[3]".

* * *

1920 წლის დეკემბრის ბოლოს ნ. ჟორდანია ხვდება მოსკოვის სამხედრო წარმომადგენელს[4].

მათი საუბარი იყო მოკლე:

---

[1] მლი ცპა, ფ. 17, აღწ. 7, საქმე 45.
[2] სკკპ ცკ-ის საერთო განყოფილების არქივი.
[3] სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივი.
[4] გვარი დაუდგენელია.

სამხედრო წარმომადგენელი: „მოსკოვი აპირებს შეუტიოს საქართველოს“.

ნ. ჟორდანია: „სთქვან, რას მოითხოვენ ისინი ჩვენგან? რა მიზეზით ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ ომისათვის? შეიძლება ჩვენ დავეთანხმოთ ყველაფერზე, გარდა ერთისა—უარი ვთქვათ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და ეროვნულ სუვერენიტეტზე[1]“.

* * *

1921 წლის 2 იანვარს ორჯონიკიძე და კიროვი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სახელით დეპეშას უგზავნიან ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ასლს ტროცკის:

„სრულიად საიდუმლოდ“

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს,

ასლი ამხ. ტროცკის

მოკლედ გაცნობებთ ჩვენს მოსაზრებას იმაზე, თუ რატომ მიგვაჩნია საჭიროდ მენშევიკური საქართველოს ახლავე გასაბჭოება.

პირველი. აზერბაიჯანის გასაბჭოების მერე აღვნიშნავდით, რომ მაშინვე უნდა გაგვესაბჭოებინა საქართველოც, როგორც კონტრრევოლუციის ბაზა საქართველოში. ამის მერე კავკასიაში დატრიალებულმა ამბებმა უცილობლად დაამტკიცეს ეს: საქართველოს მთავრობამ საქართველოსაკენ დახეული ყველა დენიკინელი ყირიმში გადაისროლა, ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში მომხდარ ყველა აჯანყებაში საქართველო უშუალოდ მონაწილეობდა, კერძოდ, ახლანდელ დაღესტნის აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელმღვანელობენ საქართველოს აგენტები—აჯანყებულთა შტაბი ლაგოდეხშია (საქართველოში, სიღნაღის მაზრაში). ჩრდილო კავკასიაში გახსნილ ყველა კონტრრევოლუციურ შეთქმულებას განუხრელად მივყავართ საქართველოსთან

[1] ნოე ჟორდანია. ჩემი ცხოვრება, 1954, გვ. 75.

კავშირამდე. ჩრდილო კავკასია რომ მტკიცედ დავიმკვიდროთ (პურ და ნავთობი), საჭიროა საქართველო გავასაბჭოოთ.

მეორე. საქართველოს მთავრობა, რომელიც ყოველნაირად მხარს უჭერს და აწყობს აჯანყებებს ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში, იმედოვნებს, რომ ამით ჩვენს ყურადღებას ჩამოაშორებს მას და წარმატებითაც გაგვიტეხს სახელს მუსლიმანთა თვალში იმით, რომ უსაშველოდ აზვიადებს ჩვენი ჯარების მოქმედებას აჯანყებათა ჩაქრობის დროს, მაგალითად, აჯანყების ჩაქრობა განჯაში, რის შემდეგაც ანგორაში შეიმჩნეოდა გარკვეული გაცივება ჩვენს მიმართ საქართველოს პრესის გაძლიერებული აგიტაციის წყალობით.

მესამე. საბჭოთა სომხეთი, საბჭოთა საქართველოს გარეშე, ფაქტობრივად უფრო თურქეთის გავლენის ქვეშ რჩება, ვიდრე ჩვენი გავლენის ქვეშ, იმის წყალობით, რომ სომხეთისაკენ მიმავალი რკინიგზა საქართველოზე გადის (ნავთლუღიდან). ამჟამად საქართველო სომხეთისაკენ პურსაც კი არ ატარებს.

მეოთხე. არსებულ ვითარებაში თურქებს ადვილად შეუძლიათ შეიქმნან ბუფერი ნახჭევანის რაიონში, სადაც განზრახული აქვთ ცალკე სახანოს შექმნა, რომლის ხელშიც იქნება თავრიზისაკენ მიმავალი რკინიგზა, ეს მოგვწყვეტს ჩვენ სპარსეთს და დაანანევრებს სომხეთს.

მეხუთე. ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება გვაიძულებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ვიყოლიოთ აზერბაიჯანში, რაც ერთობ არასასურველია მოსახლეობისათვის და მავნეა ჯარის ნაწილებისათვის. ასეთმა ვითარებამ შეიძლება სახიფათო ფორმები მიიღოს და გართულებები შექმნას თვით აზერბაიჯანში.

მეექვსე. ჩვენგან საქართველოს გასაბჭოება, ბათუმის დაკავება ანტანტას წაართმევს უკანასკნელ ჩვენს საწინააღმდეგო ბაზას სამხრეთში.

მეშვიდე. საქართველოს გასაბჭოება ახლა მიტომაც არის საჭირო, რომ ანტანტამ ჯერ ვერ მოასწრო ვრანგელის არმიის ნაშთების ორგანიზება და არ ჰყავს საკმაო ძალები ჩვენს წინააღმდეგ.

მერვე. იმის იმედი, რომ თვით საქართველოში შიგნიდან მოხდება გადამწყვეტი აფეთქება, არ უნდა გვქონდეს. ამას ამტკიცებს ის ამბები, რაც საქართველოში ხდება. საქართველოს ჩვენს დაუხმარებლად გასაბჭოება არ ძალუძს.

მეცხრე. საბაბი საქართველოს საქმეებში ჩვენი ჩარევისათვის გვაქვს. საამისოდ საჭირო არ არის აშკარად თავს დავესხათ საქართველოს, გვაქვს შესაძლებლობა, რომ დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაში, სადაც საამისო ნიადაგია. ამ მხრივ ჩვენი დახმარება შეუძლია, აგრეთვე, თურქეთსა და სომხეთს და შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ მხსნელებად მოვევლინოთ საქართველოს, რომელიც იხრწნება და ანარქიას ეძლევა.

დასასრულ, საჭიროა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თუ მთელი ამიერკავკასია არ გავასაბჭოეთ, ვერავითარ შემთხვევაში მტკიცედ ვერ ვიგრძნობთ თავს ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში. და თუ ყუბანსა და თერგზე შედარებით სიმშვიდეა, ეს მხოლოდ პირველ შემთხვევამდე, ვიდრე კაზაკობა გონს მოვიდოდეს ჩვენგან მიყენებული გადამწყვეტი დარტყმების მერე, ხოლო საქართველოს მთავრობა ყველაფერს იღონებს, რათა კაზაკობას და მთიელებს დაეხმაროს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებაში.

უკვე არაერთხელ წარმოგედგინათ ერთმხრივი გადაწყვეტილებანი, რომ საჭიროა საქართველოს გასაბჭოება.

რკპ ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრები
ორჯონიკიძე ს. კიროვი[1].
2. 1. 21".

* * *

1921 წლის 12 იანვარს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა, რომელმაც განიხილა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სახელით ორჯონიკიძისა და კიროვის მიერ 2 იანვარს ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის გაგზავნილი დეპეშა:

„**მოისმინეს.** კავკასიის ბიუროს განცხადება, რომ სჭირდებათ დახმარება საქართველოს გასაბჭოებისათვის.

დაადგინეს: უარი ეთქვათ. რჩევა მიეცეს კავკასიის ბიუროს ზუსტად დაიცვან ამ საკითხზე უკვე არსებული ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი".

---

[1] მლი ცპა, ფ. 80, აღწ. 4, საქმე 115, გვ. 2.

* * *

1921 წლის 20 იანვარს საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ვრცელ წერილს სწერს ლენინს.

მასში ნათქვამია:

„საქართველო ისე თავს გავიდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ და გავასაბჭოოთ იგი. თქვენ იცით მოვლენათა თანმიმდევრობა: საქართველომ უარი თქვა მთლიანად შეესრულებინა ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ის შეთანხმება, რომ დაებრუნებინა ჩვენთვის მის ნავსადგურში შესული გემები, დააპატიმრა ჩვენი თანამშრომლები, მასობრივ რეპრესიებს მიმართა კომუნისტთა წინააღმდეგ და უარი თქვა შეესრულებინა ამ საკითხზე ჩვენთან დადებული შეთანხმება, უარი თქვა მთლიანად დავეკმაყოფილებინეთ ბათუმში ჩვენი დროშის შეურაცხყოფისა და ჩვენი კურიერის გაძარცვის გამო და ა. შ[1].:“

ჩიჩერინი სამხედრო ხასიათის ჩარევას მოითხოვდა.

* * *

24 იანვარს სტალინი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრების სახელზე აგზავნის წერილს:

„გთხოვთ პასუხი 6 საათამდე გვაცნობოთ

ცენტრალური კომიტეტის წევრებს:

წინადადებას ვაყენებ მოვიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხში (იხ. მისი უკანასკნელი წერილები)[2] და რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მივცეთ დირექტივა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას იმისათვის, რომ გადაწყვიტოს საკითხი კავკასიაში სამხედრო ჩარევის წესის თაობაზე. ამავე დროს დირექტივა მივცეთ ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა მოამზადოს აჯანყებულთა გამოსვლები საქართველოს ცნობილ რაიონებში.

24. 1. სტალინი[3]“.

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივი.
[2] ლაპარაკია ჩიჩერინის 24 იანვარის წერილზე.
[3] სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივი.

ამხ. ტროცკი, კამენევი—მხარს უჭერენ ოთხშაბათამდე გადადებას.

კრესტინსკი—(ოთხშაბათამდე გადადების მომხრეა)

ამხ. ლენინი—ნუ გადავდებთო[1]".

1921 წლის 26 იანვარს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი საქართველოს შესახებ და მიიღო ლენინის დაწერილი **რეზოლუცია:**

მოისმინეს: საქართველოს შესახებ.

ა) მიღებულ იქნეს რეზოლუცია.

1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობების განყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.

2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან **ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი** და **ამხ. სტალინი.**

3. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ გაადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში[2].

27 იანვარს ი. სტალინი დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს ბაქოში:

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივი.
[2] იქვე

სტალინი—ორჯონიკიძეს

„საქართველოს მენშევიკური მთავრობის ანტისაბჭოური პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით შესაძლოა გართულდეს ისეთი გარემოებები, რომლებისთვისაც საჭირო იქნება საპასუხო ზომები და შეიარაღებულ ძალთა გამოყენება საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და უშიშროების დასაცავად".

აღნიშნულ დეპეშაში სტალინმა მოითხოვა ორჯონიკიძისაგან, რომ ეცნობებინა მისთვის „კავკასიაში დისლოცირებულთა მდგომარეობა და რაოდენობა[1]".

* * *

იანვრის დამლევს სტალინი დეპეშას უგზავნის ბაქოში ორჯონიკიძეს:

სტალინი—ორჯონიკიძეს

„ცეკამ გადაწყვეტილება მიიღო გავწიოთ მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა დაგვჭირდეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია, გადაწყდა, აგრეთვე, გავუგზავნოთ კავკასიის ფრონტს შეკითხვა, რა მდგომარეობაშია ჩვენი სამხედრო ძალები იმისათვის, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ძალიან სუსტი ვართო. უთუოდ გვაცნობე ჩემ სახელზე, შეგვიძლია თუ არა იმედი გვქონდეს გადამწყვეტი გამარჯვებისა ძალთა არსებული რაოდენობით. დაწყება თუ მოგვიხდება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას ინგლისთან, ეს კი დაახლოებით ერთიორი თვის მერე მოხდება.

მე და ილიჩი შენგან ველით ზუსტ გაუზვიადებელ ცნობებს[2]".

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების არქივი.
[2] იქვე.

* * *

სტალინის დეპეშაზე ორჯონიკიძის პასუხმა დააგვიანა მთელი 10 დღე. ამასთან დაკავშირებით ლენინი 5 თებერვალს დეპეშას აგზავნის ბაქოში ორჯონიკიძის სახელზე.

ლენინი_ორჯონიკიძეს

„ჩააბარეთ პოლიტკომის მორიგეს.

ჩაბარება დაუყოვნებლივ მაცნობეთ.

26 იანვარს სტალინმა გამოგიგზავნათ დაშიფრული დეპეშა №1225, რომლის პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ძალიან შეშფოთებული ვართ და გთხოვთ დაუყოვნებლივ გვიპასუხოთ.

მოსკოვი, კრემლი, 5/II-1921 წ[1]".

* * *

1921 წლის 6 თებერვალს სერგო ორჯონიკიძე ბაქოდან უგზავნის დეპეშას ცენტრალურ კომიტეტს, ასლს_ლენინსა და სტალინს, რომელშიც შეფასებას აძლევს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას:

„საქართველო საბოლოოდ გადაიქცა მსოფლიო კონტრრევოლუციის შტაბად ახლო აღმოსავლეთში. აქ მოქმედებენ ფრანგები, აქ მოქმედებენ ქიაზიმი და მთიელთა მთავრობის წარმომადგენელნი...".

ორჯონიკიძე აყენებს საკითხს აჯანყების დაწყების შესახებ.

* * *

8 თებერვალს ორჯონიკიძის დეპეშა განიხილა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, რომელმაც დაამტკიცა ორჯონიკიძის დეპეშაზე ლენინის პასუხი.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., სრ კრებული, ტ. 52, გვ, 66.

* * *

1921 წლის 11 თებერვალს, ღამით, ყოველგვარი ვერაგული საშუალებების გამოყენებით დაიწყო ინსცენირებული „აჯანყება“ ბორჩალოს მაზრაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების განადგურებისაგან „დაცვის“, ე. წ. აჯანყებულთა „ხსნის“ საბაბით საქართველოს საზღვრები დაუყოვნებლივ გადმოლახეს XI არმიის ნაწილებმა.

დაიწყო ომი, ომი უსამართლო, მტაცებლური რუსეთის საბჭოთა მთავრობის მხრივ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივად, მეორე მხარის გაუფრთხილებლად, ფარატინა ქაღალდად აქცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან საზეიმო ვითარებაში, გარეგნულად ყოველ შემთხვევაში ასე იყო, დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება.

* * *

საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე ნოე **ჟორდანიამ** რადიოთი მიმართა ლენინსა და ტროცკის. იგი თხოვდა მათ შეეჩერებინათ საომარი ოპერაციები და დაეწყოთ მოლაპარაკება უთანხმოების საკითხების გასარკვევად.

მაგრამ ჟორდანიას თხოვნა პასუხგაუცემელი დარჩა.

* * *

ლენინი ნერვიულობს. მას აინტერესებს, თუ როგორ ვითარდება XI არმიის ოპერაციები. მაგრამ კავშირგაბმულობის სუსტი მუშაობის გამო ვერ ხერხდება ლენინისათვის ცნობების მიწოდება. ამის გამო იგი სკლიანსკის სწერს.

12. II. 1921 წ.
„ამხ. სკლიანსკი[1]

გაუგონარი და წარმოუდგენელი რამ სჭირს ჩვენს კავშირგაბმულობას.

მე და სტალინი უაღრესად მნიშვნელოვან საქმეზე ვერ დავკავშირებივართ ორჯონიკიძეს, ფომინი—სმილგას.

პირდაპირ მე დამიმოწმეთ და სასწრაფო დეპეშა გაგზავნეთ დონის როსტოვში, დაუყოვნებლივ დანიშნონ პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია კავშირი ჰქონდეს ორივესთან და მათი პასუხი მაძლიოს (განუწყვეტლივ) მე, სტალინს, ფომინს[2] ორივესაგან.

თუ ეს არ იქნა, აქაურ პასუხისმგებელ პირთ სასამართლოს გადავცემ (ან დავათხოვნინებ და დავაპატიმრებინებ). ეს აუტანელია[3].

ლენინი.

* * *

P. S. ეს უკვე არმიის ზედაფენების სრული გახრწნაა!

არ არის კავშირი (!!) ისეთი თანამდებობის პირებთან, როგორც სმილგა და ორჯონიკიძეა!!

* * *

14 თებერვალს ლენინი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით დეპეშას უგზავნის XI არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს[4].

დეპეშაში ვკითხულობთ:

„ცეკა თანახმაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაუჭიროს მხარი საქართველოში მომხდარ აჯანყებას და დაიკავოს თბილისი. თუ დაიცავს საერთაშორისო ნორმებს და იმ პირობას,

---

[1] ე. მ. სკლიანსკი—სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
[2] გ. ვ. ფომინი—რკინიგზის სახალხო კომისრის მოადგილე.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., სრ., კრ., ტ. 52, გვ. 69-70.
[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., სრ., კრ., ტ. 52, გვ. 71.

რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი, ყველა მონაცემის სერიოზულად განხილვის შემდეგ, წარმატებას აღგვითქვამს, გაფრთხილებთ, რომ ტრანსპორტის გამო უპუროდ ვსხედვართ და ამიტომ ვერც ერთ მატარებელს და ვერც ერთ ვაგონს ვერ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან მარტო პური და ნავთი ვზიდოთ. მოვითხოვ დაუყოვნებლივ გვიპასუხოთ პირდაპირი მავთულით, პასუხს ხელი მოაწეროს მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრმა,—აგრეთვე **სმილგამ, გიტისმა, ტრიფონოვმა** და **ფრუმკინმა,** ყველა ამ პირის დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადამწყვეტი არაფერი იღონოთ".

14. 11. 21[1]".

დეპეშას ქვემოთ მიაწერა, ალბათ მდივნის მისამართით: „**არა, უკეთესია შეინახოთ არქისაიდუმლოდ 2-3 თვით**". ლენინის დეპეშა მართლაც საიდუმლოდ იყო შესანახი, რადგან XI არმიის ოპერაციები 4 დღით ადრე იყო დაწყებული.

* * *

ვ. ი. ლენინის ეს დეპეშა დაამტკიცა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საორგანიზაციო ბიუროს გაერთიანებულმა სხდომამ 14 თებერვალს.

* * *

15 თებერვალს ლენინი XI არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს უგზავნის მეორე დეპეშას:

„**დეპეშა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს[2].**

მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ცეკ-ას მიაჩნია ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივ დაცვად თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისა-

---

[1] შემდეგ ლენინმა დააწერა: ცეკას დავალებით კრესტინსკი. იხილე ვ. ი. ლენინი. თხზ. სრ. კრ., ტ. 52, გვ. 71.

[2] ვ. ი. ლენინის მიერ წარმოდგენილი დეპეშა დამტკიცებულ იქნა 15 თებერვალს პოლიტბიუროს სხდომაზე.

ლენინის ამ დეპეშასაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი მნიშვნელობა.

განზ. თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ანგარიში გაუწიეთ ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში.

რასაკვირველია, მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას მოველით, იგი არც თბილისის აღებას მოერიდება, თუ სამხედრო მოსაზრებით ეს საჭირო იქნა. ახალი თავდასხმისაგან ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გაფრთხილებები თქვენ მთელი სერიოზულობით გაქვთ გათვალისწინებული.

ცნობები ყოველდღე მოგვაწოდეთ[1]".

* * *

ცენტრალური კომიტეტის სახელით 15 თებერვალს გაგზავნილ ამ დეპეშას ჰქონდა სტალინის ხელით მინაწერი:

„სამი დღის შემდეგ ველი ცნობას თბილისის აღების შესახებ".

სტალინი

* * *

15 თებერვალს პოლიტბიუროს სხდომაზე ლენინის მიერ წარმოდგენილი დეპეშის ტექსტის დამტკიცებისთანავე სტალინი აცნობებს ორჯონიკიძეს:

სტალინი—ორჯონიკიძეს

„ახლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ პასუხს, აგრეთვე წინადადებას გაძლევ ეხლავე შეუტიო, დასტურია, აიღე ქალაქი

5. II.16 საათი".

* * *

ორჯონიკიძემ სტალინს დაუყოვნებლივ, 7 წუთში უპასუხა;

„ბარათი გასაგებია. **საჭირო იყო უფრო ადრე**[2]

---

[1] ხაზგასმული სიტყვები დეპეშაში ქართულად იყო შეტანილი.

[2] ხაზგასმული სიტყვები დეპეშაში ქართულად იყო შეტანილი.

* * *

16 თებერვალს საქართველოს რევკომმა თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინს საქართველოს „აჯანყებული“ მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ[1]. მასში ნათქვამია:

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იშვა მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხთა მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში, აღფრთოვანებულ სალამს უგზავნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ სამი წლის მანძილზე ნასაზრდოებმა მენშევიკების მთავრობამ შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრგუნავად. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელები მოისუსტებდნენ და ყველა ცდა—დაემხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით მთავრდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ისწრაფვიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ლაშქრის დაწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეუძლია. ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიადი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას[2]“.

* * *

გაჩაღებული საომარი ოპერაციების დღეს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიჩერინი შეიმანს უგზავნის დეპეშას:

---

[1] მიმართვა რევკომის თავმჯდომარის მოადგილის სახელით ხელს აწერდა მამია ორახელაშვილი. რევკომის თხოვნამ დაიგვიანა 6 დღით.

[2] ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, თბ., 1958 წ. რუს, ენაზე. გვ. 659.

ჩიჩერინი—შეიმანს[1]

„გადაეცით საქართველოს მთავრობას ქვემოთ აღნიშნული:

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერს საქართველოს მთავრობამ თავისი ჯარებით დაიკავა არა მარტო მის მიერ საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარე ნეიტრალური ზონის მთელი ტერიტორია, არამედ სომხეთის უდავო ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილიც.

მიუხედავად სომხეთის საბჭოთა მთავრობის 26 ნოემბრის[2] პროტესტისა, საქართველოს ჯარები კვლავ ინარჩუნებენ ამ ტერიტორიებს, მიმართავენ მოსახლეობის წინააღმდეგ ყოველგვარ ექსცესებსა და რეპრესიებს. კიდევ მეტი—საქართველოს მთავრობა ნაღმავდა სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ხიდებს, ეწეოდა მოსახლეობაში აგიტაციას საქართველოსთან მათი მიერთების შესახებ, ხელწერილსაც კი ართმევდნენ მოსახლეობას, რომ ვითომც ისინი თანახმანი არიან საქართველოსთან სომხეთის უდავო ტერიტორიის შეერთებაზე.

11 თებერვალს[3] **შაყოლის მოსახლეობა**, რომელიც მდებარეობს სომხეთის საზღვრების შიგნით, და სხვა მოსაზღვრე სოფლები აჯანყდნენ ქართველი ოკუპანტების წინააღმდეგ. მომდევნო დღეებში კი აჯანყებამ მოიცვა **ბორჩალოსა** და **ყაირაიაზის** რაიონების მუსულმანური მოსახლეობა. საქართველოს მთავრობის განცხადებით ბრძოლებში მონაწილეობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის რეგულარული ნაწილები. ჩვენ გვაცნობეს, რომ საქართველოს მთავრობა აპატიმრებდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მისიონერებს თბილისში. რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თბილისში ამხ. შეიმანმა გამოთქვა მზადყოფნა გაემგზავროს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად აჯანყებულებთან კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ამ წინადადებაზე უარი თქვა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობამ არ დაკარგა იმედი, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეების მოლაპარაკების გზით მიღწეული იქნებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა. რუსეთის მთავრობა ამ მიზ-

---

[1] რუსეთის საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თბილისში.
[2] 1920 წლის 26 ნოემბერი.
[3] 1921 წლის 11 თებერვალი.

ნით თავის სამსახურს სთავაზობს როგორც საქართველოს მთავრობას, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს და, მათი მხრიდან თანხმობის მიღებისთანავე, იგი მზადაა გააგზავნოს თბილისში საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, მისი სახელით მოლაპარაკების მოწყობისათვის ყველა მტრულ მხარეებთან, მათ შორის კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით. ჩვენი სურვილი იქნებოდა, თანახმაა თუ არა საქართველოს მთავრობა, რომ გაიგზავნოს ამ მისიით საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **აბელ ენუქიძე**[1]

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი...“

16-11-21

XI არმიის საომარი ოპერაციები არ ვითარდებოდა ისეთი სისწრაფით, როგორც ამას მოელოდნენ ოკუპანტები. ფერხდებოდა თბილისის აღება. ამასთან დაკავშირებით 18 თებერვალს სტალინი აგზავნის დეპეშას ორჯონიკიძის სახელზე:

სტალინი_ორჯონიკიძეს

„ცეკა მოითხოვდა თქვენგან რეგულარულ ინფორმაციას ორჯერ დღეში, შენ კი უკვე ორი დღეა ცნობას არ იძლევი. ცეკა მოითხოვს დირექტივის შესრულებას. ამ წუთშივე მოგვეცი ცნობა აჯანყებულთა მიღწევების ხაზის შესახებ. **საჭიროა დააჩქაროთ ქალაქის აღება.“**

---

[1] ჩიჩერინის ეს დეპეშა ხელისმოწერის დღესვე გაგზავნილი უნდა ყოფილიყო თბილისში შეიმანისათვის, მაგრამ იმის მომიზეზებით, რომ ვითომც თბილისთან კავშირი არ იყო, XI არმიის შტაბის უფროსის განკარგულებით ჩიჩერინის დეპეშა ხელმოწერის მეოთხე დღეს, 19 თებერვალს გაეგზავნა ბაქოში ორჯონიკიძეს. ასე რომ, დეპეშის შინაარსი დროზე არც შეიმანისთვის და არც საქართველოს მთავრობისათვის არ გახდა ცნობილი, რადგან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებით არც ჩიჩერინი, არც XI არმიის შტაბი, არც ორჯონიკიძე იყვნენ დაინტერესებულნი. მით უმეტეს, საქართველოს საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მომხრე არც საბჭოთა მთავრობა იყო, რადგან საბჭოთა საოკუპაციო ჯარის ნაწილები უკვე თბილისს უახლოვდებოდნენ. ჩიჩერინის დეპეშის დიპლომატიური ეონგლიორობის ძირითადი მიზანი იყო რუსეთის საბჭოთა მთავრობის აგრესიული პოლიტიკისა და XI არმიის საოკუპაციო ოპერაციების შენიღბვა.

* * *

„ძალადობით გაწამებული საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ... და მძლავრი ნიაღვარივით დაიძრნენ თბილისისაკენ... და ახლა წითელი ნიაღვარი უახლოვდება თბილისს, ბურჟუაზიული ღრეობის ამ საძულველ კერას. თბილისის საათები დათვლილია, შესაძლოა, ამ წუთს თბილისის თავზე უკვე ფრიალებს პროლეტარული დიქტატურის წითელი დროშა[1]".

* * *

უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც დაახლოებით 15 დღე გრძელდებოდა, დამარცხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

25 თებერვალს ეროვნული დროშა, აღმართული თბილისის თავზე 1918 წლის 26 მაისს, დაბლა დაეშვა. მოხდა საქართველოს ოკუპაცია, რაც შემდეგში არაერთხელ უღიარებიათ მის ორგანიზატორებსაც.

საინტერესოა, თუ როგორ წარმოადგინა თვითონ **ლენინმა** მისი მთავრობის მიერ საქართველოს ოკუპაციის პროცესი. იგი 1921 წლის 28 თებერვალს თავის სიტყვაში მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე **ამბობდა**: „იქ, (კავკასიაში ო.დ.) ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა, რომელთა აზრი ის არის, რომ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავეღელვებინეთ და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა... და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც... და უკანასკნელმა ცნობამ, რომელიც ჩვენ გვქონდა, გაამართლა ის, რასაც მოველოდით[2]".

ჩვენ სპეციალურად ამოვწერეთ ეს ციტატი, რათა მკითხველისათვის ნათლად გვეჩვენებინა, თუ რა ოსტატურად, მიკიბულ-მო-

---

[1] ხაზგასმული სტიქონების ყოველი სიტყვა იყო ყალბი.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 176-177.

კიბულად აყალბებს სინამდვილეს საქართველოს ოკუპაციის მთავარი ორგანიზატორი.

* * *

ამრიგად, უაღრესად ცუდი საქმე დამართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ზედმეტმა გულდანდობამ, რომელიც ფიქრობდა და რომელსაც სჯეროდა, რომ რუსეთის მთავრობა მტკიცედ დაიცავდა საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებს. ასევე სჯეროდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომ არ უღალატებდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რუსული ტიპის მთავრობები იმ საუკუნეობრივ მეგობრობას, რომელიც ამ რესპუბლიკათა ხალხებს ჰქონდათ საქართველოსთან, ქართველ ერთან. მაგრამ ერთ ყოველთვის ავადმოსაგონარ დღეს რუსეთის მთავრობამ, რომელიც მშვიდობის მედროშედ აცხადებდა თავს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობასთან ერთად, ომი გამოუცხადა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

სამ ფრონტზე: რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით ორი კვირა, დამარცხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთელი თავისი შემადგენლობით იძულებული გახდა წასულიყო ეროვნული დროშით საზღვარგარეთ, ემიგრაციაში, მაგრამ მათ ოდნავ არ შეუნელებიათ ბრძოლა საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენისათვის. ქვეყნის შინაური ძალების მხარდაჭერით ბევრჯერ სცადეს მათ ამ ისტორიული საქმის განხორციელება. ქართველი ერის ბევრი სახელოვანი შვილი დაილუპა ამ საქმისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ემიგრან-

ტების, მთელი ქართველი ერის ოცნების განხორციელებას მაშინ არ ეწერა ბედი.

მხოლოდ 71 წლის შემდეგ, ისიც ჯერჯერობით ნაწილობრივ, 1991 წლის 26 მაისს განხორციელდა მათი ოცნება ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ.

მხოლოდ დიდად გულისატკენი ისაა, რომ არც ერთი იმათგანი, ვინც პირველად, 1918 წლის 26 მაისს, შექმნა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, პირველი ქართული, სუვერენული, დემოკრატიული რესპუბლიკა და აღმართა ეროვნული დროშა ვერ მოესწრო ამ ისტორიულ დღეს.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: რომ არ შექმნილიყო 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტით, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ შეუძლებელი იქნებოდა დღევანდელი სახით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ასევე არ იქნებოდა გამორიცხული, საქართველო კვლავ დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში, ცხადია, კოლონიური უფლებებით.

* * *

როცა ჩვენ ვწერთ რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა ერმა 1921 წლის თებერვლის უბედურ დღეებში გაუგონარი მსხვერპლის ფასად მოპოვებული სუვერენული უფლებების დაკარგვით გამოწვეული მაშინდელი აღგზნება, გულისტკივილი და ოკუპანტებისადმი სიძულვილი გამოხატოს რუსი ერისადმი მტრობაში, ცხადია, ეს ორი ერი, რომელთაც ერთმანეთთან საუკუნეობრივი მეგობრობა აკავშირებთ, ყოველთვის დიდი ნდობითა და სიყვარულით იყვნენ, არიან და იქნებიან ერთმანეთის მიმართ გამსჭვალულნი.

საშვილიშვილო ღალატი

იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის მიერ გაჩუქებული ქართული ტერიტორიები

სერგო ორჯონიკიძე: „თუ არ გაჩუმდებით, სომხეთის საზღვარს ავლაბარში გადმოვიცან"

იოსებ სტალინი: „თუ ჯაუით არ იქნებით საქართველოს გადავხნავ."

მართალია, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი მესვეურნი ძალიან გულუხვები იყვნენ. საქართველოს ტერიტორიების გაჩუქებას ედუარდ შევარდნაძეც აგრძელებდა ქართველი ერის დაუკითხავად. ამიტომაც თითქოსდა დავიწყებას მიეცა თავდაპირველი საქართველოს ტერიტორიული მდგომარეობა, შესაბამისად შეიცვალა ჩვენი სამშობლოს ფიზიკური და პოლიტიკური რუკაც. ჩვენი ბედკრული სამშობლოს ძირძველი მიწები მოღალატურად გაასაჩუქრეს ქართველმა კომუნისტებმა: **იოსებ სტალინმა** და **სერგო ორჯონიკიძემ**. ისტორიული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებს: რუსეთს, თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს იოსებ სტალინმა, სერგო ორჯონიკიძემ და ფილიპე მახარაძემ დაურიგეს ქართული ტერიტორიები.

რეზო თაბუკაშვილის თქმით: „მეზობელი აღარ დაგვრჩა, ჩვენი მიწა რომ არ რგებოდა."

1801 წელს საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგა, იგი ანექსირებული იქნა რუსეთის მიერ და მოხდა საქართველოს სახელმწიფოს გაუქმება. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი XIX საუკუნის 70-იან წლებში შეიერთა რუსეთის იმპერიამ, 1918 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა, ქვეყნის ყველა ტერიტორია ვერ დავიბრუნეთ. საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა ისტორიული **საინგეთის** (გვიანდელი ჯიქეთი) ტერიტორია ქალაქებით: **სოჭი** და **ნიკოფსია** (ტუაფსე), თურქეთის იმპერიამ **ტაო-კლარჯეთის** დიდი ნაწილი მიიტაცა, სომხეთისა და საქართველოს საზღვარზე ლორეს ნეიტრალური ზონა დაარსდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკამ **წითელი ხიდისა** და **შამქო-**

რის რაიონს შორის მდებარე ისტორიული **გარდაბნის** ტერიტორია დაისაკუთრა.

ისტორიული დვალეთი, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ კავკასიაში, **ჯიქეთ-საინგეთთან** ერთად რუსეთს დარჩა. მართალია, საზღვრების ფორმირებას იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენელი **ნოე ჟორდანია** შეეცადა, მაგრამ ამაოდ.

1918 წლის ივნისში აფხაზეთს რუსული ჯარი თავს დაესხა, ქართველმა მეომრებმა მამაცური ბრძოლით რუსი დამპყრობლები დაამარცხეს. გამარჯვების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ჩრდილო დასავლეთის საზღვრები გაგრიდან სოჭის ოლქამდე გადაიტანა, მაგრამ შემდეგ, 1919 წლის თებერვალში, **დენიკინთან** შეტაკების დროს, სოჭი და გაგრა კვლავ დავკარგეთ. შემდეგ, **რუსეთ-საქართველოს საზღვარი,** 1920 წლის 7 მაისის შეთანხმებით, მდინარე ფსოუზე დადგინდა.

1919 წელს სამცხე-ჯავახეთში **თურქოფილების** ამბოხება დაიწყო, საქართველოს ჯარი შეიჭრა ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე და მთელი შავშეთი, კლარჯეთი, არტაანი და ართვინი საქართველოს ხელში გადმოვიდა, მაგრამ 1918 წლის მარტში ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დაკარგული ილთისი და კოდა საქართველომ ველარ დაიბრუნა. ამ მხრივ საინგილოც არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში, იგი 1921 წელს ავტონომიური სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში გამოცხადდა, მაგრამ ჟორდანიას მთავრობის არსებობის პერიოდში ჯარების შეყვანა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, „ერთა ლიგამ“ საინგილო, ართვინ-არტაანთან ერთად, საქართველოს შემადგენლობაში აღიარა. 1921 წელს, როცა რუსეთის ჯარი საქართველოში შემოიჭრა და დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, იგი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა, რის შემდეგ საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას რუსეთის მთავრობა განაგებდა. ჯერ კიდევ საქართველოს დაპყრობამდე, 16 თებერვალს, გაიმართა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკება საქართველოს გაყოფის შესახებ. 16 მარტს ხელშეკრულებაც გაფორმდა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა **ართვინი და არტაანი** თურქეთის შემადგენლობაში აღიარა, ბათუმი კი თავის საკუთრებად გამოაცხადა. ამის შესახებ ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 1/6 ნაწილი დარჩა. თურ-

ქების მიერ დაპყრობილ ბათუმზე, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, მის მიერ დამარცხებული საქართველოს ჯარის დახმარებით კონტროლი დაამყარა. განთავისუფლებულ ქართულ არმიას სარდლობდა გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი.**

კავკასიაში რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვრების საბოლოო დადგენისათვის განმეორებითი მოლაპარაკება 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბერში **ყარსში** გაიმართა. მასში საქართველოს წარმომადგენლებიდან ფორმალურად მონაწილეობდნენ საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამხედრო კომისრები **ალექსანდრე სვანიძე** და **შალვა ელიავა.** რუსული მხრიდან, თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელი **ქიაზიმ ყარა-ბექირ ფაშასთან** (თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი), მოლაპარაკებას **იაკობ განეცკი** წარმართავდა.

რუსეთ-თურქეთს შორის სასაზღვრო-სამშვიდობო ე.წ. „მეგობრობის ხელშეკრულება" ქალაქ ყარსში 13 ოქტომბერს გაფორმდა, ხელშეკრულება შედგებოდა 20 მუხლისა და 4 დამატებისაგან, რომელიც კავკასიის საკითხებზე ადრე არსებულ მთავრობათა ყველა ხელშეკრულებას გაუქმებულად აღიარებდა. ყარსის ხელშეკრულება მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულების რატიფიკაცია იყო. საზღვრების საკითხში ორივე ერთსა და იმავეს ადასტურებდა.

1920 წლის ოსმალეთის დეპუტატთა პალატის მიერ მიღებულ **„თურქეთის ეროვნული პაქტის"** მიხედვით, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე—სოფელ სარფიდან, და თურქეთის შემადგენელ ნაწილად აქცევდა „ერთა ლიგის" მიერ საქართველოს შემადგენლობაში აღიარებულ ართვინსა და არტაანს.

თურქეთის აღნიშნული პაქტის აღიარებით, რუსული დიპლომატია თავს უხერხულ მდგომარეობაში იყენებდა, რადგან 1921 წლის 16 მარტამდე, მას, 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული ჰქონდა სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომლითაც რუსეთი ართვინსა და არტაანს დამოუკიდებელი საქართველოს შემადგელობაში აღიარებდა. ამით, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, ქალაქ ყარსში მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა, რის შედე-

გადაც საქართველომ ტაო-კლარჯეთის უდიდესი ნაწილი სამუდამოდ დაკარგა.

ყარსის კონფერენციის დროს საქართველოს წარმომადგენლებმა დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ თურქეთის საზღვარი სოფელ სარფიდან, სამხრეთით, სოფელ ქავთარეთამდე მაინც გადაეტანათ.

ათათურქის თურქეთი საქართველოს ამ მცირე დათმობაზეც არ დათანხმდა. არანაკლებ პრობლემური აღმოჩნდა საბჭოთა საქართველოს საზღვრების დადგენა მოძმე სომხეთთან და აზერბაიჯანთან. დამოუკიდებლობის დროს, ყველაფერი ეს ხშირად იარაღის გამოყენებით წყდებოდა, გასაბჭოების შემდეგ კი ჩათვალეს, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებით გახდებოდა შესაძლებელი, რასაც მოსაზღვრე რესპუბლიკებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. საზღვრების დადგენისას, ერთი მხარე ისტორიულ მონაცემებს აძლევდა უპირატესობას, მეორე—ეთნიკურს.

ჩემის აზრით, ანგარიში უნდა გაწეოდა როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ მხარესაც. ამ საკითხის დასადგენად რუსეთის კომპარტიის კავბიურომ (კავკასიის ბიურო) შექმნა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **სერგეი კიროვი.** 1921 წლის 25-27 ივნისს თბილისში გაიმართა კომისიის სხდომა, სადაც სომხურმა დელეგაციამ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ლორეს, ხრამის აუზისა და ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი) სომხეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, საფუძვლად უდებდნენ იმას, რომ ჯავახეთში 72% სომხური მოსახლეობა იყო. ასეთი მოთხოვნა ძალზე გადაჭარბებული თავხედობა გახლდათ, რამაც საქართველოს ხელისუფლების აგრესია გამოიწვია, ისინი ამ უსამართლო მოთხოვნის წინააღმდეგ გამოვიდნენ. 25 ივნისის სხდომაზე ლორეს ნეიტრალური ზონის, რომელიც სომხეთ-საქართველოს ომის შესაჩერებლად 1919 წელს ანტანტის სახელმწიფოების შემადგენლობით დაარსდა, საკითხი იდგა და მასზეც ვერ მოხერხდა შეთანხმება. სომხეთის დელეგაცია ითხოვდა, რომ ლორეს ნეიტრალური ზონა მთლიანად სომხეთის შემადგენლობაში შესულიყო, საქართველოს წარმომადგენლები კი სრულიად სამართლიანად ითხოვდნენ ზონის ორ ნაწილად გაყოფას, აქედან ერთი ნაწილი, რომელიც საქართველოს მხარეს იმყოფებოდა, საქართველოს შემადგენლობაში შევიდოდა, ხოლო მეორე მხარე, რომელიც სომხებს ესაზღვრებოდა, სომხეთის

შემადგელობაში. ამ პირობაზე სომხეთის დელეგაციამ უარი განაცხადა.

1921 წლის 26 მაისს გამართული სხდომა საბჭოთა საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში არსებული **ზაქათალას ოლქის** (საინგილო) საკითხს ეხებოდა. აზერბაიჯანულმა დელეგაციამ საინგილო საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა, მაგრამ მოითხოვა აღნიშნულ მხარეში მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის ავტონომიური სტატუსის მინიჭება. ამ მოთხოვნას ქართული მხარე დაეთანხმა. ეს საკითხი მოგვარდა, მაგრამ ლორეს ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმებას სომხურ მხარესთან ვერ მიაღწიეს. კიროვის კომისიამ პასუხისმგებლობა მოიხსნა და საკითხის გადაწყვეტა დაევალა კავბიუროს, სადაც ძირითადი გადამწყვეტი სიტყვა იოსებ სტალინსა და სერგო ორჯონიკიძეს ეკუთვნოდათ.

1921 წლის 27 ივლისს რუსეთის კომუნისტთა კავშირის ბიუროს სხდომაც შედგა. სხდომას იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე უძღვებოდნენ. საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებიდან სხდომას ესწრებოდნენ საგარეო საბჭოთა სახალხო კომისრები: **ალექსანდრე სვანაძე და ასქანაზ მარგვიანი.** კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება „ლორეს ნეიტრალური ზონის" სომხეთთან შეერთების შესახებ. ამრიგად ლორეს მხარე სამუდამოდ სომხეთის საკუთრება გახდა. რაც შეეხება სომხური წარმომადგენლების მოთხოვნას—ახალქალაქის მაზრისა (ჯავახეთი) და ხრამის რაიონების საკითხის განხილვის შესახებ, ამის მოგვარება-განხილვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა. 1921 წლის ივლისისა და 3 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის გადაწყვეტილებით, ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი) და ხრამის რაიონები საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ ქვემო-ქართლის-ლორეს ნეიტრალური ზონის გაჩუქება, ისე როგორც სხვა ზოგიერთი მოსაზღვრე ტერიტორიებისა, და საერთოდ საქართველოს ძირძველი ტერიტორიებიდან მათი მოწყვეტა, შეიძლება ითქვას, რომ იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მხარდაჭერით მოხდა, თუმცა ამით საქართველოს ტერიტორიების გაჩუქება არ დამთავრებულა, **იგი ისევ გაგრძელდა...**

1921 წლის 5 ივნისს გაირკვა, რომ საქართველოს აზერბაიჯანისათვის უნდა გადაეცა ზაქათალას ოლქი (საინგილო) და მტკვრის აღმოსავლეთ სანაპირო. ამჯერად, ქართველთაგან, რა თქმა უნდა, სტალინის დავალებით, თავი გამოიჩინა საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. მან აზერბაიჯანელ მეგობარს ნარიმან ნარიმანოვს ქართული მიწა-წყალი თავისი ხელმოწერით საჩუქრად უსახსოვრა. საბოლოო დაანგარიშებით, 1921 წელს თურქეთი 12, 115 ათასი კვ. კილომეტრი საქართველოს ტერიტორიით დასაჩუქრდა, რომლის მოსახლეობა 164 ათას შეადგენდა, საბჭოთა სომხეთი—3,812 ათასი კვ. კილომეტრი ტერიტორიით, საბჭოთა აზერბაიჯანი—3,491 ათასი კვ. კილომეტრით, სულ—თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გადაეცათ საქართველოს ტერიტორიიდან 19,418 ათასი კვ. კილომეტრი. რუსეთს საქართველოს ისტორიული ტერიტორიები დარჩა: ისტორიული დვალეთი, ისტორიული საინგეთის (გვიანდელი ჯიქეთი) ტერიტორია, ქალაქებით: სოჭი და ნიკოფსია (ტუაფსე).

ცხადია, რომ იოსებ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მხრიდან ეს გახლდათ საშვილიშვილო ღალატი და ბუნებრივია, რომ მათ ორივეს თავს დაატყდათ ქართველი ხალხის სამართლიანი რისხვა.

ქართველო ერის საპასუხოდ მოღალატე სერგო იმუქრებოდა: „თუ ჭკუით არ იქნებით, თქვენს მოთხოვნას არასდროს დავემორჩილები და ასეთ შემთხვევაში სომხეთის საზღვარს ავლაბარში გადმოვიტანო“, ხოლო იოსებ სტალინმა, 1922 წელს, თბილისში ჩამოსვლისას, მაშინდელი ვაიკომუნისტების (მთავრობის) თხოვნით, მიმართვაზე—დახმარებოდა მათ საქართველოს საზღვრების გასწორების საკითხში, განაცხადა: „საქართველოს მთლიანად გადავხნავო“.

იოსებ სტალინი ამოუცნობი პიროვნება გახლდათ, ძალზე დიდი და გენიალური, მაგრამ ბოროტებაშერეული ნიჭით დაჯილდოებული. მან 2 მილიონი რჩეული და ქვეყნის პატრიოტი ადამიანი, რომლებმაც აღიმაღლეს ხმა უსამართლობის წინააღმდეგ, სიკვდილით დასაჯა. 2 მილიონზე მეტი გადასახლებაში გააგზავნა, მათ შორის პროცენტულად ყველაზე მეტი საქართველოდან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით.

მთელს ქვეყანაში სტალინისადმი დიდი შიში იყო გამეფებული. მას ყველა ემორჩილებოდა, ხოლო თუ ვინმე უსამართლობის წინა-

აღმდეგ გამოვიდოდა, ის განწირული იყო. სტალინს თავისუფლად შეეძლო საქართველოს ტერიტორიების მეზობელი ქვეყნებისათვის გადაცემა (მათ მიერ მითვისება) ან თავიდან გამოერიცხა, ან კიდევ (უკიდურეს შემთხვევაში) რაღაცნაირი „მაქინაციებით" მითვისებული ტერიტორიები უპრობლემოდ დაებრუნებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, ამით კი საშვილიშვილოდ მოუგვარებელი პრობლემები და კონფლიქტები დაუტოვა ჩვენს ქვეყანას. უფრო მეტიც, მან საქართველო დაანაწევრა, შექმნა ავტონომიური რესპუბლიკები: ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ამით ისეთი ნაღმი ჩადო საქართველოში, რომელმაც ახლა იწყო აფეთქება.

ამ ნაღმის გაუვნებლობისათვის არც შემდგომ მესვეურს „მოუკლავს" თავი...

რუსეთი ყოველთვის კარგად იყენებდა თვითაღიარებული საქართველოს სახელმწიფო მეთაურის _ბატონი ედუარდ შევარდნაძის გაუმართლებელ, ერისთვის მიუღებელ მორჩილებას რუსეთისადმი.

ე. **შევარდნაძეს** დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დავკარგეთ სამაჩაბლო და აფხაზეთი, აჭარაც საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ხალხის თანადგომით აიძულა საქართველოს მოღალატე ედუარდ შევარდნაძე გადამდგარიყო.

დღეს ქვეყანა ახალი, ძლიერი, გაბედული, ნიჭიერი, შორსმჭვრეტელი, ყოველმხრივ აღიარებული და პოპულარული, ხალხის მიერ არჩეული ახალგაზრდა პრეზიდენტის მეთაურობით, დიდი შემართებით იბრძვის აღორძინების, წინსვლის, წარმატების, მსოფლიოს მასშტაბით ღირსეული ადგილის დამკვიდრების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და თითოეული მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

უკვე მკვეთრად ჩანს მიღწეული... გაკეთდა ბევრი სასიკეთო საქმე, ადამიანს თანდათან უჩნდება მომავლის რწმენა და იმედი, უბრუნდება ცხოვრების ხალისი.

გვჯერა, მალე გამთლიანდება და აღორძინდება ჩვენი ბედკრული სამშობლო. იგი ისეთი იქნება, სადაც სიცოცხლეც ეღირება და სიკვდილიც...

1924 წლის დიდი აჯანყება საქართველოში

ქართველი ერის ისტორიაში ცნობილი დიდი აჯანყება **1924 წლის 29 აგვისტოსათვის** დაინიშნა. შვიდიოდე დღით ადრე დამოუკიდებლობის კომიტეტი და აჯანყებულთა არმიის საერთო შტაბი შეიკრიბა შიომღვიმის მონასტერში (ისტორიულ სავანეში), სადაც ძველი დროის ქართველი მეფეები მოდიოდნენ ბრძოლის წინ სალოცავად და სამღვდელოებისაგან ლოცვა—კურთხევის მისაღებად.

დღემდე გაურკვეველია, როგორ მოხდა, რომ აჯანყება გეგმისამებრ ყველგან ერთდროულად არ დაიწყო. ჭიათურა და მათი შემოგარენი—29 აგვისტოს ნაცვლად წინა დღეს აჯანყდა. თავდაპირველად გამოსვლები წარმატებით ვითარდებოდა. დიდი ქალაქების გარდა, სხვა ადგილებში კომუნისტების წინააღმდეგობა უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. გაფანტული წითელი არმიისა და ჩეკას რაზმების საკმაო ნაწილი დამარცხდა, ზოგი დაიღუპა, ზოგი კი ტყვედ ჩაიგდეს. პირველ დღეებში საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ნახევარზე მეტი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. წითელი დროშები და საბჭოთა გერბები ჩამოყარეს და ქართული, ეროვნული დროშები ააფრიალეს; იმ ეკლესიებში, რომლებიც კომუნისტებისაგან განადგურებას გადაურჩა, კვლავ აღდგა წირვა-ლოცვა და კვლავ გაისმა ზარების რეკვა. კომუნისტი-ხელისუფალნი დაატაპიმრეს, „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გამოსცა მკაცრი ბრძანება—არც ერთი დაპატიმრებული კომუნისტი არ დაეხვრიტათ, ისინი მოგვიანებით უნდა გაესამართლებინათ საქართველოს კანონებით.

ჭიათურის გამოსვლამ ერთი დღით ადრე საბედისწერო როლი შეასრულა: მთავრობის საგანგებო ორგანოებს მიეცათ შესაძლებლობა დროულად განეხორციელებინათ აჯანყების სალიკვიდაციო ღონისძიებანი. აჯანყებას მაინც მასობრივი ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებით შორაპანში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში და ვანის რაიონში. ამოქმედდა წითელი ჯარი. ჭიათურა-შორაპანში აჯანყების სალიკვიდაციო ღონისძიებებს ახორციელებდნენ სამხედრო ნაწილები **ი. ტალახაძის** მეთაურობით. შორაპანში დახვრეტილნი იქნენ რკინიგზის ვაგონებში გამომწყვდეული უდანაშაულო ადამიანები. დახვრეტილთა ნამდვილი რაოდენობა არავინ იცის. მათი

სისხლი ღელესავით მოედინებოდა. უმკაცრესი რეპრესიები განხორციელდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში.

სენაკში, ა. **გეგეჭკორის** მითითებით, 500 კაცი დახვრიტეს. შორაპანსა და ჭიათურაში სისხლისმღვრელი ოპერაციების შემდეგ, ი. ტალახაძის სამხედრო ნაწილი დასავლეთის მიმართულებით გაემგზავრა და აჯანყების კერებს სპობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ვანის რაიონში** მიმდინარე მოვლენები. გეგმის მიხედვით ვანში აჯანყება 29 აგვისტოს დაიწყო, მას ხელმძღვანელობდა **სერგო თვალაბეიშვილი**, ხოლო საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელი გახლდათ **ამბერკი ადეიშვილი**. აჯანყების წარმატების შემთხვევაში, მათ შეუერთდებოდნენ ბაღდათისა და სამტრედიის რაიონების აჯანყებულები და ერთად ქუთაისისკენ დაიძრებოდნენ ყუმურიდან მოყოლებული ამაღლების თემის, ინაშაურის, ზედა ბზვანისა და ქვედა ბზვანის ჩათვლით, ბაშიდან ვარციხემდე საკმარისი იყო მდინარე რიონის სანაპიროების გაკონტროლება. დვალიშვილების თემიდან, ახლანდელი სოფელი სულორიდან, ბრძოლა დაიწყო **იოველ დვალიშვილმა** თავისი რაზმით, მათ ბრძოლის გარეშე დაიკავეს დიხაშხოს, საქარიხიდეს, ახლანდელი სალხინოს ტერიტორიები. იოველის რაზმს გზადაგზა ემატებოდნენ მოხალისეები. ისინი კომუნისტებისაგან განთავისუფლებულ სოფლებში ტოვებდნენ რაზმის ისეთ ნაწილს, რომელიც საკმარისი იყო დაპატიმრებული კომუნისტების მეთვალყურეობისა და სოფელში წესრიგის დაცვისათვის, აგრეთვე მებრძოლებისათვის პროდუქტის მოსამარაგებლად. ქვედა ბზვანიდან ამბოხებულებს **ერმილე ტყეშელაშვილი** გაუძღვა, ზედა ბზვანიდან **ალექსანდრე დვალიშვილი**, ისინი წარმატებული ბრძოლით ჩავიდნენ ამაღლებამდე, დაპატიმრებული კომუნისტები ამაღლების პარკის საწყობის საშრობში ჩაამწყვდიეს და ზედამხედველი დაუნიშნეს. აქ ისინი უნდა დალოდებოდნენ სხვებს, ერთიანი ძალით უნდა გადასულიყვნენ მდინარე რიონზე და შესულიყვნენ სოფლების ასაღებად. **ვასილ ნესტორის ძე დვალიშვილი** ბზვანელების რაზმში არ დარჩა, გადავიდა დვალიშვილების თემში და იოველს შეუერთდა. საპრასია—უხუთის რაზმი **გრიგოლ ხურციძის** მეთაურობით ბაღდათში უნდა გადასულიყო, იქედან კი სვირში და რკინიგზა დაეკავებინა, ბოლშევიკებისათვის უნდა ჩაეკეტა გზა, რადგან ბოლშევიკებს დამხმარე ძალა არ გადმოეყვანათ

აღმოსავლეთ საქართველოდან. ვანის აღმასკომის თავმჯდომარე **კოლუაშვილი** იმ დროს აღმასკომის შენობაში თავის კაბინეტში გახლდათ. აჯანყებულებმა ფოსტის შენობასთან მხარზე თოფგადაკიდებული პოლიციელი შენიშნეს. გაფრთხილების მიუხედავად მან გასროლა მოასწრო და დაჭრა ერთი კაცი. საპასუხო სროლისას პოლიციელი მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა, სროლის ხმაზე აღმასკომის თავმჯდომარემ გამოიხედა და დაინახა—თუ როგორ ექცეოდა თვითონ ამბერკის რაზმის მიერ გარშემორტყმულ ალყაში. მან გადაწყვიტა უბრძოლველად არ დანებებულიყო. შენობაში სერგო და ამბერკი შეიჭრნენ. კიდევ ერთი პოლიციელი, გვარად **ახვლედიანი** დაიღუპა ამ ბრძოლაში. ამ დროს კოლუაშვილმა რამდენიმე გასროლა მოასწრო, ერთი ტყვია ადეიშვილსაც მოხვდა სახის არეში, ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. ადეიშვილმა ესროლა და მოკლა კოლუაშვილი. შემდეგ ავიდნენ ამაღლებაში, სადაც ყველამ მოიყარა თავი, იწყეს რიონის დაზვერვა, ხალხმა გამოიტანა სურსათ-სანოვაგე და გაუმასპინძლდნენ აჯანყებულებს. ინაშაურელმა **კალისტრატე გაბუნიამ** მოზვერი ჩამოიყვანა, დაკლა, ხორცი მოხარშა და თქვა: „ბიჭებო, მალე იქნება ყველაფერი, მეტი საშუალება არ მქონდა, თორემ ძროხა უნდა დამეკლა—ო". აჯანყებულებს თანდათან ემატებოდნენ მოხალისე წევრები. ბაღდათის მეამბოხეთა მეთაურმა **კიკნაძემ** კაცი გამოაგზავნა და აცნობა—ბაღდათი გავანთავისუფლეთ კომუნისტებისაგან და ახლა სადგურ „სვირთან" ვაწარმოებთ ბრძოლებსო. სამტრედიიდანაც მოვიდა ცნობა—ქალაქზე მისასვლელი ყველა გზა გადავკეტეთო.

ჯიხაიშში შეტაკების დროს კომუნისტებმა დაყარეს იარაღი, რადგანაც დამხმარე ძალა არ გამოუჩნდათ. სახელდახელოდ გაშლილ პურმარილზე ისადილეს. შემდეგ ალექსანდრე დვალიშვილმა, კალისტრატე გაბუნიამ და ერმილე ტყეშელაშვილმა კალათში ჩაალაგეს სასმელ—საჭმელი და პატიმარ კომუნისტებს მიუტანეს. ალექსანდრე დვალიშვილმა მათ უთხრა: „მიირთვით, ნუ დავწყვიტავთ ერთმანეთს ქართველები, საქართველოში რუსი კომუნისტების შემოყვანის და ბატონობისათვის, ჯერ კიდევ დროა დავფიქრდეთ და ყველა ერთად დავდგეთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად რუსი დამპყრობლების წინააღმდეგო".

ნასადილევს სერგო, ამბერკი, იოველი, ალექსანდრე და სხვები გაუძღვნენ აჯანყებულებს. ისინი რიონისაკენ გაემართნენ. იოველისა და ალექსანდრეს რაზმები შეუერთდნენ. ვასილ დვალიშვილმა სიმღერაც კი წამოიწყო, მას არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. მოძახილი მიაშველეს იოველმა და ალექსანდრე დვალიშვილებმა, სხვებმაც ბანი უთხრეს, რამაც დიდი მხიარულება გამოიწვია. შალვა თეოფილეს ძე დვალიშვილმა დატყვევებულ კომუნისტებს უმღერა სიმღერა „ლენინზე".

„ლენინო, ხალხის მხსნელო,
შენ იყავ ქვეყნის გული,
კაპლანის ქალმა გესროლა,
ტანჯვით ამოგხდა სული.
სანამ ცოცხალი იყავ
შენ გვერდით იდგა სოსო,
ვინც კი სიმართლე წარმოთქვა
ყველას სიცოცხლე მოსპო".

იმ დღეს რიონის გადალახვა ვერ მოხერხდა, ამიტომაც რიონის პირას ჩასაფრდნენ. ქუთაისიდან კაცი უნდა მოსულიყო და ამბავი მოეტანა—რა ხდებოდა ქუთაისში და მთელს საქართველოში. ამბერკიმ თავისი ამოცანა შეასრულა—65 კომუნისტი დააპატიმრა. კიკნაძემ და ̇აბულაძემ ისევ გამოგზავნეს კაცი, მათ აინტერესებდათ, როდის დაიწყებდა შეტევას სერგოს რაზმი. პატრიკეთის კომუნისტებმა, ძალების სიმცირის გამო, ვერ გაბედეს ბრძოლის დაწყება, ტყვია-წამლისთვის გაგზავნილი მათი კაცი ხელცარიელი დაბრუნდა ქუთაისიდან, სადაც არც კი დაუჯერეს, რომ ვანში გამოსვლები იყო დაწყებული. პირიქით, შემოთვალეს—თავად გაუმკვლავდით, თუ შემოიჭრება ვანის აჯანყებულთა რაზმი სოფელშიო.

დაიწყო შეტაკება, უთანასწორო ბრძოლა ერთ საათში დამთავრდა. ცნობილი გახდა, რომ გეგუთში ადრიანად შემზადებულა **თემურხან პაპიაშვილი**. მან ქუთაისიდანაც მიიღო დამხმარე ძალა. მაგრამ სერგო თვალაბეიშვილმა გეგუთისაკენ მაინც გააგზავნა ორი ოცკაციანი რაზმი იოველ დვალიშვილისა და ვასილ ახვლედიანის მეთაურობით.

დაიწყო შეტაკება. ბრძოლის დროს დაიჭრა იოველ დვალიშვილი, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. ამ შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა აჯანყებულთა მხრიდან სამი კაცი, მათგან ბენია ტყეშელაშვილი და მიხა ძიგრაშვილი გზაში გარდაიცვალნენ. თვალაბეიშვილმა გადაწყვიტა ქუთაისზე შეტევა სოფელ უკანეთის მხრიდან დაეწყო, გადაიყვანა აჯანყებულები უკანეთში, იქიდან გადავიდნენ სოფელ მესხეთში და ბაკისუბანში; ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ აჯანყებულებს უახლოვდებოდნენ ქუთაისელი კომუნისტები და მათთან ერთად რუსული ჯარი. სერგო ნერვიულობდა, მან არ იცოდა, რომ ჭიათურაში ერთი დღით ადრე დაიწყო გამოსვლები და ქუთაისი მომზადებული იყო. ჩაკეტილი გახლდათ გზები ჩხარსა და ბაღდათს შორის, სამტრედიელებიც ვერ ახერხებდნენ ქალაქში შემოსვლას. მუხიან-კოპიტნარის ამბოხებულები ვასილ ნიკოლეიშვილის რაზმს შეუერთდნენ და მათ დააპატიმრეს მაღალჩინოსანი კომუნისტები: ვასილ სტურუა, ალექსანდრე ჩეჩელაშვილი და თ. ღლონტი, ეს ფაქტი დაფიქსირებულია იმდროინდელ საბჭოთა პრესაშიც.

ტყვეების დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ქუთაისზე შეტევა ფუჭი სისხლისღვრა იქნებოდა, რადგან სამხედრო ნაწილები მზადყოფნაში იყვნენ.

როცა დაასრულეს ტყვეების დაკითხვა, ბჭობდნენ—ტყვეები იქვე დაეხვრიტათ თუ დაეტყვევებინათ ბანაკში. მგელაძე დახვრეტის მომხრე იყო, მაგრამ არ დაეთანხმნენ, სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდნენ იოველი და ალექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილები, მათ განაცხადეს, რომ მათი დახვრეტა ჩვენს საქმეს გაართულებსო.

ალექსანდრემ აღნიშნა, ესენი ურჯულოები ხომ არ არიან, ქართველები არიან და განსხვავებული აზრისთვის რატომ უნდა გავანადგუროთო. ქუთაისიდან სასიკეთო ამბები არაფერი მოდიოდა. ქართველი კომუნისტები და რუსი ჯარისკაცები შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ, როგორც ვარციხის, ასევე ბროწეულა-მუხიანის მიმართულებით. რუსული ჯარი და სამშობლოს მოღალატე ქართველი კომუნისტები ხუთჯერ აღემატებოდნენ აჯანყებულთა რაზმებს, ამიტომ გადაწყდა უკან დაეხიათ ყოველგვარი პანიკის გარეშე. აჯანყებულები რომ არ დამფრთხალიყვნენ, თვალაბეიშვილმა რაზმის ხელმძღვანელებს უკან დახევა უბრძანა. ტყვე კომუნისტების დაცვა და მეთვალყურეობა დაევალათ ვასილ და ალექ-

სანდრე დვალიშვილებს. ისინი მიუახლოვდნენ თუ არა მდინარე რიონის ნაპირს, შენიშნეს, როგორ უახლოვდებოდნენ კომუნისტები აჯანყებულთა ბანაკს. ცაზე ორი თვითმფრინავი გამოჩნდა. ერთი მათგანიდან ტყვიამფრქვევის ტყვიები სეტყვასავით წამოვიდა, მეორე თვითმფრინავიდან კი ბომბები დაუშინეს. თვითმფრინავების უკან გაბრუნების შემდეგ, ამბოხებულებმა დროებით ამოისუნთქეს. ისინი რიონის მეორე მხარეს გადავიდნენ და ჩასაფრება მოასწრეს. მაგრამ უმალ, ფეხოსანი წითელარმიელებიც გამოჩდნენ და დაიწყეს რიონზე გადასვლა აჯანყებულების კვალდაკვალ. ამბოხებულებმა მტერს ტყვიები დაუშინეს. რიონი სისხლითა და ჯარისკაცების მოცურავე ქუდებით აივსო. თვითმფრინავები ისევ მობრუნდნენ და დაიწყეს ამბოხებულთა დაბომბვა. ალექსანდრემ ტყვეები ვასილის დაუტოვა და თვითონ შალვა დვალიშვილთან ერთად მოხერხებული ადგილი შეარჩია. რიონში გადმოსული იხვებივით მოცურავე ჯარისკაცები მდინარეში ერთიანად ჩაწყვიტეს. მოწინააღმდეგეთა ჯარი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, თვითმფრინავები ზევიდან ბომბავდნენ, აჯანყებულებმა უკან დახევის ბრძანება მიიღეს, მაგრამ მათ ერთსულოვნად უარი განაცხადეს: „კომუნისტებმა წლების განმავლობაში ჩვენი სამშობლოს დამცველები მრავალნი აწამეს და დახვრიტეს, არც მათ სახელს შევარცხვენთ და ჩვენს მომავალ თაობებსაც არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ ლაჩრებად მოგვიხსენიონო!“ ამ ბრძოლის დროს ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ძნელია იმის მტკიცება, ვინ ჩამოაგდო, ვასილ დვალიშვილმა, სერგო თვალაბეიშვილმა თუ სხვა ვინმემ. ბრძოლაში ბევრი წითელარმიელი დაიღუპა, აჯანყებულებიდანაც ბევრი დაიჭრა, ბევრმა კი სამშობლოს ვაჟკაცურად შესწირა თავი. მოწინააღმდეგეს მებრძოლები ემატებოდნენ და ემატებოდნენ. ცოცხლად დარჩენილ აჯანყებულებს კი ტყვია-წამალიც გაუთავდათ. მათ გადაწყვიტეს დაჭრილები გამოეყვანათ ბრძოლის ველიდან და მთებში გაეხიზნათ, რათა დამსჯელი რაზმის კლანჭებში არ მოხვედრილიყვნენ. როგორც კი დაღამდა, დაღუპული მებრძოლებიც გადმოასვენეს.

პირველ სექტემბერს კვლავ შემოვიდნენ კომუნისტები ვანის რაიონში, თავისი გერბი და წითელსისხლიანი დროშა ისევ ააფრიალეს. აჯანყებულებმა ტყეს შეაფარეს თავი. კომუნისტებმა დაიწყეს სასტიკი შურისძიება, ვისაც ჩაიგდებდნენ ხელში, ყველას ხვრეტდნენ

ან ასახლებდნენ. შემდეგ გამოვიდა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მთავრობა პატიებას პირდებოდა ყველას, ვინც არ იყო აჯანყების მოთავე, ზოგიერთები თავიანთ სამსახურშიც კი ჩააყენეს. აჯანყების მეთაურები ტყვეებითურთ ტყეებს აფარებდნენ თავს. ვანის რაიონში ტყვედ აყვანილი კომუნისტები გაანთავისუფლეს და გაუშვეს. მათ სამადლობელი სიტყვაც წარმოთქვეს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მაღალჩინოსანი კომუნისტები: **ვანო სტურუა, ალ. ჩეჩელაშვილი და თ. ღლონტი,** სერგო და ამბერკის გადაწყვეტილებით, ვასილ დვალიშვილმა და ალექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილმა გააცილეს ადიგენამდე. ტყვედყოფილებმა ამ თანადგომისთვის აჯანყებულებს მადლობა გადაუხადეს და დახმარებაც აღუთქვეს.

მართლაც, ალ. დვალიშვილს დაეხმარნენ, იგი დევნისგან გაათავისუფლეს. მაგრამ 1937 წელს იოველი და ალექსანდრე დააპატიმრეს. სერგო, ამბერკი, იოველი, ვასილი და ვასილის ძმა პროკოფი, რომელიც აჯანყების შემდეგ შეუერთდა მათ, ისევ ტყეს აფარებდნენ თავს და განაგრძობდნენ პოლიტიკურ საქმიანობას წლების მანძილზე, კერძოდ, 1934 წლამდე. მილიციელები ხშირად ესხმოდნენ თავს აჯანყებულებს.

აჯანყების შემდეგ ასეულობით პოლიციელი და კომუნისტი იქნა მოკლული, აჯანყების ლიდერი: **სერგო თვალაბეიშვილი** ამხანაგის ტყვიას შეეწირა. **ვასილი** 1934 წელს მილიციელთა თავდასხმის დროს თავისივე ბომბზე აფეთქდა, **ამბერკი** ყაზანში გარდაიცვალა და იქვეა დამარხული. **პროკოფი,** ვასილის ძმა, მილიციელებისგან მოსყიდულმა კაცმა მოწამლა და ასე გარდაიცვალა 1934 წელს, **იოველი** დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა აზიაში. იქედან დაბრუნების შემდეგ, 1937 წელს, **იოველ და ალექსანდრე დვალიშვილები** დაიპატიმრეს, ალექსანდრე ქუთაისის ციხეში იყო, იოველი კი თბილისის მეტეხის ციხეში. დაკითხვების შემდეგ სასამართლო არ შემდგარა. მაშინდელმა „სახელგანთქმულმა" სამეულმა გამოიტანა განაჩენი და იოველს და ალექსანდრეს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

ალექსანდრე დვალიშვილს, მაშინდელი საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრის, ლ. ბერიას წყალობით დახვრეტა შეუცვალეს 10 წლის პატიმრობით და გადაასახლეს შუა აზიაში, კერძოდ, ქ. ტაშკენტში. სამი წლის შემდეგ, ისევ **ლავრენტი ბერიას** დახმარებით, გა-

თავისუფლდა, მაგრამ უშიშროების მიერ გაცემულ ცნობაში არ არის აღნიშნული რომ 7 თვე, დახვრეტის განაჩენის გამოტანიდან გადასახლების შეცვლამდე პერიოდში ციხეში იჯდა. ალექსანდრე დვალიშვილი გარდაიცვალა 1989 წელს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითში, იქვეა დასაფლავებული.

იოველი აწამეს, სამჯერ გაათხრევინეს თავისი ხელით საკუთარი საფლავი ღრმაღელეში, ორჯერ არ დახვრიტეს—უკან დააბრუნეს. მესამედ კი სისრულეში მოიყვანეს განაჩენი.

დანარჩენი ლიდერების შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ. **შალვა თეოფილეს ძე დვალიშვილი** 1934 წ. დააპატიმრეს და გადაასახლეს... იქიდან აღარ დაბრუნებულა.

1924 წლის გამოსვლებამდე და მის შემდეგაც, 1934 წლამდე, დასავლეთ საქართველოში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე აქტიური ცენტრი იყო **ვანის რაიონი.**

ნათელი დაადგეს ჩვენი სამშობლოს თავდადებული შვილების წმინდა და ვაჟკაცურ სახელებს, ამინ!

აჯანყების დამარცხება გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

1. იგი არ იყო სათანადოდ მომზადებული, არ ჰქონდათ საბრძოლო იარაღი, უმეტესად უიარაღო ხალხი იბრძოდა.

2. აჯანყება პირველად დიდ ქალაქებში უნდა დაწყებულიყო: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა მნიშვნელოვან ტერიტორიებზე.

3. აჯანყებულთათვის დათქმული დროის შეცვლამ უარყოფითად იმოქმედა მის შემდგომ წარმატებებზე.

4. ჭიათურაში ერთი დღით ადრე დაწყებულმა გამოსვლამ საბედისწერო გახადა მთელი გადატრიალების მსვლელობა, მან ხელი შეუწყო კომუნისტების საბრძოლველად მობილიზებას.

5. მენშეკივური პარტიებიც ვერ მოქმედებდნენ შეთანხმებულად.

6. ბოლშევიკებმა აჯანყების დაწყებამდე აიძულეს მენშევიკური პარტიის ზოგიერთი ლიდერი—თავი გაუქმებულად გამოეცხადებინათ. ამის გამო ბევრი მებრძოლი გამოაკლდა აჯანყებულთა რიგებს.

7. **რაც მთავარია,** ევროპის ქვეყნებმა მიატოვეს საქართველო.

ინგლისის მთავრობამ განაცხადა—საქართველოს საქმეს ჩვენ რუსეთის შინაგან საქმედ ვთვლითო. ამით რუსეთმა დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია. ასე რომ, საქართველო ევროპის ქვეყნებისგან ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩა. მიუხედავად გმირული ბრძოლებისა, აჯანყებულები დამარცხდნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში რეპრესიების მსხვერპლი მიახლოებითი გამოანგარიშებით ორ მილიონს აღემატებოდა, რეპრესიების განხორციელებაში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებდნენ ი. სტალინის მითითებით მისი ერთგული თანამებრძოლები: ლ. კაგანოვიჩი, ვ. მოლოტოვი, ა. მიქოიანი, კ. ვოროშვილოვი, გ. იაგოდა, ნ. ეჟოვი, ნ. ხრუშჩოვი, ა. ვიშინსკი და იოსებ სტალინის მარჯვენა ხელი ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

როცა რეპრესიებზე ვლაპარაკობთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ადამიანთა ორი კატეგორია. 1. ჩვენი სამშობლოს აჯანყებული პატრიოტები. 2. პარტიული საბჭოთა ხელმძღვანელები. სანამ საბჭოთა აპარატში მუშაობდნენ, ისინი თვითონ იყვნენ რეპრესიების აქტიური გამტარებლები. ესენი არიან 1934-1938 წლებში რეპრესირებულნი: მამია და მარიამ ორახელაშვილები, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, კ. ცინცაძე, ე. ეშბა, ნ. ლაკობა და სხვები, რომლებიც აჯანყებულთა უმრავლესობას ხვრეტდნენ, დანარჩენებს კი გზავნიდნენ ორკუტაზე, კოლიმაში, ციმბირსა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში. „ხალხის მტრებად" მონათლულ ადამიანებს უწიოკებდნენ ოჯახებს, ართმევდნენ საცხოვრებელ ბინებს, მათ ცოლ-შვილს დევნიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამ უმძიმეს პერიოდში ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული მესვეური იყო **ლავრენტი პავლეს ძე ბერია**. მან ყველა მეტოქე ჩამოიცილა და სტალინისადმი ერთგულების დასადასტურებლად დიდი გენოციდი მოუწყო საქართველოს.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებს შორის საქართველოს რეპრესირებულთა საერთო რაოდენობით წინა რიგში იდგა სტალინისა და ბერიას წყალობით. ქართველი კაცის აზროვნება და ნიჭი სეიფში ჩაიკეტა.

ისტორიის შავი ფურცლები კიდევ უფრო მძაფრი გამოდგა ჩვენს დროში აფხაზეთის ტრაგედიის დროს... დიდ სულიერ ტკივილს იწ-

ვევს საშინელი გენოციდი, რომელიც ქართველებს მოუწყვეს აფხაზებმა. მოჭრილი ქართველი კაცის თავით ბურთს თამაშობდნენ ჩეჩნებთან, მაგრამ არანაკლებ ტრაგედიად მიიჩნევს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ქართველი მოღალატე კომუნისტებისა და რუსული ჯარის დანაშაულებრივ ქმედებებს. უამრავ ტანჯვა-წამებას გაუძლო ქართველმა ხალხმა რუსი დამპყრობლების უღელქვეშ (1801 წლიდან), მაგრამ მაინც შეინარჩუნა თავისი სულის სისპეტაკე.

ქართველი ერი მუდამ იბრძოდა თავისუფლებისათვის და ასე იქნება მომავალშიც. ისტორია და მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს და დიდების შარავანდედით შემოსავს უსამართლობასთან მებრძოლ, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ, დევნილ, შევიწროებულ ადამიანებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთა შემართება და პატრიოტული სულისკვეთება დღეს უფრო წინა ადგილზეა წამოწეული და დაფასებული. ისინი თავიანთი რაინდული, ვაჟკაცური, თავდადებული ბრძოლით ყოველთვის იმსახურებდნენ ხალხის სიყვარულს, მხარდაჭერას, პატივისცემას. ისტორიის, ხალხის სამართალმა დააბრუნა ისინი ჩვენთან. ხალხს მათი სიყვარული და პატივისცემა მუდამ ექნებათ, ისინი ხომ თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

* * *

მეტად საინტერესოა მოგონებანი პარიზში მცხოვრები ემიგრანტებისა 1924 წლის აჯანყებაზე

1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყება ქართველი ერის დიდი ტრაგედია იყო, რომელიც თაობიდან თაობაში გადავა, როგორც გმირობისა და გაბედულების დაუვიწყარი წელი. ამ დღეს პატარა ერი იარაღით ხელში შეეტაკა ბუმბერაზ კომუნისტურ სახელმწიფოს. შეეტაკა, რადგან ველარ აიტანა შეურაცხყოფა, უსამართლობა, თავისუფლების დათრგუნვა, ადამიანური ღირსების შელახვა, ტერორი და გადასახლება. ვერ აიტანა თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, რომელიც მან თავისი ნებით შექმნა 1918 წლის

26 მაისს, რომ საკაცობრიო ოჯახში შესულიყო თავის სახით, თავისი კულტურით, თავისი ისტორიით,—როგორც თანასწორი და თავისუფალი წევრი.

სანამ იარაღს მოკიდებდა ხელს, ქართველმა ხალხმა სამი წლის განმავლობაში ყოველი გზა და საშუალება სცადა, რომ კომუნისტური ბატონობა თავიდან აეცილებინა. მანიფესტაციები, მიტინგები, მოთხოვნები, მოლაპარაკება ძალით შემოჭრილ ბატონებთან—ყველაფერი იქნა გამოყენებული. ბოლშევიკებს წაუყენეს ასეთი შეღავათიანი პირობებიც კი: მომხდარიყო შეკითხვა ხალხისადმი, თუნდაც მხოლოდ გლეხებისა და მუშებისადმი და თუ ამათში უმრავლესობა კი არა, დაახლოებით ერთი მესამედი მაინც აღმოჩნდებოდა ბოლშევიკების მომხრე—მთელი ერი და ყველა პოლიტიკური პარტია ხელს აიღებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ეს წინადადება ბოლშევიკებმა თავის გაზეთებში სასაცილოდ აიგდეს. ისინი ხომ უცხო ხიშტით იყვნენ შემოსული საქართველოში 1921 წლის თებერვალში და მომავალშიც იმავე ხიშტებზე დაყრდნობა არჩიეს თავისი ბატონობის გასაგრძელებლად (სამწუხაროდ, დღესაც ამას ცდილობენ მათი უბადრუკი მემკვიდრეები).

რაჟდენ არსენიძე, დამფუძნებელი კრების წევრი და 1924 წლის აჯანყების მონაწილე, შემდეგ ემიგრანტი—**ასე აღწერს** აჯანყების მოვლენებს: „29 აგვისტოს ხალხმა ყველგან განაიარაღა ადმინისტრაცია, კომუნისტები თაგვივით სოროში მიიმალნენ, ან პირველი შეძახებისთანავე სულგაუნძრევლად ჩაბარდნენ აჯანყებულებს.

პირველად გამოვიდნენ ჭიათურის მაღაროს მუშები. 28 აგვისტოს და 29 აგვისტოს მთელი ქალაქი, ყველა მაღარო, რკინიგზა და ყველა მახლობელი სოფელი აჯანყებულთა ხელში გადავიდა. ყველგან აფრიალდა ეროვნული დროშა. არც მუშათა და არც გლეხთა შორის ათიოდე მომხრე და დამცველი არ აღმოაჩნდა ე.წ. „მუშურ-გლეხურ“ კომუნისტურ პარტიას.

ამავე 29 აგვისტოს საღამოს, ქალაქ ჩხარში და მის რაიონში ქართული დროშა ფრიალებდა. დიდი და ფართო ბრძოლები მოუხდათ აჯანყებულებს არა ადგილობრივ კომუნისტებთან და ხელისუფლებასთან, არამედ მეორე დღეს შემოსულ რეგულარულ ჯართან, რომელსაც ორჯერ დააცლევინეს ქალაქი. და მრავალი ჯარისკაცი ტყვედაც ჩაიგდეს ხელში.

არაჩვეულებრივი მასიური ხასიათი მიიღო მოძრაობამ გურიაში, სადაც ქალი და კაცი დადგა ფეხზე. აქაც კომუნისტები და ადმინისტრაცია რამდენიმე საათში იქნენ დატყვევებული თოფის გაუსროლელად. ბრძოლა აქაც მხოლოდ გარედან მოყვანილ ჯარებთან ჰქონდა ხალხს, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში.

ძლიერი და თავდადებული ბრძოლები მოხდა მთელს სამეგრელოში, აქაც შემოსულ ჯარის ნაწილებთან გააფთრებულ შეტაკებაში ბევრი სისხლი დაიღვარა.

ასეთსავე ძლიერ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მოქმედებდნენ **ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მიშა ლაშქარაშვილის** რაზმები, რომლებიც მიეშურებოდნენ თბილისისაკენ, რადგან სოფლად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

დიახ, თითქმის მთელი საქართველო აჯანყების პირველ დღესვე დაიცალა მტრისაგან. არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, რომ თავისუფლად არ ამოესუნთქოს სამფეროვანი დროშის ქვეშ.

აუღებელი დარჩა მხოლოდ დედაქალაქი, სადაც იდგნენ წითელი არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილები, რომლებიც საგანგებოდ იყვნენ გამოწვეულნი და თავმოყრილნი თბილისში ხელისუფლების მიერ. თვით ქართველი ერის შიგნით არ აღმოჩნდა არავითარი ძალა, რომ აჯანყებულთათვის ოდნავი წინააღმდეგობა გაეწია.

აჯანყება დამარცხებული იქნა მხოლოდ რეგულარული რუსული ჯარის მიერ, რომელშიაც ქართული ნაწილები არ ერივნენ, როგორც არასაიმედო, ჯარს კი მიუძღოდნენ თითო-ოროლა, დაჭერას გადარჩენილი მოღალატე ქართველი კომუნისტები.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან გამოააშკარავა განსხვავებული ბუნება ქართველი ერისა და კომუნისტ მბრძანებლებისა. აჯანყებული ხალხი და მისი ხელმძღვანელობა რაინდულად იქცეოდნენ: ტყვედ ჩავარდნილი კომუნისტები და ჯარისკაცები არამცთუ არ დაუხვრეტიათ, არამედ მათ ადამიანურად ეპყრობოდნენ, როგორც ტყვეებს.—**თქვენ გაგასამართლებთ განთავისუფლებული ქვეყნის კანონიერი სასამართლო**—ეუბნებოდნენ მათ; **ჩვენ მებრძოლები ვართ და არა მკვლელებიო.**

ხალხმა მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ კომუნისტებმა, აჯანყების პირველ დღესვე, ბინძური შურისძიებით და სისხლის წყურვი-

ლით გატაცებულებმა, თბილისის სატუსაღოებიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც რამდენიმე თვით ადრე იყვნენ დაპატიმრებულნი და, მაშასადამე, აჯანყებაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ. დახვრიტეს ისეთებიც, რომლებიც რუსეთის ციხეებში იყვნენ გადაგზავნილნი და ეს ბარბაროსობა საჯაროდ გამოცხადებულ იქნა 31 აგვისტოს თარიღით—პირველად სულ 24 პირის დახვრეტა. ამათ შორის იყვნენ **ნოე ხომერიკი,** მიწათმოქმედების მინისტრი, **ვალიკო ჯუღელი,** სახ. გვარდიის შტაბის თავმჯდომარე, **ბენია ჩხიკვიშვილი,** თბილისის მოურავი დამოუკიდებლობის დროს, **გოგიტა ფალავა,** დამფუძნებელი კრების წევრი და სხვა.

ორიოდე დღის შემდეგ, 2 სექტემბრის გაზეთის ნომერში გამოაცხადეს კიდევ 29 პირის რუსეთის ციხეებში ქართველ პოლიტიკურ ტუსაღთა დახვრეტა, თბილისშიც დახვრიტეს რამდენიმე. მარტო სამეგრელოში 459 კაცი დახვრიტეს გაუსამართლებლად.

ჭიათურაში თავი მოუყარეს მათ, ვინც ხელში მოხვდათ; მათ შორის იყო ბევრი ისეთი, რომელსაც აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ჩაყარეს ვაგონებში, ვითომ თბილისს გასაგზავნად და მახლობელ სადგურ ყვირილაში ტყვიისმფრქვევლებით დაცხრილეს ვაგონში ჩაკეტილი ხალხი. არც ერთი მათგანი არ გადარჩენილა.

სოფელ რუისში (ქარელი) ამოწყვიტეს **ფანიაშვილების** მთელი ოჯახი, რომელიც შესდგებოდა:. ოთხი მამაკაცის, ხუთი მანდილოსნისა და თხუთმეტი ბავშვისაგან, სამიდან თოთხმეტ წლამდე. კომუნისტები არათუ მალავდნენ მათ მიერ ჩადენილ საძაგლობას, არამედ, პირიქით, სასახელოდ მიაჩნდათ ეს გაუგონარი ველურობა.

სისხლით გაბრუებული საქართველოს კომპარტიის მაშინდელი მდივანი **მიშა კახიანი** საჯაროდ წერდა გაზეთ „კომუნისტში“: „უხერხემლო მენშევიკებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც ვერ გაბედეს, მაშინ, როდესაც ჩვენ მათი ამხანაგები ათასობით დავხვრიტეთო.“

ისევ რაუდენ არსენიძის სიტყვები გავიხსენოთ:

„მეტეხის ციხე დღეს საქართველოს დედაქალაქად გადაქცეულა. ქართველ მამულიშვილთ აქ მოუყრიათ თავი. პროფესორები და ექიმები, მკვლევარნი და ვექილნი, ქართველი სტუდენტობა,—ჩვენი სპეტაკი და წამებული მოხუცი კათალიკოსის, ამბროსის მეთაურობით.

ბევრი ტუსაღი გადაჰყავდათ დასახვრეტად. მეტეხის ციხის კედლებზე ხშირად იყო წარწერები სასიკვდილოდ განწირულთა. ზოგი ეს წარწერა დავიმახსოვრე და შემდეგში ჩავიწერე, მაგალითად:

„საქართველო დღეს ციხეა,
ჩვენ ვართ ყველა პატიმრები,
მუშა, გლეხი გლოვობს, სტირის
ხარობს მხოლოდ ნადირები...“

ან კიდევ,

„არ მომკვდარა, არც მოკვდება
დატანჯული ქართვლის დედა,
თუმც დღეს არის მგლოვიარედ,
გაიხარებს ხვალ თუ ზეგა!“

აგერ, ვილაც უცნობი მსხვერპლის წარწერას ვკითხულობ: „მივყავარ სასიკვდილოთ, 21 წლის ახალგაზრდამ რა დავაშავე?“ იქვე პატარა ლექსია კედელზე მიწერილი:

„ჩვენი ცხოვრება წამება არის,
შელახული გვაქვს წმინდათა წმინდა,
ამაო არის ამქვეყნად ყოფნა,
მაგრამ მე მაინც სიცოცხლე მინდა“...

ყველაზე მეტი შთაბეჭდილება დაეტოვებინა პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის წარწერას, რომელიც მას დახვრეტის წინ დაეწერა კედელზე:

„თუმც მომსპობს მტერი თავის მოსისხლე მტერს დედამიწაზე,
და ვერ მოივლის დამტირავი ჩემსა საფლავზე,
მაგრამ სახელი მაინც დარჩება ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩემს ხსენებაზე!“

ნამდვილი ქართული სულისკვეთება მეტეხში იყო. აქ ჩაკეტილი ქართველობა ღიმილით ელოდა თავის ბედს...

გაგაცნობთ ერთ ლექსს, რომელიც იმ დროს თითქმის ყველა ქართველმა ზეპირად იცოდა:

„თქვენ ამბობდით: საქართველომ
რაც უნდ ბევრი გაიბრძოლოს,—
ის რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს.
ჰა, ასრულდა: თქვენ მოხველით,
ჩვენ აქ დაგხვდით ორივ ხელით;
მაგრამ ერი არ შეგინდობთ,
რომ სხვის ხიშტით შემოხველით.
განა ჩვენი არწივები
გაურბოდნენ დროშას წითელს?
რომ თქვენ ჩვენზე ახარხარებთ
ყველა ბილწს და ყველა სკვითელს?!
ოხ, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწას, წყალს, ჩვენს ერს, ჩვენს ზღვას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას!
ფიანდაზად გარდვიქცევით,
გულს ჩავიკლავთ სიტყვას შმაგულს,
და უსისხლოთ მტერს არ მივცემთ
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.
და თუ თქვენში ჩვენ ვიპოვით
ჩვენზე მძლავრს და ჩვენზე ძლიერს,
უანგარო მამულიშვილს,
სახელოვან ივერიელს,
თუ აღადგენთ საქართველოს
სტრატეგიულ მთლიან ხაზად,

მაშინ ჩვენს გულს, ჩვენს სულს ტანჯულს
გადაგიშლით ფიანდაზად.
მაგრამ თუ თქვენ მოინდომებთ
საქართველო გადათელოთ,
ვიტყვით: მოკვდა საქართველო!
გაუმარჯოს საქართველოს!"

ამ ლექსს ციხეებში მღეროდნენ ხოლმე:

„ნეტავ რად დაიგვიანეს
ჩვენმა გმირებმა, ლომებს რომ ჰგვანან!
ნუთუ სულ ყველა ტვედ წაიყვანეს?!
ნუთუ სულ ყველა საფლავში წვანან?!
მაგრამ მათ სძინავთ უსიზმრო ძილით,
სძინავთ ტკბილად და გაუნძრეველად,
და დილის სიო უმღერის ნანას
იმათ საფლავებს უკანასკნელად..."

აჯანყების მეორე დღეს გამარჯვებულმა ხელისუფლებამ ანგარიშსწორება დაიწყო. უდანაშაულო ხალხი ცხვრებივით შერეკეს ციხეებში. ღამით სიის მიხედვით გამოჰყავდათ და ხვრეტდნენ. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, თელავის ციხეშიც ანალოგიურად ხდებოდა."

რაჟდენ არსენიძე, აჯანყება საქართველოში, პარიზი, 1924 წელი

ელიზბარ მაყაშვილი, რომელიც სასწაულად გადაურჩა დახვრეტას, ასე აღწერს იქ მომხდარ ამბებს:

„..ჩარეკეთ ყველა დაბლა! შემდეგ სიით ამოიყვანეთ სათითაოდ.

სადღაც ჯურღმულში ჩაგვყარეს. ბნელი მიწური. უფანჯრო.

გამცემი და მოღალატე **ყანჩაველი** მოადგა ციხის კარს.

—ციცქიშვილი გიორგი!—იგი წამოდგა: მშვიდობით ყმაწვილებო! მედგრად,—მოგვმართა ჩვენ. მსწრაფლ მაღლა ავიდა.

—მაყაშვილი ათონ!—ათონი მხნედ წელში გაიმართა:

—აქა ვარ! მშვიდობით!—მოგვმართა ჩვენ. უკანასკნელად შევხედე მის სახეს. პირი მთლად მშვიდი... მომღიმარი... შეჩერდა...

კიდევ რაღაცა სურდა ეთქვა. ჯალათმა ყანჩაველმა რევოლვერი დასარტყმელად ასწია.

—არ დამკრა, ჯალათო! მოკვლის ნებას გაძლევ, მაგრამ ცემისა კი არა!—მიაძახა ათონმა და სწრაფლ თვალთაგან მიგვეფარა.

—ყარალაშვილი რევაზ! მოხუცი წამოდგა. უაზროდ თვალები მოგვაცეცა. უხმოდ, უსიტყვოთ გავიდა. კიბეზე ასვლა გაუძნელდა, თრევით აიტანეს. ამას მოჰყვა დანარჩენ გვართა გამოძახება...

ჯურღმულს თანდათან აკლდებოდა ხალხი. აქეთ-იქეთ ვიხედები, აგერ, ჩემს გვერდით მოხუცი მამა თავისი ორი შვილით. მამა თავს ევლება ერთ-ერთ შვილს. მიწოლილია იგი მიწაზე, თვალები დახუჭული აქვს. ტუჩები უტოკავენ, პირისახეზე ალმური ასდის.—ავად არის—ხმის კანკალით მეუბნება მოხუცი:—ლოგინიდან ააყენეს ამ უღმერთოებმა და აქეთ წამოიყვანეს, ჩვენთან ერთად.

—წყალი!—ისმის ტუჩებგამშრალი ავადმყოფის ხმა.

—წყალი! სად არის წყალი?!

კვლავ გამოჩნდა ჯალათი. ავადმყოფს ეძახიან.

—ვაიმე შვილო!—ამოიკვნესა მოხუცმა. გადაეფარა შვილს. ავადმყოფი თრევით გაიტანეს.

—ჯალათებო! მხეცებო, მტარვალებო! გაისმა მამის საზარელი ხმა-ღრიალი. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოუძახეს მოხუცის მეორე შვილსაც. იგი მამას მიუახლოვდა. გადაეხვია, უცებ მოშორდა.

—მშვიდობით, მამა!—კარებიდან მიაძახა და მსწრაფლ თვალს მიეფარა.

მამა უაზროდ გაჰყურებდა მიმავალ შვილს. შეიშალა საწყალი მოხუცი ჭკუაზე—ვფიქრობდი ჩემთვის.

მოდის ჩვენი ჯერიც. მაღლიდან ხმაურობა ისმის. ვილაცამ იყვირა:

—ხელებს ნუ მიკრავთ, ჯალათებო? მომკალით ხელებშეუკვრელად.

—ვაიიიმეე—შემომესმა ხმა მოხუცი ყარალაშვილისა, კვლავ მესმის სხვა ყვირილი:

—ქართველებო! თქვენ ნუ მესვრით, დეე რუსებმა მომკლან! ხმები ერთმანეთში აირია.

ავტომობილის მოტორის ხმამ ხალხის ხმა დაფარა.

—ხალხს ატიტვლებენ და ხელებს უკრავენ—ჩამჩურჩულა ჩემს გვერდზე მჯდომმა მეგობარმა.

ჩემს მეგობარს დაუძახეს. გადამეხვია, გადამკოცნა. წინ ნაბიჯი გადადგა. გასვლა ვერ მოასწრო... უცებ გავარდა ლევორველი. გაისმა:

—კოლია მოჰკლეს!—(პოლიტ-ბიუროს უფროსის, ჯაფარიძის სახელი)...

—დახოცეთ პატიმრები!—დაიძახა ვიღაცამ.

დაიწყო დიდი სროლა. ხელებშეკრულ ხალხს ესროდნენ. სროლის ხმაში მოისმოდა ლანძვა-გინება, კვნესა, ძახილი...

პირქვე დავემხვე. გარედან შემოჭრილმა რუსის ჯარისკაცებმა ხმლები აამუშავეს. აქაც გაისმა დაჭრილთა კვნესა, ლანძღვა, გამამხნევებელი ხმები, შველის, თხოვნის ხმა, ხმლის ჩახაჩუხი, თოფის სროლა, ყველაფერი ერთმანეთში აირია. წყვეტდნენ უაირაღო ხელებშეკრულ ქართველებს. ზემოდან რამდენიმე ტყვიამ ხის იატაკში ჩამოატანა, იქვე, ჩემს გვერდით დაეცა, ჩხრიალი მოისმა. ტანზე სითხე დამედინა. იმჟამად აბა რას ვიფიქრებდი, მხოლოდ მეორე დღეს შევნიშნე, რომ ეს სითხე წყალი კი არა, სისხლი იყო! სისხლი ადამიანთა! და მეც წითლად ვიყავი შეღებილი ჩემივე მოძმეების სისხლით...

დილით კიბეზე ხმაურობამ გვამცნო, რომ ჯალათები მიათრევდნენ და ტვირთავდნენ ურმებზე ქართველ მამულიშვილთა გვამებს...

ქართველნი ვაჟკაცნი, რომელთა გულები სიყვარულით სძგერდნენ სამშობლოსათვის, იმარხებოდნენ დაუტირებლად, ვით პირუტყვნი. აქ ოცდათექვსმეტმა კაცმა შესწირა თავი სამშობლოსათვის ამ ჯოჯოხეთურ ღამეს.

მერმე გავიგეთ, თუ როგორ მოხდა ჯაფარიძის მკვლელობა. კომუნისტთა ჯგუფში ერია ერთი ქართველი ახალგაზრდა, ვინმე ალექსანდრე ჯორჯაძე, ამავე დროს დაპატიმრებულთა ჯგუფში იმყოფებოდა მისი მამა, რომელსაც თელავის საგანგებო კომისიამ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

ალექსანდრე ჯორჯაძემ რამდენჯერმე მიმართა ჯაფარიძეს, რათა ეპატიებინა მისი მამისათვის სასჯელი. თხოვნა უშედეგოდ დარჩა.

ზემოაღწერილი ამბავის დროს ალექსანდრე ჯორჯაძის მამა ხელებშეკრული იმყოფებოდა სხვა პატიმრებთან ერთად, გამზადებული სასიკვდილოდ. შვილმა დაინახა მამამისი და კიდევ ერთხელ მიმართა ჯაფარიძეს, გაეშვა მამამისი, ჯაფარიძემ კი უპასუხა:

—თუ შენ ნამდვილი ბოლშევიკი ხარ, შენ თვითონ დახვრეტ შენს მამას შენი ხელით! ამ სიტყვის გაგონებაზე ალექსანდრე ჯორჯაძემ რევოლვერი ესროლა ჯაფარიძეს და იგი სასიკვდილოდ დაჭრა (იგი მოკვდა ორი დღის შემდეგ).

თვითონ ალექსანდრე ჯორჯაძე თავის მამასთან და სხვა ქართველებთან ერთად აკუნეს ხმლებით რუსის ჯარისკაცებმა".

ელიზბარ მაყაშვილი, 30 აგვისტო, 1924 წლისა

ეს რა არის, შვილო?

(ნამდვილი ამბავი)

ეს იყო იმ საღამოს...

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი—აგვისტოს აჯანყების შემდეგ, დაგვიჭირეს ბევრნი. მეც მათ შორის.

მავთულით ერთიმეორეს მიგვაბეს ხელით და წაგვიყვანეს. მივდივართ, არაფერს არ ვფიქრობთ. გარეტიანებული ვართ....

სადღაც თხრილის წინ ჩაგვამწკრივეს, გავიფიქრე, მხოლოდ მაშინ—გვხვრვეტავენ! არავინ განძრეულა და როცა ჩეკისტებმა ტყვიამფრქვევები და თოფები აღმართეს, ყველამ, თითქოს ბრძანებით, ვიყვირეთ ერთბაშად, მოულოდნელად:

—გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

და ვერც კი მოვასწარით სიტყვის დასრულება...

მერე აღარაფერი მახსოვს.

სული მეხუთება, რაღაც მძიმედ მაწევს... რაღაც ძლიერად მტკივა ტანში...

გავინძერი... უჰ! როგორ მტკივა! მგონი ცოცხალი ვარ! ცოცხალი რომ არ ვიყო, ტკივილს როგორ ვიგრძნობდი! მაგრამ რომ გვესროლეს?! ალბათ, დავიჭერი. იქნებ მკერდში არ მესროლეს ჩეკისტებმა? ნეტავ ვინ იდგა ჩემს პირდაპირ? აღარ მახსოვს. ალბათ, ცუდი მსროლელი იყო! ან იქნებ შემიცოდა, მოველოდი ამას?

კიდევ გავინძერი. საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მგონია მძიმედ ვარ დაჭრილი, არა! უბრალოდ ვარ დაჭრილი! მძიმედ დაჭრილი რომ ვიყო, ველარ გავინძრეოდი, მაგრამ რა ვუყო ამ მიწას?! როგორ მაწევს იგი! რა გრილია, მსიამოვნებს! ალბათ, მიწის თხელი ფენაა, თორემ აქამდე ხომ დავიხრჩობოდი, უეჭველად მიწის თხელი ფენაა—ჰაერი ჩამოდის ჩემთან. ამიტომ ვსუნთქავ, თუმცა მიჭირს.

წამოვიწიე. თბილი ჰაერი შევისუნთქე. კიდევ წამოვიწიე, თავი ამოვყავი: ოჰ, რა მშვენიერია, ბიჭოს! გადავრჩენილვარ!

ახლა რა ვქნა? უნდა გავიქცე, უნდა ამოვძვრე ამ მიწიდან, თხრილიდან. მტკივა ყველაფერი. წამოვჯექი, ხელმა შემაკავა, მიწაში დარჩა იგი. ბიჭოს! რაღაც არ მიშვებს? რაღაც მაკავებს, ვაიმე ველარ ამოვწიე მკლავი. რაღაც ედება, რაღაც აკავებს მას.

გამახსენდა: აჰა! მავთული. ხომ გადაგვაბეს ხელით ერთმანეთს, ამოვქაჩე ხელი! ღმერთო, შემეწიე! სხვისი მკლავი თან მომყვება. ვინ იყო ჩემს გვერდით? აღარ მახსოვს. აღარ ვიცი: ვინ იყო, მაგრამ მისი ხელი ჩემს ხელზე არის მიბმული მავთულით. რაღა ვქნა?! როგორ მოვიშორო იგი?! საწყალი, ალბათ, ტყვიებით არის დაცხრილული... რა ვუყო ამ მკლავს?

კიდევ მოვქაჩე ჩემი ხელი... ბიჭოს! აღარ მშორდება სხვისი ხელი. როგორ მოვიშორო? ოხ, ეს ტკივილი როგორ მაწუხებს?

კიდევ მოვქაჩე და მთელი მკლავი მოკლულისა ამომყვა. ვაიმე! ვაიმე! ჯიმაღურელი! რა ვქნა?

ბევრი ვეწვალე მავთულს: იქნებ გავწყვიტო, შენი მტერია, ვერაფერი მოვუხერხე, რა მოვიგონო? კიდევ ვცადე მოშორება, ვერ შევძელი...

ხომ არ დაიჯერებ: რა ყოფილა სიცოცხლე?! უნდა გადავღრღნა ეს მკლავი იდაყვში. კბილებით უნდა გადავგლიჯო ხორცი და ძარ-

ღვები. როგორ? ამხანაგს ხორცი მოვჭამო და ძარღვები დავაგ-ლიჯო?! ჩემი კბილებით?!

—უნდა მოვჭამო! უნდა გადავღრღნა! სხვა გზა არ არის! ხომ იცი სხვა გზა არ არის. ჩამძახის ვიღაც. არ სჯობდა მოვეკალით, ტყვია მომხვედროდა გულში? ახლა რა ვქნა? უნდა კბილებით შემოვაცა-ლო ხორცი, დავგლიჯო ძარღვები? ოხ, ღმერთო! როგორ შეიძლება ეს?!

—არ შეიძლება?—მეუბნება ვიღაც:—მაშინ დარჩი და მოკვდი!

სიკვდილიც ხომ არ მინდა?—მაშ შეუდექი ამხანაგის ხორცის გლეჯას...

და დავიწყე ამხანაგის მკლავის იდაყვთან ხორცის ჭამა და ძარ-ღვთა გლეჯა... უჰ! რა მაგარი ყოფილა ეს ძარღვი! გათავდა, ძალა და ღონე მოვიკრიბე... დავაწექი იდაყვს. გადატყდა იგი, თავისუფა-ლი ვარ.. ახლა კი წამოვდექი ძლივს... სად წავიდე? როგორ წავიდე? ხო მართლა, ჩემი სოფლიდან ხომ შორს არა ვარ, უნდა შინ წავიდე.

მივდივარ ჯახირით, მთელს სოფელს სძინავს. სძინავს? არავისაც არ სძინავს—სინათლე არ ჩანს მხოლოდ.

იქ გატრუნული არიან... თავზარდაცემულნი...

მივაღწიე სოფელს. ჩავედი ჩემს ეზოში. ავედი ძლივს პატარა კიბეზე. ნელა დავაკაკუნე კარზე. კაცი ხმას არ იღებს. კიდევ დავა-კაკუნე. სიჩუმეა. კიდევ დავაკაკუნე. გაინძრა ვიღაც, ფეხის ხმა მო-მესმა.

—ვინა ხარ? რა გინდა ამ ღამით?

—მე ვარ, მამა? გამიღე კარი.

—ვინ ხარ! შენ?

—მე ვარ, მამა, გამიღე კარი.

კარი ნელა გაიღო. ნელა გადავდგი ნაბიჯი. მამამ უკან დაიხია. ყველა ჩემიანი უკვე ფეხზე იყო. მომჩერებიან... მომჩერებიან, სიტ-ყვას არ ძრავენ, აანთეს ლამპა.

—მე ვარ, მე ვერ მიცანით?

—შენ ხომ დასახვრეტად წაგიყვანეს სხვებთან ერთად!

—კი! დამხვრიტეს, მაგრამ გადავრჩი.

არ სჯერათ, მომჩერებიან. გამახსენდა: მე ხომ მიწით მთლად დასვრილი ვიყავი, ალბათ პირიც სისხლით მაქვს შეთხუპნული... დახუთული ხმით შემომკივლეს... და გმინვა მოისმოდა მხოლოდ.

დადუმდნენ. მომიახლოვდნენ, მომჩერებიან. სიხარულით ბრწყინავენ. ბედნიერი სიხარულია მათ სახეზე.

—რას მომჩერებიხართ აგრე? ვერ მიცანით კიდევ?!

—ეს რა არის შვილო? ჩავარდნილი ხმით მეკითხება დედაჩემი.

—რა, დედა? რას მეკითხები? დაჭრილი ვარ...

—ვხედავ, დაჭრილი ხარ. სისხლით მოთხუპნული, თორემ მკვდარი აქ ვერ მოხვიდოდი. ხომ ყველა დახვრიტეს ამ საღამოს! მაგრამ ეს რა არის შენს ხელზე?!

—ეს? და ახლა შევნიშნე, რომ ჩემი მოკლული ამხანაგის ხელი ჩემს ხელზეა მიბმული—თან გამომყვა. ხომ იდაყვთან გადავჭერი და თან წამოვიღე.

—ჩემი მოკლული ამხანაგის ხელია. ვერ მოვიშორე. დედაჩემი წაბარბაცდა, ბავშვებმა შეაკავეს. ყრუ ქვითინი მოისმა.

—გაჩუმდით!—შეუტია მამამ გაგუდული ხმით. მოასვენეთ!

მიმიყვანეს ტახტთან. დამასვენეს. მამა დაფაცურდა, რაღაც იარაღი მოიტანა და გადაჭრა მავთული. მომხსნა მკვდრის ხელი. ფრთხილად გარეთ გავიდა და თან წაიღო იგი. მე კი გული შემიწუხდა. რა მოხდა მერე, აღარ ვიცი.

მეორე დღეს ყველამ იცოდა სოფელში ჩემი სასწაულებრივი გადარჩენის ამბავი. არ მეშინოდა. არავინ გამცემდა. ჭრილობა მძიმე არ აღმოჩნდა. ჩემი სოფლის ერთი ბებერი მწამლობდა. მოვრჩი. მალულად დავტოვე სოფელი. წავედი, გადავედი სხვა ადგილას. ვცოცხლობ, ვცხოვრობ და არავინ იცის ჩემი თავგადასავალი.

ჩემი ძმა უცხოეთს გაიქცა. პარიზში არის... აჯანყების ათი წლის თავზე შემთხვევით შევხვდი დახვრეტილის და გადარჩენილის ძმას. იგი დაესწრო ძმის მისვლას სახლში. მომითხრო ეს ამბავი. იგი ბავშვივით ტიროდა. მეც ვტიროდი.

მსმენელი და ჩამწერი, პარიზი, აგვისტო 1934 წ.

1924 წლის სახალხო აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებმა დათრგუნეს ქართველი ერი. ვინც ნორმალურად აზროვნებდა, ყველა დახვრიტეს. ვინც მათ მხარეზე არ იყო, ყველას დედა უტირეს. ადამიანის აზროვნება ნაჭუჭში ჩაჰკეტეს—დააკონსერვეს.

ამ ბოლო წლებში აფხაზეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზებსა და ჩეჩნებსაც კი არ მოუწყვიათ ისეთი გენოციდი, რო-

გორიც ბოლშევიკებმა დამართეს თავის ხალხს. ხშირად ბოლშევიკები, მეზობლის სახლი, ქონება და მათი ცოლები რომ ჩაეგდოთ ხელში, მამაკაცებს ხვრეტდნენ.

ქართველმა ხალხმა 1925 და 26 წლებში ერთხელ კიდევ იზეიმა საქართველოს დამოუკიდებლობის დიადი, სანუკვარი თარიღი და შემდგომ იგი საქართველოს მტრებმა აკრძალეს. ისე მკაცრად აკრძალეს, რომ საუკუნის დასასრულისათვის ხალხის მეხსიერებას და მემატიანეებს აღარც კი შემორჩათ ეს თარიღი. გარეწარმა ბოლშევიკებმა (ყველაზე არ ითქმის ეს), როგორღაც შესძლეს თავიანთი ცრუ-მოღალატური იდეოლოგიის თავს მოხვევა ხალხისადმი, თუ რომ მთელი ერი დაითრგუნა, დამოუკიდებელი აზროვნება წაერთვა, დამბლა დაეცა, დაუძლურდა და დაჩაჩანაკდა. ვინ გაბედავდა აშკარად ბოლშევიკებზე აუგის თქმას? ვერავინ და ვერავინ. უმაღლეს სასწავლებელში, თუკი სტუდენტს რაიმე კითხვა დაგებადებოდა, ისეთი, რაც ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ მიაჩნდათ, ლექტორი მაშინვე მის პოლიტიკურად არასაიმედობის საკითხს ზემდგომ ორგანოებში დააყენებდა. სამსახურსა და თანამდებობაზე კი ლაპარაკი ზედმეტი იყო.

რამდენ უბედურებას, რამდენ ტანჯვას და რამდენ წამებას გაუძლო ქართველმა ერმა რუსების მიერ დაპყრობიდან (1801 წ.) დღემდე? შევეცდებით მოკლედ მოგახსენოთ ის უბედურების თარიღები, რაც ქართველმა ხალხმა **გადაიტანა 1801 წლიდან** დღემდე:

ეროვნული თუ სოციალური ბრძოლის ასპარეზზე ყველაზე უფრო მჭრელი მახვილი და სახიფათო იარაღი—აჯანყებაა. იგი ბევრ მსხვერპლს მოითხოვს და ხშირად მიზანს ვერ აღწევს. ეს იცის ერმა, ეს იცის აჯანყებულთა ფენამ, მაგრამ ისტორიაში აჯანყება დღემდე მეორდება.

ქართველი ერის გრძელი ისტორია ეროვნულ აჯანყებას კარგად იცნობს. საქართველო პარტიზანულ ომთა და აჯანყებათა კლასიკური ქვეყანაა. არაერთხელ უბრძოლია ქართველ ერს გარეშე მტერთა წინააღმდეგ პარტიზანული ომებითა და აჯანყებებით, არაერთხელ აფრიალებულა დროშა აჯანყებისა ქართულ მიწაზე უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ, რადგან აჯანყება აქ ყოველთვის დამპყრობელთა გასაძევებლად იყო მიმართული.

ძველმა საქართველომ არ იცის სოციალური აჯანყება ან ბრძოლა საკუთარი, ქართული წესწყობილების წინააღმდეგ და როდესაც ამ ნიადაგზე აჯანყება ხდებოდა, იგი მიმართული იყო მხოლოდ იმ წესების წინააღმდეგ, რომელიც უცხო ძალამ, უცხო ბატონობამ თან მოიტანა და დაამყარა.

ვინ ჩამოთვლის რამდენი პარტიზანული ბრძოლა და აჯანყება გადაიტანა ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე. მარტო მეცხრამეტე საუკუნე რომ მოვიგონოთ—საქართველოში ოცდახუთჯერ მაინც მოხდა აჯანყება.

1801 წლიდან აჯანყების დროშა მრავალჯერ აფრიალდა და მრავალჯერ ჩამოიგლიჯა სისხლში გასვრილი...

ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმელების მონაწილე, თავის მოგონებებში სწერდა—რაც რუსები მოვიდნენ საქართველოში, იქიდან 1812 წლამდის ექვსი შეთქმულება მოუწყვეს რუსებს მათი გარეკვისათვის საქართველოდანო.

1802 წელს მოხდა აჯანყება მთიულეთში, კახეთში, ხევსურეთში. ამ აჯანყების საბაბი იყო ის, რომ რუსის ჯარისკაცებმა ხალხი ააწიოკეს, გლეხებს სცემეს, ქალები გააუპატიურეს, ასოში ძაბრით ღვინო ჩაასხეს.

1804 წლის აჯანყება მთიულეთში. საბაბი—რუსების მიერ დადებული დიდი ბეგარა აუტანელი შეიქნა.

1804 წლის აჯანყება მთიულეთში და ქართლში—არა გვსურს რუსები.

1812 წლის აჯანყება კახეთში და ქართლში—ჩვენ გვსურს ჩვენი მეფე! და გრიგოლ ბატონიშვილი აირჩიეს საქართველოს მეფედ.

1813 წლის აჯანყებანი და პარტიზანული ბრძოლანი, რომელთაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა კახეთში და მთიულეთში.

1819-1820 წლის აჯანყებანი გურიაში, იმერეთში, რაჭაში, კახეთში, სამეგრელოში. იმერეთის აჯანყებულებმა საქართველოს მეფედ ბატონიშვილი ვახტანგი გამოაცხადეს.

1824 წლის აჯანყება აფხაზეთში.

1826 წლიდან 1832 წლამდე შეთქმულების მზადება, რომელშიც ქართული თავადაზნაურობა, ინტელიგენცია და რუსულ სამხედრო სამსახურში მყოფი ქართველი ოფიცრები მონაწილეობდნენ. შეთქმულება გაცემულ იქნა და მისი მონაწილენი დასჯილნი. **დევიზი—გავდევნოთ ძალით მოსულნი, საშშობლოს მაოხრებელნი.**

1829 წლის აჯანყება, თბილისში მეტისმეტი სიძვირის გამო.

1840 წლის აჯანყება გურიაში, იმერეთში, წებელდაში (შაურიანის აჯანყება).

1841 წელს აჯანყება გრძელდება გურიაში, იმერეთში და გორში.

1849 წლის აჯანყება თბილისში.

1857-1862 წლის აჯანყებანი სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, ქართლში, აგრარულ ნიადაგზე.

1863 წლის აჯანყება საინგილოში—ადმინისტრაციულ უწესობათა გამო.

1865 წლის აჯანყება თბილისში—გადასახადის მომატების გამო.

1866 წლის აჯანყება აფხაზეთში—ავტონომიის მოსპობის გამო.

1875 წლის აჯანყება სვანეთში—რუსული ადმინისტრაციის დამყარების გამო.

1878 წლის არეულობა კახეთში—სალდათობის გამო.

1882 წლის აჯანყება გურიასა და აჭარაში—მაჰმადიანობის დევნის გამო.

1905 წ. ფართო აჯანყება მთელს საქართველოში.

ყველა ეს აჯანყება—იყო იგი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ხასიათისა—რუსეთის წეს-წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ აჯანყებით ქართველი ხალხი თავის უკმაყოფილებას ხმამაღლა და თოფის სროლით გამოხატავდა. ყველა ეს აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ ერი ამ აჯანყებით თავის ზნეობრივ დაკმაყოფილებასაც პოულობდა და თავის ნებისყოფასაც განამტკიცებდა.

სწორედ ამ დროს იწყება კიდეც ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ასპარეზზე გამოსვლა და ხალხის პოლიტიკურად დარაზმვაც. ქართული ეროვნული სული პოლიტიკურ პარტიებში გადავიდა და ბრძოლამაც უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ჩვენი ქვეყანა 1918 წელს თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეუდგა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პა-

ტარა „ოქროს ხანა“ (1918-1921 წ.წ.) წითელმა რუსეთმა ისევ დაამხო და მისი თავისუფლებაც ფეხქვეშ გათელა.

ღია ბრძოლაში დამარცხებული საქართველო გადავიდა ფარული ბრძოლის წესზე და დაიწყო არალეგალური ანტიბოლშევიკური მუშაობა, რომელმაც მალე აჯანყების ხასიათი მიიღო.

1921 წელს აჯანყება იწყება სვანეთში, ლეჩხუმში, რაჭაში, მაგრამ ბოლშევიკებმა იგი სისხლში ჩაახშეს.

1922 წელს აჯანყება იწყება კახეთში და თუშ-ფშავ-ხევსურეთში, წითელმა რეგულარულმა ჯარმა იგი სისხლში ჩაახრჩო. ბევრი დახვრიტეს და ბევრი გადაასახლეს.

მიუხედავად ბოლშევიკების სისასტიკისა, ბრძოლა მათ წინააღმდეგ მაინც არ წყდებოდა. ქართული პარტიები შეეცადნენ ხალხის ბრძოლისათვის ორგანიზაციული სახე მიეცათ და ამ მიზნით დაარსდა **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი,** რომელშიც არალეგალური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ.

1923 წლის შეთქმულება. ბოლშევიკებს თავიდანვე არ მოუსპიათ ქართული ჯარი, რომელსაც ქართული ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ, „ჩეკას“ მეთვალყურეობით. ეს ქართული ჯარი ქართველ ხალხს წარმოადგენდა და მისი სურვილის მატარებელი იყო, ამიტომ ჯარში დაიწყო არალეგალური, ანტიბოლშევიკური საიდუმლო მუშაობა და დაარსდა შეთქმულების ცენტრი.

შედეგი. დახვრიტეს უმაღლესი ოფიცრობა და დაშალეს ქართული ჯარი.

პარტიზანული ბრძოლები

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა პარტიზანული ომებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგია, მრავალი ახალგაზრდა იარაღით ხელში ტყეში გაიჭრა. შეიქმნა პარტიზანული რაზმები ქართლში—კასრაძისა, ფავლენიშვილისა და ლაშქარაშვილისა; კახეთში—კრანაშვილისა და მათიაშვილისა. ჯავახეთში—ფორიასი; გურიაში—გოგუაძისა, მუხაშავრიასი, მათითაიშვილისა და სხვა. მაგრამ ყველაზე დიდი, მძლავრი და სახელგანთქმული რაზმი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, ბოლშევიკურ მთავრობას დიდი ძალები სჭირდებოდა ამ რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1924 წლის საქართველოს დიდ აჯანყებაზე უკვე აღვნიშნეთ.

1925-1926 წელი

ეს ორი წელიწადი იყო მწარე და განუსაზღვრელი გლოვის დრო—ქართველი ხალხი ძაძით იყო შემოსილი...

1927 წელი

ამ წელს მოხდა აჯანყება სვანეთსა და ლეჩხუმში, მაგრამ ფართო გაქანება მას არ მიულია, რადგან ბოლშევიკებმა ჰაეროპლანებით გაანადგურეს სოფლები.

1928-1930 წელი

ხალხი ბოლშევიკებს პასიურ წინააღმდეგობას უწევს. კოლექტივიზაციის გატარებამ საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ მასიური გამოსვლები და წინააღმდეგობანი გამოიწვია. ხალხი წვავდა და ანადგურებდა კოლექტივში შესატან ქონებას. თავს ესხმოდა პარტიულ ხელმძღვანელობას და ანადგურებდა. ამას თან მოჰყვა მასიური დაჭერები, გადასახლებები და დახვრეტები.

1931-1932 წელი

კოლექტივიზაციის შემოღებას ხალხი არ ურიგდება, თავდასხმები ისევ გრძელდება ბოლშევიკებზე, მიუხედავად იმისა, რომ გლეხებს დაუბრუნეს ვენახის ნაწილი და ეზო. ბოლშევიკები აგრძელებდნენ დაჭერას და გადასახლებას.

1933-1936 წელი

კოლექტივში იძულებით ხალხის შეყრამ დიდი სასოფლო-სამეურნეო კრიზისი გამოიწვია, რომელიც შიმშილობით დასრულდა. სიღნაღის რაიონში მოხდა დიდი აჯანყება. აჯანყებულებმა თავისი მთავრობა აირჩიეს და პლაკატები გამოაკრეს, რომლითაც ისინი ბოლშევიზმის მოსპობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ.

1933-1936 წელი

ამ წლებში დიდი გადატრიალება მოხდა კომუნისტურ პარტიაში, ძველმა ბოლშევიკებმა შექმნეს ე.წ. უკლონისტური გადახრა. ქართველი ხალხის ბრძოლამ ბოლშევიკების წინააღმდეგ და თავისუფლების მოსაპოვებლად, თვით ქართველ ბოლშევიკებზე იქონია გავლენა და ისინი იძულებული გახდნენ ერის ინტერესებისათვის გაეწიათ ანგარიში და შექმნეს ოპოზიცია. ისინი მოითხოვდნენ რუსეთისაგან განთავისუფლებას. ესენი იყვნენ ძველი ბოლშევიკები, ცეკას წევრები და პარტიის ლიდერები: მაგ. **ბუდუ მდივანი, მიხეილ და ნიკოლოზ ოკუჯავები, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, მალაქია ტოროშელიძე, თენგიზ ყღენტი** და ა.შ. ხოლო მოსკოვში, კრემლში მათ ემხრობოდა **საბჭოთა** კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **აბელ ენუქიძე.**

კრემლმა სასტიკი ზომები მიიღო და ყველა ბოლშევიკი—დიდი და პატარა, რომელიც ამ ეროვნულ მოძრაობას ემხრობოდა, დახვრეტილი იქნა.

1936-1937 წელი

ამ პერიოდში ბრალიანი და უბრალო ყველა იხვრიტებოდა ან რუსეთის შორეულ კუთხეებში ასახლებდნენ, საიდანაც ველარ ბრუნდებოდნენ. იშვიათად თუ გადარჩა ოჯახი, რომ ვინმე არ დაკლებოდა.

1938-1939 წელი

მიუხედავად მასიური დახვრეტებისა, პროტესტი მაინც გრძელდებოდა. ბოლშევიკებმა საპასუხოდ 19 უმაღლესი სასწავლებლიდან 1500 სტუდენტი მაინც გარიცხეს და ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს; იქიდან კი ცოტა თუ ვინმე დაბრუნდა.

აი, მოკლე ნუსხა იმისა, თუ რა ჯოჯოხეთი დაატრიალა რუსეთმა საქართველოს დაპყრობიდან და დღეს კიდევ რას უპირებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას თუ მის დამოუკიდებლობას.“

ძალდატანებითი კოლექტივიზაცია

1928-1930 წლებში გატარებულმა კოლექტივიზაციამ ხალხში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია და დაიწყო მასიური გამოსვლები კომუნისტების წინააღმდეგ. ქართველი ხალხი ანადგურებდა და წვავდა კოლექტივში შესატან ქონებას. თავს ესხმოდა ხელმძღვანელ ორგანოებს. სიკვდილითაც კი სჯიდნენ მათ. ამას მოჰყვა მოსახლეობის აწიოკება კომუნისტების მხრიდან, ისინი იჭერდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ ხალხს.

მიუხედავად მოსახლეობის მხრიდან ამდენი აჯანყებისა და თავდასხმისა, კომუნისტები მაინც ახერხებდნენ კოლექტივიზაციის გატარებას. პირველ რიგში, ხალხს ჩამოართვეს მიწები, შეარღვიეს და გააერთიანეს ყველას ადგილ-მამული, ჩამოართვეს პირუტყვი—ძროხა, ღორი, გამწევი ძალა და ყველა სახის ოთხფეხი.

მათ მიმართ, ვინც არ შევიდა კოლექტივში, უმკაცრესი ზომები მიიღეს, გადასახადები გაუდიდეს, მუშურ-გლეხური პარტიის მტრად გამოაცხადეს. ხალხს დააწყებინეს კოლექტიური მუშაობა: ბავშვები, ქალები, მამაკაცები ერთად მუშაობდნენ და ყველას ერთნაირად უწერდნენ დღეში ერთ შრომადღეს. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. შემდეგ ბავშვებს და ქალებს ნახევარ დღეს უწერდნენ, მამაკაცებს კი ერთ შრომადღეს. ასეთი მუშაობა, რა თქმა უნდა, მოსავალს ვერ ქმნიდა. შიმშილობა ჩამოვარდა. კაცი თავის ვენახში ვერ ჩადიოდა ყურძენი რომ ეჭამა, რადგან ბოლშევიკების მომხრე გუშაგი იცავდა ვენახს. ღვინო და ყურძენი არასდროს გაუნაწილებიათ, მხოლოდ სიმინდს ანაწილებდნენ შრომადღეზე 500-დან 1000 გრამამდე. იყო შემთხვევები 200 გრამიც რომ გაუნაწილებიათ, რაც იწვევდა სახალხო მეურნეობის ნგრევას. გლეხკაცს იმის საშუალება არ ჰქონდა თავისი შვილისათვის ერთი ჭიქა რძე რომ დაელევინებინა. საკუთარი ძროხა ჩამოართვეს, გასაყიდი კი არავის არაფერი ჰქონდა.

სტალინის სახელის ხსენება ხალხს შიშის ზარს სცემდა. მთავრობა მიხვდა—საქმე ცუდად იყო. ხალხს საკუთარი მიწა თუ არ ექნებოდა, შიმშილით დაიღუპებოდა. ხელისუფლება იძულებული შეიქნა—ყველა ოჯახისთვის 10000 m^2 ანუ 1 ჰექტარი მიწა დაერიგებინა.

მსოფლიოში ყველაზე „ბუმბერაზმა და ჭკვიანმა" ადამიანმა ის ვერ გაითვალისწინა, რომ დიდი უსამართლობა იყო ერთ-ორ სულიან და 10-12 სულიან ოჯახებისათვის ერთი და იგივე ფართობის მიწის ნაკვეთის დარიგება. ფერმების მოვლა-პატრონობა ამ საქმეში გამოუცდელ და უცოდინარ ხალხს ჰქონდა დავალებული, ამიტომ პირუტყვი მასიურად გაწყდა. რაც გადარჩა, ისევ ხალხს დაუბრუნეს და ხელწერილით ჩააბარეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ პასუხისმგებელი გახლდათ თუ საქონელი დაიღუპებოდა.

1933-1936 წწ. ძალდატანებითმა კოლექტივიზაციამ კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდო ხალხი, რამაც სოფლის მეურნეობის ნგრევა და მასიური შიმშილობა გამოიწვია. ამ წლებში დიდი გადატრიალებები მოხდა. ქართველი ხალხის დაუდგრომელმა ბრძოლამ თავისუფლების მოპოვებისათვის გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართველი ბოლშევიკების თვალსანიერზე, მსოფლმხედველობაზე. ისინი იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ ეროვნული მოძრაობისათვის, ჩამოაყალიბეს ოპოზიცია და ქართველი ხალხის სახელით მოითხოვდნენ რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლებას.

ვინ ჩაუყარა საფუძველი მეორე მსოფლიო ომს?

ღვთისაგან განდეგილ საბჭოთა კომუნისტებს მიაჩნდათ, თითქოსდა მათ მოუტანეს ხალხს თავისუფლება და ყოფილ საბჭოთა კავშირში აცხადებდნენ, რომ იქ ცხოვრობდნენ მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი და ბედნიერი ადამიანები. სინამდვილეში ეს „თავისუფლება“ ეფუძნებოდა საკონცენტრაციო ბანაკებსა და მასობრივ დახვრეტებს. 1924 წლიდან 1937 წლამდე დახვრეტილი იყო 2 მილიონამდე მამაცი, აქტიური, უდანაშაულო ადამიანი, ხოლო გადასახლებული იყო შორეულ ციმბირსა და შუა აზიაში 2 მილიონზე მეტი კაცი. იქიდან ვერ დაბრუნდა 1-2%-ის მეტი. ასეთი ტოტალიტარული სახელმწიფოს კომუნისტური „თავისუფლების“ ფუძემდებელნი იყვნენ ქართველთა მხრიდან: **ი. სტალინი, ლ. ბერია, ს. ორჯონიკიძე** და სხვები. კომუნისტები თავიანთი რწმენით თითქოსდა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ, ამიტომ დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, მოგვისპეს ჩვენი სარწმუნოება, დახვრიტეს სასულიერო პირები, მოგვისპეს ქართული სასულიერო ეროვნული დღესასწაულები, აგვიკრძალეს წირვა-ლოცვა, დაგვავიწყეს მუსულმანების მიერ ჩადენილი ტანჯვა-წამებანი. კომუნისტების არსებობის პერიოდში, ქართული ოჯახი არ არსებობდა, რომელსაც დახვრეტილი არ ჰყოლოდა ოჯახის წევრი, ან ახლობელი.

საბჭოთა მთავრობის მიზანი იყო მათი მოსვლის დღიდან ქვეყნის განითლება და ხალხისთვის „თავისუფლების“ მოტანა, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს კომუნისტური პარტიის ლიდერთა გამონათქვამები და ნაშრომები, კერძოდ, ვ.ი. ლენინის **„პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ 1916 წ.**

- **დასავლეთი თავისი იმპერიალისტური კაციჭამიებით გადაიქცა ბნელეთის და მონობის კერად. ჩვენი ამოცანაა—დავამსხვრიოთ ეს კერა ყველა ქვეყნების მშრომელთა სასიხარულოდ.**

ი. სტალინი, 1918 წელი

- **ჩვენ მსოფლიოს დასაპყრობად მომავალი კლასის პარტია ვართ.**

მ. ფრუნზე

1937 წლის რეპრესიების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ შედარებით ამოისუნთქა, რადგან უკვე მოიშორა მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგეები მენშევიკების სახით.

ყოველივე ამის შემდეგ მთავრობა სტალინის ხელმძღვანელობით შეუდგა მსოფლიოს დაპყრობისა და განითლების გეგმის შემუშავებას და ბრძოლას მისი განხორციელებისათვის.

1993 წელს გამომცემლობა „ნოვოე ვრემიამ" გამოსცა სსრკ სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცრის **ვიქტორ სუვოროვის** წიგნი **„ყინულმჭრელი"** პროფესიონალი მზვერავი **ვიქტორ სუვოროვი** 1978 წ. გაიქცა დიდ ბრიტანეთში. ამ წიგნში კითხვაზე—**ვინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი?** იგი პასუხობს:

„1939 წლის 18 სექტემბერს სსრკ მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ომის გაჩაღებაში დამნაშავეა პოლონეთი. 1939 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში" ი. სტალინმა დამნაშავეების სიას მიუმატა ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო 1941 წ. 5 მაისს სტალინმა კიდევ ერთი დამნაშავე დაასახელა—გერმანია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ „დამნაშავეების"რიცხვი კიდევ უფრო გაფართოვდა. სტალინის განცხადებით, მეორე მსოფლიო ომი გააჩაღეს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა."

საბჭოთა არმიის მთავარი ისტორიკოსი **პ.ა. ჟილინი** აღნიშნავს, რომ ომის გაჩაღებაში დამნაშავე იყო არა მხოლოდ გერმანია, არამედ მთელი მსოფლიოს „იმპერიალისტები."

კრასნაია ზვეზდა 1985 წ. 24.09.

გავბედავ და ვიტყვი, რომ საბჭოთა კომუნისტები მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნებს ადანაშაულებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დაემალათ ომის გამჩაღებელთა მიმართ თავიანთი როლი. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას ჩამოერთვა მძლავრი არმიისა და თავდასხმითი შეიარაღების ფლობის უფლება, გერმანიას გარკვეულ დრომდე არ დაურღვევია ეს აკრძალვა და არ უწარმოებია მზადება აგრესიული ომისათვის თავის პოლიგონებზე, მაგრამ ისინი ამას აკეთებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სტალინმა მათ დიდსულოვნად დაუთმო თავისი პოლიგონები და სასწავლო ცენტრები. ასეთი დახმარების გარეშე გერმანია სამხედრო თვალსაზ-

რისით დარჩებოდა სუსტ ქვეყნად, ისე როგორც ინგლისი და საფრანგეთი და ასეთ სიტუაციაში ევროპა სულაც არ იქნებოდა ხანძარსაშიში კერა.

სტალინმა, რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო, არ დაიშურა სახსრები, ძალა და დრო გერმანიის თავდასხმითი ძლიერების აღორძინებისათვის. **რატომ? ვის წინააღმდეგ?** რა თქმა უნდა, არა საკუთარი თავის წინააღმდეგ. **მაშ ვის წინააღმდეგ?** პასუხი ერთია, მთელი დანარჩენი ევროპის წინააღმდეგ. მაგრამ არმიის შექმნა ეს მხოლოდ დასაწყისია. თვით ყველაზე აგრესიული. არმიაც კი ომს თვითონ არ იწყებს. ყველაფერთან ერთად საჭიროა ფანატიკოსი, შეშლილი ლიდერი და სტალინმა ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოსულიყო სწორედ ასეთი ლიდერი, რომელსაც მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით სტალინი ევროპაში თავისუფალი მოქმედების გარანტიას აძლევდა და ამით გზა გაუხსნა (ხელი ვერ შეუშალა) მეორე მსოფლიო ომს.

ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, საბჭოთა ლიდერმა—ჰიტლერს მიანიჭა საიდუმლო ტიტული—**რევოლუციის ყინულმჭრელი.** ზუსტი და ტევადი სახელია. **ადოლფ ჰიტლერი** გაუცნობიერებლად გზას უკაფავდა მსოფლიო კომუნიზმს ელვისებური ომებით. ჰიტლერი ანგრევდა დასავლეთის დემოკრატიას და ამასთანავე ფანტავდა თავის ძალებს ნორვეგიიდან ლიბანამდე.

რევოლუციის ყინულმჭრელმა მსოფლიოს და კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა უდიდესი ბოროტება და ამით მორალური უფლება მისცა სტალინს ნებისმიერ მომენტში გამოეცხადებინა თავი ევროპის განმათავისუფლებლად—ყავისფერი საკონცენტრაციო ბანაკები შეეცვალა წითლით.

მე, ჰიტლერს ვთვლი დამნაშავედ და თაღლითად, ევროპის მასშტაბის კაციჭამიად, მაგრამ თუ ჰიტლერი კაციჭამია იყო, ეს სულაც არ ნიშნავს სტალინის ვეგეტარიანელობას. თავი დავანებოთ საიდუმლო დოკუმენტებს, ღია საბჭოთა პუბლიკაციებიც კი საკმარისია იმისათვის, რომ საბჭოთა კომუნისტები გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე და დავსვათ ისინი დამნაშავის სკამზე გერმანელი ფაშისტების გვერდით, ან იქნებ სულაც მათ წინ.

მოდით მოუსმინოთ **მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინს.** მარქსი და ენგელსი თვლიდნენ, რომ ომი რევოლუციის დედაა, მსოფლიო

ომი მსოფლიო რევოლუციის დედა. მაგრამ კითხვაზე, თუ რის შედეგად უნდა მოხდეს მსოფლიო რევოლუცია, ჯერ კიდევ 1916 წელს ადოლფ შიკლაგრუბერი მეორე მსოფლიო ომზე ვერც იოცნებებდა.

1939 წელს ჰიტლერმა ომი დაიწყო 3195 ტანკით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მხოლოდ ხარკოვის ორთქმავლების ქარხანა უშვებდა დღეში 22 ტანკს. ხოლო თუ რას ნიშნავს 22 ტანკის დამზადება დღეში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აშშ-ს 1940 წელს შეიარაღებაში ჰყავდა მხოლოდ 400 ტანკი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ტანკები ხასიათდებოდა მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებით (მაგალითად, მათი სიჩქარე—100 კმ/სთ—60 წლის შემდეგაც საოცნებო იქნება). მაგრამ დადებით თვისებებთან ერთად, სამართლიანად უნდა აღინიშნოს ერთი უმნიშვნელო ნაკლი, რომელიც ეხება ამ ტანკების საბჭოთა ტერიტორიაზე გამოყენების შესაძლებლობას. ეს ტანკები სრულიად უძლურებად გამოიყურებოდნენ საბჭოთა უგზოობის პირობებში. ომის პირველ დღეებში, პრაქტიკულად, ყველა ტანკი მიტოვებული იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რადგან მათი უმრავლესობა აღჭურვილი იყო საბურავებით. ფაქტიურად ეს ტანკები დამზადებული იყო ევროპის ავტოსტრადებზე გამოსაყენებლად თავდასხმისათვის. ასეთივე მდგომარეობა იყო ავიაციაშიც. აქაც უპირატესობა ენიჭებოდა თავდასხმითი საავიაციო ტექნიკის განვითარებას. ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა სადესანტო ჯარების მომზადებას, რომელთაც არაფერი ესაქმებოდათ თავდაცვით ბრძოლებთან. ომის დასაწყისში ჰყავდათ 1 მილიონზე მეტი მედესანტე.

„მომავალ ბრძოლებში ჩვენ ვიმოქმედებთ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, ასე წერია ჩვენს წესდებაში“—**პოლკოვნიკი ა.ი. როდიმცევი 1939 წელს პარტის XVII ყრილობაზე** წარმოთქმულ სიტყვაში, ასევე თავისდაუნებურად ამჟღავნებს საბჭოთა არმიის ნამდვილ მიზნებს.

სსრკ მარშალმა გ.ი. ჟუკოვმა 1941 წლის ივნისის დასაწყისში აღნიშნა, რომ ნაღმები ეს ძლიერი იარაღია, მაგრამ ეს საშუალება სუსტებისთვისაა, მათთვის, ვინც თავს იცავს, ჩვენ ასეთი ნაღმები არ გვჭირდება, ჩვენ გვჭირდება საშუალებები განაღმისათვის“.

საბჭოთა ლიდერები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ხედავდნენ „მტერს“. „მხეცს თავისივე ბუნაგში გავანადგურებთო“—ამბობდა

სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარი ლ. ბერია 1941 წლის თებერვალში.

იმაზე, რომ სტალინი ემზადებოდა ევროპის დასაპყრობად, მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1937 წლის რეპრესიების შემდეგ დამსჯელი ჯარების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირებულიყო (1939 წ. 2 თებერვლის დადგენილება). მაგრამ ხდება უცნაური რამ—ერთი, მთავარი სამმართველოს ადგილზე შეიქმნა შსსკ-ის ექვსი დამოუკიდებელი სამმართველო: სასაზღვრო, სადამცველო, საბადრაგო, სარკინიგზო ჯარების, სამხედრო მომარაგებისა და სამხედრო მშენებლობის.

1937 წლის „დიდი წმენდის" დამთავრება აღმოჩნდა წარმოუდგენელი ძლიერების—სადამსჯელო არმიის შექმნის დასაწყისი, რომელსაც შეიარაღებაში გადაეცა ჯავშანმატარებლები, ჰაუბიცები, ბოლოს ტანკები და ავიაცია. ამ არმიის სიდიადეზე მეტყველებს ისიც, რომ საჭირო გახდა ახალი, განსაკუთრებული თანამდებობის შემოღება—**ჯარების დარგში სახალხო კომისრის მოადგილის ტიტული** (გენერალ-ლეიტენანტი **ი.ი. მასლენკოვი**). საოცარი იყო ასეთი არმიის შექმნა, რადგან სსრკ ტერიტორიაზე სადამსჯელო ჯარები საჭირო აღარ იყო, 1939 წელს სსრკ-ში ახალი წმენდა აშკარად არ იგეგმებოდა. მთელი ქვეყანა დაჩოქილია და ემორჩილება სტალინს. მაშ, ვისთვის იყო საჭირო ასეთი სიძლიერის სადამსჯელო არმია, რისთვის სჭირდებოდა ამ არმიას ჰაუბიცები?

საბჭოთა კავშირის არქივები დიდი ხნის წინათ და გულდასმით გაასუფთავეს, ხოლო რაც დარჩა, მკვლევარებს მასზედაც არ მიუწვდებათ ხელი. ჩემი ინფორმაციის მთავარი წყაროები—ღია საბჭოთა პუბლიკაციებია. ესეც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საბჭოთა კომუნისტები გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე და დავსვათ ისინი დამნაშავის სკამზე გერმანელი ფაშისტების გვერდით, ჩემი მთავარი მოწმეებია: მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, სტალინი, ომისდროინდელი ყველა საბჭოთა მარშალი, და ბევრი წამყვანი გენერალი. კომუნისტები თვითონ აღიარებენ, რომ ჰიტლერის ხელით მათ ევროპას თავს მოახვიეს ომი და ემზადებოდნენ, რათა გადამწყვეტ მომენტში ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში და დაეპყროთ ომისაგან დაუძლურებული ევროპა. ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაციების

ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავეები თვითონ ლაპარაკობენ თავიანთ დანაშაულზე.

მთელი კაცობრიობისათვის ცნობილია, თუ როგორ ექცეოდნენ საბჭოთა ტყვეებს ფაშისტი გერმანელები. ისინი მხეცურად და არაადამიანურად აწამებდნენ მათ, ჩვენს თანამოქალაქეებსაც. იბადება კითხვა, რით იყო გამოწვეული ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება სხვებთან შედარებით საბჭოთა ტყვეების მიმართ? რა თქმა უნდა, საბჭოთა ტყვეები განსაკუთრებული სისასტიკით მოპყრობას თავად არ იმსახურებდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება, განსაკუთრებით სტალინი, მათ სამხედრო დამნაშავეებად და სამშობლოს მოღალატეებად მოიხსენიებდა, ტყვეების შესახებ კონვენციას ხელი არ მოაწერეს. წარმოიდგინეთ როგორ ტრაგიკულ მდგომაროებაში იყვნენ ჩვენი თანამემამულენი. ათასობით ჯარისკაცი თუ მეთაური სხვათა ომში მონაწილე დაატყვევეს და როგორც მხეცს ისე ექცეოდნენ, ბევრმა გაქცევით უშველა თავს, რითაც საკონცენტრაციო ბანაკს თავი დააღწია, ბევრი გაქცევის დროს გააანადგურეს, ვინც გადარჩა ქართველ ტყვეთაგან პარტიზანულ რაზმს შეუერთდა საფრანგეთსა და იტალიის მთებში, რომლებმაც საარაკო საგმირო საქმეები ჩაიდინეს და იქაური ხალხის სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურეს. ვინც გადარჩა მედლებით მკერდდამშვენებულნი ჩამოვიდნენ, მაგრამ ჩამოსვლისთანავე გააციმბირეს.

ხალხის მზრუნველი მამის, სტალინის ბრძანებით, მათ სამშობლოს ღალატის სტატუსით 25 წელი მიუსაჯეს, თითქმის მოუსავლეთში გაგზავნეს, უმრავლესობა იქ დარჩა სამუდამოდ. შეიძლება ვერც ვერავინ დაბრუნებულიყო, „მზრუნველი მამა“ სტალინი, რომ არ წასულიყო მოუსავლეთში „ჯოჯოხეთში“.

ბევრი მათგანი ნამდვილი გმირი იყო, ყველას ჩამოთვლას ვერ ვახერხებ, საარქივო მასალის არქონის გამო. გერმანიის იატაკქვეშეთში ქუხდა მახინჯაურელი ფატიკო ომერიძის სახელი. სამშობლოში დაბრუნებული დააპატიმრეს, 25 წელი მიუსაჯეს.

იტალიაში იბრძოდა, პარტიზანულ რაზმთან ერთად, ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანიდან აკაკი სევერიანის ძე დვალიშვილი და ერთ-ერთი ოპერაციის დროს გმირულად დაეცა გერმანელ ფაშის-

ტებთან ბრძოლის დროს. იტალიაში იბრძოდა **კოტე ლეჟავა**, რომელმაც მუსოლინის შეპყრობის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა.

ფაშისტების ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ საფრანგეთის პარტიზანულ რაზმს შეუერთდა ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანის მკვიდრი **არკადი სოლომონის ძე დვალიშვილი**, დაბრუნების შემდეგ იგი საზღვარზე დააპატიმრეს. იგი ჯერ მოხვდა ქუთაისში, შემდეგ კი გაამწესეს ასევე საიდუმლოდ. შემდგომში მის მიერ გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ იგი გაამწესეს ქუთაისისკენ აჯამეთის სამხედრო საიდუმლო ნაწილში, სადაც დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

იტალიაში იბრძოდა **შალვა მუნჯიშვილი**. ისიც 25 წლით „დაასაჩუქრეს" კომუნისტებმა. ასევე იტალიის პარტიზანულ რაზმში იბრძოდა ვანის რაიონის სოფელ ზედავანიდან **პოლიკარპე ერმილეს ძე თვალაბეიშვილი**. მან გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა, იბრძოდა მამაცურად, რითაც იტალიელი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. ჩამოსვლისას საზღვარზე დააპატიმრეს, 25 წელი მიუსაჯეს, მოხვდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი აჯამეთის სამხედრო საიდუმლო ნაწილში. 1966 წელს ქუთაისის კომისარიატი მის წარსულზე აწარმოებდა მოკვლევას, იგი კოლექტივში შესული იყო იძულებით 1937 წელს, ამიტომ ამ მიზეზით არ გაანთავისუფლეს, 1966 წელში ცოცხალი იყო, შემდეგ კი გაურკვეველია მისი ბედი.

ვახტანგ ირემაძეს 25 წელი მიუსაჯეს. გურიიდან **გულო ბარამიძე** ჩამოსვლისთანავე დააპატიმრეს ცოლშვილით, 25 წელი მიუსაჯეს და გადაასახლეს შუა აზიაში. მგზავრობის დროს საბარგო ვაგონში ბიჭი დაელუპა, 11 დღე ვაგონში ჰყავდათ მიცვალებული, ჩასვლის შემდეგ დაასაფლავეს.

ა.ს.ვ.-ძე ცხოვრობს საქართველოში, ომის დაწყებიდან იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, საშუალო განათლებით, ჩავარდა ტყვედ საფრანგეთში, იქედან მოხვდა იტალიაში. ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ შეუერთდა იტალიის პარტიზანულ რაზმს. ომის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა, სასწაულად გადაურჩა გადასახლებას დიდი პიროვნების დახმარებით. კარგად ფლობდა უცხოენებს. დაამთავრა თბილისის ერთ-ერთი უნივერსიტეტი, მუშაობა დაიწყო ჯერ მასწავლებლად სკოლაში, შემდეგ ინსტიტუტში ლექტორად. მწერალს, პროფესორს, რამოდენიმე წიგნის ავტორს, საქართველოში ყველასათვის ცნობილ კეთილშობილ, დიდებულ პიროვნებას, როდესაც ვთხოვე მოეთხრო თავისი ტყვედ ყოფნის პერიოდის შესახებ,

ჩემს ისტორიულ ნარკვევებში უნდა შევიტანო თქვენი ტყვეობაში ყოფნის თავგადასავალი-მეთქი, შეწუხდა, მაგრამ უარი განაცხადა, მე დიდი შიში და ტანჯვა გადავიტანე, დაბრუნების შემდეგ ყოველდღე ველოდი დაპატიმრებას, ახლა არ შემიძლია ამის აღიარება, ჩემი წარსულის შესახებ არავინ არაფერი იცის, ახლა არ ღირს გამჟღავნება, თანაც კიდევ შიში მაქვსო.

ქმრის სიტყვები დამიდასტურა მისმა მეუღლემ, ჩემთვის ძვირფასმა და ახლობელმა, საქართველოში ცნობილმა ქალბატონმა მ. ხ. ასულმა უფრო მეტიც, თვალებიდან ცრემლჩამომდინარე მემუდარებოდა, თუ ძმა ხარ, ამის შესახებ არაფერი დაწეროო, ამიტომაც ვერ ვასახელებ მათ ნამდვილ სახელსა და გვარს.

მათი და სხვათა საუბრიდან დავასკვენი, რომ მართალია სტალინი ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც გარდაიცვალა, მოისპო მისი რეჟიმი, კომუნისტური წყობილება დაემხო და გავხდით დამოუკიდებელნი, მაგრამ სტალინის გახსენება დღესაც ბევრ მათგანს შიშის ურუანტელს გვრის.

შევადაროთ ჩვენი ბედგამწარებული, ტყვეობიდან დაბრუნებული მეომრები ვიეტნამელთა ტყვეობიდან დაბრუნებულ ამერიკელებს, რომელთაც სიცოცხლის შენარჩუნებისათვის გმირებად რაცხავდნენ და მათ შემნახველ სალაროში ხელფასებს უნახავდნენ. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენ სხვათა ომში ვიბრძოდით და ყველას გვჯეროდა, რომ ქართველთათვის ეს სამამულო ომი იყო. ასეთ გარემოებას მსგავსი შედეგების მოტანა შეუძლია, იგი ალარ უნდა განმეორდეს.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: 1946 წელს სტალინმა მოიხმო საბჭოთა კავშირიდან წასული ემიგრანტები და თხოვნით მიმართა: ჩამოსულიყვნენ და მონაწილოება მიეღოთ დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობაში. ბევრი მათგანი მართლაც დაბრუნდა სამშობლოში ხალისით, მაგრამ სტალინის მიერ დაგებულ ხაფანგში გაება. საზღვარზე ხვდებოდათ მათ მანქანები და პირდაპირ საკონცენტრაციო ბანაკებში, ციმბირში აგზავნიდნენ. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირს არც იცნობდა, რადგან საზღვარგარეთ იყო დაბადებული მშობლების ემიგრაციაში ყოფნისას. 1953 წელს სტალინი გარდაიცვალა და იმედი გაჩნდა, ტოტალიტარული რეჟიმი შეიცვლებოდა, მაგრამ კომუნისტების არსებობის პირობებში არაფერი შეცვლილა, ამიტომაც ისინი ვერ მოესწრნენ უკან დაბრუნებას და სიცოცხლეც სამშობლოს ნახვის სურვილში დაამთავრეს.

ქართველები მეორე მსოფლიო ომში

1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთს ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ფაშისტური გერმანიის არმია. ამ ომში თანდათან ჩაება ბევრი ქვეყანა, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1941 წლის ივნისამდე გერმანიამ, ფაშისტური იტალიის დახმარებით, შესძლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და საფრანგეთის დაპყრობა. ევროპის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საზღვრებს მოაყენა თავისი ჯარი და **1941 წლის 22 ივნისს**, ომის გამოუცხადებლად, დაიწყო საბჭოთა ტერიტორიების ოკუპაცია, გერმანიასთან ერთად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაება: უნგრეთი, რუმინეთი, იტალია და ფინეთი. ისინი ელვისებური სისწრაფით ცდილობდნენ საბჭოთა ტერიტორიების ხელში ჩაგდებას და თავისი დიქტატურის დამყარებას.

შეცდა სტალინი, თავისი გეგმის მიხედვით ომი თვითონ უნდა დაესწრო ომში დასუსტებულ ევროპისა და გერმანიის მიმართ. ჰიტლერმა კარგად იცოდა სტალინის ჩანაფიქრი და დაასწრო, მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ჯარებით შემოუტია საბჭოთა ქვეყანას. ასეთ მოულოდნელ თავდასხმას ვერ გაუძლეს საბჭოთა ჯარებმა, მათ არ გააჩნდათ თავდაცვითი იარაღი, საბჭოთა ჯარები შეიარაღებული იყვნენ თავდასხმითი იარაღით, მთავრობამ შექმნა თავდაცვის კომიტეტი და მთელი ძალაუფლება სამხედრო საქმის ინტერესებზე გადაიყვანა. სტალინმა თვითონ აიღო საბჭოთა ჯარების მთავარსარდლობა.

გერმანიისა და მისი მოკავშირეების 170 დივიზია უტევდა საბჭოთა ჯარებს და მოახერხეს ქვეყნის სიღრმეში შემოსვლა, მაგრამ საბჭოთა ჯარები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ქვეყანა ერთ მუშტად შეიკრა და არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირზე გამარჯვება, როგორც ეს ჰიტლერს ეგონა. სასწრაფოდ მოხდა საქართველოს სახალხო მეურნეობის გადაყვანა სამხედრო ყაიდაზე, საქართველოს ყველა ქარხანამ დაიწყო სამხედრო იარაღის და საბრძოლო მასალების გამოშვება. ფრონტზე მამაკაცების წასვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის საქმეს თავგამოდებით ასრულებდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები. ამან გამოიწვია სასურსათო-სამ-

რენველო პროდუქციის შემცირება, მაგრამ გაიზარდა მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი საწარმოების პროდუქცია.

ქართველი ხალხი თავდადებით შრომობდა და ფრონტს აწვდიდა იარაღს და საბრძოლო მასალას, აგრეთვე ტანსაცმელსა და კვების პროდუქტებს. ომის პერიოდის წლებში მეომრებს საქართველოდან გაეგზავნათ: ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის 8 მილიონ 5000 კომპლექტი. სამხედრო საქმეზე მუშაობდა 250 ახლადშექმნილი საწარმო, გაყვანილ იქნა რკინიგზის მაგისტრალი შავი ზღვისა და ბორჯომ-ახალციხის მიმართულებით. საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მუშახელის სიმცირის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის მიერ ომის პერიოდში შეტანილმა თანხამ 3,173 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ქართველი მებრძოლების მოქმედება ფრონტზე

საქართველოდან ფრონტზე 700 ათასი მებრძოლო წავიდა. ომის დაწყებიდანვე შეიქმნა მებრძოლი ბატალიონები, სახალხო ლაშქარი. ქართველი მეომრები ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ, მარტო ქერჩსა და ყირიმში ბრძოლის დროს 70 ათასზე მეტი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე.

1941 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა: ქართული საჯარისო შენაერთები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მტერზე გამარჯვებაში და ექვსი ქართული დივიზია, რომლებმაც საგმირო საქმეებით თავი მრავალგზის ისახელეს.

როდესაც გერმანელი ფაშისტები მოადგნენ კავკასიას და ცდილობდნენ ზურგიდან შემოვლით აეღოთ მოსკოვი, ქართულმა ჯარმა მათ ამის საშუალება არ მისცა, ნამდვილი ქართული მამაცობის მაგალითები უჩვენა მტერს.

აღსანიშნავია ჩვენი თანამოძმე სვანი ხალხის გმირობა. შეიძლება ითქვას, რომ მათი მეშვეობით მოხდა კავკასიის მისადგომებიდან ფაშისტების უკანდახევა. კავკასიასთან გერმანელი ფაშისტების დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ყველა ფრონტის ხაზიდან იწყო მტერმა უკან დახევა. კავკასიის მისადგომებიდან ქართულმა

დივიზიამ ბერლინამდე მისდია ფაშისტ მეომრებს. ყველაზე სასიხარულო და საამაყო გახდა, რომ მილიონობით საბჭოთა მებრძოლებს შორის, ისევ ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ** რაიხსტაგზე ააფრიალა გამარჯვების დროშა. მაგრამ მის გვერდით კი არა, მის წინ დააყენეს **ეგოროვი**, რადგანაც იგი რუსი იყო. ყველას კარგად მოეხსენება, რომ დროშის დაჭერას ორი კაცი არ ჭირდებოდა. ყველაფერი ეს, ნამდვილად ვიცი, პირადად მეც, ბატონი მელიტონის ნაამბობიდან.

ქართველი მეომრები თავდაუზოგავად, მამაცურად იბრძოდნენ ყველგან: როსტოვთან, სევასტოპოლთან, ხარკოვთან, სტალინგრადთან და სხვაგან, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ქართული დივიზიის შენაერთის თავგანწირული ბრძოლა კავკასიის ფრონტზე გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლებში ქართველებმა უჩვენეს გასაოცარი გმირობა და მამაცობა, რამაც გერმანელებიც კი გააოცა.

276-ე ტემრიუკის სახელობის წითელდროშოვანმა ქართულმა დივიზიამ კავკასიიდან ჩეხოსლოვაკიამდე სდია ფაშისტ-გერმანელთა ურდოებს. 1942 წლის აგვისტოს პირველ მეოთხედში 392-ე ქართული დივიზია გმირულად იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან და ქართველი ხალხის სიმამაცე ერთჯერ კიდევ დაამტკიცა.

ფაშისტებმა, ვინც ცოცხლები დარჩნენ, გაქცევით უშველეს თავს, მაგრამ ბევრი მათგანი დარჩა ბრძოლის ველზე. გერმანელებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. მტრის თავდაცვითი ხაზის გარღვევის შემდეგ, 392-ე ქართულმა დივიზიამ უღელტეხილი გადმოლახა და საქართველოში დაბრუნდა თავისი რიგების შესავსებად. ამ დივიზიის მეთაურის **კაპიტან ბუხაიძის** საარაკო გმირობა სახალხო სიმღერად იქცა.

„...მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებში ვწევარ,
რომ შემეძლოს საფლავიდან
ძმებო მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევსწირავდი მშობელ მხარეს
შევწირავდი იმავ, მიწას
დღეს რომ გულზე დამაყარეს...“

მეორე მსოფლიო ომში მამაცური ბრძოლებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ ამ დივიზიიდან: **ვლადიმერ ლურსმანიშვილს, ვლადიმერ კანკავას, ალექსანდრე პირმისაშვილს** და სხვებს.

414-ე ქართულმა დივიზიამ კავკასიის მისადგომებიდან დამარცხებულ მტერს თავის ბუნაგამდე მისდია და სახელოვანი გმირული ფურცელი ჩაწერა ერის ისტორიაში, რომელიც გადაეცემათ მომავალ თაობებს. ასევე სახელოვანი ბრძოლებით თავი ისახელეს **242-ე, 351-ე და 394-ე** ქართული დივიზიის ჯარისკაცებმა.

ამ გმირულ ბრძოლაში 200 ათასი ქართველი ჯარისკაცი, მეთაური და პოლიტმუშაკი მონაწილეობდა. ასევე დიდი როლი შეასრულა **კოსტანტინე ლესელიძის** არმიამ თავისი გამჭრიახობით და გმირული ბრძოლებით: ფაშისტური ჯარი გაანადგურა და გაიმარჯვა. სტალინგრადთან საბჭოთა არმიამ არნახულ წარმატებებს მიაღწია.

1944 წელს განდევნილი იქნენ გერმანელი ფაშისტები საბჭოთა ტერიტორიიდან, შემდეგ კი საბჭოთა არმია იბრძოდა ევროპის ქვეყნების ფაშიზმის უღლისაგან განთავისუფლებისთვის. მათ დიდი დახმარება გაუწიეს: პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, იუგოსლავიას, უნგრეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, ალბანეთს. შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლები გერმანელ ფაშისტთა ტერიტორიაზე, სადაც თვითონ ისინი ყველა ბრძოლაში მარცხს განიცდიდნენ. 1945 წლის 9 მაისს ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ქართველთა მხრიდან გენერლები: **კ. ლესელიძე, პ. ჩანჩიბაძე, ვ. ჯანჯღავა, ა. ინაური, ი. ბაბილაშვილი, მ. კიკნაძე, გ. ნანეიშვილი, კ. ჯახუა, მ. მიქელაძე, ნ. კილაძე, ე. კობერიძე, გ. ყუფარაძე, მ. ღლონტი, გ. ყურაშვილი, ი. სილაგაძე, გ. აბაიშვილი, მ. კიკნაძე, ე. ტატანაშვილი, შ. ჭანკოტაძე** და სსხვები.

გერმანელ ფაშისტთა დამარცხებაში და საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით **პარტიზანულ ბრძოლებს.** ომის დაწყებისთანავე შეიქმნა პარტიზანული ჯგუფები, მტრის მიერ ოკუპირებულ ქალაქებში **დავით ბაქრაძის** პოლკმა, რომელსაც თვითონ მეთაურობდა, გაანადგურა მტრის 67 ტანკი, 19 ქვემეხი, 300 ავტომანქანა, აგრეთვე, თავის განკარგულებაში მოაქცია რკინიგზის ეშელონები.

ყირიმის განთავისუფლებაში თავი გამოიჩინეს **პ. გვალიასა** და **ჩაჩხიანის** პარტიზანებმა. უკრაინაში **ივანე რეხვიაშვილმა** დიდი სამამულო ბრძოლები ჩაატარა, რითაც რაზმის მეთაურის მადლობა დაიმსახურა.

ყირიმში პარტიზან **ზოია რუხაძის** გმირული ბრძოლით გაკვირვებულმა განრისხებულმა ფაშისტებმა ის არაადამიანურად აწამეს.

საფრანგეთსა და გერმანიაში ქართველი ტყვეები სიკვდილსა და წამებას გადაარჩინეს **მიხეილ კედიამ**, ექიმმა **გიორგი მაღალაშვილმა**, **ა. ცომაიამ**, **პროფესორმა ნიკურაძემ** და სხვებმა. 1943 წელს ბერლინში ჩამოყალიბდა **„კავკასიური შტაბი“**, რომლის გეგმაში შედიოდა რუსეთის დამარცხების შემთხვევაში კავკასიის ერები ეხსნა კოლონიური რეჟიმისაგან. ამ შტაბმა ომის პერიოდში ათასობით ქართველი ტყვეები იხსნა ფაშისტების წამებისაგან, მათთან ერთად ქართველი და რუსი ებრაელებიც გადაარჩინა სასჯელის უმაღლეს ზომას. ამ პატრიოტულ საქმიანობაში **მიხეილ კედიასა** და **გ. მაღალაშვილს** დიდ დახმარებას უწევდნენ: **კ. სალია**, **ზ. ავალიშვილი**, **ვ. ნოზაძე**, **მ. წერეთელი**, **ა. ასათიანი**, **დ. სინჯიკაშვილი**, **ის. მანწყავა**, **შ. მაღლაკელიძე**, **მ. ტულუში**, **მ. ალშიბაია** და სხვები. მათ შექმნეს ქართველ ტყვეთა სამხედრო ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ჰოლანდიაში **კუნძულ ტექსელზე** ქართველმა ტყვეებმა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს ტექსელზე მცხოვრები მოსახლეობის დახმარებით, მაგრამ ვერ სძლიეს ძლიერ შეიარაღებულ ფაშისტებს და დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა 500 ქართველი, მათთან ერთად დაიღუპა აჯანყების მეთაური **შალვა ლოლაძე**, კომისარი **ს. გუჯაბიძე**. მართალია, ისინი დაიღუპნენ, მაგრამ თავიანთი გმირობით უკვდავება დაიმკვიდრეს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გერმანელები 1945 წლის 9 მაისს დამარცხდნენ, მაგრამ ამით მეორე მსოფლიო ომი არ დამთავრებულა. საბჭოთა ქვეყანამ, ინგლისსაფრანგეთთან, ყირიმის კონფერენციაზე დადებული შეთანხმება განახორციელა და იაპონიას ომი გამოუცხადა. ამ ომში დამარცხდა იაპონია. საბჭოთა არმიამ დაიკავა მანჯურია, სამხრეთ სახალინი, კურილიის კუნძულები, ჩრდილოეთ კორეა. იაპონია იძულებული

გახდა 1945 წლის 2 სექტემბერს კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ამის შემდეგ საბოლოოდ დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

ამ უთანასწორო, მრისხანე ომში მამაცური ბრძოლისათვის ათიათასობით ქართველმა მებრძოლმა დაიმსახურა ჯილდო, გმირის წოდება მიენიჭა 20-ზე მეტ ქართველს. მეორე მსოფლიო ომს 300 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა. მებრძოლთა ათეულ ათასობით ნაწილი დასახიჩრდა და დაინვალიდდა, ისმის კითხვა—**საჭირო იყო თუ არა საქართველოსთვის ასეთი მსხვერპლის გაღება?** ჩვენ ხომ დღევანდელი გაგებით სხვათა ომში ვიბრძოდით, ვიბრძოდით გერმანელების წინააღმდეგ იმ იმპერიის დასაცავად, რომელმაც თვითონ დაგვიპყრო და მოგვისპო დამოუკიდებლობა. 1921 წელს წაგვართვა თავისუფლება და გვაქცია მონებად. მაგრამ ჩვენ მაშინ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, რადგან რუსეთს ჩვენს დედასამშობლოდ გვათვლევინებდნენ.

სტალინმა ათეული წლების განმავლობაში ყველა დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი იყო ყველას სამშობლო. დღეს ყველანი ვხვდებით, თუ რა უბედურება მოგვიტანა საბჭოთა ქვეყანამ, მანამდეც ბევრმა იცოდა ეს სინამდვილე, მაგრამ რას ვიზამდით, ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნოდა.

იყო მეორე მნიშვნელოვანი საბაბიც—ქართული ჯარი ამ ბრძოლებში იცავდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ტერიტორიებს, არამედ საქართველოსაც. ვინაიდან ჰიტლერს გეგმაში ჰქონდა საქართველოს დაპყრობაც, ამიტომ ფიქრობდა ქართველი ხალხი—გინდ მგელს შეუჭამიხარ, გინდა მგლისფერ ძაღლსო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველ ერს რუს ხალხთან საუკუნეების მანძილზე გამყარებული დიდი მეგობრობა აკავშირებდა. სწორედ ამით იყო განპირობებული ქართველი მეომრებისა, და საერთოდ, ქართველი ერის ძირითადი მიზანი—**მტერზე გამარჯვება.** ამიტომ ჩვენგან დაფასების, შარავანდედით შემკობის და დიდების ღირსია ყველა ქართველი მეომარი და ზურგის მშრომელი, რომელმაც თავისი სიცოცხლე და ენერგია მიუძღვნა ფაშიზმზე გამარჯვებას.

გერმანელ ფაშიზმზე გამარჯვებაში საბჭოთა მთავრობის იდეას საერთო მასშტაბით შეეწირა 27 მილიონი ადამიანი, ამავე დროს საქართველოდან პროცენტულად უფრო მეტი, ვიდრე სხვა რესპუბლიკებიდან. ომით გამოწვეული ზარალი 2,569. მილიარდ მანეთს აღემატებოდა. ჩვენ დღეს მაინც მოვახერხეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ ძვირად დაგვიჯდა.

იოსებ სტალინის ფენომენი

ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხის შესწავლა ბევრ შემთხვევაში დიდი ბელადის **იოსებ სტალინის** სახელთან მიგვიყვანს.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის **გრიგოლ რობაქიძის** შემოქმედებას თუ გავეცნობით, აშკარად დავინახავთ, რომ იგი უკმაყოფილოა სტალინის პიროვნული დამოკიდებულებით საქართველოსადმი.

ეს ბუნებრივიცაა, არ შეიძლებოდა გრიგოლ რობაქიძე აღფრთოვანებული ყოფილიყო და ხოტბა შეესხა სტალინისათვის, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ქართველმა ერმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაკარგა.

როგორც ცნობილია, 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის წითელმა არმიამ გადმოლახა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობითა და სტალინის თანადგომით მოახდინა საქართველოს დაპყრობა, რასაც მოჰყვა ქართველი ერის ხოცვა-ჟლეტა. ანექსიის შემდეგ დახვრეტილი და გადასახლებული იქნა ასიათასობით უდანაშაულო ქართველი ადამიანი. მთელი საქართველო შავებით შეიმოსა.

უფრო მეტიც...

საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის 7 ივნისს რუსეთის კომუნისტთა კავშირის სხდომა გაიმართა, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე და იოსებ სტალინი წარმართავდნენ. სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს საქართველოს ტერიტორიიდან 418 ათასი კვ.კმ. მიწაწყალი გადასცეს, ეს ფართობი მთელი საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდა. ეს გახლდათ **საშვილიშვილო ღალატი** სერგო ორჯონიკიძისა და იოსებ სტალინის მხრიდან.

ი. ბ. სტალინი საქართველოში ჩამოვიდა 1922 წელს. მას საქართველოს „ვაი კომუნისტებმა“ მიმართეს თხოვნით—საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებაზე, პასუხად კი მიიღეს: **„საქართველოს მთლიანად გადავხნავო“.**

ცნობილი მწერალი და პოლიტიკოსი გრიგოლ რობაქიძე და სტალინი დაპირისპირებულნი იყვნენ პოლიტიკური პოზიციების გამო, რამაც განაპირობა სტალინის მხრიდან მისადმი სიძულვილი. გრიგოლ რობაქიძე, ისე როგორც სხვა ბევრი ჩვენი ქვეყნის პატრიოტი შვილი, ხვდებოდა, რომ თვითონაც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა, ამიტომ მან 1931 წლიდან დატოვა თავისი საყვარელი სამშობლო—საქართველო. იგი არასოდეს ყოფილა არც ბოლშევიკი, არც ფაშისტი და არც ნაცისტი. ის იყო დიდი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მხურვალე პატრიოტი თავისი სამშობლოსი და ამავე დროს დიდი მწერალიც.

აი, რას წერს ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტი ლიტერატორი—კარლო ინასარიძე XX საუკუნის 80-იან წლებში:

„პოლიტიკური ოპორტუნიზმი გამორიცხულია ისეთი დიდი პიროვნების მიმართ, როგორიც გრიგოლ რობაქიძეა, რასაც მას საქართველოში ზოგიერთები უწოდებდნენ. ამიტომ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ამერიკელი მკვლევარის ლეონარდო ფაქსის აზრი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მიმართ, რომელიც წერს: „გრიგოლ რობაქიძეს ატყვევებდა „გმირის სცენა, როგორც ეს ასახულია მითოლოგიაში და თანამედროვე ხანაში, ამგვარმა ინტერესმა იგი მიიყვანა ჰიტლერის და მუსოლინის შესწავლამდე, რომლებსაც იგი ხედავდა არა პოლიტიკურ, არამედ მითოლოგიური თვალსაზრისით. ასევე ხედავდა იგი მითოლოგიურ საწყისებს ლენინსა და სხვა ისტორიულ პიროვნებებში. ამ მიდგომიდან გამომდინარე დიდი შეცდომა იყო საბჭოთა ეპოქაში გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების შეფასება პოლიტიკური ოპორტუნიზმის პოზიციიდან, ეს მაშინ, როდესაც ანალოგიურ ქმედებათა გამო არცერთ ქვეყანაში მწერლები ისე მკაცრად არ განუსჯიათ, როგორც გრიგოლ რობაქიძე“.

ლ. ფაქსი, „გრ. რობაქიძე“ 1981 წ.

* * *

ასევე ერთ-ერთი რუსი მწერალი, ბუნინი არ იზიარებდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას, მან დატოვა რუსეთი და წავიდა ემიგრაციაში პარიზში, სადაც დაასრულა თავისი სიცოცხლე, მაგრამ მისი ნაწარ-

მოებთა ბეჭდვა და გამოცემა ხდებოდა საბჭოთა კავშირში. ასეთივე შემოქმედებისათვის არც ამერიკელი პოეტი **ეზრა პაუნდი** დაუსჯიათ, რომელიც იზიარებდა მუსოლინის ფაშისტურ იდეოლოგიას, ომის პერიოდში რადიოთიც კი გამოდიოდა რუზველტისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, არასდროს არ ყოფილა მისი ნაწარმოებების გამოქვეყნების აკრძალვა არც ამერიკაში და არც სხვაგან. ასეთივე იყო ნორვეგიელი მწერლის **კნუტ ჰამსუნის** ბედიც, რომელიც იზიარებდა ნაცისტურ იდეოლოგიას, მაგრამ არც იგი არ დაუგმიათ თავის სამშობლოში.

ერთადერთი იყო მხოლოდ გრიგოლ რობაქიძე, რომელიც დაგმეს ბოლშევიკებმა. მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, პირადად ჩემთვის და შეიძლება ითქვას, ძალიან ბევრისთვისაც, დაუჯერებელია.

ამის დასტურს წარმოადგენს მისი შემოქმედება, მისი ყოველმხრივ ღირებული ნაშრომები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაწარმოებთა კრებული **„ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, თბილისი, 1956 წ.**

თუ დეტალურად გავეცნობით ამ ჭეშმარიტი პატრიოტისა და სასიქადულო მამულიშვილის შემოქმედებას, ჩვენც უსათუოდ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ „გრიგოლ რობაქიძე იყო გენია. იგი პროგრესულ მწერალთა რიგებში იდგა და ისეთ დიდ მწერლებთან მეგობრობდა, როგორებიც იყვნენ **შტეფან ცვაიგი, თომას მანი, რომენ როლანი, მარსელ ბრონი** და სხვები, რომლებიც ჰიტლერს ოპოზიციაში უდგნენ“.

კრებული, გვ. 429

* * *

გრიგოლ რობაქიძემ თავისი შორსმჭვრეტელობით ნათლად დაინახა ბოლშევიზმის არსი. მისი აზრით, სტალინი გაუცხოებული იყო ეროვნულობისაგან. იგი ყურადღებას ამახვილებდა გამოჩენილ პი-

როვნებებზე. 1933 წელს გერმანიაში გამოცემულ რომანში „ჩაკლული სული“ ავტორი სტალინის, როგორც პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობას ნეგატიურად წარმოაჩენს. მისი შემოქმედების მიხედვით, სტალინი თავიდანვე იდგა ბოლშევიზმის პლატფორმაზე, კიდევ მეტი, ჟორდანიას თქმით: „სტალინი ბოლშევიკამდე ბოლშევიკი იყო“ და გაცნობისთანავე მიემხრო ლენინს. სოსო, უკვე კობად გადაქცეული და ციმბირიდან გამოქცეული, მაშინვე მიემხრო ლენინს არა მარტო თეორიული მოსაზრებებით, არამედ თავისი ბუნებით, ხასიათით და ამბიციით. როგორც კი ლენინში ნახა მისი მიდრეკილების თეორიული დასაბუთება, მიემხრო მას და ერთადერთი ლენინი აღიარა თავის ლიდერად და ხელმძღვანელად“.

რომანის „ჩაკლული სულის“ ერთ-ერთი გამოცემის წინათქმაში გრ. რობაქიძემ გამოააშკარავა ბოლშევიზმის დემონური ბუნება და იწინასწარმეტყველა უახლოესი წლების რეპრესიები. 30-იანი წლების დასაწყისში გახსნა სტალინის ფენომენის არსი, წარმოაჩინა უღმერთო სინამდვილე და აღმოაჩინა მისი მხატვრული ხატი.

გრ. რობაქიძე ამხელს სტალინის ნეგატიურობას, მის მიერ ტოტალიტარული რეჟიმის შექმნას, ღმერთის უარყოფას და სხვა. მისი აზრით, სტალინი ებრძვის თავად ღმერთს, როგორც სიცოცხლის საწყისს, თავისუფლებისმოყვარე სულს კლავს, რათა მიაღწიოს თავის მიზანს—შექმნას „უღმერთო სინამდვილე“, ათეისტური სამეფო, რომ ყველას ბედი მასზე იყოს დამოკიდებული, არცერთ დიქტატორს ამდენი ძალაუფლება არ მიუთვისებია მსოფლიოს ისტორიაში, რამდენიც სტალინს. იგი ბევრს სძულდა, მაგრამ მის წინააღმდეგ რაიმეს წარმოთქმაც კი წინასწარ იყო განწირული.

„ჩაკლულ სულში“ გრ. რობაქიძე ცდილობს სტალინის ძლიერების ამოცნობას. მისი აზრით, სტალინი მოწყვეტილი იყო ეროვნულობისაგან, ამიტომაც მის გულში სრული სიცარიელე სუფევდა. მას ნაკლებად აინტერესებდა საქართველო და არც დადიოდა მის სამშობლოში, ალბათ გაცნობიერებული ჰქონდა თავისი დანაშაული საქართველოს მიმართ.

დასავლეთ ევროპის მწერლები და კულტურის მოღვაწენი დიდ შეფასებას აძლევენ გრ. რობაქიძის შემოქმედებას, განსაკუთრებით კი მის ნაწარმოებებს: „გველის პერანგი", „გრაალის მცველნი" და „ჩაკლული სული".

მას ხოტბას ასხამს: გერმანული ფილოსოფოსი **ლეოპოლდ ცინგლერი:** „თქვენ ერთადერთმა მოახერხეთ ბოლშევიზმის სულიერი დამარცხება და ეს ტრაგედია ამის საბუთი იქნება."

„შვედურ ჟურნალში გამოქვეყნებულ თავის ანკეტაში გამოჩენილმა მოღვაწემ **ნუანდერ ნილსონმა** კითხვაზე, დაესახელებინა სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი მისი დროის მსოფლიო ლიტერატურისა, ამ სამში დაასახელა **გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული"**.

ფრანგმა კულტუროლოგმა, საფრანგეთის აკადემიის წევრმა **მარსელ ბრიონმა** აღნიშნა: „გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება იქნება მარადი აწმყო და უკვდავიო".

გერმანელი მწერალი **რუდოლფ კარმანი** ხაზს უსვამს „ჩაკლული სულის" მაღალმხატვრულ ღირებულებას და ამბობს: „ავტორმა ამ რომანით ევროპელ მკითხველს გადაუშალა ბოლშევიზმის არსი და დახატა მითოსური სახე ჯუღაშვილ-სტალინისა, ეს რომანი პოლიტიკური სატირაა".

ამგვარად, გრიგოლ რობაქიძემ თავის ნაწარმოებებში შესძლო უღმერთო ლიდერისა და დიქტატორის იოსებ სტალინის ნამდვილი სახის სრულყოფილად წარმოჩენა. ამ მხრივაც ფასდაუდებელია მისი ღვაწლი და ამაგი.

საუბედუროდ, დიდი მამულიშვილი ვერ მოესწრო მისი სამშობლოს დამოუკიდებლობას, რომლის მომსწრენი დღეს ჩვენ გახლავართ, მაგრამ უდაოა, თაობები კიდევ უფრო გააბრწყინებენ და დიდების შარავანდედით შემოსავენ ჭეშმარიტი პატრიოტის, დიდი ქართველის, გრიგოლ რობაქიძის სახელს.

მადლობა უფალს, მისი მადლი შეგეწიოთ ყველას და მთელს საქართველოს.

ტრაგიკული ისტორიის სისხლიანი ფურცლები. 1956 წლის 9 მარტი

ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ჯერ კიდევ უცნობია კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა საპროტესტო აქციით, რომელიც თითქოსდა სტალინის პიროვნების დაცვას ითვალისწინებდა.

საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნ. ხრუშჩოვის მიერ სტალინის მიმართ წაყენებული ბრალდების თანახმად, სტალინი იყო პიროვნული კულტი. მართალია, ეს ბრალდება საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აღაშფოთებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი ერის საუკეთესო—პატრიოტ შვილთა გარკვეულ ნაწილს შეუძლებელია დაეცვათ სტალინი, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას არ შეუწყო ხელი, არამედ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაესამარებინა ეს უდიდესი მონაპოვარი.

როგორც ცნობილია, 1920 წლის მაისში თვით ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თანხმობით გაფორმდა რუსეთ—საქართველოს მეგობრობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა თავმჯდომარე ულიანოვი (ლენინი) და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი, მაგრამ 1921 წელს მეთერთმეტე არმიამ დაარღვია ეს ხელშეკრულება ორჯონიკიძის ხელმძღვანელობითა და სტალინის თანადგომით.

ამ ფაქტს ადასტურებს მათ მიერ ერთმანეთის მიმართ გაგზავნილი დეპეშები საქართველოს ოკუპაციის დაწყების წინ.

ოკუპაციის მსვლელობისას რაც მოხდა, ამაზე უკვე მოგახსენეთ.

აღმაშფოთებელია ისიც, რომ 1956 წლის 9 მარტს საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტების მიერ სინამდვილეში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოწყობილი საპროტესტო აქცია ვითომდაც ხრუშჩოვის მიერ სტალინის შეურაცხყოფისათვის წარმოებულ აქციად მიიჩნიეს...

1956 წლის 9 მარტის საპროტესტო აქცია მშვიდობიანი და საინტერესო სიტყვებით დაიწყო, რაც შემდეგ მთავრობის საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ვითარება თანდათან გართულდა, საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო წესრიგის უზრუნველყოფა.

1956 წლის 9 მარტის მიტინგში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკებიც და ათი ათასობით ქართველი ახალგაზრდობა. მიტინგის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დაეკავებინათ კავშირგაბმულობის სახლი და იქიდან რადიოთი გადაეცათ თავიანთი მოწოდებები საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მოსახლეობისათვის, მაგრამ იქ მისულ მომიტინგეებს წინ აღუდგნენ.

წინა დღით იქ განლაგებულმა თბილისის გარნიზონის ოცეულებმა მომიტინგეებს ტყიამფრქვევების ცეცხლით უპასუხეს, ამოქმედდა წითელი ჯარი, დაიწყო ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით მომიტინგეთა დაუნდობელი დარბევა, ქუჩები სისხლით მოირწყო, დაიწყო დაპატიმრებები.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში არსებული ცნობების მიხედვით, ცეცხლმსროლელი იარაღით თავიდან დაიღუპა 22 კაცი, დაღუპულთა რიცხვს შემდეგ კიდევ შეემატა 5 კაცი, სულ გახდა 27 კაცი. დაიჭრა რამოდენიმე ათეული. მსჯავრდებული იქნა მოკლე ვადით—22 კაცი, დააკავეს 291 პირი.

სამხედროების მხრიდან არც დაჭრილა და არც დაშავებულა თუნდაც ერთი წარმომადგენელი, რადგან მომიტინგეებს არ გააჩნდათ არავითარი იარაღი.

დაღუპულთა დაკრძალვა მთავრობის ბრძანებით საიდუმლოდ განხორციელდა. საპროტესტო აქციაში მონაწილეთა, დაღუპულთა, დაჭრილთა, დროებით დაკავებულთა, რეპრესირებულთა შორის იყვნენ რესპუბლიკის ყველა ფენისა და რეგიონის (ასაკით 16-დან 65 წლამდე) წარმომადგენლები, ამათგან 40 ქალი გახლდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 8-9 მარტის გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ მასობრივ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ეს იყო პირველი მიტინგი და მანიფესტაცია საბჭოთა მთავრობის

არსებობის პერიოდში, რომელიც წარმოადგენდა მძლავრი ეროვნულ—განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისს.

რესპუბლიკის უშიშროების ინფორმაციით, ამ პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა ანტისაბჭოთა პროკლამაციები, ანონიმური ფურცლები. პერსონალურმა პენსიონერმა გვარად **მეუნარგიამ** განთავისუფლების კომიტეტის ხელმოწერით შეადგინა ცხრა ანტისაბჭოთა ბიულეტენი, რომელიც გაუგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციებს. ანტისაბჭოთა გამოსვლებს ეწეოდა **მ. გ. ყიფიანი.** ორივეს 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მოლდავეთში იხდიდნენ სასჯელს. ისინი იქაც განაგრძნობდნენ თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობას, რისთვისაც 2-2 წელი დაუმატეს.

პატიმრობის პერიოდში მათ შექმნეს ჯგუფი **„საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“**, შეადგინეს „საქართველოს წყობის წესდება“, რომლითაც გათვალისწინებული იყო: რუსეთისგან საქართველოს გამოყოფა, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე ხელმძღვანელი პარტიისათვის სახელწოდების შეცვლა (მას უნდა დარქმეოდა **მუშათა და გლეხთა სოციალ—დემოკრატიული პარტია),** ეროვნული არმიის შექმნა, რომელიც დაექვემდებარებოდა ეროვნული არმიის სარდლობას, საზღვრების დაცვის განხორციელება საქართველოს მთავრობის მიერ. მათთან ერთად სასჯელს იხდიდა და „კომიტეტში“ შედიოდა გორის სამხედრო კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი, მარტის მოვლენების აქტიური მონაწილე, **ი. კუხიანიძე.** მას თბილისის სამხედრო ტრიბუნალმა 8 წელი მიუსაჯა. ასევე ცნობილმა პიროვნებებმა **გ. ბარამიძემ** და **ირ. ფაჩულიამ,** ფაჩულიას ბინაში მოაწყვეს სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა პროკლამაციებს, ფურცლებს, მოწოდებებს. აქვე იბეჭდებოდა ჟურნალი „სალაღობელი“. მათ 5-5 წელი მიუსაჯეს. გ. ბარამიძემ და ირ. ფაჩულიამ მოლდავეთში მოიხადეს სასჯელი. ძმები **მ. და გ. ფიცხალაურები** ყაზბეგის რაიონის ერთ-ერთ გამოქვაბულში მოწყობილ სტამბაში ბეჭდავდნენ და თბილისში ავრცელებდნენ პროკლამაციებს, სხვადასხვა შინაარსის ფურცლებს მოწოდებით: **„თავისუფლება საქართველოს!“** მთავრობის საწინააღმდეგო გამოს-

ვლებისათვის მსჯავრდებულნი იქნენ კომპოზიტორი **სანდრო მირიანაშვილი, ჟურნალისტი მაყვალა ოქროპირიძე,** სტუდენტი **ი. ბიბილეიშვილი** და სხვები.

ქართული სამხედრო ნაწილები დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ საქართველოს ნებისმიერ ქალაქში მიმდინარე მოვლენებს. 74-ე ქართულ დივიზიაში რეგისტრირებული იყო 43 ანტისაბჭოთა გამოსვლა, დივიზიის ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისში გამართულ მიტინგებში.

საბჭოთა რუსეთის ლიდერმა ნ. ხრუშჩოვმა ვერაგულად გამოიყენა საქართველოს მოვლენებში ქართული სამხედრო ნაწილების მხარდაჭერა და ეს ნაწილები თვითნებურად გააუქმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1956 წლის 9 მარტს მოკლული იქნა 27 მომიტინგე. აქვე გთავაზობთ დაღუპულთა სურათებს.

ჩემს მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობის შედეგად მასალების აღება მოხერხდა არქივიდან. ამდენი ხნის შემდეგ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს იდუმალების ფარდა ნაწილობრივ აეხადა, ბევრი იწერება სხვადასხვა ავტორების მიერ ჟურნალ—გაზეთებში, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი.

ჩემგან, ერთი ჩვეულებრივი ადამიანისგან (პირადადაც ბევრი ვეცადე, ჩავწვდომოდი საიდუმლოებებს და ნაწილობრივ ჩავწვდი კიდეც) განსხვავებით, მჯერა ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ცნობილი მეისტორიენი და ჯერ კიდევ შემორჩენილი თვითმხილველნი ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს რეალურ ფაქტებზე, თვითმხილველებსა და გასაიდუმლოებულ მასალებზე დაყრდნობით და საინტერესო მასალებს მიაწვდიან საზოგადოებას.

ახლა უკვე იმის დროა, ვიცოდეთ სრული სინამდვილე, ახლა ხომ სიმართლის თქმისათვის არავის სჯიან, უკვე განვთავისუფლდით კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმისაგან. გვჯერა, ჩვენი პრეზიდენტი, **ბატონი მიხეილ სააკაშვილი** ხელს შეუწყობს ყველა სიმართლის გამომზეურებას.

ცოდვილი თუ დამნაშავე

საქართველოს ექსპრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ანგარიშზეა არა მარტო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მიმართ მოღალატეობრივი, დანაშაულებრივი ქმედების ტოლფასი ფაქტები, არამედ მას ცოდვად ანევს საკმაოდ ბევრი დანაშაული, ქართული ჯიშისა და გენის საუკეთესო წარმომადგენლების მიმართაც.

ერთ-ერთი მათ შორის გახლავთ რესპუბლიკის მასშტაბით ცნობილი პიროვნება ბატონი სოლიკო ხაბეიშვილი.

სოლიკო ევტეხის ძე ხაბეიშვილი დაიბადა და აღიზარდა მშრომელ და პატიოსან ოჯახში, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, გონებამახვილობით, შრომისადმი სიყვარულით, კეთილი ხასიათით.

1958 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ—გეოლოგიის სპეციალობით, მუშაობდა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობებზე, 1963-1965 წლებში იყო საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, შემდეგ კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე. ხუთი წელი იმუშავა მოსკოვში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1972 წლიდან დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო პარტიულ სამუშაოზე. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია—პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე, ერთი წლის შემდეგ დაანინაურეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, სადაც 1975 წლამდე იმუშავა. იქედან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს ორგანიზაციული—პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

1982 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად დანიშნეს, ამ თანამდებობაზე სამი წელი იმუშავა, მაგრამ როგორც შემდგომში ირკვევა, ბატონმა ედუარდმა მიიღო დავალება მოსკოვის მთავრობისაგან ხაბეიშვილის პარტიული სამუშაოდან ჩამოცილების შესახებ, რაც პირნათლად შეასრულა როგორც ყოველთვის.

ბატონი სოლიკო ხაბეიშვილი გადაყვანილი იქნა 1985 წელს საქ. გაზის თამჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თავმჯდომარედ, სადაც დაპატიმრებამდე, 1985 წლის 6 დეკემბრამდე იმუშავა.

როგორც ვხედავთ, ბატონი სოლიკო ხაბეიშვილი ბევრჯერ იყო სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ მაღალ თანამდებობებზე.

აღსანიშნავია და მთავარია ის, რომ ს. ხაბეიშვილის და სხვა დამნაშავე მაღალი თანამდებობის პირების მუშაობის პერიოდში ძირითადად რესპუბლიკის ლიდერი გახლდათ ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ევალებოდა, მისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კონტროლი გაეწია და პასუხი აეღო საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ყველა დიდი თანამდებობის პირსა და მათ შორის ბატონი სოლიკო ხაბეიშვილის მუშაობაზეც. ამავე დროს, ბატონი სოლიკო გახლდათ ბატონი ე. შევარდნიძის მეგობარი, თანამებრძოლი და თანამოაზრე, ეს ფაქტი ცნობილია მთელი საქართველოსათვის.

ყოველივე ამის შემდეგ, სრულიად გაუგებარია და, ჩემის აზრით, გაუმართლებელია სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა მარტო ხაბეიშვილის, როგორც დამნაშავის მიმართ.

სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სამმართველო კოლეგიამ **თ. გერსამიას** თავმჯდომარეობით. სახალხო მსაჯულების—თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ბრიგადის **გ. ჩადუნელის** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპოზიციის განყოფილების გამგის **გ. გასიტაშვილის,** სახელმწიფო მბრალდებელის, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის **ო. გრიგალაშვილის,** ადვოკატ **გ. ვოლფის,** მდივნის **შ. ასათიანის** მონაწილეობით განიხილა ს. ე. ხაბეიშვილის ბრალდების საქმე, დამნაშავედ ცნო იგი ქრთამის არაერთხელ აღებაში და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, აქედან 5 წელი საპყრობილე, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წელს აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის უფლება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ს. ე. ხაბეიშვილი 1958 წლიდან (ინსტიტუტის დამთავრებიდან 1985 წლამდე, დაპატიმრებამდე) მუშაობდა საკმაოდ მაღალ კომკავშირულ და პარტიულ თანამ-

დებობებზე და როგორც პროკურატურისა და სასამართლოს ჩვენებით აღინიშნება, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, თურმე ეწეოდა მექრთამეობას.

ძალაუნებურად გვებადება კითხვა—სად იყო ამ დროს საქართველოს მთავრობა, კერძოდ კი ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

თუ ბატონი ხაბეიშვილი მექრთამე იყო, რატომ დუმდა მისი მეგობარი ხელისუფალი, რატომ ხდებოდა მისი დაწინაურება? აქედან მხოლოდ ერთი საღი დასკვნის გაკეთება შეიძლება, მარტო ს. ე. ხაბეიშვილი არ იყო დამნაშავე, ხაბეიშვილისნაირი მექრთამე, და კიდევ უფრო მეტი, ათასობით თანამდებობის პირი იყო მაშინდელ საქართველოში. მაგრამ როგოც შემდგომში თვითონ ბატონი სოლიკო ამტკიცებდა ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში, მისი დაპატიმრება მოხდა შეკვეთით, თუმცა აქვე იბადება ბურუსით მოცული კითხვა, **მაინც ვინ იყო შემკვეთი?**

სასამართლოს დადგენილებით ბევრი სხვადასხვა ბრალდება წაუყენეს და დაუმტკიცეს ს. ე. ხაბეიშვილს, მას სასამართლო პროცესზე დაუპირისპირდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ქალაქკომისა და რაიკომის მდივნები, რომლებმაც აღიარეს, რომ თითქოსდა ს. ხაბეიშვილი მათ ძალავდათ ათიათასობით მანეთს ქრთამის სახით. სწორედ ამისათვის მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმ „მომჩივან ბრალდებულ" მდივნებს, რომლებიც მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის ნაშრომ—ნაჯაფს, თვითონაც ბლომად იჯიბავდნენ და ხაბეიშვილისთვისაც მიჰქონდათ, სათანადოდ არ მოეთხოვათ პასუხი. **განა ისინი არ იყვნენ მექრთამეები?** რატომ მწვავედ არ დაისვა კითხვა—საიდან შოულობდნენ ისინი ქრთამის სახით ხაბეიშვილისათვის მისაცემ ფულებს? საკითხავია, კიდევ ერთი—ხაბეიშვილს ვისთვისაც მიჰქონდა ქრთამი, იგი არ იყო უფრო მეტი დამნაშავე? ხოლო თუ არ მიჰქონდა, მექრთამე იყო, ფულებს ძალავდა ხალხს, ვინ აწინაურებდა ისეთ გამომძალველს ისეთ მაღალ თანამდებობებზე. სად და რაში უნდა ვეძებოთ ლოგიკური გამართლება.

ჩემის აზრით, საქმე სულ სხვა რამეში იყო, ბატონი სოლიკო შეეწირა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობისათვის ბრძოლას, იგი ამ საკითხში დაუპირისპირდა ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს, აქედან დაიწყო ყველაფერი, ორივე ეს პიროვნება თავგანწირვით იბრძოდა ერთი და იმავე სკამისათვის, ერთი და იმავე უმაღლესი თანამდებობისათვის.

ბატონ ჯუმბერს მხარს უჭერდა კრემლის მთავრობა, ხაბეიშვილს კი საქართველოს მთავრობა. პირველმა აჯობა მეორეს, დაიწყო ორთა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უნდა დამარცხებულიყო, სწორედ ამისათვის გახდა აუცილებელი ხაბეიშვილის საქმეების გამოკვლევა. თუ როგორ სამართლიანად მიმდინარეობდა ეს პროცესი, ამაზე მეტყველებს სასამართლო განჩინება. გაიმარჯვა ჯუმბერ პატიაშვილმა, იგი გახდა საქართველოს კპ. ცკ-ის პირველი მდივანი, ბატონი სოლიკო კი ულმობლად გაიმეტეს. საინტერესოა ხაბეიშვილის ინტერვიუ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაჩენის გამოტანის შემდეგ, სადაც იგი პერსონალურად არ ასახელებს შემკვეთს, მაგრამ გარკვევით მიანიშნებს: „მე მირჩევდნენ არ გამეფუჭებინა დამოკიდებულება სასამართლოსთან, არ გამებრაზებინა პროკურატურა, თქვენი ბედი ხომ მათ ხელშია, ისინი დავალებას ასრულებენო, ასევე ხაზს უსვამდა, რომ პარტიული ორგანოების თანხმობის გარეშე ისინი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ, ჩემს დაპატიმრებას ვერ გაბედავდნენო."

ხაბეიშვილმა სასამართლო პროცესზე არ გაამხილა ის პიროვნება, ვისთვისაც ქრთამი მიჰქონდა და არც დამკვეთს შეეხო. ამით მან სიცოცხლე შეინარჩუნა, სიკვდილის განაჩენის ნაცვლად 15 წელი მიუსაჯეს.

დამაფიქრებელია მისი შემდეგი სიტყვები, რომელიც ჟურნალისტებთან განაცხადა: „მე რომ შურისძიებას ავყვე, ადრე თუ გვიან, შეიძლება კიდევაც მივაღწიო საწადელს, მაგრამ ეს ჩემი მეორე მარცხი იქნება, რაც კაცის უჭკუობაზე მიუთითებს. ისინი ვინც მე მისჯიან და უამრავი სხვანი, ისეთივენი არიან როგორიც მე. ყოველივე ეს საზოგადოებისათვის დიდი ხნიდან არის ცნობილი. მე კი ღმერთმა მაშოროს შურისძიებაზე ფიქრი."

1995 წლის ივნისში, საკუთარი სახლის წინ, სიცოცხლეს გამოასალმეს ედუარდ შევარდნაძის მეგობარი, მისივე სახელობის ფონდის დამაარსებელი და ხელმძღვანელი სოლიკო ხაბეიშვილი. როგორც ჩანს, იგი თავიდან მოიშორეს, ვინ და როგორ?___ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.

მჯერა, რომ გავა დრო და ბედკრული საქართველოს ისტორიაში ყველას და ყველაფერს მიეკუთვნება თავისი სახელი და ადგილი.

ყოველ შემთხვევაში სიმართლე იზეიმებს... „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია."

საბჭოთა ხალხი თავისუფლების მოლოდინში

1989 წლის 9 აპრილი

თავისუფლების ლოდინში უამრავი წელი გაილია და აი... 1985 წელს საბჭოთა კავშირში ისტორიული მოვლენა დაიწყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი საბჭოთა ცხოვრების ყველა დარგის გარდაქმნას შეეხო: კომუნისტური რეჟიმის პირობებში პირველად ითქვა ფრაზა საბჭოთა წყობის გარდაქმნა. გარდაქმნისა და დემოკრატიის ტალღამ საქართველოშიც შემოაღწია, რამაც გამოიწვია ეროვნული მოძრაობის ქარიშხალი. ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვამ 1989 წლის გაზაფხულისათვის უმაღლეს ზღვარს მიაღწია 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან თავი მოიყარეს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებმა და ქვეყნის ყველა კუთხის პატრიოტებმა. ლიდერთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს შეძახილებით ამხნევებდნენ მომიტინგეთ და მათი სიტყვა ძალას მატებდა ხალხს.

1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი ტრაგედიის დღიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ეს საშინელი დღე ქართველ ხალხს არასდროს დაავიწყდება, მართლაც შეუძლებელია, ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად, იმ საშინელების დავიწყება, რაც რუსეთმა განახორციელა ქართველი ერის მიმართ 1801 წლიდან დღემდე.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით, კიდევ ერთი საშინელი სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა ქართველი ერის ისტორიაში.

1989 წლის 9 აპრილი დიდი სისხლიანი კვირა გახლდათ, რომელმაც აღაშფოთა მთელი მსოფლიო.

ქართველი ერის ძირითადი მიზანი იყო და არის დემოკრატიული, თავისუფალი საქართველო, სრულიად დამოუკიდებელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და არა სხვისი მორჩილებით. 1801 წლიდან ჩვენ ვცხოვრობდით რუსეთის ბრძანებით, მათი ნებითა და კარნახით, ახლა აღარ გვინდა, მოგვბეზრდა ყოველივე ეს, გვინდა გვქონდეს საკუთარი ცხოვრება, საკუთარი დემოკრატია, არ გვინდა ვიყოთ სხვის მონობაში. ჩვენ არაფერმა და ვერაფერმა უნდა შეგვა-

შინოს, თუ გვინდა გვქონდეს დემოკრატიული, თავისუფალი, აყვავებული, საკუთარი საქართველო.

9 აპრილი საშინელი მხეცური, არაადამიანური ანგარიშსწორებით დაიწყო. რუსულმა ჯარმა 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე ქართული მიწა კვლავ ქართველთა სისხლით შეღება. 9 აპრილამდე ქართველები ერთ მუშტად შეიკრნენ და მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება—თავისუფლების მოსაპოვებლად და რუსული უღლისაგან თავის დასაღწევად საკუთარი სიცოცხლეც კი გაეწირათ. მათ კარგად იცოდნენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდნენ. იცოდნენ პირველი არ იყო ეს რუსის ჯარისკაცების მხრიდან... 1921, 1924, 1956 წლის 9 მარტი და აი, საშინელი ტრაგედია დატრიალდა... რუსის ჯალათებმა კვლავ გაიმეორეს 1956 წლის 9 მარტის მაგალითები. სპეციალური საჯარისო შენაერთი მიუსიეს მომიტინგე, მოშიმშილე ხალხს, არ დაინდვეს გოგონები, ქალები არასრულწლოვანებიც კი.

ჩვენ არ ვიცით, ვინ გასცა ეს სასიკვდილო ბრძანება, მაგრამ მის გამცემს უნდა ცოდნოდა, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა. როცა მიიღო ბრძანებულება სპეციალური საჯარისო ნაწილის შემოყვანის შესახებ, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ სავალალო შედეგი ამ ღონისძიებისა, რასაც მოყვა დიდი უბედურება. მშვიდობიანი მოშიმშილე დემონსტრაციისა და მიტინგის დაშლისას მოხდა უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. დაიღუპა 18 კაცი, მოკლულთა უმრავლესობა იყვნენ ქალები, ამათგან არასრულწლოვანები და მოხუცები, დაჭრილი და დასახიჩრებული იქნა ასობით ადამიანი. მათ შორის ბევრი დაინვალიდდა. რუსი ჯარის მიერ გამოყენებული იყო ხელკეტები, მესანგრის ალესილი ბარები და ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი, ყოველივე ეს დაადგინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიამ, მოსკოვისა და ლენინგრადის ექსპერტებთან ერთად.

ბევრი სახელმწიფო მოხელე და მათ შორის ზოგიერთი მწერალი მოითხოვდა არა მკვლელების, არამედ მომიტინგე, ხალხის ხელმძღვანელობის დასჯას. ამით უნდოდათ; რომ თავი გამოეჩინათ კომუნისტების წინაშე. დაპატიმრებული იქნენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი, ი. წერეთელი და ვ. ხუხუნაშვილი.

ჩვენ არავის მფარველობის იმედი არ უნდა გვქონდეს, გარდა უფლისა და ჩვენი თავისა.

საბჭოთა ქვეყანა თავისი ტოტალური სისასტიკით, უსამართლობის, მოძალადის, სიმართლის დამთრგუნველი, ღვთისმგმობელი, ქრისტეს წინააღმდეგი, ეკლესია-მონასტრების დამანგრეველი. ახლა რას უნდა ველოდეთ სხვას მათგან. მარტო 1921 წლიდან 1939 წლამდე 2 მილიონი ადამიანი დახვრიტეს, უფრო მეტი კი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, რომელთა უმეტესმა ნაწილმა იქ პოვა სამუდამო განსასვენებელი, ასეთი მთავრობისაგან, ნათელი იყო რომ თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სასტიკად დაისჯებოდა. ასეც მოხდა, მშვიდობიან მომიტინგეთა სისხლი უმოწყალოდ დაიღვარა. ქართველები ამოწყვიტეს საქართველოს დედაქალაქში, თავისივე მიწაზე. მართალია, გორბაჩოვმა გარდაქმნა დაიწყო, მაგრამ ჯერ თვითონ მთავრობის ხელმძღვანელობა უნდა გარდაქმნილიყო, რომ ისინი გასცდენოდნენ სიცრუეს, სიყალბეს, დაპირებებს, გველი პერანგს—კანს იცვლის, მაგრამ ისევ გველი რჩება. ტრაგედიის შემდეგ მკვლელები თვითონ რეცხავდნენ წყლით სისხლით შეღებილ ქუჩებსა და მოედნებს, მაგრამ გადარეცხვა უშველის მათ ვინც ნება დართო რუსის ჯალათების შემოყვანას?

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა. ხალხმა უკეთ გაიცნობიერა საბჭოთა რუსეთის უარყოფითი როლი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმეში.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნულ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 26 მაისს კი, ბატონი ზვიადი საქართველოს ხალხმა ერთსულოვნად აირჩია საქართველოს პირველ პრეზიდენტად. ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნანატრი ოცნება—დამოუკიდებელი, თავისუფალ საქართველოს თავისი არჩეული პრეზიდენტი

ჰყავდა. ამ დროს არც საქართველოს დაუძინებელ მტერს—საბჭოთა რუსეთს ეძინა მშვიდად. მან თავის ნაცად ხერხს მიმართა, რითაც მიზანსაც მიაღწია, საქართველოში მონახა მოღალატე ქართველები, თენგიზ კიტოვანი—მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა და ბევრი სხვა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ დროისათვის საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ბევრი იყო განაწყენებული: თვით ბატონი ედუარდ შევარდნაძე და მისი თანამოაზრენი, ყოფილი საბჭოთა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, კომუნისტები, ქართველი ხალხის მტრები, რომლებიდანაც, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ არცერთი არ შეიყვანა მთავრობის შემადგენლობაში, არ მისცა მათ მაღალი თანამდებობები.

კვლავ ამოქმედდა ძველი კომუნისტური შუღლი. თენგიზ კიტოვანს, იმ დროისათვის როგორც თავდაცვის მინისტრს, ჯარი სრულებით ემორჩილებოდა და აი კვლავ საფრთხის წინაშე დადგა საქართველოს ბედი, ძმამ უმტრო ძმას, ქართველი შეებრძოლა ქართველს.

თენგიზ კიტოვანმა თავის ჯარით, ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით დაამხო ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება, მისი პირველი პრეზიდენტი. დაინგრა და გადაინვა თბილისის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიღვარა ძმათა სისხლი.

ასეთი სისხლიანი გზით მოვიდა ახალი მთავრობა, რომელსაც რუსეთმა სათავეში ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჩაუყენა. ედუარდი სასწრაფოდ ჩამოვიდა საქართველოში, რომელმაც თავისი თავი სახელმწიფო მეთაურად და მთავარსარდლად გამოაცხადა და შეუდგა რუსეთის გეგმის განხორციელებას.

საქართველოს ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერა აღიანის ხოცვა-ჟლეტის ამბავი ...

1992 წლის 6 იანვარს მოხდა შემზარავი მოვლენა სოფელ აღიანში განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მომხრეებზე თავდასხმა. ეს შემთხვევა დღესაც არ არის გამოძიებული.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ზვიადსა და მის მომხრეებს, საქართველო უნდა დაეტოვებინათ ფიზიკურ განადგურებას რომ გადარჩენოდნენ.

პრეზიდენტმა სომხეთს შეაფარა თავი. ზოგიერთები დაიფანტნენ, ზვიადის მომხრეთა გარკვეული ნაწილი დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გაემგზავრა.

გამარჯვებით აღფრთოვანებული და მიზანს მიღწეული თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და მათი მომხრეები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

აი, რას გვიამბობს ეროვნული გვარდიის 23-ე ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი სოსო ჟღენტი:

„მათი მთავარი მიზანი ჯერჯერობით სისრულეში მოყვანილი არ იყო, პრეზიდენტზე თავდასხმის გეგმა შემდგარი იყო, მაგრამ — პრეზიდენტმა სამშობლო განთიადზე დატოვა. აღიანის თავდასხმა მიზნად გამსახურდიას ლიკვიდაციას ისახავდა, თავდასხმისათვის მცხეთის რაიონის სოფელ აღიანთან, ამავე სოფლის სასაფლაოს ტერიტორია შეირჩა. ადგილი სტრატეგიულად ნამდვილად კარგად იყო შერჩეული. გეგმის განხორციელების შემთხვევაში, თვით გამსახურდია და მისი მომხრეებიდან ცოცხალი არავინ უნდა დარჩენილიყო. ჩასაფრებულებს ეგონათ, პრეზიდენტი აქ გაივლიდა, იქ ერთი მონაკვეთია ძალიან სახიფათო და ხშირი ავარიებით ცნობილი. გზის ორივე მხარეს სოფლის სასაფლაოა, ისინი სასაფლაოს ორივე მხარეს იყვნენ ჩასაფრებულნი, იქედან ცოცხალი არავინ არ უნდა გამოსულიყო. ჩვენი კოლონა საკმაოდ დიდი გახლდათ, რაოდენობა არ შემიძლია დავასახელო, რადგანაც თბილისიდან მცხეთამდე ბევ-

რი თანამოაზრე გვიერთდებოდა. მე წინ მივდიოდი, ჩემს მანქანას მხოლოდ ერთი მანქანა უსწრებდა, რომელშიც გვარდიის დაზვერვის ოპერატიული სამსახურის უფროსი **რამაზ დეკანოსიძე** იჯდა და გზას ზვერავდა. მას ჩემთვის ნიშანი უნდა მოეცა, თუ გზაზე რაიმე საეჭვოს შეამჩნევდა. კოლონა დაახლოებით 200 მეტრის სიგრძისა იყო. საფრთხეს გორის ტეკაზე ველოდით, ამის შესახებ წინასწარ ვიცოდით და გადასვლა შემოვლითი გზებით გადავწყვიტეთ. მანქანაში ჩამეძინა, მძღოლმა **იგოეთთან** გამაღვიძა, კოლონის ბოლოში არეულობაა, რა მოხდა არ ვიცი. მანქანიდან გადმოვედი და კოლონის ბოლოსაკენ გავემართე, დავინახე, ბიჭები გარბოდნენ. როგორც თვითონ მითხრეს, მათ ვიღაცამ ცეცხლი გაუხსნა. რადგან უკან ორი დიდი „კამაზი" მოგვყვებოდა, მივხვდი, რომ მათ პირველი კოლონის წინ მიმავალ მანქანას სროლა ვერ გაუბედეს, ვინაიდან პასუხს მიიღებდნენ, ამიტომ სროლა კოლონის ბოლოს დაიწყეს, სასწრაფოდ ყველანი მოვტრიალდით, კოლონა ცენტრალური გზატკეცილიდან სოფელ აღიანის ჩასახვევში ჩავიყვანეთ, იმ მოსახვევში, რომელიც სასაფლაოსთან მდებარეობდა. დავინახე, რომ ჩვენი ვილისი ფერდობზე იყო მიგდებული და ცეცხლი ეკიდა, ჩემი ბიჭები ბორბლებს იყვნენ ამოფარებულნი, ცეცხლი უკვე გახსნილი იყო, საიდან ისროდნენ ვერ ვხედავდი. მძღოლმა მანიშნა, რომ ზემოთ ამეხედა, ისე რომ თავი არ ამეწია, ავიხედე და დავინახე, რომ ვიღაცა ტყვიამფრქვევიდან გვესროდა. როცა საპასუხო ცეცხლის გახსნა დავაპირე, მაშინვე ტყვიამფრქვევიდან დაგვიშინეს, პირველსავე გასროლაზე მე და ჩემი მძღოლი დავიჭერით. მძღოლმა მანქანით უკანსვლა იწყო, მანქანა ინერციით არხში გადაეკიდა. კარებს ბუჩქი იჭერდა, გადასვლაში ხელს მიშლიდა, ამიტომ პირდაპირ სამიზნედ ვიქეცი, ცამეტი ჭრილობა მივიღე. კოლონის ერთი სატვირთო მანქანა ტყვია-წამლით იყო დატვირთული, მასში ჯარისკაცები ისხდნენ, ცეცხლის გახსნის შემდეგ 27 ჯარისკაცი მანქანაშივე დაიწვა, აქედან მხოლოდ ექვსის ამოცნობა გახდა შესაძლებელი, ერთ-ერთი სენაკის ბატალიონის მეთაური კოტე კურდღელაია გახლდათ,

აქ იყვნენ ღვინიაშვილი, ქათამაძე, რომლებიც მძიმედ დაიჭრნენ და ჭრილობის შედეგად, ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალნენ. ერთი გარდაცვლილი ზუგდიდელი იყო, სახელი არ მახსოვს, ზედმეტსახელად ბაბუს ეძახდნენ, ორი მეომარი — ბათუმიდან, არც მათი გვარები მახსოვს, ვინაიდან ისინი ჩემს ნაწილში ახალი გადმოსულნი იყვნენ. დანარჩენი ოცდაერთი მთლიანად დამწვარი იყო, მათი ამოცნობა შეუძლებელი გახდა. ცეცხლის გახსნის შედეგად ჩვენი ბიჭებიდან ყველა დაჭრილი იყო, იმისათვის რომ ახლოს არ მოსულიყვნენ, ჩვენები ჰაერში ისროდნენ, ასე რომ არ მომხდარიყო კოლონიდან ცოცხალი არავინ გადარჩებოდა. დაახლოებით დღის ორი საათი იქნებოდა, როცა თბილისის მხრიდან ჩემთვის უცნობი ადამიანები მოვიდნენ, ცეცხლის შეწყვეტაზე რუპორიდან იძლეოდნენ ბრძანებას. როცა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჰკითხეს ვინაობა, მხედრიონელებად დაასახელეს თავი და სროლის შეწყვეტას კატეგორიულად მოითხოვდნენ. სროლა მართლაც შეწყდა, მე მხოლოდ ხმა მესმოდა, მათ ვერ ვხედავდი, მოსულები ჩვენს მოწინააღმდეგეებს საყვედურობდნენ — ვის ესვრით, ესენი ისედაც მკვდრები არიან, ქართველობაზე სულ აიღეთ ხელიო? სასწრაფოდ, ვინც ცოცხლები დარჩა, საავადმყოფოში გადაიყვანეთო. ცეცხლის შეწყვეტისთანავე თავდასხმის ადგილს სოფლის მოსახლეობა მოაწყდა, 30 კაცი სოფელმა რკინიგზის სადგურზე გაიყვანა, მხედრიონელებმა მანქანებით მძიმედ დაჭრილები მცხეთის საშმობიარო სახლში გადაგვიყვანეს. სამშობიარო სახლის ექიმებმა შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთეს ჩვენს გადასარჩენად.“

ხისტოიანი

89

1992 წლის

9 აპრილი

სურათები აღებულია წიგნიდან „9 აპრილი“
გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1990 წელი

აზა ადამია

ეკა ბეუანიშვილი

ნათია ბაშალეიშვილი

ნატო გიორგაძე

თამუნა დოლიძე

ნინო თოიძე



თინა ენუქიძე

ზაირა კიკვიძე

ელიხო ქიბაშვილი

მზია ჯინჭარაძე

ნოდარი ჯანგირაშვილი

შალვა ქვასრთლიაშვილი

მანანა ლოლაძე

მამუკა ნოზაძე

მანანა მელქაძე

გია ქარსელაძე

მარინა ჭყონია-საამარგულიანი

ნანა საამარგულიანი

თამარ მამულაშვილი-სვანიძე

თამრიკო ჭოველიძე

ეკლიან გზაზე

კაცობრიობის ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ნამდვილ თავისუფლებასა და ბედნიერებას პირდებოდნენ ხალხს. გამოდიოდნენ მოწოდებებით: „—ქვეყანა ეკუთვნის მუშასა და გლეხს, ყველა ადამიანი თანასწორია, გამოდით, გათანაბრდითო“

ისინი უარყოფდნენ რელიგიას, უარყოფდნენ რწმენას, წირვა-ლოცვას, არ იცავდნენ უფლის კანონებს და არც ხალხს აძლევდნენ რწმენით, უფლის ნებით ცხოვრების საშუალებას. ისინი თავიანთ თავს წარმოაჩენდნენ ღმერთის ადგილას, მოუწოდებდნენ ხალხს, „ადამიანი ყველაფერია, მას შეუძლია თავისი ბედი თვითონ განაგოს, ადამიანი თვითონ არის ბუნების გვირგვინი, ბუნების შემოქმედი და აქ უფალი არაფერ შუაშიაო“

ხალხიც ნებით თუ უნებლიეთ (სხვა რა გზა ჰქონდათ) მიემხრო მათ — რითაც მიაღწიეს თავიანთ მიზანს: მათი თაოსნობით დაინგრა ეკლესია-მონასტრები, დახვრიტეს და გადაასახლეს მათი მოწინააღმდეგენი, მათ შორის სასულიერო პირებიც.

მათ მოგვისპეს ჩვენი სარწმუნოება, აგვიკრძალეს წირვა-ლოცვა, ყველა რელიგიური დღესასწაული.

საქართველოს ანექსიის შემდეგ ლენინი მალე გარდაიცვალა (კაპლანის ქალის ტყვიამ დაავადა და საბოლოოდ იმსხვერპლა 1924 წლის 21 იანვარს). შემდგომ მისი საქმეები გააგრძელა ი. ბ. სტალინმა, რომელიც არა მარტო უარყოფდა, არამედ თავად ებრძოდა ღმერთს, როგორც სიცოცხლის საწყისს, კლავდა თავისუფლებისმოყვარე სულს, მან შექმნა უღმერთო სინამდვილე — ათეისტური სამეფო, სადაც ყველას ბედი მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ამდენი ძალაუფლება მსოფლიოს ისტორიაში არცერთ დიქტატორს არ მიუთვისებია.

ადამიანთა გარკვეული ნაწილი მაშინაც ხვდებოდა, უმრავლესობა კი მალე მიხვდა, რომ უღმერთოდ, ქრისტეს მცნებების, რწმენის გარეშე ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაშინ ხმის ამოღებას ვერავინ გაბედავდა, ხოლო თუ გაბედავდა იმთავითვე განწირული იყო. რწმენის შესახებ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შეხედულებებს იზიარებდნენ საქართველოს მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელი მუშაკებიც, კომუნისტები, სხვანაირად არც

შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ნიშნავდა მოსკოვი და ისინი მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, მათი ბრძანებებით მოქმედებდნენ. სინამდვილეში იყვნენ არა საქართველოს მმართველები, არამედ კრემლის ნება-სურვილის შემსრულებლები. მათ რიგს მიეკუთვნებოდა ბატონი ედუარდ შევარდნაძეც. მოკლე რაკურსით გთავაზობთ მის ბიოგრაფიულ მონაცემებს:

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე (დაბადებული 1928 წლის 25 იანვარს სოფელი მამათი, ლანჩხუთის რაიონი) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სკკპ წევრი 1948 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირი (1981ნ); სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი (1978ნ), წევრი 1985 წლის ივლისიდან.

1946 წლის ივლის-ოქტომბერში მუშაობდა საქართველოს ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდგე იქვე — კადრებისა და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1951 წელს დაამთავრა საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიული სკოლა, 1960 წელს ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1951 წლის სექტემბრიდან საქ. ალკკ ცკ-ის კომკავშირული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი იყო, 1952 წლის თებერვალში აირჩიეს საქართველოს ალკკ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში, ამავე წლის სექტემბერში — მეორე მდივნად. 1953 წლის ივნისიდან მუშაობდა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების ინსტრუქტორად. ამავე წლის დეკემბერში აირჩიეს საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, 1956 წლის მაისიდან საქალაქო ალკკ ცკ-ის მეორე, ხოლო 1957 წლის დეკემბრიდან პირველ მდივნად. 1961 წლის აგვისტოდან პარტიულ სამუშაოზეა, იყო: საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი, შემდეგ საქართველოს კპ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი, 1964 წლიდან საქ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 1965 წლიდან — მინისტრი, რეორგანიზაციის შემდეგ 1968 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრი, 1972 წლის ივლისიდან საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1972 წლის სექტემბრიდან საქ. კპ ცკ-ის

პირველი მდივანი, 1985 წლის ივლისიდან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. სკკპ XXV-XXVII ყრილობაზე აირჩიეს სკკპ ცკის წევრად. იყო სსრკ IX-XI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია: ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით. აგრეთვე მედლებით.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე პირნათლად ასრულებდა საბჭოთა რუსეთის დავალებებს, რაც დაუფასეს კიდეც, ხოლო თუ რა როლი ითამაშა მან თავისი სამშობლოს, თავისის ერისა და ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში, ამაზე მოკლედ მოგახსენებთ:

როგორც მოგახსენეთ ბატონი ედუარდი გახდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფო მეთაურობის ვადის გასვლის შემდეგ კი, ძალისმიერად გაყალბებული არჩევნებით, იგი ორჯერ გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მესამე შემთხვევაში გაყალბების, ქვეყნის გაღატაკების, კორუფციის აღზევებისა და ღალატისათვის (ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისათვის) გადაყენეს, „ბატონი ედუარდი გაყალბების, სიცრუის, დაპირებების დიდოსტატი იყო ყოველთვის", მისმა ჩამოსვლამ გამოიწვია ქართველი ხალხის დაპირისპირება და ძმათა სისხლისღვრა, ქვეყანა ორად გაიხლიჩა, რაც დღესაც გრძელდება.

საბჭოთა რუსეთმა მიაღწია თავის მიზანს, რა თქმა უნდა, მოღალატეების დახმარებით და სათავეში ჩაუდგა აფხაზ სეპარატისტებს.

იმ პერიოდში ძალიან უჭირდა საქართველოს. ოსებსა და ქართველებს შორის ეროვნული კონფლიქტის ცეცხლი მთელი სიცხადით იყო გაღვივებული, მიმდინარეობდა ბრძოლები.

საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრი „კლდის ვეფხვად" აღიარებული, ერის საამაყო შვილი, სამშობლოს მხურვალე პატრიოტი ბატონი გია ყარყარაშვილი—უშიშარი მეომარი, რომელიც თვითონ, პიროვნული სიმამაცით, გამჭრიახობით, შორსმჭვრეტელობით, ბრძოლებში მაგალითს აძლევდა ქართულ ჯარს, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჯარისკაცებთან, სარგებლობდა მათ შორის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით, იყო წესრიგიანი, მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ძალიან ყურადღებიანი. თითოეული ჯარისკაცის ბედზე მზრუნველი. ყოველივე ამან,

ქართული მეომრების სიმამაცესთან ერთად, განაპირობა გარკვეული წარმატებები, სრული გარანტი არსებობდა საბოლოო გამარჯვებისა, მაგრამ სახელმწიფო მეთაურისა და მთავარსარდლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით მოხდა ცხინვალიდან ჯარის გამოყვანა და ქართული ჯარის მიერ ოსი სეპარატისტებისაგან განთავისუფლებული სამხრეთ ოსეთი კვლავ სეპარატისტებს დარჩათ.

ქართული ჯარი ტექნიკით შეყვანილი იქნა აფხაზეთში, რაც დიდი შეცდომა გახლდათ, მართალია, ომი აფხაზეთში მაინც გარდაუვალი იყო, ეს ყველასათვის ცნობილი გახლდათ და ბატონმა ედუარდ შევარდნაძემაც საქართველოში ჩამოსვლამდე კარგად იცოდა რუსეთის გეგმები, მაგრამ საქართველოს მეთაურმა და მთავარსარდალმა ამით აფხაზეთის ომი დააჩქარა, განთავისუფლებული სამაჩაბლო მტერს ჩააბარა, კიდევ მეტიც, გაანთავისუფლა ციხიდან სეპარატისტების ლიდერი ტორეზ კულუმბეკოვი, რომელიც ვერტმფრენით ცხინვალში ჩაიყვანეს, ბოდიშიც ბევრი უხადეს—ამდენ ხანს ვერ მოგაქციეთ ყურადღებაო. ასევე ციხიდან გაანთავისუფლეს ბევრი მისი თანამზრახველი, ხოლო ციხეებში სამშობლოს პატრიოტები, კანონიერი მთავრობის მომხრეები შეყარეს, რომლებიც მართლაც ბევრნი იყვნენ. მათ ზვიადისტებს უწოდებდნენ. აივსო ციხეები, ისინი უდანაშაულო ადამიანებს, ვისაც ზვიადის თანამოაზრეებად თვლიდნენ, ყველას აპატიმრებდნენ.

ცხინვალიდან ჯარის გაყვანით ოსმა სეპარატისტებმა ისარგებლეს და დაიწყეს ქართველთა აწიოკება.

სისასტიკის არნახული ფაქტები მოხდა იმ პერიოდში.

ოსმა სეპარატისტებმა ოთხი დაჭრილი ქართველი ხეზე მიაბეს და ცოცხლად დაწვეს. ასევე, ცნობილი პედაგოგი **სიმონ გელაშვილი**, იმის გამო, რომ მან არ დატოვა თავისი კუთხე, აწამეს, გულზე ჯვარი ამოკვეთეს და წამებაში ამოხადეს სული. ძნელია აღწერო მაშინდელი საშინელებანი... რამდენიმე ქართველ მამაკაცს, ხელ-ფეხი შეუკრეს და მათ თვალწინ მათი ცოლ-შვილი გააუპატიურეს.

ბოლოს და ბოლოს, ამ კონფლიქტის მთავარი შედეგი, ამ ტანჯვა-წამების შემდეგ ის გახდა, რომ **ქართველები ლტოლვილებად იქცნენ საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარ სამშობლოში.**

საქართველოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის რეალური მდგომარეობა, კარგად იცოდა ისიც, თუ როგორი განწყობით შემოდიოდა და რა შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლას (გავიხსენოთ 1921 წელი, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი). 1992 წლის 24 ივნისს ხელი მოაწერა **დაგომისის ხელშეკრულებას** და ვითომცდა საშვიდობო მისიით რუსეთის ჯარი შემოიყვანა და ისინი ოს სეპარატისტებს მცველად დაუყენა.

დაისვენეს ოსებმა... ომი უკვე აღარ ჭირდებოდათ. ქართულ-ოსურ კონფლიქტში მათ ბატონმა პრეზიდენტმა მოაგებინათ, რომელმაც ქართულ მხარეს აუკრძალა ბრძოლა და წლების მანძილზე აცხადებდა —„კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს, ოსეთი უომრად უნდა დავიბრუნოთო“.

ამ ხელშეკრულებით შეილახა ქართველი კაცის ღირსება, უფრო მეტიც: პირველი ვითომდა „ეროვნული“ ნაბიჯი, რომელიც ბატონმა ედუარდმა გადადგა, ოსი სეპარატისტების ლიდერის, **ტორეზ კულუმბეგოვის** ციხიდან განთავისუფლება იყო, რომელსაც ქართველთა გენოციდში ედებოდა ბრალი. იგი ვერტმფრენით ცხინვალში ჩაიყვანეს და ბოდიშიც კი მოუხადეს. შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს ტორეზის თანამოაზრეები. საპატიმროები დაცალეს ქურდების, ყაჩაღების, ბანდიტებისა და მკვლელებისაგან და მათ მაგივრად, კანონიერი ხელისუფლების მომხრეები დააპატიმრეს, რომლებიც, მართლაც რომ ბევრნი იყვნენ.

ტორეზ კულუმბეკოვის გამართლებითა და განთავისუფლებით რუსეთის მთავრობამ ფაქტიურად მხარი დაუჭირა ოს სეპარატისტებს, მათ უღირს მოქმედებებს ქართველთა მიმართ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის თქმით, ოსები „მართლები“ აღმოჩნდნენ, ის კი არა, ქართველებს აქეთ დაბრალდათ ოსთა „გენოციდი“, მათი შევიწროება ვითომცდა „უძველეს ოსურ მიწაზე“.

ამ მოვლენების შემდეგ იყო სწორედ ის, რომ **სოფელ ოსფრისთან** რვა ქართველი ცოცხლად დაწვეს. ჩვენმა „ხელისუფლებამ“ ამ შემთხვევაში დამნაშავედ წამებული ქართველები მიიჩნია, მათი აზ-

რით, ქართველებს არ ჰქონდათ უფლება საკუთარ მიწა-წყალზე დაეცვათ თავიანთი თავი.

საინტერესო და აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თბილისში არაქართველებთან შეხვედრაზე განაცხადა: —„ოსებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ, ქართველთა დანაშაული უნდა ვაღიაროთო".

შემდეგ კი გორში, აქტივის კრებაზე „მკაცრად შეაფასა ქართველთა საქციელი, აღიარა თითქოს ქართველთა მხრიდან ოსი ხალხის მიმართ იყო ჩადენილი სისასტიკე და დანაშაული.

ასევე ბატონმა პრეზიდენტმა მოქალაქეთა კავშირსა და ეროვნულ უმცირესობასთან შეხვედრაზე აღნიშნა: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მხრიდან ოსების მიმართ ბევრ დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი და ამისათვის ბოდიში უნდა მოვუხადოთო".

პირადად ჩემი აზრით, ქართველებს ოსებთან არაფერი ჰქონდათ და არც ამჟამად აქვთ საბოდიშო. განა შეიძლება საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის დაცვა დანაშაულად ჩაეთვალოს ადამიანს?

დაბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ **დაგომისის ხელშეკრულება,** რომელსაც ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა ედ. შევარდნაძემ მოაწერა, საქართველოსათვის პირდაპირ გულში, ლახვარის ჩაცემა გახლდათ. ამით დაცული იქნა რუსეთის ინტერესები, „მშვიდობა", რომელიც ამ ხელშეკრულების შედეგად დამყარდა სამაჩაბლოში „რუსული" მშვიდობაა, იგი ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენი პრეზიდენტი პირნათლად ასრულებდა რუსეთიდან მიღებულ დავალებებს.

ვფიქრობ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მკითხველს მოკლედ შევთვავაზებთ მონაცემებს ოსეთისა და ოსების შესახებ...

საიდან არიან საქართველოში მცხოვრები ოსები და როდის დასახლდნენ ისინი საქართველოში

საქართველოში პირველად ოსების შემოსვლა მონღოლებისა და თემურ ლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე ოსების ხოცვა-ულეტამ და დარბევამ გამოიწვია: ოსები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი კუთხე და თავი შეეფარებინათ ცენტრალური კავკასიონის ხეობისათვის.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მონღოლების შემოსევამ და ბატონობამ ძლიერ დაასუსტა საქართველო და მისი მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებზე ოსების ბანდიტური რაზმების შემოსვლას, ეს პროცესი მონღოლთა ინტერესებშიც შედიოდა, რადგანაც ოსები მათ საყრდენ ძალად მიაჩნდათ.

როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, ოსებმა 1292 წელს იწყეს საქართველოს ტერიტორიების დაკავება და ბარბაროსობა.

XIV საუკუნეში **მეფე გიორგი ბრწყინვალემ** მძიმე ბრძოლების შედეგად განმინდა საქართველო მონღოლებისაგან და ოსი მოთარეშე რაზმებიც განდევნა. ამის შემდეგ საქართველოში სიმშვიდე დამყარდა.

შემდეგ ორი საუკუნის მანძილზე, ქართული წყაროებით, ოსები აღარ მოიხსენიება საქართველოში. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ოსთა შემოსვლა XVII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო, ამას ადასტურებს რუსი ელჩის ცნობაც, რომელშიც მოთხრობილია 200 ოსის საქართველოში დასახლების შესახებ.

XVII-XVIII საუკუნეებში ოსები თანდათანობით იწყებენ საცხოვრებლად გადმოსვლას საქართველოში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ისინი საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენენ. საკუთარი სამშობლოდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან მათი შემოსვლა ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებზე ძირითადად 1860 წლიდან იწყება. მანამდე კი უძველესი დროიდან მოყოლებული

აქ ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა მასალები ადასტურებენ, ცხინვალი ამ დროისათვის არსად არ მოიხსენიება ქალაქად, იგი ყველგან აღნიშნულია, როგორც ქართული სოფელი. ამას ადასტურებენ XIX საუკუნეში მცხოვრები რუსი მოხელეებიც. ასევე ისტორიულ წყაროებში გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე, ძარცვა-გლეჯაზე და მკვლელობებზე, ადამიანის გატაცებაზე, რომლის აღმოსაფხვრელად საჭიროდ მიაჩნდათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

გენერალი **ტორმასოვი** 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი **ხუნოვი** უპატაკებს გენერალ **ერმოლოვს**: „იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართველებს უნდა მიეცეს საშუალება დაიცვან თავი მძარცველი ოსებისაგან იარაღით. ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დაუწყებთ, ეს აზრი ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებსო“.

წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, ოსეთში ვცხოვრობო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ქართულ მიწა-წყალზე ხიზნად იყო დასახლებული. ქართველი ხალხი, ნაცვლად მტრობისა, სამაგიეროს მათ სიკეთით უხდიდა, ისინი ქართველებზე უკეთ გრძნობდნენ თავს საქართველოში.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი მისიონერები იღვწოდნენ ოსი მოსახლეობის განათლებისათვის. 1764 წელს ციხე-სიმაგრე **მოზდოკში** გაიხსნა პირველი ოსური სკოლა. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ოსი ხალხის ისტორიაში. აღნიშნული სკოლა ერთადერთი იყო არა მხოლოდ ოსეთში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაშიც.

როგორც ოსი ისტორიკოსი **გ. თოგოშვილი** აღნიშნავს, სკოლის გახსნის ამ პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. სკოლის გახსნას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში

ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

საქვეყნოდ ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი 1990-იანი წლების დასაწყისში წერდა: „სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავისი ჩრდილო თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა, კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს (პერმეანტულ) კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი ამას არასდროს შეურიგდება და მართალიც იქნება. ოსმა ხალხმა, მართალია, ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა ქართველებს, მაგრამ ეს ყველა ოსზე არ ითქმის, ოსებში არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც ქართველი ხალხის მეგობრები არიან დღესაც და ასე იქნება მომავალში, რადგანაც ბევრი ქართველი და ოსი წყვილები ქორწინდებოდნენ და ოჯახებს ქმნიდნენ და ქმნიან დღესაც. ქართველებს და ოსებს ნათესაური კავშირები აქვთ“.

აფხაზების სამშობლო საქართველოა

აფხაზეთი ძველათაგანვე ყოფილი საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა, ქართველ მეფეთა უკანასკნელი დინასტიაც აფხაზური დინასტიაა, ბიჭვინთის უძველესი ტაძარიც რამოდენიმე საუკუნის მანძილზე აფხაზთა და ქართველთა საკუთარი ტაძარი იყო.

ბედიის ტაძარი აგებულია აფხაზური დინასტიის პირველი ქართველი მეფის **ბაგრატის** მიერ, იგი თავის წიაღში ინახავს ბაგრატ მეფის ნეშტს.

მოქვის ტაძარი აგებულია ქართველთა და აფხაზთა მეფის **დავით ალმაშენებლის მიერ.**

აფხაზ ხალხს საქართველოსთან — ქართველ ხალხთან ბევრი რამ აქვს საერთო: სარწმუნოება, ჩვეულებები, ცხოვრების წესი...

დროთა განმავლობაში ქრისტიანული სარწმუნოება აფხაზ ხალხში თითქოსდა შესუსტდა მუსულმანთა ზეგავლენით. მაგრამ ქრისტიანული ადათ-წესები ძირითადად მაინც შენარჩუნებულია. მართალია, აფხაზთა გარკვეული ნაწილი ასრულებს მუსულმანური ცხოვრების წესებს, მაგრამ ისინი ბრწყინვალე აღდგომის დღეს ერთმანეთს უძღვნიან წითლად შეღებილ კვერცხებს. ხდებოდა აფხაზთა და ქართველთა წყვილების ქორწინებაც. აფხაზეთის მთვართაგან, მხოლოდ ორნი **ზურაბ-ბეი** და **ქელიმ აჰმედ-ბეი** აღიარებდნენ მუსულმანთა რელიგიას, იმიტომ რომ ისინი ბავშვობიდანვე წაიყვანეს თურქეთში და იქ აღიზარდნენ. აფხაზეთის ყველა დანარჩენი მთავარი ქრისტიანი იყო, ქართველ მეფეებს არასდროს გამოურიცხავთ ისინი ქართული ოჯახიდან. აფხაზეთი რომ საქართველოს ნაწილია და მას ეკუთვნის ამის დამადასტურებელია არა მარტო ქრისტიანული ტაძრები და წეს-ჩვეულებები, არამედ სხვადასხვა ნაგებობათა ნანგრევებიც, მაგალითად, **სპირასთან** ხეობის ცნობილი ციხე-კოშკები აგებულია საქართველოს მეფის თამარის მიერ. **კელასურის** ქვიტკირის გალავანი აშენებულია **ვამეხ დადიანის** მიერ.

აგრეთვე ბევრ აფხაზს, თავიანთი ქართული და მეგრული გვარებიც კი აქვს შენარჩუნებული.

აფხაზები ქართულ და მეგრულ სიტყვებსაც ხმარობენ, თუმცა შეცვლილად, მაგრამ არც ისე ძნელი არის მათი თავდაპირველი ქართული და მეგრული ძირის მოძებნა, მაგალითად, „ათავად“ ქართულად „თავადია“, „აკამბაშ“ „კამბეჩი“ და სხვა. აფხაზი და ქართველი ხალხის მეგობრობა საუკუნეების მანძილზე გახლდათ შედუღაბებული, მაგრამ 1992 წლიდან ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა. საქართველოში მოულოდნელად გაღვივდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი...

საქართველოში შექმნილი დაპირისპირება

აფხაზმა სეპარატისტებმა ომი ფაქტიურად 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყეს, მაგრამ საამისოდ ნიადაგს 60-იანი წლებიდან ამზადებდა საბჭოთა რუსეთი, რომელიც ხელს უწყობდა აფხაზი და ქართველი ხალხის დაპირისპირებას. ეს რუსეთის მეფისდროინდელი იმპერიის ხერხი გახლდათ, რომელიც კარგად გამოიყენა საბჭოთა რუსეთმა. მათი მითითებით შეიქმნა აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა შეექმნა ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

საბოლოოდ, ამ ორ, ძმობით და სიყვარულით შედუღაბებულ ხალხთა შორის მტრობის გაღვივებისა და ძველთაძველი საქართველოს აფხაზეთის ტერიტორიის გამოყოფისათვის მათ მყარი ნიადაგი შექმნეს. რუსეთმა ფაშისტური მეთოდებით „თვითგამორკვევის უფლებათა“ რეალიზაციისათვის შეიარაღებული ბრძოლით, ქვეყნის ტერიტორიის მთლიანაობის ძალადობრივი დარღვევით, დემოგრაფიული ვითარების შეცვლით, ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით, აფხაზ ხალხს მტრის ხატად დაუხატეს ქართველი ხალხი. ისინი ჩრდილო კავკასიასა და მთელს საბჭოთა მაჰმადიანებს უნერგავდნენ აზრს იმის შესახებ, რომ კავკასია ერთიანი და განუყოფელია მუსულმანებისათვის, რომ თითქოსდა ქართველები დღემდე ფიზიკურად ანადგურებენ აფხაზებს და რომ აფხაზები საჭიროებენ დახმარებას.

ყველაფერი ეს (იგულისხმება აფხაზეთის ტრაგედია) მოსალოდნელი იყო, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა, მაგრამ იგი დააჩქარა 1988-89 წლებმა. საბჭოთა კავშირის მთავრობამ იგრძნო, რომ ხელიდან ეცლებოდა ყოვლისშემძლეობა, მასობრივმა ეროვნულმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლის შესახებ. საფრთხის ზონად საბჭოთა რუსეთს, ბუნებრივია, ექცნენ: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მოლდავა და საქართველო. ამიტომ რუსეთმა დაიწყო, ჩრდილოეთ კავკასიელ თანამზრახველებთან ერთად, საბჭოეთის ცენტრთან კავშირში შეიარაღებული ბოევიკების მომზადება.

1989 წლის 15-16 ივლისს ქართველებზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა სოხუმში, რასაც სისხლის ღვრა და მსხვერპლი მოჰყვა, მაგრამ მაშინ კონფლიქტი არ გაგრძელებულა, რადგან ქართველთა ერთიანობამ და ურთიერთთანადგომამ არ მისცა საშუალება სეპარატისტებს კონფლიქტი გაეღვივებინათ. კრემლში მიხვდნენ, რომ მარტო გზასაცდენილი, ქართველთმოძულე აფხაზი სეპარატისტები არ კმაროდნენ ქართველთა დასამარცხებლად, საჭირო იყო თვით ქართველთა შორის დაპირისპირება და შიდა გათიშულობის მიღწევა. ამ მზაკვრულ განზრახვას მათ მიაღწიეს კიდევაც, მაგრამ ყველაფერი, რაც საქართველოში მოხდა და ხდება დღესაც, არ შეიძლება დავაბრალოთ მარტო რუსეთს. მას ფესვები შეიძლება ითქვას, რომ წინა წარსულში უდგას. ამ გათიშულობას, ამ ტრაგედიას ადრიდანვე ჩაუყარეს საფუძველი ი. ბ. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ, რომლებმაც მოახდინეს საქართველოს ანექსია, ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოებს დაურიგეს საქართველოს ტერიტორიები, ამის შემდეგ დაანაწევრეს თვით საქართველო, შექმნეს: ოსეთის ავტონომია, აფხაზეთის ავტონომია და აჭარის ავტონომია. სწორედ მაშინ ი. ბ. სტალინმა ერთიანი საბჭოთა ძლიერებისათვის ნაღმის სახით ჩადო აღნიშნული ავტონომიები, რომლებმაც ახლა იწყეს აფეთქება.

ბევრს ჩვენს თანამემამულეს არ სურს აღიაროს ეს სინამდვილე, ბუნებრივია, მეც არ მსურს ასე იყოს, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

აფხაზთა ამბოხი, რომელიც რუსეთის ინტერესით იყო გათვალისწინებული, გახლდათ მოღალატური კონფლიქტი მიმართული

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შესაჩერებლად.

აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და მომავალშიც უფრო სრულყოფილად ძალიან ბევრი დაიწერება. ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის ნათელფენილი, გარკვეული და შესწავლილი, ზოგ-ზოგნი საქართველოს მხრიდან დაშვებულ სერიოზულ შეცდომებსაც არ გამორიცხავენ ამ ომში და ესეც არის გასათვალისწინებელი. რეალობის დასადგენად და ნამდვილი ფაქტებით გაჯერებული, ისტორიულად დასაბუთებული და შესწავლილი ნაშრომების დასაწერად, აფხაზეთის ტრაგედია ხომ ამოუწურავი თემაა.

ბევრი რამ ამ საკითხთან დაკავშირებით ეჭვის ბურუსითაა მოცული, მაგრამ სიმართლე ბოლოს და ბოლოს მაინც გაირკვევა. მეც გაკვრით, ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით, ვცდილობ მკითხველს მივაწოდო ჩემს მიერ მოძიებული მასალები და ჩემი პირადი შეხედულებები (როგორც ერთი რიგითი ადამიანისა) ამ საკითხთან დაკავშირებით...

1992 წლის 14 აგვისტოს შემდეგ, ჩრდილო კავკასია გახდა საორგანიზაციო ცენტრი ყოველგვარი ნებაყოფლობითი მოძრაობისა აფხაზეთის დასაცავად. ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერგეზეთში, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, შეიქმნა მოხალისეთა შტაბები. ეს ყველაფერი ხდებოდა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ხელშეწყობით. გაძლიერდა სამხედრო ტექნიკის მიწოდება რუსეთის მიერ, ასევე უწევდნენ დახმარებას ცოცხალი ძალით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები, საბჭოთა არმიის დაშლის შიშით იყვნენ შეპყრობილნი, ამიტომ ისინი გვერდში დაუდგნენ აფხაზ სეპარატისტებს და ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში, განსაკუთრებით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა მოხალისეთა შემკრები პუნქტები და აქედან ბოევიკები იგზავნებოდნენ ქართველი ხალხის გასანადგურებლად

აფხაზეთში. ისინი ძირითადად იყვნენ ბანდიტები, მკვლელები, მათ შორის ავღანეთის ომში გაწვრთნილები.

სამწუხაროდ, საზოგადოებისათვის ომის მიმდინარეობის ძირითად დეტალებსა და მეომართა შემადგენლობის შესახებ მართალი ინფორმაციის მიწოდება არ ხდებოდა, რადგან ჩვენი ქვეყნის მეთაური და მთავარსარდალი ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოქმედებდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მითითებების საფუძველზე.

სწორი ინფორმაციის გავრცელება მოხერხდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთი დავკარგეთ. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლება იძულებული გახდა ელიარებინა რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთის ომში. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაიცნობიერა სახელმწიფო ინტერესები და ამით ხელი შეუშალა საქართველოს მოსახლეობას ერთ მუშტად შეკრული შეხვედროდა განსაცდელის ჟამს. ჩვენი მთავრობის უნიათობით ვერ შევძელით არ დაგვეშვა ძმათა შორის შუღლი და მტრობა, ძმათა შორის ომი, აგვეცილებინა გენოციდი, შეგვენარჩუნებინა მზიური აფხაზეთი, მაგნოლიებისა და პალმების ქალაქი სოხუმი, ოჩამჩირე... ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

აფხაზეთის ომი ქართველების მხრიდან გახლდათ სამამულო ომი, ჩვენ ვიცავდით ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს მოსახლეობას. აფხაზეთის ომი ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ, ამ ომში იბრძოდნენ: ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, კაზაკები, რუსები, თათრები, აგრეთვე, „ბოევიკები" სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დნესტრისპირეთიდან, ყარაბახიდან, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, აგრეთვე, **ბაგრამიანის სახელობის** სომხური ბატალიონი.

ამ ომში ქართველი ხალხის დამხმარე არ იყო არც ერთი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. გარდა რუსეთის მიერ დაქირავებული ბოევიკებისა, ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რეგულარული სამხედრო შენაერთები, ამათგან 345-ე სადესანტო პოლკი, რუსეთის საჰაერო ძალები, სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდები, რომლებიც ზღვიდან ბომბავდნენ აფხაზეთის მოსახლეობას. საბრძოლო გეგმას ადგენდნენ მოსკოვში.

მიუხედავად ასეთი სიძლიერისა, მტერმა მაინც ვერ შეძლო აფხაზეთის დაპყრობა გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. მათი

ბრძოლა მიზანმიულწეველი გახდა. ქართველები შესაშური თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს. ქართულმა ჯარმა სრული კონტროლი დაამყარა გაგრაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში. მან შეძლო დაემტკიცებინა თავისი სიმამაცე, გმირობა და თავგანწირვა მშობლიური ქვეყნის დასაცავად. მტერს არ მისცა არავითარი შესაძლებლობა აფხაზეთის ოკუპაციისა. ამიტომ აფხაზეთის სეპარატისტების ხელმძღვანელმა რუსეთის მთავრობამ სხვა ხერხს მიმართა. 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების თანახმად, საქართველოს მეთაურისა და მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით გაგრიდან გამოყვანილი იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები. ამით ისარგებლა მტერმა, შეუტია გაგრას და 1992 წლის 1 ოქტომბერს ქალაქი დაიკავეს, რასაც მოჰყვა მოსახლეობის დარბევა, წამება, ხოცვა-ჟლეტა, ბინებისა და ქონების ძარცვა და საცხოვრებელი სახლების განადგურება. აწამეს და ჩამოახრჩვეს 50 ქართველი, განსაკუთრებული სისასტიკის ფაქტები იქნა გამოვლენილი გაეროს გენერალური კომისიის მიერ.

არაადამიანური წამების შემდეგ გადარჩენილმა მოსახლეობამ — 17 ათასმა ქართველმა დატოვა თავისი მშობლიური კუთხე, თავისი ოდა-ბადე, უძრავ-მოძრავი ქონება და ცარიელ-ტარიელად დარჩენილი ლტოლვილი გახდა თავისივე სამშობლოში, თავისივე მიწა-წყალზე.

გაგრის შემდეგ ჯერი სოხუმზე მიდგა. 1993 წლის 16 მარტს მტერმა შემოტევა ღამით დაიწყო, განხორციელდა სოხუმის საარტილერიო დაბომბვა, ქალაქის საჰაერო სივრცეში გამოჩნდნენ მოიერიშე თვითმფრინავები, რომლებიც ბომბებს უშენდნენ სოხუმს.

ქართულმა ინტელიგენციამ და ჯარისკაცებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს, გმირობის უჩვეულო მაგალითი აჩვენეს, მტერმა უკან დაიხია, ამ წარმატებულ ბრძოლაში თავისი სახელოვანი სიტყვა სთქვა ქართულმა არტილერიამ. სწორედ, ამ ბრძოლებში გამარჯვება დაედო საფუძვლად იმას, რომ 16 მარტი ქართული არტილერიის დღედ გამოცხადდა.

16 მარტს ქართულმა მხარემ ფრონტის ხაზი მთლიანად დაიკავა. 17 მარტს ისევ დაიწყეს დაბომბვა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა, მაგრამ უშედეგოდ. ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მოწინააღმდეგის მხრიდან დაღუპული 500 ჯარისკაციდან

უმრავლესობა რუსები იყვნენ. მეორე დღეს ნათელი გახდა ქართველ მეომართა წარმატებანი, მოწინააღმდეგეთა მხრიდან დანაკარგი ძალიან დიდი იყო.

ამ დროს მოხდა, საბრძოლო თვალსაზრისითა და საომარი პოლიტიკის გათვალისწინებით, უცნაური რამ...

საქართველოს მთავრობამ ქვეყნის მთავარსარდლის ბრძანებით, ნაცვლად იმისა, რომ შეტევაზე გადასვლის ბრძანება გაეცა, რათა ქართველებს უკან დახეული და დამფრთხალი დამპყრობლები საბოლოოოდ გაენადგურებინათ, თავისი ბრძანებით ქართული ჯარი შეაჩერა და კვლავ სამშვიდობო პოლიტიკაზე ალაპარაკდა.

1993 წლის 17 მარტს საქართველოს მთავრობამ, პარლამენტის სახელით, მიმართვა გაუგზავნა გაეროს ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს, ვისაც ეს ეხებოდათ, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საბჭოს. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზი სეპარატისტების შენიღბული შეიარაღებული ძალები 16 მარტის შეტევაში ასრულებდნენ გადამწყვეტ როლსო. აგრესორებს სურდათ აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოდან.

პარლამენტი მოითხოვდა უზრუნველეყო რუსეთის ჯარების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, (მაგრამ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ისევ თვითონ მოაწერა ხელი რუსი სამშვიდობო ჯარისთვის ვადის გაგრძელებას).

„ავტორთა ჯგუფი, აფხაზეთის ლაბირინთი, 1999 წელი.

შეტევაზე გადასული ქართული ჯარის შეჩერებით მტერმა დრო მოიგო, იგი შეტევისთვის კიდევ უფრო კარგად მოემზადა. 16 მარტის დამარცხებით რუსეთი შეშფოთებული გახლდათ, ისინი არ მოელოდნენ ქართველთა მხრიდან ასეთ წინააღმდეგობას. ეგონათ, რომ ქართული ჯარი ადვილად დანებდებოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

16 მარტს, შეტევის დროს, მამაცურად იბრძოდა მე-6 სატანკო ბატალიონი... ერთ-ერთი ტანკი წინ გავიდა, მას მოწინააღმდეგის მხრიდან გახსნილმა ცეცხლმა ცეცხლი წაუკიდა, ტანკში ისხდნენ **ზურაბ ზარანდია და მურთაზ პიტავა.** ისინი ტანკიდან არ ამოსულან, სანამ ჭურვები ჰქონდათ და სროლა შეეძლოთ, ბრძოლას განაგრძნობდნენ, რითაც თანამებრძოლებს იცავდნენ, მათ წინ წაწე-

ვის საშუალებას აძლევდნენ. მამაცური ბრძოლის შემდეგ ისინი თავის რკინის რაშთან ერთად ტანკშივე დაიწვნენ. რუსებმა ისევ დაიწყეს დაბომბვა. ჩვენმა არტილერიამ ოდიშთან ჩამოაგდო თვითმფრინავი, რომელსაც ვაცლავ შიპკო მართავდა.

ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას მოწინააღმდეგე ყოველთვის არღვევდა, მას სწამდა გამარჯვება, მაგრამ ვერ სძლია ქართულ ჯარს, რადგან ქართველები იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს, ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ, სიკვდილსაც არ უშინდებოდნენ, ამიტომაც აღწევდნენ ამ მრავალრიცხოვანი და ძლიერ შეიარაღებული დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გამარჯვებებს.

რუსეთი მიხვდა, რომ განუიარაღებელი ქართველების დამარცხება არც ისე ადვილი იყო, გამოსავალი ერთადერთი გახლდათ — ქართველთა განიარაღება, რასაც მიაღწიეს საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის წყალობით, რომელმაც ქვეყნისათვის დამღუპველი გზა აირჩია, სამშვიდობო ხელშეკრულებას და შეთანხმებას მაშინ მოაწერა ხელი, როცა ქართული ჯარი მტერს ამარცხებდა.

1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა განიარაღების შეთანხმებას, დაიწყო ბატალიონების დაშლა, ქართველთა მხარემ, მთავარსარდლის ბრძანებით, რუსეთის სატრანსპორტო გემებით საბრძოლო ტექნიკა ფოთში ზღვის გამოღმა, ფრონტის ხაზიდან 100 კმ-ის დაშორებით გამოიყვანა, ხოლო რომლის გაყვანაც ვერ მოასწრეს, ყველა გაანადგურეს, ააფეთქეს და დაწვეს.

პრეზიდენტი ფიქრობდა, როცა ომს აფხაზი სეპარატისტები და მათ უკან ამოფარებული რუსები ისევ დაიწყებდნენ, გემებით უკან ჩამოუყვანდნენ საბრძოლო ტექნიკას, განადგურებულების ნაცვლად ახალ ტანკებს მისცემდნენ, მაგრამ ამაოდ...

უიარაღოდ დარჩენილი ქართული ჯარი, რა თქმა უნდა, ელოდებოდა ახალ შემოტევას, ეს იცოდა მთელმა საქართველომ, მათ შორის ყველაზე უკეთ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, მაგრამ არაფერი არ იღონა.

მოლოდინი გამართლდა, ამოქმედდნენ აფხაზი სეპარატისტები, მათი მხარდამჭერი რუსი ჯარისკაცები, ასევე (რუსეთის მიერ) დაქირავებული „ბოევიკები“.

ქართველებს არაფერი შეეძლოთ, მათი დამარცხება გარდუვალი იყო, რადგანაც ჩვენი საბრძოლო ტექნიკა სახელმწიფოს მთავარსარდალმა ფოთში „საიმედო“ ადგილას გადაიყვანა, რომ არ დაზიანებულიყო.

რას ნიშნავდა ყოველივე ეს?

ჩემი უბრალო გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლდათ ღალატი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა სოხუმელმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩასულმა, ავტომატისამარა დარჩენილმა ქართველებმა 12 დღის განმავლობაში არ მისცეს მტერს სოხუმის აღების შესაძლებლობა. რუსეთს დაყრდნობილი აფხაზი სეპარატისტები, თავის დამხმარე „ბოევიკებთან“ ერთად შეუსვენებლივ უშენდნენ ბომბებს სოხუმს. იღუპებოდა ასობით ბავშვი და ქალი, ინგრეოდა, იწვოდა და ნადგურდებოდა ყველაფერი, დამხმარე ძალა არ ჩანდა, არც იყო მოსალოდნელი, რადგან ბუნებრივია, ჩვენი პრეზიდენტი ბატონი ე. შევარდნაძე შეთანხმებას ვერ დაარღვევდა, იმ შეთანხმებას, რომელსაც თვითონ მოაწერა ხელი და, რომელიც ითვალისწინებდა საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტას და სამხედრო შენაერთების გაყვანას. ქართველები შესაშური მონდომებით ებრძოდნენ ასჯერ მეტ და კარგად შეიარაღებულ დამპყრობლებს, ავტომატის ამარა დარჩენილები წინ წამოწევის საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ სანამ შეიძლებოდა გამკლავებოდნენ კბილებამდე შეიარაღებულ მტერს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხელშეკრულება საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტისა და სამხედრო შენაერთების გაყვანის შესახებ, სამხედრო პირებთან საერთოდ არ შეუთანხმებია ბატონ ე. შევარდნაძეს. გენერალ **დათუაშვილის** თქმით: „თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელები მონახაზის დონეზეც კი არ იცნობდნენ ხელშეკრულების პროექტს“.

საქართველოს მაღალჩინოსან სამოქალაქო პირებს არც უფიქრიათ და არც შეეძლოთ ეფიქრათ, თუ რატომ უნდა დარჩენილიყვნენ

კონფლიქტის ზონაში აფხაზური პოლკები, ქართული კი მხოლოდ ქვეგანყოფილებები, რატომ უნდა გამოეყვანა ქართულ მხარეს ტექნიკა ასობითი კილომეტრის დაშორებით და განელაგებინა აფხაზებისგან მოწყვეტილ ქალაქებში, ხოლო აფხაზები უნდა ყოფილიყვნენ რამოდენიმე კილომეტრით დაშორებულ გუდაუთასა და ათონში. მდგომარეობის შესაძლო გართულების შემთხვევაში ვის მისცემდა ხელს ასეთი შესაბამისობა, ვის მიზნებს ემსახურებოდა ხელშეკრულება, ეს ყველასათვის ნათელია.

საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თავმჯდომარის ბ-ნი ირაკლი ბათიაშვილის განმარტებით, ხელისუფლებას ჯერ კიდევ აგვისტოში ჰქონდა ინფორმაცია აფხაზების გამალებული შეიარაღების, ფრონტის უბნებზე ტექნიკის, ცოცხალი ძალის თავმოყრის, პოზიციების გამაგრებისა და სოხუმზე თავდასხმის გენერალური გეგმის არსებობის შესახებ. სექტემბრის დასაწყისისათვის ცალმხრივი განიარაღება დამთავრებული იყო, სოხუმის აღების გენერალური გეგმის პირველი ნაწილი შესრულებული. აფხაზების სამხედრო ტექნიკა ფრონტის ხაზის გასწვრივ გახლდათ განლაგებული. სოხუმის გარდაუვალი დაცემის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა.

აფხაზთა გეგმის მიხედვით შეტევა სოხუმზე აგვისტოში უნდა დაწყებულიყო, რაც ყველასათვის ცნობილი გახლდათ, მაგრამ აგვისტოში საკუთარი მიღწევებით კმაყოფილი ქართველი პოლიტიკოსებისა და ჩვენი ქვეყნის თვითაღიარებული სახელმწიფოს მეთაურის მოწოდებით აფხაზეთის ყველა ქალაქსა და რაიონში დაბრუნდა ყველა ლტოლვილი.

აქ, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, 1 სექტემბერს შეუდგნენ სწავლას სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლამდელი დაწესებულებები. აგვისტოს ბოლოს, სადაზვერვო სამსახურის არაერთგზის გაფრთხილებისა და შემაშფოთებელი სიგნალების მიუხედავად, სოხუმი უკვე დაცლილი იყო მძიმე ტექნიკისა და შეიარაღებული ძალებისაგან.

აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დამხმარე ძალამ, როგორც მოსალოდნელი იყო, განაახლეს ბრძოლები. 16 სექტემბერს, ღამით,

სოხუმში ჩაფრინდა თავდაცვის მინისტრი, გენერალი **გია ყარყარაშვილი**. იგი თვითონ ჩაუდგა სათავეში სოხუმის დაცვისათვის ბრძოლას. სოხუმის დამცველთა დასახმარებლად სასწრაფოდ ნავიდა საქართველოს მაშველთა კორპუსის შემადგენლობა. თბილისში დარჩენილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის **ცქიტიშვილის** ბრძანებით, ქართველი მეომრები უიარაღოდ იგზავნებოდნენ სპეციალურად უკვე დასაცემად გამზადებულ სოხუმში. მისივე განმარტებით ისინი თითქოს იარაღს და ტყვია-წამალს იქვე, შტაბში მიიღებდნენ, მაგრამ იქ ჩასულ მებრძოლებს იარაღი და ტყვია-წამალი არ დახვდათ. ბატალიონ **ავაზას** მებრძოლები უკან გამობრუნდნენ, ასევე მოიქცნენ სხვა უიარაღო ბატალიონებიც.

მოწოდება: ყველანი აფხაზეთის დასაცავად, ცარიელი და ლიტონი სიტყვები გამოდგა ხელისუფლების მხრიდან. ჯარისკაცებს რამოდენიმე უბანზე ერთდროულად უხდებოდათ შეტევის მოგერიება და თვითონვე იცავდნენ ვაგზალს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, აეროპორტს, წითელ ხიდს, კელასურის ხიდს, მაჭარას.

მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ბომბავდა ბრძოლის ველს, თავდასხმაზე გადმოსული დამპყრობლების მძიმე ტექნიკას, აქა-იქ შემორჩენილი ქართველი მებრძოლები ავტომატით უხსნიდნენ ცეცხლს. 19 სექტემბერს შეწყდა ყოველგვარი კავშირი მთელ საქართველოსთან.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში დახელოვნებული ბატონი პრეზიდენტი უიარაღო, ტყვია-წამლის გარეშე დარჩენილ სამშობლოს ერთგული, თავდადებული ქართველი ჯარისკაცების სიცოცხლეს უპირისპირებდა „კბილებამდე" შეიარაღებულ მტერს. ჩვენი ჯარისკაცებისათვის აფხაზეთის ომში ბრძოლა ისეთი იყო, როგორიც შიშველი ხელით მგლის ხროვაში ყოფნა.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა და უჩვეულო სიმამაცისა, ჩვენ ომი წავაგეთ... **სოხუმი დაეცა.**

ქალაქის დატოვება უვნებლად მოასწრეს ვითომ „რიგით ჯარისკაცებად" წოდებულმა პარლამენტარებმა და სხვა წარმომადგენლებმა. ქალაქი სოხუმი, აგრეთვე, რა თქმა უნდა, „გმირის"

სახელით დატოვა საქართველოს მთავარსარდალმა თვითონ ბატონმა პრეზიდენტმაც.

სოხუმის დამცველ, გადარჩენილ ჯარისკაცებთან ბოლომდე გია-(გიორგი) ყარყარაშვილი დარჩა. იგი, როგორც ყოველი ბრძოლის დროს, იმჟამადაც ერთგულად იხდიდა სამშობლოს მიმართ ჯარისკაცურ ვალს, იბრძოდა თავდაუზოგავად, გმირობის სასწაულებრივ მაგალითებს აძლევდა გადარჩენილ ჯარისკაცებს.

უკანდახეულ ქართველ მეომრებს შტაბში სამხედრო ხელმძღვანელები აღარ დახვედრიათ. ბევრი ჩინოსანი და რიგითი სამშობლოს პატრიოტი ადამიანი იბრძოდა აფხაზეთის ომში, განსაკუთრებული პატივგების ღირსნი არიან ისინი: სახმელეთო ჯარების გენერალი **ყურაშვილი,** რომელსაც კოდორის მისადგომების განთავისუფლება ევალებოდა, ბრძოლებს წარმატებით ასრულებდა, მან მნიშვნელოვანი ობიექტები აიღო. ახალდაბის შეტევის დაწყებამდე კოდორზე გადმოსულმა თავდაცვის მინისტრმა სოხუმის დამცველთა დასახმარებლად ყურაშვილის შენაერთიდან სამასი მებრძოლი წაიყვანა, ორივენი დარწმუნებული იყვნენ, რომ ოჩამჩირიდან შევსება მოვიდოდა, მეორე საარმიო კორპუსის ერთ-ერთი ბატალიონის 24-ე ბრიგადაში ხომ 4500 ჯარისკაცი ირიცხებოდა, მაგრამ შევსება არსად ჩანდა.

ახალდაბის ოპერაცია, კოდორის გეგმა იშლებოდა, ამ დროს ბატონი **აკაკი ელიავას** რაზმი გამოჩნდა. ელიავას ულტიმატუმი (პირობა) ასეთი იყო—ბატონ ე. შევარდნაძეს უნდა გაენთავისუფლებინა ელიავას ოთხი სენაკელი ტყვე. ბატონი პრეზიდენტი მას სატელეფონო საუბრით პირობის შესრულებას შეჰპირდა, ელიავა მარტო შეპირებით არ დაკმაყოფილდა, იგი ტყვეების სასწრაფოდ განთავისუფლებას და ჩამოყვანას მკაცრად ითხოვდა...

ოთხი დღე ელოდა ბატონი **აკაკი ელიავა** დანაპირების შესრულებას, მაგრამ ამაოდ... პრეზიდენტი დუმდა, აკ. ელიავას ომში ჩაბმა ეწადა, მისი დიდი სურვილი იყო მის მამაც მებრძოლებთან ერთად ბრძოლა მისი ერისა და ქვეყნის დასაცავად, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტმა პირობა არ შეასრულა და საქვეყნოდ ცნობილი აკ. ელიავა, თავისი ბატალიონით უკან გაბრუნდა. მარტოდ დარჩენილ-

მა გენერალმა ყურაშვილმა კოდორის გარღვევის გეგმა ვერ შეასრულა.

ფრონტის სარდლობას და პირადად დათუაშვილს, ექსპრეზიდენტის სარდალი ბატონი ვახტანგ ქობალია საკუთარ ჯარს თავაზობდა, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ერთმანეთის მიმართ უნდობლობა ჰქონდათ, ამიტომ ორივე მხარე ბრძოლისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ვახტანგ ქობალია იგონებს: „მე საომრად არავის ვჭირდებოდი, ბრძოლაში წინ იმისთვის მიშვებდნენ, რომ ზურგიდან ტყვია დაეხალებიათო“.

სამეგრელოსთან და ბევრ სხვასთან დაშვებულ შეცდომებს (გათიშვასა და განდგომას) თითქოსდა მხოლოდ ომის შემდეგ მიხვდა ჩვენი ხელისუფლება, მათ ვერ გაითავისეს უბრალო რამ, რომ გამარჯვებას ხალხის ერთიანობა სჭირდებოდა, ძალიან გვიან დაიწყეს მოწოდებები შერიგებისა და გამთლიანების შესახებ.

დაგვიანებით გამოტანილმა დასკვნებმა, ბუნებრივია, შედეგი ვერ გამოიღო. მთავარსარდალმა და სამხედრო საქმეში კომპეტენტურმა პირებმა სამოქალაქო ომში დამარცხება თავის მართლების მიზნით განდგომილ მხარეს გადააბრალეს, მაგრამ ჩემის და შეიძლება ბევრის სხვათა აზრითაც, ეს ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს.

აფხაზეთის ტრაგედია ხელმძღვანელობის უნიათობამ და არა მარტო უნიათობამ, არამედ გულგრილობამ და ზოგიერთის მხრიდან ღალატმა განაპირობა. საქართველოსათვის ამ ძნელბედობის ჟამს ისინი მთავარი სტრატეგიული პრობლემებით ქვეყნის ბედით კი არ იყვნენ დაკავებულნი, არამედ იბრძოდნენ ხელისუფლებაში ადგილების (თანამდებობების) დასაკავებლად და ვერ მიაქციეს სათანადო ყურადღება იმ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, რომელსაც სამხედრო ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად ხელი მოაწერა ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. სწორედ ამან გამოიწვია ქართული მხარის მარცხი.

ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს ექსპრეზიდენტის სარდალი ხვდებოდათ გზაში და თხოვდა იარაღი გადაეცათ მისთვის, რათა მის უიარაღო ჯარისკაცებს გამოეყენებინათ ეს იარაღი ქართუ-

ლი მიწა-წყლის დასაცავად, მაგრამ ეს პროცესი უშედეგოდ დასრულდა. ჯარისკაცები იარაღს არ თმობდნენ.

დაბოლოს, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო: მართალია, ბევრი ქართველი თავდადებით იბრძოდა სამოქალაქო ომში, სიკვდილსაც კი არ ერიდებოდა (იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამორჩენის მიზნით მოდიოდნენ ვითომდა საბრძოლველად), მაგრამ ერთეულები ვერაფერს გახდებოდნენ.

მთავარი იყო, როგორც ყოველთვის, მთავრობის, კერძოდ კი მთავარსარდლის შორსმჭვრეტელობა, გამჭრიახობა, სწორი პოზიცია, საკუთარი ქვეყნისადმი ერთგულება.

ჩვენი სამხედრო შენაერთების გონიერი მეთაურები, ასევე გაგრის ყოფილი კომენდატი **ფირცხალ**იანი, გაგრის ტრაგედიაში დაშვებული შეცდომების ძირითად მიზეზად ასახელებენ განუკითხაობას, წინდაუხედაობას, შეგნებულ ღალატს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ დაუშვებელი იყო ბრძოლის ის მცდარი გეგმა, რომელიც ჩვენმა მთავარსარდალმა და მისმა მორჩილმა ქვეშევრდომებმა მოიაზრეს. მათ გადამწყვეტ წუთებში ფრონტზე მიატოვეს ჯარისკაცები, 17-18 წლის ახალგაზრდა მოხალისეები დააპირისპირეს პროფესიონალ „ბოევიკებს“.

1993 წლის 27 ივლისის განიარაღების შეთანხმებით და უნიათო ხელისუფლების მოქმედებით საქართველო დამარცხდა. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, რასაც მთელი აფხაზეთის დაკარგვა მოჰყვა.

ბატონმა ე. შევარდნაძემ თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა: „მე არ გავურბივარ ჩემს წილ პასუხისმგებლობასო“. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ამგვარი განცხადებით მოუბოდიშა მან თავის ერს. მთავრობის მხრიდან ღალატითა და შეცდომებით განპირობებულ დამარცხებას ქართველი ხალხი, რომლის ღირსება ფეხქვეშ იქნა გათელილი, მიუხედავად პატიების თხოვნისა, არასოდეს აპატიებს სახელმწიფოს მეთაურს და ქვეყნის მთავარსარდალს ბატონ ე. შევარდნაძეს. ქართველი ერი და მომავალი თაობა თავის ადგილს მიუჩენს ყველასა და ყველაფერს ჩვენი ბედკრული სამშობლოს ბედკრულ ისტორიაში.

გამოძიებამ ჯერჯერობით აფხაზეთის დამარცხების მიზეზები სრულყოფილად ვერ დაადგინა, ვერ შესძლო, სამწუხაროდ, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის დაკითხვა და აქედან გამომდინარე, ზუსტი ფაქტებისა და მასალების ანალიზის საფუძველზე, საბოლოო დასკვნის გაკეთება.

ჯერჯერობით, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ბატონ ე. შევარდნაძეს არ გაუკეთებია აფხაზეთის უბრძოლველად ჩაბარებაში მისი როლის შესახებ განცხადება და არ გამოუხატავს საკუთარი პასუხისმგებლობა (ამ საკითხში) ერისა და ქვეყნის წინაშე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთი ნამდვილად დაუდევრობით დავკარგეთ. თავიდანაც და ბოლოშიც ხელისუფლების, სწორედ ხელისუფლების მხრიდან დაშვებულმა შეცდომებმა (დასაწყისში აფხაზეთში ჯარის შეყვანამ, ხოლო დასასრულში სამხედრო ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ) განსაზღვრა აფხაზეთის ომის ბედი.

აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში ტექნიკის გამოყვანამდე გია ყარყარაშვილის მეთაურობით ქართულმა სამხედრო შენაერთმა აფხაზეთის მთელი ტერიტორია დაიკავა მდინარე ფსოუმდე, რუსეთის საზღვრამდე მივიდნენ, მაგრამ მალე მათ კონტროლირებადი ტერიტორიები დაატოვებინეს. შემდეგ გაირკვა, რომ ბოლო მომენტში გია ყარყარაშვილმა, ფაქტიურად აღებული აფხაზეთიდან, სასწრაფოდ გამოსვლის ბრძანება ქვეყნის მეთაურისა და მთავარსარდლის ბატონი ე. შევარდნაძისაგან მიიღო. შემდეგში დადგინდა ისიც, რომ უკან დახევის ბრძანების მთავარი ავტორი გახლდათ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელმაც სთხოვა თურმე საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ე. შევარდნაძეს უკან დახევა და ჯარის გაყვანა და ალბათ მეორე, პირველს ხათრს ხომ არ „გაუტეხავდა“.

გვაქვს კი საზეიმოდ საქმე?

რუსეთის იმპერია, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ. ყოველი წლის 9 მაისს ზეიმობს გამარჯვების დღეს. ვზეიმობთ ჩვენც, მაგრამ გვაქვს კი საზეიმოდ საქმე? ქართველები ხომ ამ შემთხვევაში სხვათა ომში ვიბრძოდით. ჩვენთვის მეორე მსოფლიო ომი სამამულო ომი არ იყო, გვაიძულებდნენ რუსეთი სამშობლოდ გვეცნო (გველიარებინა), რადგან რუსეთის იმპერია საქართველოს მის შემადგენელ ნაწილად თვლიდა.

ახლა ფაქტის წინაშე ვდგავართ, დიდი ხნის ნატვრის, ბრძოლისა და სისხლის ღვრის შედეგად გავხდით დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ ძნელია დაივიწყო წარსულის ავბედითი წლები: 1921, 1924, 1937, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი...

რამდენი უდანაშაულო ქართველის სისხლი დაღვარა რუსეთის იმპერიამ, რამდენი შეეწირა სტალინის ტოტალიტარულ რეჟიმს, მაგრამ ბევრ, გერმანიის ომის მონაწილე მებრძოლს, რომელიც გადაურჩა ამ უსასტიკეს ომს, სწამს, რომ სამშობლოს, საკუთარ მიწა-წყალს იცავდა. დღეს ისინი სტალინის, ამ უღმერთო და ძნელად ამოსაცნობი პიროვნების, სიყვარულით ისევ არიან შეპყრობილნი.

პირადად მე ქედს ვიხრი მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა წინაშე, ისინი ნამდვილად იმსახურებენ ჩვენგან პატივისცემას, მათ ხომ ყველაზე ძვირფასი—სიცოცხლეც გაიმეტეს, უჩვეულო მამაცობითა და თავგანწირვით მოიპოვეს გამარჯვება ამ უთანასწორო ბრძოლაში. სამუდამო დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელები, გააბრწყინეს ქართველების, ადამიანობის, ვაჟკაცობის, მამაცობის მაგალითები და მოიპოვეს უკვდავება. თაობები ყოველთვის იამაყებენ თავიანთი წინაპრებით, აქ ხალხი არაფერ შუაშია, პირიქით.

დღესდღეობით მთავარი არის, გავაანალიზოთ წარსული, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი, გავამხილოთ სიმართლე და ვაღიაროთ, რომ 9 მაისი ჩვენთვის საზეიმო დღე ნამდვილად არ არის.

მე ვადიდებ ყველა მებრძოლს, მაგრამ პატივით და სიყვარულით არ შემიძლია მოვიხსენიო რუსეთის იმპერია და პირადად ი. ბ. სტალინი, რომელმაც მოგვისპო დამოუკიდებლობა, თავისუფლება,

ბედნიერება და საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საუკეთესო შვილები დახვრიტა, გადაასახლა შორეულ ციმბირსა და შუა აზიაში—უდაბნოში, მოუსავლეთში, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიამ 10 მილიონი მებრძოლი დაკარგა, გამარჯვებულმა სტალინმა კი 20 მილიონი.

ომის შემდგომ გერმანია გაიყო ორ ნაწილად: დემოკრატიული გერმანია, რომელიც შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში და ფედერაციული, რომელიც მიეკუთვნა დასავლეთს და ყველამ კარგად დავინახეთ, რუსეთის დემოკრატიული ნაწილის გერმანელი ხალხი როგორ გარბოდა ფედერაციულ გერმანიაში, როცა გერმანიის გამყოფი კედელი დაანგრიეს. გერმანელმა ხალხმა ვერ გაუძლო კომუნისტურ რეჟიმს, მის უსამართლობას და გაქცევით უშველა თავს. ხალხი ისწრაფვოდა, ეშინოდათ ისევ არ ჩაეკეტათ ეს საშინელი კედელი.

არ შეიძლებოდა შეგვედარებინა დემოკრატიული გერმანია ფედერაციული გენმანიისათვის, მისი სიმდიდრით, ეროვნული პროდუქტის სიუხვით, ადამიანის უფლებების დაცვით, თითოეული გერმანელის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და ყოველგვარი სხვა პირობებით.

მართალია, ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში ნამდვილად გაიმარჯვა სტალინმა, მისმა შორსმჭვრეტელობამ და გენიალურობამ, მაგრამ ქართველებს რა მოგვიტანა ამ გამარჯვებამ? ჩემის აზრით, ბევრი არაფერი. მეორე მსოფლიო ომის შედეგებს დღესაც მთელი სისრულით და მისი შედეგებით ვერ აღიქვამს საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე, საკუთარ აზრს თავს ვერავის მოახვევ, მაგრამ დროა დავინახოთ და გავარჩიოთ ტყუილ—მართალი.

განა ასე არ მოიქცა გერმანელი ხალხი. მათ როცა დაინახეს, რომ გამყოფი კედელი დაირღვა, მიატოვეს ე. წ. დემოკრატიული ტერიტორია, სახლები, ქონება, ყველაფერი და გაიქცნენ. მანამდე კი, ვინ იცის რამდენი გვირაბი იქნა გაყვანილი დემოკრატიული გერმანიის ტერიტორიიდან ფედერაციულ ტერიტორიამდე. ამ გვირაბებით ბევრმა დააღწია თავი კომუნისტურ რეჟიმს, ბევრს კი გაუგეს და გაქცევის მცდელობისათვის სიკვდილით დასაჯეს.

მეორე მსოფლიო ომში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან პოტენციურად ყველაზე მეტი —700 ათასი ჯარისკაცი საქართველო-

დან გაიწვიეს. აქედან 350 ათასი დაიღუპა ამ სხვათა ომში, ამდენი მსხვერპლი კი არ გაუღია არც ინგლისს და არც ამერიკას.

დამთავრდა ომი, მაგრამ კიდევ დიდი უბედურება დაატყდათ თავს როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, ასევე საქართველოსაც. მოხდა ომების ისტორიაში გაუგონარი რამ.

სამშობლოში დაბრუნებული, ტყვეობაში ნატანჯი, ნაწამები, გერმანელი ფაშისტების კლანჭებიდან სიმწრით გადარჩენილი საბჭოთა მეომრები აყარეს და ოჯახიანად გადაასახლეს შუა აზიაში, უმრავლესობამ იქ ტანჯვაში გაატარა სიცოცხლე და იქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელიც.

ეს მოხდა საქართველოს „საამაყო შვილის, დიდი ძია სტალინის მადლით" და ლოცვა—კურთხევით. სწორედ ამიტომაც 9 მაისი რუსეთისათვის გამარჯვების დღეა, ჩვენთვის, ქართველებისათვის კი დამღუპველი დღე. სხვათა ომში უაზროდ დაღვრილი ზღვასავით სისხლი ხომ სინანულისა და მწარე მოგონებების აღმძვრელია.

დღესასწაული და ზეიმი კარგია და აუცილებელიც, ამიტომ ის ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ყველგან დღესასწაულობენ ღირსშესანიშნავ ეროვნულ და რელიგიურ თარიღებს და არა სხვისი ქვეყნის გამარჯვებას.

ქართველებს ტრადიციულად ბევრი სადღესასწაულო დღე გვაქვს, (როგორც საერო, ასევე რელიგიური) და უნდა ვიზეიმოთ კიდეც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი—პატივი უნდა მივაგოთ ქვეყნის ერთგულ დამცველებს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ პატრიოტებს, მათ შორის 1921, 1924, 1937, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის გმირებს და განსაკუთრებით ქვეყნის თვითაღიარებულ პრეზიდენტის ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და მათი კლანების მიერ განადგურებულ საქართველოს კანონიერი მთავრობის წარმომადგენლებს, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მათ მომხრეებს, ნაწამებ, განადგურებულ ადამიანებს.

ნათელი დაადგეთ მათ წმინდა საფლავებს, ამინ.

ისტორიული ტაო-კლარჯეთი

ჯერ კიდევ სკოლის მერხთან მჯდომარე, ბევრჯერ წავსულვარ ფიქრებში, როცა საქართველოს რუკისათვის დამიხედავს და ტერიტორიების შემოერთებაზე მიფიქრია, რომლებიც საქართველოს ფარგლებს მიღმა აღმოჩნდნენ.

განსაკუთრებით მტანჯავდა ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოღალატურად გაასაჩუქრეს ჩვენი ქვეყნის „საამაყო შვილებმა" **იოსებ სტალინმა და სერგო ორჯონიკიძემ** საქართველოს ტერიტორიები ჩვენს მეზობელ ოთხ ქვეყანაზე. ი. ბ. სტალინს,—კაცს, რომელიც როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც შიშის ზარს სცემდა, შეეძლო არამც თუ აეცილებინა ტერიტორიების გაჩუქება, არამედ ადრე დაკარგული ტერიტორიებიც დაებრუნებინა, მაგრამ განა ეს გააკეთა, პირიქით, მისი ხელშეწყობით მოხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკები: აჭარელ ხალხს მიაკუთვნა ავტონომია, ხიზნად შემოსულ ოსებს მიანიჭეს ავტონომიური ოლქის სტატუსი, ასევე მოექცა აფხაზებსაც.

ხშირად ჩემს ბავშვურ ოცნებებში საქართველოს რუკაზე ჩემი სამშობლოს საზღვრებს შემოვხაზავდი: **ნიკოფსიიდან—დარუბანდამდე, დარიალიდან გურჯ—ბოლაზამდე.** რა თქმა უნდა, ეს ყმაწვილი კაცის გულუბრყვილო ოცნება იყო, რომელსაც ასაზრდოებდა ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა და ქართველი ჯიშისა და გენის სიდიადე.

მჯერა, მე მარტო არ ვიყავი და არც დღეს არა ვარ ასეთი ფიქრებით გართული, ასეთი ოცნების ტყვეობა ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ჩვეულებრივი სურვილია, რომ მისი სამშობლო იყოს დამოუკიდებელი, ტერიტორიულად მთლიანი, აღორძინებული და აღიარებული.

მაწუხებდა არა მარტო დაკარგული ტერიტორიები, არამედ სულს მიფორიაქებდა იმ ადამიანებზე ფიქრი, რომლებიც მოხვდნენ და ამჟამადაც ცხოვრობენ გაჩუქებულ ტერიტორიებზე.

ჩემი თხრობის დასასრულს მინდა გაკვრით შევეხო უძველეს ქართულ ტერიტორიას,——ისტორიულ ტაო—კლარჯეთს, რომელსაც

(რატომღაც ვთვლი რომ) მკითხველი კარგად არც კი იცნობს, მხოლოდ გაგონილი თუ ექნებაო.

დამეთანხმებით, რომ მეტად მძიმეა საქართველოს მიღმა დარჩენილ ქართველ ადამიანთა ხვედრი, მათი ყოფნა, ისინი ხომ საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში ატარებენ სიცოცხლეს, დიდი აქვთ სამშობლოს ნოსტალგია, ამ ბოლო დროს ტელევიზიით თუ დაინახავენ საქართველოს მიდამოებს, მოისმენენ ქართულ ენას, რომელიც ჯერ კიდევ არა აქვთ დავიწყებული.

არადამაკმაყოფილებელია მსოფლიო სამართალი ამ საკითხის მიმართ, ასე ძნელად მოსაგვარებელი და პრობლემური არ უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, უფრო მეტი დახმარება, ზრუნვა და ამაგი სჭირდებათ იმ ქართველებს, რომლებიც განსხვავებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, მაგრამ საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარ ოდა-ბადეზე დღედაღამ ოცნებობენ, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იცავენ თავიანთ ენას, სარწმუნოებას, პატივს მიაგებენ თავიანთ ტაძრებს.

ტაო-კლარჯეთში ბევრი ისტორიული, საინტერესო ძეგლია. მათ შორის გიდგენთ რამოდენიმეს ფოტო—სურათს და მოკლე მონაცემებს მათ შესახებ. (იხ. სურათი გვ. 212-220)

ბანა

VIII საუკუნეში აგებული საქართველოს ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი, მეფეთა სამყოფელი, აქ დაიწერა ჯვარი ბაგრატ IV-მ. მისი სიმაღლე 30 მეტრს აღწევდა, ამჟამად შენობის დიდი ნაწილი მიწაშია ჩაფლული, ბანაში სანთლები მხოლოდ მაშინ ინთება, როცა იქ ქართველები შედიან.

ოშკი

კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის მშენებლობასაც X საუკუნეში თავად დავით კურაპალატი ხელმძღვანელობდა. აქ შეიქმნა ოშკის ბიბლია, რომელიც ათონის მთაზე ინახება.

ტაძარში, რომლის სიმაღლე 40 მეტრს აღწევდა, დღეისათვის არასასურველი მდგომარეობაა, შემორჩენილია უძველესი ფრეს-

კები და ქვაზე დავით კურაპალატის გამოსახულება, რომელსაც სახე დაზიანებული აქვს.

ოთხთა

X საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა მდინარე ჭოროხის ხეობაში. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა.

ხახული

გუმბათოვანი ეკლესია, დაარსებული იქნა შუა საუკუნეების ხანაში დავით III კურაპალატის მიერ. იგი ყველაზე კარგადაა შემონახული, მის კედლებზე ჯერ კიდევ შემორჩენილია უძველესი ჩუქურთმები, სამხრეთ სარკმელზე კი ქართულ ხელოვნებაში საკმაოდ ცნობილი ნიმუში—არწივის გამოსახულება.

ხანძთა

შუა საუკუნეების მონასტერი კლარჯეთში, ისტორიულ სამხრეთ—დასავლეთ საქართველოში. დაარსებული იქნა სახელოვანი მოღვაწის—გრიგოლ ხანძთელის მიერ. თავიდანვე კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრის როლს ასრულებდა. VIII საუკუნეში, როცა აქ, გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობას შეუდგა, ააშენა მცირე ზომის ხის ეკლესია, ქვის ეკლესიის მშენებლობა მოგვიანებით დაიწყო, ის გურგენ IV-მ, 941 წელს დაასრულა.

ოლთისი

X საუკუნის ციხე—ქალაქი, დავით კურაპალატის ყოფილი რეზიდენცია, მრავალჯერ გადამწვარა ბიზანტიელთა და თურქ სელჩუკთა შემოსევის დროს.

ქალაქ ოლთისი თურქული მოსახლეობის საყვარელი ადგილია. ოლთისი XIII საუკუნის 40-იან წლამდე საქართველოს შემადგენლობაში იყო. დღევანდელი დამთვარიელებლებისათვის არაფერია ცნობილი ოლთისის ქართული წარმომავლობის შესახებ.

თორთუმის ციხე

პროვინცია ისტორიული საქართველოს სამხრეთ—დასავლეთ ნაწილში. ოლთისის მახლობლად მდებარეობის გამო, თორთუმს პირველს უხდებოდა სამხრეთით შემოსული მტრის მოგერიება. თორთუმთან ახლოს არის ადგილი, სადაც ქართველები თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამ ველზე 1202 წელს ბასიანის ბრძოლა მოხდა. მაშინ დავით სოსლანის მეთაურობით ქართველებმა რუქნადინის 400000-იანი არმია (ჯარი?). გაანადგურეს.

არტანუჯის ციხე

არტანუჯი—კლარჯეთის დედაქალაქი. არტანუჯის ციხე—ქალაქი ვახტანგ გორგასალმა ააგო. 1551 წელს იგი თურქებმა აიღეს. აქ არის პეტრე-პავლეს ეკლესიის ნანგრევები, აქვეა დასაფლავებული დავით კურაპალატი.

ტბეთი

რელიგიური ცენტრი ისტორიულ შავშეთში. X საუკუნის დასაწყისში აქ ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა საკათედრო ტაძარი ააგო. იგი არის ჯვარგუმბათოვანი, მოხატული ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით.

პარხალი

ძველი ქართული კულტურულ—საგანმანათლებლო კერა, სამონასტრო კომპლექსი მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკადის, პარხალის წყლის ხეობაში. ააგო დავით კურაპალატმა.

ვარდების რევოლუცია

შორეული წარსულიდან მოდის ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ისტორია. თავისი არსებობის მანძილზე ჩვენს ხალხს მრავალჯერ ჰქონია როგორც დაცემის, ასევე აღმავლობის ხანაც.

იყო ტკივილი, დარდი, მოუშუშებელი იარა... საქართველო წლების მანძილზე მამაცურად იხდიდა ხარკს თავისი ღირსების დასაცავად. ქართველი კაცი მუდამ მაღლა იდგა ყოველგვარ შიშსა და სულმოკლეობაზე.

XIX საუკუნის დასაწყისში, 1801 წელს, ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, თითქმის ორი საუკუნე გასტანა მონობის ხანამ, მაგრამ საქართველო მიგნებულად, სწორი რეცეპტებით მკურნალობდა საუკუნოვან წყლულს და აი, ძლიერმა და უკვდავმა ქართველმა ეროვნულმა სულმა მაინც შეძლო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება, სახელმწიფოებრიობის სწორ გზაზე გასვლა. მან მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ერის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ვერაფერი შეაჩერებს, ვერაფერი გადაეღობება წინ.

ქართველი ერის შეუპოვრობა, სიმტკიცე ერთსულოვნება, ერთიანობა, ნათლად გამოვლინდა ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილს, შემდგომ კი მთელი სისრულით, აღმატებულ ხარისხში მოგვევლინა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ვარდების რევოლუციის დღეებში, მაგრამ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ქვაკუთხედად აუცილებლად უნდა დასახელდეს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი. ამ დღეს ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ურყევი ნება ეშენებინა დამოუკიდებელი, თავისუფალი და ბედნიერი ქვეყანა. ეს დღე გამორჩეული იყო იმიტომაც, რომ იგი დაემთხვა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის ხალხმა, ქართველ ხალხთან ერთად, მსოფლიოს დაანახა თუ როგორ

უჭერდნენ მხარს ბრძოლას დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობისათვის. ამ საკითხში აღსანიშნავია აფხაზი მოსახლეობის თანადგომაც, რომლებმაც ხმა მისცეს ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს გახლდათ აფხაზთა ჭეშმარიტი ნების გამოხატვა, თუმცა შემდგომში, თუ როგორ დატრიალდა საქმე, ამაზე წინა თავებში უკვე გვქონდა საუბარი, მხოლოდ მოკლედ დავსძენთ, რომ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა მტრული ძალების დახმარებით შესძლეს მეგობრობითა და სიყვარულით დაკავშირებულ ხალხთა შორის ომის პროვოცირება (აფხაზეთის ტრაგედია).

1991 წლის რეფერენდუმიდან საკმაო დრო (14 წელი) მიილია, ამ პერიოდში ბევრმა ტკივილმა და ჭრილობამ დასერა ეროვნული მოძრაობის ძარღვი, ბევრი პრობლემები შეექმნა ქვეყანას. იგი გამოვლინდა პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამხედრო, ეკონომიკური, ადამიანთა უფლებების დაცვის, სოციალური სიდუხჭირის, ერის გახლეჩის, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის მიმართულებით.

გაუფერულდა საქართველოში ცხოვრება...

ისე როგორც ნებისმიერი, მოვლენა, „ვარდების რევოლუციაც" წლების მანძილზე მწიფდებოდა, იგი მრავალმა რეალურმა ფაქტორმა, ცხოვრების უკუღმართობებმა განაპირობა, დღის წესრიგში დადგა მისი აუცილებლობის საკითხი, რადგან:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფო მმართველობის არასწორი პოლიტიკის შედეგად, საქართველო დაღმავლობის გზას დაადგა. მოიშალა ეკონომიკა, ქვეყანაში გამეფდა ქაოსი, კორუფცია, ამას დაემატა სამოქალაქო და შინაომები, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა.

დამღუპველი აღმოჩნდა მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა, ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა სამასი ათასზე მეტი ლტოლვილი, ხელმძღვანელი თანამდებობები ხელში ჩაიგდეს კორუმპირებულმა, პირადი კეთილდღეობით, გამდიდრების

მანიით შეპყრობილმა ადამიანებმა, რომლებსაც საერთოდ არ აწუხებდათ ერისა და ქვეყნის ინტერესები, მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების მიერ ჩადენილი ყაჩაღობისა და ტერორის, ქვეყანაში გამეფებული კრიმინალური სიტუაციის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურნი აღმოჩნდნენ შესაბამისი ორგანოები, ქვეყნის მასშტაბით გატარებულმა არასწორმა პრივატიზაციამ (ე. წ. პრივატიზაციამ) ჩალის ფასად ჩაუგდო ქვეყნის მთელი სიმდიდრე კერძო პირებს. სამრეწველო საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტეს, განადგურდა ფაბრიკა-ქარხნები, ჯართად იქნა ჩაბარებული არა მარტო მოძველებული, არამედ სრულიად ახალი ავტომატური დაზგა—დანადგარები, ქვეყანა უმუშევრობამ და გაუსაძლისმა სიღატაკემ მოიცვა, მასიური ხასიათი მიიღო სამშობლოდან გადინებამ, მილიონნახევარი ადამიანი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, მათ შორის უმეტესობა ქალები, რომლებიც სხვისი მონები გახდნენ, ვინ იცის რამდენ ახალგაზრდას შეეყინა პირზე ღიმილი საზღვარგარეთ, რამდენი შეხმატკბილებული ოჯახი დაინგრა, რამდენი ადამიანი დარდისგან დასნეულდა, თოთხმეტლარიანი პენსიონერები, მცირეხელფასიანი ექიმები, პროფესორ—მასწავლებლები და სხვანი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ისინი თვეობით ვერ ღებულობდნენ ხელფასებს, პენსიებს, ამის პარალელურად ქვეყანა მოიცვა კორუფციამ, კონტრაბანდამ, ყოველწლიურად რთულდებოდა ბიუჯეტის შესრულების საქმე, ვერა და ვერ გადაიდგა წინდახედული ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მასიური ხასიათი მიიღო არჩევნების უზნეოდ გაყალბებამ. ცხოვრების გაგრძელება ასეთი განუკითხაობის ვითარებაში შეუძლებელი გახდა, მოსახლეობის მოთმინებამ ზენიტს მიაღწია, მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია, განმტკიცდა ხალხის ერთსულოვნება, ხალხი მივიდა იმის შეგნებამდე რომ აუცილებელი იყო რევოლუციური გამოსვლები, საქმე კვლავ უფრო დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევ-

ნებში ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ არაკანონიერ საფუძველზე გამარჯვებულად გამოეცხადებინა სახელისუფლებო ბლოკი. არ იქნა გათვალისწინებული პარტიებისა და ხალხის მოთხოვნები, გაეუქმებინათ შედეგები და ხელახლა დაენიშნათ ახალი არჩევნები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულმა განაპირობა ის, რომ დაიწყო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ხალხის მასების აქტიური საპროტესტო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ. მათი ძირითადი მოთხოვნები იყო:

მთავრობასთან ერთად პრეზიდენტის უპირობო გადადგომა

ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

საპროტესტო გამოსვლებმა თბილისში მასიური ხასიათი მიიღო, ქვეყნის ყველა კუთხიდან დაიძრა დელეგაციები მიტინგში მონაწილეობის მისაღებად, მიუხედავად წვიმისა და უამინდობისა, მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა.

მთავრობა ყოველწლიურად ცდილობდა მდგომარეობის განმუხტვას, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ქვემო ქართლიდან და აჭარიდან ჩამოყვანილი იქნა პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძის და მისი მთავრობის მხარდამჭერი ხალხი, ისინიც მედგრად იდგნენ საპირისპირო მხარეს, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდათ.

არსებული მთავრობის წინააღმდეგ გამართული ამ საყოველთაო გამოსვლების ორგანიზატორი გახლდათ პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა და ბურჯანაძე დემოკრატები," ლიდერების: **მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის** ხელმძღვანელობით. სწორედ მათი ერთობლივი და განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის გონივრული მოქმედებით მიღწეული იქნა რევოლუციის მშვიდობიანი ჩატარება. ყოველგვარი მსხვერპლის, უბრალოდ ერთი გასროლის გარეშე დაკავებული იქნა პარლამენტის შენობა, სწორედ იმ მომენტში, როცა პირველი სხდომა ტარდებოდა და სიტყვით გამოდიოდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე. რევოლუცი-

ის სიმბოლო გახლდათ წითელი ვარდი, სწორედ ამიტომაც 2003 წლის 23 ნოემბერს განხორციელებული უსისხლო რევოლუცია, რომელსაც მოჰყვა არსებული მთავრობის შეცვლა, ხოლო მეორე დღეს ქვეყნის პრეზიდენტის ნებაყოფლობით გადადგომა, ისტორიაში შევიდა **„ვარდების რევოლუციის“** სახელწოდებით და მას დიდი მოწინეებით შეხვდა მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

რევოლუციის მოთხოვნები განხორციელდა. უზომოდ კმაყოფილმა ხალხმა მისი უშუალო ხელმძღვანელი ბატონი **მიხეილ სააკაშვილი** ეროვნულ გმირად გამოაცხადა და საპრეზიდენტო არჩევნებში 95%-მა ხმათა უმრავლესობით ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია. ხალხმა თავისი ნება გამოხატა საპარლამენტო არჩევნებშიც.

საქართველოში გათენდა დილა, ქვეყანას ჰყავს ახალგაზრდა, განათლებული, ხალხის კეთილდღეობისათვის საბრძოლველად განწყობილი, სპეტაკი, უშიშარი, დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე, შორსმჭვრეტელი, გამჭრიახი, მსოფლიოს მასშტაბით პოპულარული, ფიზიკური აღნაგობით, ღიმილიანი იერით სახეგაბრწყინებული, თვალებმოციმციმე პრეზიდენტი, მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, მის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება დიდი იმედის მომცემია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

სწორედ ასეთი იმედით შეუდგა ხალხი ცხოვრებას 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს იმედი თუნდაც გაფერმკრთალდეს. ჯერჯერობით მდგომარეობა უკეთესობისაკენ ნამდვილად მიდის. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები დამაიმედებელია, აშკარად იგრძნობა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სფეროში მიმდინარე რადიკალური ძვრები, უმადურობა იქნება არ შევაფასოთ არსებული მდგომარეობა, არ გავიცნობიეროთ რეალურად განხორციელებული ფაქტები: კერძოდ კი ის, რომ შეჩერდა ნგრევა და ქაოსი, სტაბილური გახდა ცხოვრება, დაიწყო ეკონომიკური აღორძინება, საბოლოოდ გასტუმრებული იქნა ე. წ. „გაყინული“ პენსიები და ხელფასები, ამაღლდა პენსია, ხელფასები, გადა-

ჭარბებით სრულდება ბიუჯეტი ყველა მაჩვენებლების მიხედვით, განხორციელდა რეფორმები მინის საკუთრების, განათლების, ჯანმრთელობის, ქვეყნის დაცვის სისტემაში, შეიქმნა საპატრულო პოლიცია, უფასო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად, უფრო აქტიური გახდა პარლამენტი, მიღებული იქნა ახალი, სამართლიანი, ქმედითუნარიანი კანონები, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ყოველივე ნეგატიურს, კორუპციას, კრიმინოლოგიურ ფაქტებს, ამაღლდა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, საქართველოში განხორციელებულ ვარდების რევოლუციას მაღალი შეფასება მიეცა მსოფლიო მასშტაბით, აღინიშნა მისი დიდი როლი უკრაინაში განხორციელებულ უსისხლო ნარინჯისფერ რევოლუციაში. საქართველო გახდა ფლაგმანი სხვა ქვეყნებისთვის, მის აღიარებასა და დაფასებაზე მეტყველებს ამერიკის პრეზიდენტის ბატონი **ჯორჯ ბუშის** ვიზიტი საქართველოში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აჭარაში მიმდინარე მოვლენები. ყველასათვის ცნობილია, რომ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, აჭარა, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის **ასლან აბაშიძისა** და მისი კლანის წყალობით, საქართველოს გავლენის სფეროდან თითქმის გასული იყო. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ იგი მოექციათ რუსეთის გავლენის სფეროში. ხელი შეეშალათ დემოკრატიის წინსვლისთვის, აჭარის ხელისუფლებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბებაში, ვარდების რევოლუციის პერიოდშიც ისინი შევარდნაძის ხელისუფლების გვერდში იდგნენ და ცდილობდნენ მის შენარჩუნებას. უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს თუნდაც ჩოლოქის ხიდის აფეთქება და აჭარის მოწყვეტა საავტომობილო გზისგან.

სეპარატიზმისაკენ მიდრეკილთა ცდების მიუხედავად, საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ მოახერხა აჭარაში ასლან

აბაშიძის რეჟიმის დამხობა, რასაც დიდი მონონებით შეხვდა აჭარის მოსახლეობა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის გადადგმული ნაბიჯები იმის მომასწავებელია, რომ ბოლოს და ბოლოს საშველი დაადგება ამ მეტად პრობლემურ საკითხს, მიიღწევა, რომ ქართველი კაცი ლტოლვილი არ იყოს თავისივე სამშობლოში.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, გასაკეთებელი ძალიან ბევრია, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჯერჯერობით ვერ მოგვარდა სამუშაო ადგილების შექმნის, ადამიანთა დასაქმების პრობლემა, რაც განაპირობებს იმას, რომ ისევ ღარიბ-ღატაკად რჩება საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. თითქმის არ არსებობს საშუალო ფენა, ძალიან დიდი, კონტრასტული განსხვავებაა ხელფასებს შორის, უფრო მეტი დაფასება სჭირდებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც ნაყოფიერად იღვაწეს, ეგონათ, რომ ბედნიერ პენსიონერობას მიაღწევდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, ხალხს უნდა დაურიგდეს წართმეული ანაბრები. მეტი ყურადღება სჭირდება ეროვნული პროდუქტის შექმნის საკითხს, რისთვისაც საჭიროა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება.

იმედით, რწმენით ვამთავრებ ჩემს თხრობას, მოვლენებს წინ ვერ გავუსწრებ, მინდა ყველაფერი კარგად წავიდეს, ისე როგორც ეს ეკადრება ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს უძველეს ისტორიას და კულტურას, ამას კი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მოქმედება გვიჩვენებს.

ხვალინდელი მასალები

ᲡᲯ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საარქივო სამსახური

ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გაშზ. №72

№ 7/10/3 – ᲠᲔ-23 „16" „ივნისი" 2005 წ.

ეგზ. № 1

მოქ. ოთარ დვალიშვილს

ქ.ქუთაისი, რაზმაძის ქ. №23

ბ-ნო ოთარ,

თქვენი ა.წ. 2 ივნისის განცხადების პასუხად გაწვდით საქართველოს შსს-ს არქივში არსებულ ინფორმაციას შემდეგი პიროვნებების შეახებ:

1. პავლე (იოველი) ნესტორის ძე დვალიშვილს დაბ.1895წ. ვანის რ-ის სოფ. დვალიშვილებში, ამიერკავკასიის ფედერალური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის 1932წ. 20 თებერვლის დადგენილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) და 58-17 (ბანდიტების ხელისშემწყობი) მუხლების საფუძველზე მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე რეპრესირებული იყო 1937 წელს (იხ. დანართი).

2. პროკოფი ნესტორის ძე დვალიშვილი დაბ.1899წ. ვანის რ-ის სოფ. დვალიშვილებში, დაპატიმრებული იყო 1925 წელს "პოლიტიკური ბანდიტის" და "კონტრრევოლუციონერის" ბრალდებით. პატიმრობიდან გათავისუფლდა 1925წ. ივნისს, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის "ამნისტიის შესახებ" დადგენილების თანახმად.

3. შალვა თეოფილეს ძე დვალიშვილი დაბ.1903წ. ვანის რ-ის სოფ.საპაიჭაოში, 1934წ. 21 ნოემბერს გასამართლებული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ "ბანდიტთა შემფარებელის" ბრალდებით და მიესაჯა 10 წ. თავისუფლების აღკვეთა. გარდაიცვალა 1943წ. 31 იანვარს სასჯელის მოხდის ადგილზე (ქ.უხტა,კომის ასსრ).

4. ვასილ ნესტორის ძე დეალიშვილს დაბ. 1895წ. ვანის რ-ის სოფ. ბზვანში, ამიერკავკასიის ფედერალური საბჭოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს 1932წ. 20 თებერვლის დადგენილებით ს.ს.კ. 58-10 და 58-17 მუხლების საფუძველზე მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. ამბერკი (აქვსენტი) ყაფლანის ძე ადეიშვილი დაბ. 1891წ. სოფ.საპაიჭაოში, რეპრესირებული იყო 1937 წელს. (იხ.დანართი).

6. ხერგო არსენის ძე თვალაბეიშვილის დაბ.1896წ. შესახებ საქართველოს შსს-ს ინფორმაცია არ მოპოვება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საარქივო საქმეები ზემოაღნიშნული პიროვნებების შესახებ განადგურდა 1991-92წ.წ. ქთბილისში ცნობილი მოვლენების დროს.

დანართი: 2 ფურცელ.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი ოთუმურაშვილი

საქართველოს სახელმწიფო
უშიშროების სამინისტრო
Министерство Государственной Безопасности Грузии

№ 16/5-Ę-214

ეგზ. № 1

ᲛᲝᲜᲐᲪᲐ

მოქ. აღექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილი, დაბ. 1900 წ. განის რ-ის სოფ.ზზვანში, რომელსაც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წ. 29 დეკემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 /აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას/ მუხლის საფუძველზე მიესაჯა 10 /ათი/ წლით თავისუფლების აკვეთა, ამჟამად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წ. 16 იანვრის ბრძანებულების 1 პუნქტის თანახმად რეაბილიტირებულია.

ა.ბ.დვალიშვილი პატიმრობიდან განთავისუფლდა 1939 წ. 16 მაისს.

განყოფილების უფროსი მ.ემირონოფი

ერთვნული მოძრაობის მოთავენი



სერგო არსენის ძე თვალაბეიშვილი

დაბადებული 1896 წელს, ვანის რაიონის სოფელ საპაიჭიოში, ვანის რაიონის მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელი. 1924 წლის დიდი ავანყებიდან გარდაცვალებამდე. მის შესახებ სხვა ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს) არქივის მასალები განადგურდა 1991-92 წლებში თბილისში მიმდინარე ცნობილი მოვლენების დროს. მოკლული იქნა 1927 წელს—?



ამბერკი (აქვსენტი) ყაფლანის ძე ადეიშვილი

დაბადებული ვანის რაიონის სოფელ ხაბაიქათში 1891 წელს. მცხოვრები ხაშტრედის რაიონი, სოფელი მექა. 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე. „აჯანტიურისტად" წოდებული. 1937 წელს რეპრესირებული. გადახალებული იყო ყაზანში, გარდაიცვალა იქვე.

ალექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილი

დაბადებული ყარის რაიონის სოფელ ზედა ბზვანში 1900 წელს. საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ძალადების მუხლით მიესაჯა დახვრეტა. ლ.პ. ბერიას დახმარებით 1937 წელს, დახვრეტა შეეცვალა 10 წლის პატიმრობით, ცნობაში არ არის აღნიშნული დაპატიმრების თარიღი სასჯელის შეცვლამდე. (რაც იწვევს მისი პატიმრობის ვადის შემცირებას). პატიმრობიდან განთავისუფლდა 16.05.1939 წ. რეაბილიტირებული იქნა 1.01.1989 წ. გარდაიცვალა 1989 წელს.



პავლე (იოველ)' ნესტორის ძე ჯვალიშვილი

დაბადებული ვანის რაიონის სოფელ „ჯვალიშვილებში“ 1895 წელს. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. რეპრესირებული იყო 1937 წელს. დახვრიტეს დიდუბეში 1937 წელს. (იხ. ცნობა და დანართი)

ვასილ ნესტორის ძე დვალიშვილი

დაბადებული ვანის რაიონის სოფელი „დვალიშვილებში“ (ახლანდელი სოფელი სულორი) 1895 წელს. ცნობაში მისი დაბადების ადგილად შეცდომით არის მითითებული სოფელი ბზვანი (შენიშვნა: კომუნისტური ტოტალიტალური რეჟიმის მიზანი იყო მათი მოცილება და არა სხვა სიზუსტე—ავტორი) 1932 წელს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაცვალა 1934 წელს მილიციასთან შეტაკების დროს თავისივე ბოქაულზე ატეხილ ბრალდებაზე, ვანის რაიონის სოფელ ზეინდარში. მაგრამ ციხეში არ მჯდარა (ძოხერხა გაქცევა სახამართლო დარბაზიდან).



პროკოფი ნესტორის ძე დვალიშვილი

დაბადებული ვანის რაიონის სოფელ „დვალიშვილებში“ 1899 წელს. დაპატიმრებული იყო 1925 წელს „პოლიტიკური ბანდიტის“ და „კონტრრევოლუციონერის“ ბრალდებით. განთავისუფლდა 1924 წელსვე. აბსოლუტით.

შალვა თეოფილეს ძე დვალიშვილი

დაბადებული ყანის რაიონის სოფელ ზედა ბზუანში და არა სოფელ საპაიჯაოში, როგორც ეს უშიშროების ცნობაშია აღნიშნული. 1934 წელს მიესალა დახვრეტა, რომელიც ფილიპე მახარაძის დახმარებით შეეცვალა 10 წლის პატიმრობით; მაგრამ 1943 წლის 31 იანვარს მაინც დახვრიტეს, რადგან ძოკლა ზედაშხედველი. საქ. შსს-ს მიერ გაცემულ ცნობაში, ნაცვლად დახვრეტისა, აღნიშნულია, რომ გარდაიცვალა 1943 წლის 31 იანვარს სასჯელის მოხდის ადგილზე.



პარხალი

აშოტ კუხია

საქართველოს დაპყრობა
საბჭოთა რუსეთის
აღნიშვნები
შავი
ზღვა

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 63

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 10 VII 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

Слушали:	Постановили:
Дело № 12405 – 4 Отдел УГБ НКВД ГССР – по обвин. ДВАЛИШВИЛИ Павла (Иовела) Несторовича 1896г. рожд., урож. с. Двалишвидеби, Ванок. р-на, из крестьян-бедняков, грузин, м/грамот. сов. гр-н, б/полит. бандит, в 1931г. был осужден к 10 годам в к/лагарь за вооружен. бандитизм, вернулся с конц лагеря в 1936г., до ареста работал по лесозаготовкам в сел. Сацхени, Ахалцихельск. С/Совета, Кварельск. р-на. Обвиняется в том, что к-р контрреволюционный элемент, в скрытой форме выражал свое недовольство против мероприятий ВКП/б/ и Сов. власти, б/полит. бандит, неоднократно совершал налеты на представителей Сов. власти, входил в состав банды, возглавляемой Тваливибили, Двалишвили В. и друг.	О ДВАЛИШВИЛИ Павла (Иовела) Несторовича – Расстрелять Имущ. конф. лично Лич. конф. Председ. Члены Секретарь
Докладчик: (МИРЗОЕВ)	
ПРЕД. ТРОЙКИ НКВД ГССР –	
ЧЛЕНЫ –	

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 46

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 21 декабря 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР ГОГЛИДЗЕ

ЦАРЕВАЛИ Прокурор по спецделам

Секретарь МОРОЗОВ

Слушали:	Постановили:
Дело Самтр.РО НКВД ГССР № 22303 по обвинению АДЕЙШВИЛИ Аквсентия он-же Амоеркия Каплановича 1891 г. рождения, с.Сапачао Вашкского р-на, жит.с.Баши Самтр.р-на, колхозника, б/мека, б/члена гвардии-гвардеец, авантюриста 1924 года Обвиняется втом, что он будучи не доволен вовластью вел подрывную работу в колхозе, в 1930 г. скрывал у себя дома бежавшего из тюрьмы полит-бандита Чахунашвили, в колхозе занимался вредительством, выпуская недоброкачественно отремонтированные с/хоз орудия ремонтом коих он ведал, занимался а/с агитацией, поддерживая тесную связь с меньшевиками.- Докладчик: Нач.Самтр.РО Надарая	АДЕЙШВИЛИ Аквсентия он-же Амоеркия Каплановича виновным 21 Декабря 37 года Председатель: Члены: Секретарь:

16.06.05 г.

შენიშვნა

1. სერგო არსენის ძე თვალაბეიშვილი, დაბადებული 1896 წელს ვანის რაიონის სოფ. საპაიჭაოში, იყო ვანის რაიონის მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელი 1924 წლის დიდი აჯანყებიდან გარდაცვალებამდე, მის შესახებ საქ. შსს-ს საარქივო ინფორმაცია არ მოეპოვება, არქივის მასალები განადგურდა 1991-92 წლებში თბილისში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს. მხოლოდ მოხსენებულია მისი სახელი და გვარი მენშევიკური პარტიის სხვა წევრების სასამართლო საქმეებში და მასზე დაყრდნობით გაიცა ცნობა, სადაც არ არის აღნიშნული სიზუსტე.

2. ალექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილი, დაბადებული 1900 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანში, მას 1937 წელს მიესაჯა დახვრეტა, რაც შემდეგ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას დახმაერბით შეეცვალა ათი წლის პატიმრობით, ამიტომ მისი დაპატიმრების თარიღი არ არის აღნიშნული სასჯელის შეცვლამდე. რაც იწვევს მისი პატიმრობის ვადის შემცირებას.

3. შალვა თეოფილეს ძე დვალიშვილი, დაბადებული 1903 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანში და არა სოფელ საპაიჭაოში, როგორც ეს აღნიშნულია საქ. შსს-ს მიერ გაცემულ ცნობაში, ის დაპატიმრებული იქნა საპაიჭაოში 1934 წელს და მიესაჯა დახვრეტა, რომელიც ფილიპე მახარაძის დახმარებით, ათი წლის პატიმრობით,

შეუცვალეს. 1943 წელს 31 იანვარს დახვრიტეს, რადგან მან მოკლა ზედამხედველი, რომელიც გარდაცვლილი პატიმრის საფლავს აჭ-რევინებდა. შალვამ ჩააგდო საფლავში, დაფარა მიწით, მოასწორა, დატკეპნა მიწა, მოიყვანეს მიცვალებული პატიმარი და ისიც მის ზევით დაასაფლავეს, ეს გაირკვა ოთხი დღის შემდეგ, მოთხარეს საფლავი, ამოიღეს პატიმარი მიცვალებული, შემდეგ ამოთხარეს მიწა და ნახეს ზედამხედველი თავისი ავტომატით, იქვე დახვრი-ტეს ბატონი შალვა.

საქ. შსს-ს გაცემულ ცნობაში აღნიშნულია, რომ გარდაიცვალა 1943 წლის 31 იანვარს სასჯელის მოხდის ადგილზე (ქ. უხტა, კომის ასსრ).

4. ვასილ ნესტორის ძე დვალიშვილი, დაბადებულია 1895 წელს ვა-ნის რაიონის სოფელ დვალიშვილების თემში (ახლანდელი სოფელი სულორი) და არა სოფელ ბზვანში, როგორც ეს საქ. შსს-ს მიერ გა-ცემულ ცნობაშია აღნიშნული (კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის მიზანი იყო მათი მოცილება და არა ის, თუ ვინ სად დაიბადა და რა ბრალდება ჰქონდა).

ავტორი

ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

დავიბადე 1928 წლის 14 თებერვალს ვანის რაიონის სოფელ ზედა-ბზვანში, საკმაოდ შეძლებული გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში, ხოლო სამედიცინო (ტექნიკური) განათლება ქალაქ ქუთაისში მივიღე.

მამაჩემი, **ალექსანდრე ბესარიონის ძე დვალიშვილი** იყო ავტორიტეტული, ბუნებით მომადლებული მაღალი ზნეობის კაცი, მაშინდელი ოთხნლიანი განათლებით; მის პიროვნებაში მთელი სიძლიერით იყო ჩაკირული ქართული რაინდული სული...

დედაჩემს, **ელენე მესხიშვილს**, ძალიან ჯკვიან, ნინდახედულ, ღვთისმორწმუნე ქალბატონს, განათლება ოჯახში ჰქონდა მიღებული; იგი გვერდით ედგა მეუღლეს, უთანაგრძნობდა პოლიტიკურ საკითხებში, მტკიცე ხასიათის გამო, დიდ პატივს სცემდნენ მამაჩემის მეგობრები, ოჯახში სტუმრობისას იარაღს აიყრიდნენ და ქ-ნ ელენეს იმედიანად ჩაბარებდნენ. თავიდან დედა მამას სთხოვდა, თავი დაენებებინა პოლიტიკური საქმიანობისათვის, მაგრამ ამაოდ, ის კი არა... მოხდა პირიქით. ქმრის ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეშიც ისიც მეუღლის გვერდით დადგა,

საბოლოოდ კი, ორივენი, რეპრესიის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. 1937 წელს მამას დახვრეტა, დედას კი 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს...

დედას ძალიან კარგი სანათესაო ჰყავდა. მისი მკვიდრი ძმა, ემელიანე მესხიშვილი, საბჭოთა კავშირის მაშინდელი უშიშროების მინისტრის **ლავრენტი პავლეს ძე ბერიას** მეგობარი გახლდათ და სწორედ მას თხოვა ბიძამ დისა და სიძის განთავისუფლება. გაეცნო რა საქმის ვითარებას ბერია, მეგობარს მათ განთავისუფლებას შეპპირდა, „რაც არ უნდა დამნაშავე იყოს, ორი პიროვნება ქვეყანას ვერ დაამხობსო" დედა გადარჩა, მამაზე კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოთქვა პროტესტი და განდგომით იმუქრებოდნენ, თუ იგი არ დაისჯებოდა.

გავიდა შვიდი თვე. სიკვდილმისჯილი მამაჩემი ქუთაისის ციხეში ელოდა დახვრეტას, თუმცა დახვრეტა 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს და შუა აზიაში, კერძოდ, ტაშკენტში გადაასახლეს.

მე მახსოვს მამა, სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე. ციხეში შესვლის დროს (დაპატიმრებისას) ერთი ჯალარაც არ ჰქონდა. შვიდი თვის შემდეგ, გადასახლების ნინა დღეებში ნახვისას კი, 38 წლის კაცს დარდისა და შიშისაგან თმა და წვერი მთლიანად გათეთრებოდა.

ჩემი საამაყო ბიძა ემილიანე მესხიშვილი 1939 წელს მოხალისედ წავიდა ფინეთის ომში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა (უგზო-უკვლოდ დაიკარგა). მაგრამ მისი თხოვნა ლავრენტი ბერიას არ დავინყებია და სამი წლის შემდეგ მამაჩემი გაათავისუფლეს.

1937 წლამდე ბედნიერი ბავშვობა მქონდა, შემდეგ კი, ალბათ თქვენც წარმოიდგენთ... (სნორედ ბავშვობისდროინდელმა მძიმე მოგონებებმა ამაღლებინა ხელში კალამი და მიბიძგა იმისაკენ, რომ შემექმნა ეს ნაშრომი).

ავბედითმა 1937 წელმა მრავალი ოჯახის ბედი რადიკალურად შეცვალა. გამონაკლისი არც ჩვენი ოჯახი აღმოჩნდა...

მართალია, დედა გაანთავისუფლეს, მაგრამ იგი მნოლიარე ავადმყოფი გახდა.

მყავდა ხუთი ჩემზე უმცროსი და, მე 10 წლის ბიჭს დამეკალა ოჯახის მოვლა-პატრონობა. ვინაიდან ჩვენი ოჯახი შერისხულად ითვლებოდა, მეზობლებს, ნათესავებსა და, საერთოდ საზოგადოებას, აკრძალული ჰქონდა ჩვენთან ურთიერთობა, ამიტომ ყველა გვერიდებოდა, დამხმარე უფლის მეტი არავინ გვყავდა. დღეკანდელი გადასახედიდან მათზე გული არ მნყდება, შიში თურმე რას არ ჩაადენინებს ადამიანს...

ერთ დროს მდიდარ ოჯახად ვითვლებოდით, მაგრამ ჩვენი სახლის ასაშენებლად გამზადებული მასალა და 5000 კვ. მეტრი ვენახიანი მინის ფართობი კომუნისტებმა ჩამოგვართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. გვაბორძიკებდნენ, გვაქცევდნენ, მაგრამ არ ნავქცეულვართ, 10 წლის ბავშვი, უფალს მინდობილი, ნაადრევად დავვაჟკაცდი, მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და ასე გაგვქონდა თავი. მალე კი, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა, ბერიას წყალობით 3 წელიწადში მამა დაგვიბრუნდა და დაიწყო ახლებური ცხოვრება...

ვმუშაობდი ჩემს სოფელში ჯერ მალაზიის, შემდეგ საფერშლო პუნქტის გამგედ. 1952 წელს ქუთაისში საცხოვრებლად გადმოვედი და მუშაობა განვაგრძე აბრეშუმკომბინატის საამშენებლო-შემკეთებელი საამქროს უფროსად. ჩემს ცხოვრებაში მიღწეულ ყოველ ნარმატებას განაპირობებდა ქართველქალობის ეტალონი, ჩემი დიდი სიყვარული და ყოველნაირად შემკობილი ქალბატონი **ელენა პოლიკარპეს ასული თვალაბეიშვილი,** რომელიც 13 წლის წინ (1992 წელს) დავკარგე.

დავზარდეთ კარგი შვილები, ორი ქალი და ერთი ვაჟი, სამივენი უმაღლესი განათლებით, ვაჟიშვილი **თამაზი** შ.პ.ს. „გარანტის" ქსელის აფთიაქების დი-

რექტორია, **ნინო**—ეკონომისტია (ცხოვრობს თბილისში) **იზოლდა** ექიმ მეთოდისტი —ამჟამად ვმუშაობ შპს „გარანტის" ქსელის აფთიაქების დირექტორის მოადგილედ, პარალელურად ვენევი შემოქმედებით მუშაობას.

2004 წელს გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი **„ვინ ვართ ჩვენ, სადან მოვდივართ, წინაპართა ნაკვალევი"**, რომელმაც, ვფიქრობ, საკმაო მონონება დაიმსახურა.

ეს ჩემი მეორე წიგნია. ვმუშაობ მესამე წიგნზე, რომელსაც ალბათ მალე მიიღებს მკითხველი.

ავტორი

გამოხმაურებები

ოთარ დვალიშვილის წიგნზე „ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ, წინაპართა ნაკვალევი“

ქუთაისის ს/ს „მანდარიას სტამბის“
საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2004 წ.

ოთარ დვალიშვილის წიგნი „ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ, წინაპართა ნაკვალევი“ დაწერილია მოძიებული მასალის ცოდნით, მხატვრული ნარკვევის ფორმით, ეს მისი ღირსებაა. რაც შეეხება თემატიკას, საგვარეულო წარმომავლობა და შთამომავალთა გენეალოგიური ფესვები უთუოდ საყურადღებო და მეტად საინტერესო საკითხია.

ავტორი ცდილობს, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, წარმოაჩინოს წინაპართა მიერ განვლილი გზა, ნაკვალევი, აღბეჭდილი ისტორიის ფურცლებზე.

უძველესი **დვალეთი** ის სათავე და ფესვია, საიდანაც აღმოცენდა და მომდინარეობს დვალიშვილების გვარი.

დვალიშვილები, საერთოდ ცნობილია, როგორც მამაცი, შეუპოვარი და მებრძოლი სულისკვეთების ხალხი, ამას ადასტურებს თუნდაც წიგნი **„ყაჩაღი დვალიშვილები“** (ავტორები: **თემურ ამყოლაძე, გივი ტყეშელაშვილი**).

ო. დვალიშვილის წიგნის „ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ, წინაპართა ნაკვალევი“-ს **I ნახევარი** ეთმობა უტყუარ ისტორიულ მასალებს, მეორე ნახევარი კი – თავად ოთარ დვალიშვილის მძიმე

ცხოვრების აღწერას. ის, რასაც იგი მოგვითხრობს წინაპართა შესახებ, აგრეთვე თავის პირად ურთიერთობაზე, არ შეიძლება წაიკითხო აუღელვებლად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასმულ საკითხებზე თხრობა დინამიკურად მიმდინარეობს, შეზავებულია სევდისა და გულწრფელი სიყვარულის გრძნობით.

ქალბატონი ჟენია (მისი მეუღლე) და ოთარი ერთობლივი ძალისხმევით ქმნიან ნამდვილ ქართულ ოჯახს; სიყვარული და ერთგულება მსჭვალავს მათ ცოლქმრულ ურთიერთობას, მაგრამ უკურნებელმა სენმა, მოულოდნელად, ქალბატონი ჟენია განარიდა ამ წუთისოფელს. დატოვა მან სიყვარულით შექმნილი და ნალოლიავები ოჯახი; ცამეტი წელია, რაც ბატონი ოთარი ცხოვრობს უერთგულესი და უსაყვარლესი მეუღლის, უპირველესი მეგობრისა და გულის თანაზიარის გარეშე" (გვ. 31). ამ უსაზღვრო დარდსა და ტკივილს იგი გამოხატავს როგორც პროზაულად, ასევე ლექსებითაც.

მოვიტანთ ერთ ფრაგმენტს წიგნიდან:

„მენატრები, უსაშველოდ მენატრები. ბოლოულოდ დარჩენილს ახლა უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე მაშინ, როცა რამდენიმე ნლის უკან, საირმის დასასვენებელ სახლში მოკრძალებული, შვლის ნუკრივით დამფრთხალი, უენო, საოცრად ზრდილი და უზომოდ საყვარელი 18 ნლის გოგონა სრულიად შემთხვევით გაგიცანი, ეს იყო შემდგომაც... მთელი ხუთი ნლის დაუღალავი დევნის, სიყვარულის, ერთგულების დამტკიცებისა და დარნმუნების და... ჩვენი თანაცხოვრების, ჩვენი ერთად ყოფნის 38 ნლის მანძილზე"

(გვ. 35)

დასკვნა: ოთარ დვალიშვილის ნაშრომის უპირველესი ღირსება, როგორც თავად ავტორი მართებულად წერს, ის არის, რომ **„ჩვენმა მთამომავლობამ და საერთოდ თაობებმა გაიგონ რითი იკვებებოდა, რომელი ფასეულობები იყო ღირსეული მათი ნინაპრებისათვის"** მეორეც, ეს არის ავტორის საგვარეულო ისტორიის გადმოცემა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს რომ წიგნი დაწერილია საკითხების საფუძვლიანი ცოდნითა და სიყვარულით, ზოგი რამ გააზრებულია მხატვრულად და მიმზიდველად. ამ წიგნის ავტორს საინტერესო ბიოგრაფია აქვს, ასევე მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება და იმის უნარიც, რომ კვლავაც შექმნას ახალი ნაშრომები და გაახაროს ყველა თავისიანი, ახლობელი და რაც მთავარია, მკითხველთა ფართო წრე.

სიმონ არველაძე

მწერალი-კრიტიკოსი, პროფესორი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

* * *

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა," ბრძანა თავის დროზე ჭკვიანმა კაცმა და ეს შეუცვლელი ფორმულაა იმათთვის, ვისაც სურს რეალობას ვარდისფერი სათვალის გარეშე გაუსწოროს თვალი.

თავის დროზე **ბრძენი ილია** ბრძანებდა და მოუწოდებდა ქართველობას, რომ ქვეყნის ისტორია საფუძვლიანად შეესწავლათ და გამოეკვლიათ. და ეს დარიგებათხოვნა არ გახლავთ რაიმე პირადული ან ნაციონალური ჭირვეულობა-აკვიატებიდან გამომდინარე, იგი პიროვნებისა და ქვეყნის სრულფასოვნად და სრულყოფილად განვითარებისთვის არის საჭირო.

ნათქვამია–**„გიყვარს ის, რაც იციო“** ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ამიტომაცაა რომ ქვეყნის მტრების დღევანდელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ახალგაზრდებმა რაც შეიძლება ნაკლებად შეისწავლონ მშობლიური ქვეყნისა და გვარის ისტორია. პასპორტშიც კი მამის სახელზე უარი გვათქმევინეს. ადამიანისთვის მთავარია, რომ უხილავი ხმა მუდამ უნდა ჩასძახოდეს ყურში ხევისბერი გოჩას ხმით: **„არ დაივიწყო ვისი გორისა ხარ!“** დიახ, ბატონებო, ამ საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ, დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით მინდა შევნიშნო, რომ ბატონი ოთარ დვალიშვილის წიგნმა: **„ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ, წინაპართა ნაკვალევი“** ფრიად მასიამოვნა. მართალია, ბატონი ოთარი მწერლობაში პირველ განაცხადს აკეთებს, მაგრამ მას იმდენი ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილება დაუგროვებია, იმდენი უნახავს და განუცდია, ისეთი საინტერესო ცხოვრებით უცხოვრია ისეთ რთულ ეპოქაში, რომ მის მემუარს თავისებური ხიბლი, ფასი და პეწი აქვს.

ყოველი მცირერიცხოვანი ერისშვილის ვალია ბატონი ოთარივით ხშირად შეახსენოს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ ისინი ღირსეული ერისა და მშვენიერი ქვეყნის დიდებული გვარისშვილები არიან; და თუ რომელიმე დღევანდელი წარმატებული ქვეყნის წარმომადგენელი ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გამო მედიდურად ზემოდან მოინდომებს გადმოხედვას, შეახსენოს რომ–ისინი **კოლხური ცივილიზაციის, ოქრომრავალი ქვეყნის, უზარმაზარი კულტურის მატარებელი წინაპრების შთამომავლები არიან, და თუ არა დღეს, ხვალ მაინც „ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ირემსა მაღალ მთისასა“**. მართლაც ბატონებო! ეს ასე იქნება! ამიტომ ყოველდღიური ცხოვრებით დაღლილებმა ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, მარადიულად უნდა ვეცადოთ, ისევე როგორც ბატონმა ოთარმა, რომელიც მიუხედა-

ვად ბავშვური ასაკისა არ გატყდა და, ისე ვითარცა ვაზი გაუსხლტება მრავალ ეკალ-ბარდს და ტკბილ ნაყოფს იძლევა, მანაც ასე მოახერხა. ბატონი ოთარ დვალიშვილის წიგნი მრავალმხრივაა საყურადღებო და საინტერესო.

პირველი, იგი, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, გვევლინება სიყვარულისა და მეგობრობის, დღეს გაიშვიათებული, კაცის მამშვენებელი ამ გრძნობათა მეხოტბედ. მისი, და მისი მეუღლის სიყვარულის, ოჯახის და შვილების მზრუნველობის ამბავი სამაგალითოდ გამოადგება ყველა თაობას. წიგნში ისტორიკოსებიც იპოვიან ყურადღებამისაქცევ ფაქტებსა და მასალებს. მრისხანე 30-იანი და მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამბავი ალბათ ყოველ დროში საინტერესოდ წაიკითხება. წიგნი ფასეულია იმითაც, რომ იგი იმ კაცის მიერაა დაწერილი, რომელსაც უყვარს თავისი გვარი, თავისი ხალხი და თავისი ქვეყანა, და ვინც თავისი დედის სიყვარულის გრძნობის უმწიკვლოდ მატარებელია, იგი სხვის დედასაც პატივს სცემს და აფასებს. ბატონი ოთარის მცდელობა, ჩაწვდეს გვარის ისტორიის პირველი მესარძიკვლეების ამბავს, მისაბაძია. მას საკმაო შრომა გაუწევია ამ მხრივ. რაც მთავარია, იგი მოპოვებულ მასალებს სიყვარულითა და რუდუნებით ამუშავებს. ეს ხომ უაღრესად რთული სამუშაოა.

ასე რომ, ბატონ ოთარს სამომავლოდ კვლავ ბევრი საინტერესო სამუშაო ელოდება წინ. ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რათა ახალი წიგნებით კვლავ გაახაროს მკითხველი.

დოცენტი ლუკა დვალიშვილი
ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი
2005 წ. 5 აგვისტო

ოთარ დვალიშვილი

„ქართული ეროვნული სულის უკვდავება"

დიზაინერ-დამკაბადონებელი	ლელა ლელაძე
კორექტორი	ლია ფერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 16.05.2005 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
27.10.2005 წ. გამოცემის ფორმატი 60X84 1/16;
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 15; შეკვეთის №392
ტირაჟი 500

ფასი _ სახელშეკრულებო

სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბა"
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33.